

იოსებ ლორთქიფანიძე

# გალაქვიონ ვაბიძე

ცხოვრების გზა და  
შემოქმედებითი ბიოგრაფია



გამომცემლობა „საბჭოთა-საქართველო“  
თბილისი 1988

მონოგრაფიაში საარქივო მასალების, 1908—1959 წლებს  
ბის ქართული პერიოდული პრესის გულდასმითი შესწავ-  
ლის საფუძველზე მოთხრობილია საქართველოს სახალხო  
პოეტის ვალაკტიონ ტაბიძის მღელვარე ცხოვრება და შე-  
პოქმედებითი ისტორია.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი:  
პროფესორი ბ ა ბ ა ნ ი გ ა ვ ე რ ე ლ ი ა

Лордкипанидзе Иосиф Павлович

ТАБИДЗЕ ГАЛАКТИОН

(Жизненный путь и творческая биография)

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакарთველო»

Тбилиси, Марджანიшвили 5

1988

4603010202—055  
Л ————— 275—88  
M 601(08)88

ISBN 5—529—00126—2

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988

დიდ სამამულო ომში დაღუპული ძმებ,  
უფროსი ლუბტენანტის ვალერიან ლორ-  
თქიფანიძის ხსოვნას ვუძღვნი ამ წიგნს  
ავტორია

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჩემთვის დღესვეით არის ნათელი,  
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა...

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

1913 წელი. ქუთაისი. დიდი სალიტერატურო საღამო. სულმნათი აკაკი ოდნავ მოკუტუღი თვალით მისჩერებია კაბუქს, რომელიც აგზნებული კითხულობს ლექსს. მოხუც მგოსანს იტაცებს მისი ნერვიული, დაძაბული კითხვა. დამწყებ პოეტს ამ ისტორიული დღის გამთავსებელია შემდეგი ჩანაწერი: „ყვითელი ფოთოლი“... მე ის წავიკითხე ქუთაისში, საღამოზე, რომელსაც დაესწრო ღვთაებრივი აკაკი. მე ლექსს ვკითხულობდი ხმის აწევით, თითქოს კი არ ვკითხულობდი, არამედ ვმღეროდი, ვხმოვანებდი. ვკითხულობდი გაბედულად, როგორც „მეამბოხე“, როგორც მრისხანე მომწოდებელი.

ყვითელ ფოთოლს ღმერთი არ სწამს...

ამ სტრიქონებს მეტი პათოსით და ძლიერებით ვმღეროდი. ვგრძნობდი სუფთა და მსმენელთა დამმორჩილებელ ბარიტონს... თეატრი სულგანაბული მისმენდა. მქუხარე ტაშისცემა იყო ჭილღო ჩემი ხმაგამეტებული კითხვისა. როდესაც ფარდა დაეშვა, აკაკიმ მკითხა:

— თქვენ რაჰველი ხომ არა ხართ?

— არა, ბატონო აკაკი, იმერეთიდან გახლავართ.

— საოცარია, როდესაც თქვენ კითხულობდით ლექსს, მე მეგონა მღეროდით. ასეთი იყო ძირითადად ქართული კითხვა-ძველად, ლაპარაკობდნენ გაბმით, თითქოს სიმღერით, რაჰველობაც იმიტომ გკითხეო. „ძირითადი ქართული კითხვა სიმღერით“ — ასეთი იყო აკაკის შეფასება ჩემი ლექსების კითხვისა<sup>1</sup>. ეს ახალგაზრდა პოეტი იყო

<sup>1</sup> აკად. გ. ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 2075 (ქვევით ყველგან შემოკლებით — გ. ტაბიძის არქივი).

გალაკტიონ ტაბიძე, რომლის პირადი ღირსებებისა და ეპოქის ხასიათის ერთობლიობამ განაპირობა მისი მისა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში.

მსოფლიო საერთო ფერხულში ქართული სამყაროს ჩაბმამ ჩვენს ეროვნულ პოეზიას უფრო ვრცელ ასპარეზზე გამოსვლა დააქისრა და პოეტურ ოსტატობას მეტი სიღრმე და სირთულე მოთხოვა. საჭირო გახდა სიტყვას არა მარტო აზრი გამოეხატა, არამედ გარკვეული განწყობილების შექმნა შესძლებოდა, განეწმინდა ადამიანის სული და შთაგონებებით გაემდიდრებინა ის. ახალ პოეზიაში პოეტურ ფრაზას იმაზე უფრო მეტის ჩვენება დაეკისრა, ვიდრე ის აღნიშნავდა. პოეზიას უნდა აღმოეჩინა სიტყვის სურნელება, ფერადოვნება. საჭირო გახდა პოეზიას მეტი გარდამქმნელი ძალა ჰქონოდა, მეტი მიმზიდველობის თვისებებით აღჭურვილიყო, რამდენადაც XX საუკუნის პოეტური განვითარების პროცესი დაიწყო ეპოქის საიდუმლოებათა ამოხსნის, მის იდეურ, მორალურ-ესთეტიკურ საწყისებში პოეტური წვდომის შეუწელებელი წყურვილით. ისიც უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის 10-ანი წლების პოეტებისათვის გამორჩეული არ იყო „წმინდა პოეზიის“ ნიშნების ძიება, რომლის დროსაც პოეტი შეგნებულად და მიზანდასახულად ესწრაფვოდა შეექმნა სიტყვებისაგან შემდგარი მუსიკალური ქსოვილი, რომელიც მსმენელს აღაფრთოვანებდა, ასეთ პოეტურ ქმნილებას თემის არავითარი მინიშნება არ ჰქონდა, რამდენადაც „წმინდა პოეზია“ სიტყვათა მუსიკა იყო.

გალაკტიონ ტაბიძის პირველი ლექსები 1908 წლის შემოდგომის დამდეგს გამოქვეყნდა თბილისურ ჟურნალ-გაზეთებში, ხოლო ლექსების პირველი კრებული 1914 წელს გამოიცა ქუთაისში. პოეტმა იმთავითვე განსაზღვრა თავისი პოეტური სტიქია-ლირიკა და ლირიკოსადვე დარჩა ბოლომდე.

ნახევარი საუკუნე ემსახურა უმწიკვლოდ გალაკტიონი ქართველ ხალხს და თავისი შემოქმედებით დიდად გაამდიდრა ეროვნული პოეზიის საგანძურით. პოეტური სახელის პირველი დაქუხების შემდეგ მართლაც რომ ლეგენდარული შემოქმედებითი გზა განვლო თავისი მისი იმთავითვე მტკიცედ და ცხადად შემეყურე პოეტმა.

ისტორიამ გალაკტიონს არგუნა ბედად მეოცე საუკუნის საქართველოში დაერეკა ქართული პოეზიის განახლების ზარი. იშვიათია, პოეტს ჰქონდეს ისეთი შინაგანი განათება და რეზონანსი, როგორც ეს გალაკტიონს გააჩნდა. მის მაღალ პოეტურ ნიჭს უნდა გაეყვანა

ქართული პოეზია დიდ სივრცეებზე და ის მსოფლიო პოეტური კულტურას მოწინავე პროცესებთან დაეკავშირებინა. გალაკტიონის ისტორიული დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თავისი პოეზიით არამეტუ უმეტაურა დიდ გარდაქმნებს ქართულ სინამდვილეში, არამედ მშობლიური პოეტური სიტყვა აამალა მსოფლიო პოეზიის განვითარების დონეზე. მან თავისი მაღალი ნიჭიერებით, ეპოქის მთავარ პრობლემათა წვდომის საოცარი უნარით, ღრმა ერუდიციით (ხშირად ინტუიციითაც) თავის პოეტურ შემოქმედებაში გააერთიანა თანამედროვე დასავლეთისა და რუსულ პოეზიაში მიმდინარე პროცესები. მან, საუკუნის ღვიძლმა შვილმა, სათუთი პოეტური თროლოვით გამოხატა სამშობლო ქვეყნის ცხოვრების განვითარების შესაბამისი ეტაპები, სხვადასხვა თაობათა სულიერი სამყარო.

გალაკტიონი უდიდესი ისტორიული ეპოქის პოეტი იყო, მოწმე და თვითმხილველი იმ პროცესისა, რომელიც ვ. ი. ლენინის შეფასებით იყო: «Началом всемирной смены двух всемирноисторических эпох: эпохи буржуазии и эпохи социализма»<sup>2</sup>. სამი რევოლუციის თანამედროვე, ღრმა და გულწრფელი ლირიკოსი თავისი შემოქმედებითი გზით მიდიოდა მეოცე საუკუნის დასაწყისის რეტელიგენციის მძიმე სულიერი ტვირთით — ხალხის ცხოვრებამდე, რევოლუციამდე, ხელოვნების მაღალი პრინციპების გამარჯვებამდე. მისი მხატვრული აზროვნება ყალიბდებოდა ჯერ რევოლუციამდელი მწერლობის საუკეთესო ტრადიციებზე, შემდეგ მოდერნისტული მიმდინარეობის უშუალო გავლენით და ბოლოს საზოგადოების მოწინავე ნაწილის შეგნებაში იმ ღრმა ძვრების გარემოცვით, რომელიც გამოწვეული იყო ოქტომბრის რევოლუციური გარდაქმნებით, სოციალიზმის ისტორიული გამარჯვებით.

პოეტი ამბობდა:

მაღალ მთაზედა ავაგე  
სასახლე ახალთ-ახალი,  
ლითონზე უფრო მაგარი,  
პირამიდებზე მაღალი...

ამ სასახლის ჯეროვანი შესწავლა და გამოკვლევა თაობების მოვალეობად დარჩება. ყოველი ახალი თაობა, ყოველთვის ახალი, მანამდე უცნობი რაკურსით იღიქვამს და შეაფასებს ჩვენი ეპოქის ან უდი-

<sup>2</sup> В. И. Ленин. Полные собр. соч. т. 33, с. 19. 220.

ღვსი ხელოვანის მემკვიდრეობას. პოეტი დარწმუნებული იყო, რომ მისი პოეზია გაუძლებდა „დროთა ქროლვას“, საუკუნეებს წაჰყვებოდა მისი პოეტური ქნარი. დიდი ვნებების, მღელვარე სულის შემოქმედი გაბედულად აცხადებდა: „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“...

ამ წიგნში გვსურს მკითხველს ვესაუბროთ „წუთისოფლის“ სტუმრის ცხოვრებაზე, სტუმრისა, რომელმაც მარადისობას თავისი უკვდავი პოეტური მემკვიდრეობა დაუტოვა.

## თ ა ვ ი პ ი რ ვ ა ლ ი

### წინაპრები და გავშვრობა

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში, სიგელ-გუჯრებში ხშირად გვხვდება საკუთარი სახელი ტ ა ბ ი ა (ისე როგორც სუმბატ, სუხიო, საპაკ, ფიცხელა, ქუმისი, ჩოლოყა და ა. შ.).

ტაბიასაგან წარმოიქმნა გვარი ტ ა ბ ი ძ ე, რომელიც იმერეთის სამეფოს საბუთებში მე-16 საუკუნიდან გვხვდება. საწულუკიძეო იყო ამ გვარის მთავარი ლოკალი.

მომავალი დიდი პოეტის წინაპრები იყვნენ ხონის თემის (დღევანდელი წულუკიძის რაიონი) სოფელ ივანდიდის მცხოვრებნი, რომლებსაც თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობით გადმოეცემოდათ მღვდელთმსახურება, ისინი სასულიერო წოდებას ეკუთვნოდნენ. ძველად კი ცხოვრებას, მორალურსა თუ ინტელექტუალურს, სწორედ ამ წრის წარმომადგენლები წარმართავდნენ. ეს, ჩანს, ეამაყებოდა გალაკტიონს, იგი წერდა: „ჩემი წინაპრები — მამის მხრით იყვნენ მწიგნობრები, დაწყებული XIV საუკუნიდან კი განუწყვეტელი რიგით თაობიდან თაობაზე მოდის საგვარეულო ეკლესიისადმი ფანტასტიური, შეუცვლელობითი მღვდელთმსახურობა<sup>1</sup>“. ტაბიძეთა გვარი ცნობილი იყო მწიგნობრობითაც. პოეტის ერთი წინაპართაგანი მე-18 საუკუნის დასასრულს თავისი ბიბლიოთეკის მოსაწესრიგებლად მიუწვევია იმერეთის დედოფალს ანას. ოჯახში დაცული გადმოცემის მიხედვით „ის იყო... მცოდნე ბერძნულისა და არაბული ენების. თარგმნიდა პლატონის დიალოგებს... თარგმნიდა და ამრავლებდა ქართულ ხელნაწერებს, რომლებსაც ხშირად ამკობდა წარწერები: „მათ უმადლესობას დედოფალ ანას სვიმონ ტაბიძისაგან“. დედოფალ ანასთან ერთად მიემ-

<sup>1</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 137, გვ. 19; თხზ. ტ. XI, 1975, გვ. 276.

გზავრება... მოსკოვში და იქ მხურვალე მონაწილეობას იღებს ქართული სტამბის დაარსების საქმეში<sup>2</sup>. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ხელნაწერთა გადამწერლებს შორის ხშირად იხსენიება სვიმონ ტაბიძე. ცნობები მის შესახებ მოგვეპოვება სვიმონის პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ, სადაც იგი სამეფო სახლის წევრებთან ერთად მოხვედრილა. იგი ჭერ იონა ხელაშვილთანაა, რომლის თხზულებათა უმრავლესობა მის მიერაა გადამწერილი. მოგვიანებით ს. ტაბიძე ახლო ურთიერთობაშია თეიმურაზ ბატონიშვილთან. 1841 წელს სვიმონი გვევლინება „მესტამბის“ როლში, რასაც იუწყება იმ წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ბოლოს დართული ცნობა: „მესტამბე სვიმონ ტაბიძე ბეჭედაზედ ვიყავ მცდელია“<sup>3</sup>. მარი ბროსეს დავალებით სვიმონს სააზიო მუზეუმისაათვის გადაუწერა ხელნაწერი. იგი წერდა ლექსებს, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც<sup>4</sup>.

1804 წელს გალაკტიონის წინაპრები, გიორგი ტაბიძე თავისი ძმებით, ხონიდან გადასახლებულან ხოფელ ჭყვიშში (დღეს ვანის რაიონი). იმერეთის მეფის სოლომონ მეორის „წყალობის წიგნში“, რომელიც მას 1803 წელს უბოძებია გიორგი ტაბიძისათვის, იკითხება. „წყალობათა დაუსაბამოა მამისა ღვთათა ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომონიან პანკრატოვანმან, სრულიად იმერთა და სხვათა მპყრობელმან, მეფეთ მეფემან, ძემან არჩილისმან, მეორემან სოლომონ ესე ამიერიდან უკუნისამდე უცუალოდო წყალობის წიგნი: აღგიწერეთ და გიბოძე შენ, ხონის წმინდის გიორგის ეკლესიის ყმას მღვდელს ტაბიძეს გიორგის და შენს ძმებს იესეს, ბეჟანიკას და გაბრიელს და სხუთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა, ესრეთ და ესრე ვითარმედ რომე აღგილზედ ნაკლები კაცი იყავით და მრავალგზის გეჭყედრით აღგილის ბოძებისათვის და ჩუენ ვედრება თქუენი და თქუენის მღვდელმთავრის, მთავარეპისკოპოსის ანტონის დასტურით ხონის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის ჭყვიშურის აღგილის წყალობა გიყავით და დაგასახლეთ, ყუმურის ღელე რომ რიონშიდ ჩაერთვის,

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957, გვ. 17.

<sup>4</sup> ტ. რუხაძე, ს. ტაბიძე, ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946, № 22; თ. ენუქიძე, ს. ტაბიძის ცხოვრება... ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 101—9.

<sup>5</sup> რველუტყამდე ჭყვიში ქუთაისის მაზრის სოფელ ტ. ანგორის თემში შედიოდა, ამჟამად ის ვანის რაიონის შუამთის სასოფლო საბჭოში შედის.



იმ ადგილზედ. და გიბოძეთ შენი სამყოფი სამოსახლო სამამულე და საყანე ჰალისთავიანად პაატეის ლომინის ფშანი რომ ჩამოჰყვება ქაპნარს თავიანად. და ისევ ეკლესიას უნდა ემსახურო, რომელიც მისი ბეგარა გემართა და მეფობისა ჩუენისა წარსამართლებლად და სული-სა ჩუენისა საოხად ამაღლებრის დღეს ცხუარი უნდა დაჰკლათ და მღუ-დელს უნდა აწირეინოთ და სხუა სათხოვარი ჩუენგან და ჩუენის მო-ხელისაგან თქუენ არ გეთხოვოს რა; და ესე განწესება თქუენგან და თქუენის შეილისა და მომავლისაგან ჩუენ არას უამთა ვითარებისაგან არ უნდა მოგუჟშალოს და რომელიც წაალობა გიყავოთ, ეს წყალობა არც ჩუენთა შემდგომთაგან თქუენ და თქუენის შეილსა და მომავალს არ მოეშალოს... ბრძანებისა ამისა ჩუენისა შუამდგომელი და გამრი-გედ მოწამე ყოვლად სამღუდლო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსი-თეოს, წულუკიძე ოტია, მოურავი ლორთქიფანიძე ნიკოლოზ და ქი-ლიფთარი უზუტეისი ნიჟარაძე როსტომ. ივლისის ერთს ქჩხისტეს აქეთ ჩყგ“...<sup>6</sup> ბოძებული „წყალობით“ გიორგი ტაბიძე 1804 წელს თავისი ძმეზით დასახლებულა საჩინოს საბოქაულოს სოფელ ჭყვიში. რომელიც მდებარეობს რიონის მარცხენა ნაპირზე, ქუთაისიდან 35 კი-ლომეტრის მანძილზე. სოფელი სამტრედიის საბოქაულოს ექვემდებ-რებოდა, თავდაპირველად მას დამოუკიდებელი საზოგადოება ჰქონ-და, შემდეგ კი ტობანიერს შეუერთეს.

ისტორიულად ამ რაიონში გადიოდა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ფაზისიდან (ფო-თიდან) მიემართებოდა და ამიერკავკასიის ქვეყნებს, პირველ რიგში კი ანტიკური ხანის კოლხეთს, ერთი მხრივ (შავი ზღვით) აკავშირებდა ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან, ხოლო მეორე მხრივ — შუა აზიას-თან და ინდოეთთან.

ვანი და მისი მდიდარობები უძველესი დროიდან მჭიდროდ დასახლე-ბული იყო. ხოლო ვანი წარმოადგენდა ძველი კოლხეთის ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულსა და მნიშვნელოვან ქალაქს, რასაც ადას-ტურებს უკანასკნელი წლების გათხრების მეცნიერული მონაცემები<sup>7</sup>. ვანის ქალაქი ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში განადგურ-და. მომდევნო საუკუნეებში რიონის წელზე მოსახლეობა კვლავ მჭიდ-როდ იყო დასახლებული. ამ რაიონს, როგორც მნიშვნელოვან გზაჯ-ვარედინს, არ დაუქარგავს თავისი ღირსება.

<sup>6</sup> დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ, ნ. II, ტფილისი, 1921, გვ. 141—142; გ. ტაბიძის არქივი, გვ. 3708.

<sup>7</sup> ოთარ ლორთქიფანიძე, ვანის ქალაქი „ესიკარი“, 1968, № 7, გვ. 134

ჰყვიშზე გადიოდა მთავარი გზა, რომელსაც ციცხას გზას ეძახდნენ. ამ გზიდან ამჟამად მხოლოდ მისი დასაწყისია შემორჩენილი, ჰყვიშიდან ვანის მიმართულებით კი მთლიანად რიონის მიერაა წაღკილი. ჰყვიში ცნობილი იყო როგორც სავაქრო ცენტრი XIX საუკუნეში, განსაკუთრებით სამტრედიიდან ბათომ-ფოთის მიმართულებით რკინისგზით გაყვანამდე, ფოთიდან ჰყვიშამდე მიმოდინდნენ სავაქრო ნაგები, რომელთა ტვირთზიდვა ათასიდან-ათასხუთას ფუთამდე აღიოდა. შემდეგ ეს ტვირთი გაჰქონდათ რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლებსა და მთიან გურიაში საჯავახოს გზით.

მიწა ჰყვიშში ნოყიერია, იცის სიმინდის უხვი მოსავალი, სოფელი ეკონომიურად ღონიერი იყო, „ივერიის“ კორესპონდენტი წერდა: „ჰყვიშელი გლეხი საზოგადოდ შეძლებულია. ძვირად ჰნახავთ აქ გლეხს, რომელსაც ოდა არ ედგას. ოდის აშენება თითქმის ავადმყოფობადა აქვთ აქაურებს გადაქცეული. იშოვნის ოცს, ოც-და-ხუთ თუმანს თუ არა, მაშინვე ეშურება ოთხ-ხუთ თვალთანის სახლის აშენებას“<sup>4</sup>. სიმინდი იყო აქაურის ძირითადი შემოსავლის წყარო: „ძნელად მოიპოვება იმისთანა კომლო, რომელიც, რაც უნდა ცუდი მოსავლიანი წელიწადი იყოს, ასი-ორასი ფუთი სიმინდი არ გაყიდოს ყოველ წელს, არიან იმისთანებიც, რომელნიც ოთხას ფუთამდე ჰყიდიან, გლეხები ხელს იმართავენ აგრეთვე აბრეშუმის პარკით“<sup>5</sup>.

გიორგი ტაბიძის და მისი ძმების აქ დამკვიდრებით დასაბამი მიეცა ჰყვიშელ ტაბიძეთა მოდგმას, რომლის ერთი განშტოების გენეალოგიური ცხრალი ასე წარმოგვიდგება (იხილეთ ტაბულა).

სტეფანე ტაბიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მესამე ძირითადი კლასის მოსწავლე იყო, როდესაც მამა-მღვდელი ივანე გარდაეცვალა, მან სწავლას თავი მიანება, მღვდლად ეკურთხა და მამის ადგილი დაიკავა ჰყვიშის წმინდა გიორგის ეკლესიაში. სტეფანე სოფლის თავკაცად ითვლებოდა, მან არაერთ სასარგებლო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. მას ეკუთვნის იდეა სოფელში სამრევლო სკოლის დაარსებისა. მანვე საკუთარი ხარჯებით ააგო სკოლის შენობა და ყოველმხრივ ცდილობდა ბავშვების სწავლა-აღზრდას.

სტეფანეს ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდა. მათგან ვასილი და იუსტინე სტეფანემ სასწავლებელში განაწესა. ვახილმა, გალაკ-

<sup>4</sup> გაზ. „ივარია“, 1892, № 62.

<sup>5</sup> იქვე.



ტიონის მამამ, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, იუსტიწე, ტიციანის მამა, კი თბილისის სასულიერო სემინარიის მეექვსე კლასიდან დაითხოვეს.

ვასილ ტაბიძე დაიბადა 1856 წელს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან მასწავლებლობას დასდო პატივი, ეს უფრო სასარგებლო საქმედ მიიჩნია, ვიდრე ანაფორა, რომელიც პატერიალურად გაცილებით უკეთესად უზრუნველყოფდა. 10 წელზე მეტი საკუთარ ოჯახს მოწყვეტილი ჯერ სოფელ დიხაშხოს სამრევლო სკოლაში მასწავლებლობდა, მერე, 1883 წელს ტყიბულის მახლობლად მდებარე სოფელში, მუხურში გაამწესეს. საბოლოოდ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და იქ მიჰყო ხელი მასწავლებლობას. ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ვასილი უანგაროდ ემსახურა სახალხო განათლების საქმეს.

სტეფანე ყოველმხრივ ცდილობდა შეიღებისათვის სათანადო დახმარება გაეწია, მიეცა საჭირო რჩევა-დარიგება: „...მაწუხებებს, რომ შენს ანბავს ვერ ვტყობილობთ... მშვიდობით ხარ, ჭკვიანათ იყავი, სირცხვილი არ ნახო. ხო იცი, ქვეყანა რა მლანძღავია კაცისა. მუყაითათ იყავი, ფაქიზათ შეინახე თავი, ცუდათ არავინ შეგნიშნოს. თუ მამაშვილობა გწამდეს, რამეფრად თქვენი ანბავი მალე ხანში მაცოდინე. ამ სადღესასწაულოდ მოგელოდი... კარგი ინებე, რომ არ ჩამოდი, ცუდი ამინდები იყო, არც იუსტიწე ყოფილა აქ“. ამ ხასიათისანი არიან მამის წერილები შეიღებისადმი.

ჩვენამდე მოაღწია ვასილის ერთმა პირადმა წერილმა, რომელიც ნათელს ჰქენს მისი დამწერის მისწრაფებას: „საყვარელო ძმაო (იუსტიწე — ი. ლ.), პირველყოვლისად შენს მშვიდობას და წარმატებას ვთხოვ უფალს, სხვათა შორის ჩვენს ანბავს თუ იკითხავთ: ჩვენ შინაურნი და გადმოღმულნი ყველანი მშვიდობითა ვართ. ჩემზე იწერებთ: როგორ ხარო, მე ძლიერ კარგად ვარ, არავითარ სისუსტეს არ ეგრძნობ, მხოლოდ ზამთრის ჭვალებს შესაფერი წამალი თუ ვუშოვე, რადგან მეტად მჭიდროდ ჩამკიდებია, სხვა არა მიშავს რა. საგრძნობლად სისუსტე ჩემში ინიშნების ზაფხულის თვეებში — ივლისში და აგვისტოში, სხვა დროებაში ძლიერ ნაკლებად შესამჩნევი ხდება სისუსტე, ეხლა კერძო საჭიროება მინდა აღვნიშნო: მოგეხსენებათ, რომ ჩვენ გვაქვს საეკლესიო სამრევლო სკოლა, რომელზედაც ცნობა კიდევაც წარდგინდა ვისადმიცა ჯერ იყო. ამ სკოლების მოწაფეთა შორის არის იმისთანა მოწაფენი, რომელნიც არიან მომზა-

დებულნი მეორე განყოფილებისათვის და მომზადებულნი არიან რუსულზე სასწავლოდ და კიდევაც დაეაწყებიან. ჩემდა და ჩემს მოწაფეთა სამწუხაროდ აღმოჩნდა ერთი ხელის შემშლელი გარემოება, შემოიღეს როგორც სახალხო სკოლებში, აგრეთვე, მათი წაბაძვით, სამრევლო სკოლებში წგანი — „რუსკოე სლოვო“ ქართული სკოლებისათვის ი. გოგებაშვილის გამოცემა. ვერსად ეს წიგნი ვერ ვიპოვე სასყიდლად... სამ მანეთს გიგზავნი, ამით მიყიდე წიგნები შეიდი ეგზემპლარი და მერვეც მისი „რუსკოვოდსტოვო“, თუ იქნა დაბეჭდილი... და რაც შეიძლება დაჩქარებით გამომიგზავნე. შეგირდები მიცდიან. საშობოთ უსათუოდ უნდა ჩამოხვიდე და იმედია შემდგომ წიგნაკებს თან იქონიებთ: კარაბად. სამზარეულო წიგ., კალენდარი საქართველოსი გუნიას გამოცემული, აგრეთვე რაიმე სასარგებლო გამოცემები. ქადაგება ამგროსი ნეკრესელისა, თუმცა დიდი არაფერი საპიტნაო არის, მხოლოდ შემდეგში მწყემსის დროს ქადაგებისას მასალათ შესაძლოა დაისაჭიროს; იმასაც ვწერ, შესაძლოა ეს წიგნები „რუსკოე სლოვო“ ვერ იშოვოთ. რუსკოვოდსტოვო კალანდარიშვილის გამოცემა მაინც გამომიგზავნე, თუ ძმა ხარ, არ დამალალატო, ან გრიქუროვის ან ჩარკვიანის მალაზიაში როგორ ვერ იშოვოთ.

თქვენი სიამოვნების მოწადე ვასილ სტ. ტაბიძე... 7 ნოემბერი, 1888 წ. 10

ვასილი წიგნის ტრფიალი ყოფილა, მის პირად ბიბლიოთეკაში მრავალი წიგნი და იმდროინდელი ქართული პერიოდული გამოცემები იყო თავმოყრილი, თავისუფალ დროს წიგნის კითხვაში ატარებდა და სხვასაც უნერგავდა წიგნის ტრფიალს.

სტეფანეს საცხოვრებელი ოდა-სახლი შარაგზის პირას იდგა, იქვე იყო „ძირდადგმული“ სახლი და სამი სასიმინდე. აღმოსავლეთით — ეკლესიის ეზო და სენაკი. ჩრდილოეთით, ეზოზე მომდგარი, ორ ტოტად გაწოლილი განიერი რიონი, რომლის ცივი ნაკადები, დიდი ქვების ავლით, მსუბუქი შრიალით მიიჩქარიან მოწითალო ქვიან კალაპოტში. ეკლესიის მახლობლად რამდენიმე დუქანი და ფურნე იყო გახლაგებული, მათ შორის ნანაძის სავაჭრო დუქანი. ნანაძე ვაჭრობდა სიმინდით, საოჯახო ნივთებით: მარლი, ნავთი და სხვა. დუქნის იატაკი ნავთით იყო გაუდენთილი. შემოდგომის ერთ სუსხიან დღეს, როდესაც ქროდა ძლიერი რიონისპირული ქარი, მუგუზალი დაეცა

<sup>10</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 238, გვ. 29.

იატაკს, რამდენიმე წუთში დუქანი აღში გაეხვია, ცეცხლი დიდი სისწრაფით გაძლიერდა. ქარმა ცეცხლი ეკლესიის ეზოში გაიტაცა. სენაკი უცებ გადაბუგა, ეკლესია საფრთხეში ჩავარდა. სტეფანემ ზარები აახშიანა, სოფელი შეკრიბა. წინამძღვარმა, მისმა შვილებმა, ოჯახმა და მრევლმა ყოველი ღონე იხმარეს ხის ეკლესიის გადასარჩენად.

— გადაარჩინეთ ეკლესია — გაიძახოდა სტეფანე — თორემ შიგუნდა დავიწვავო. სოფელი მხარში ამოუდგა მღვდელს, ეკლესიას დასველებულ ნაჭრებს აფარებდნენ, ის დაწვას გადაარჩინეს, მაგრამ ქარმა ნაპერწკალი სტეფანეს სახლამდე მიიტანა, სახლს ცეცხლი გაუჩნდა, სტეფანე ჟუჟურებდა, როგორ იწვოდა მისი სახლი, მაგრამ ეკლესიის ეზოდან ფეხი არ მოიცივალა.

— ყველაფერი დაიწვას, ოღონდ ეკლესია გადავარჩინოთო, — გაპყვიროდა იგი.

მართლაც სტეფანეს ეზოში ყველაფერი ცეცხლმა შთანთქა: ოდა, ძირდადგმული სახლი, სამი სასიმიინდე. მღვდელმა პირადი ქონება ეკლესიას ანაცვალა. ამ ხანძრის დროს დაიწვა სტეფანეს, ვასილის და იუსტინეს წიგნები. ცეცხლი მეზობლის სახლებსაც მოედო. ამ დღეს სულ 14 შენობა დამწვარა. სტეფანეს ოჯახობა ჯერ სისო ბახტაძეს, მერე ექვთიმე ნანაძეს შეფარებია. სტეფანეს ოჯახი ხელახლა დასასახლებელი შეიქნა. საპატიჟოდან ჩამოუტანია სტეფანეს ის სახლი, რომელიც დღემდე დგას და რომელშიაც დაიბადა გალაკტიონ ტაბიძე.<sup>11</sup>

დაძაბულობამ სტეფანე უდროოდ გატეხა. მან განიზრახა მრევლისათვის სამსახურის მიტოვება და თავის ადგილზე მღვდლად უფროსი ვაჟის კურთხევა გადაწყვიტა. მან თავისი განზრახვის აღსრულების ნებართვა გამოსთხოვა იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, ეპისკოპოსი დათანხმდა. ვასილი წინააღმდეგი იყო მამის გადაწყვეტილებისა, მაგრამ მამას ხათრი ვერ გაუტეხა და დათანხმდა. მამა-შვილი ქუთაისში გაემგზავრა. სტეფანემ ვასილი გაბრიელ ეპისკოპოსს წარუდგინა, გაბრიელმა, თავის მხრივ, სათანადო დარიგება მისცა სამღვდლოდ გამზადებულ ვასილს და კურთხევა აღუთქვა. ქუთაისიდან დაბრუნებისას ვასილი გზაში ვაცივდა, ფილტვების ანთება შეეყარა, მკურნალობამ ვერ უშველა. 1891 წლის 23 თებერვალს ვასილ ტაბიძე 35 წლისა გარდაიცვალა<sup>12</sup>. დასაფლავებულია ჭყვიშის წმინდა გიორგის ეკლე-

<sup>11</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 271, გვ. 44; იქვე ხ—021184, ს. ტაბიძის მოგონებანი.

<sup>12</sup> საქართველოს სსრ „მეჩის“ რესპუბლიკური არქივი, ვანი, 21.

სიის გალავანში<sup>13</sup>. 1892 წლის 9 მარტს სოფ. ჰყვიშიდან გაზეთ „ივე-რიის“ რედაქციაში გამოგზავნილ კორესპონდენციაში ასეა დახასიათებული ვასილ ტაბიძის პიროვნება: „სიკვდილმა გამოაცალა ამ სოფელს ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი ვ. ტაბიძე. განსვენებული იყო ადგილობრივი მღვდლის შვილი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კურსშესრულებული. ამახ ჰქონდა ამ სოფელში თავისი ხარჯით გამართული სკოლა და დიდის გულმოდგინეობით ეწეოდა მასწავლებლის უღელს. განსვენებული მეტად სამაგალითო ადამიანი იყო თავისი ხასიათით და სათნოებით. მისი მოღვაწეობა სასასწავლებლო ასპარეზზედ ყოველად უნაგარო იყო. მის გულში არც ერთხელ არ ვაუვლია არც ერთს დაბალს და ქვენა გრძნობას. ის იყო აღესილი მხოლოდ ერთის აზრით: თავისი წვლილი შეეტანა გლეხკაცის განათლების საქმეში. გლეხებიც ხედავდნენ მის ასეთ ღირსებას და ამისაოვის, რა დროსაც უნდა მისულიყავით მის სკოლაში, ყოველთვის სავსე იყო მოსწავლე ბავშვებით. განსვენებული არ სჯერდებოდა სკოლაში მასწავლებლობას, ყოველ კვირა უქმე დღეს მოვიდოდა სასაფლაოზედ და უკითხავდა ხალხს სხვადასხვა ქართულ წიგნს, რომლითაც მდიდარი იყო მისი ბიბლიოთეკა“<sup>14</sup>...

ვასილის მეუღლე — მაკრინე გიორგის ასული ადგიშვილი (1862 — 1935) სოფელ საპაიჭაოდან (დღეს ყუმუჭრი) იყო. მღვდლის ოჯახში აღზრდილ მაკრინეს მამამ შეასწავლა წერა-კითხვა ქართულ და რუსულ ენებზე, წაშლების შემზადება და ხელსაქმე. უყვარდა მწერლობა და სხვებსაც უკითხავდა წიგნებს, 1886 წლის 11 თებერვალს მაკრინემ ჭვარი დაიწერა ვასილ ტაბიძეზე, იგი მეტად მეოჯახე, შრომისმოყვარე და თავაზიანი პიროვნება იყო. 29 წლის მაკრინე, დედა, ერთი შვილისა<sup>15</sup> და მეორეზე ფეხმძიმედ მყოფი, დაქვრივდა. ოჯახის მთელი სიმძიმე მას დააწვა. მან შვილების აღზრდაზე გადაიტანა დედობრივი ყურადღება, იგი უაღრესად მოსიყვარულე დედა იყო. „მაკრინე იყო ზედმიწევნით სუფთა ქალი, — იგონებს მისი მახლიშვილი სიმონ ტაბიძე, — ნელი მკეთებელი, ოჯახური საქმეები, რაც კი ქალს შეეფერებოდა, ყველაფერი იცოდა, კრა-კერვის ოსტატი იყო, მთელ

<sup>13</sup> ვასილის გარდაცვალების შემდეგ სტეფანემ მღვდლად მეორე ვაჟი — იუსტინე (1861—1919), ტიციანის შამა, აყურთხებინა.

<sup>14</sup> გაზ. „ივერია“, 1892, № 62.

<sup>15</sup> აბესალომ (იგივე პროკლე) ტაბიძე, 1889—1948.

სოფელში მარტო მაკრინეს ჰქონდა საკერავი მანქანა. მაკრინე აზნა-  
დებდა არაჩვეულებრივ მალაშობა და წამლებს, მეურნალობისათვის  
იგი გასამრჯელოს არ იღებდა. მისი ძირითადი შემოსავალი მეურნეო-  
ბა იყო, რიონი დიდ ზარალს აძლევდა, მაგრამ ნოყიერი მიწა საზრ-  
დოზე მეტს იძლეოდა და მას სიმინდი გასაყიდადაც რჩებოდა. უყ-  
ვარდა საქონლის მოვლა, ჰყავდა ძალზე ბევრი ფრინველი. ნათესავე-  
ბისა და მეზობლების დიდი მოსიყვარულე იყო, მას ჰყავდა ოთხი და  
და ერთი ძმა<sup>16</sup>.

ქმრის გარდაცვალების მეცხრე თვეზე მაკრინეს შეეძინა მეორე  
ვაჟი — ქართული პოეზიის მომავალი დიდება — გალაქტიონი.

სოფელ ქუევის წმინდა გიორგის ეკლესიის მატრიკული წიგნის  
1892 წლის იანვრის თვის ჩანაწერში რეგისტრირებულია: „სქესი —  
მამრობითი, დაბადებული — 5 ნოემბერს, ნათლილება — 3 იანვარს,  
დაბადებულის სახელი — გალაქტიონი: მშობლების წოდება, მამ-ს სა-  
ხელი, გვარი და სარწმუნოება — ამავე ეკლესიის პრიხატნიკი ეპოცე-  
ვალეზული ვასილ სტეფანე მღვდლის ძე ტაბიძე და სულიერი მუულ-  
ლე მისი მაკრინე მღვდლის გიორგის ასული, ორივე მართმადიდებე-  
ლი სარწმუნოებისა არიან; მიმრქმელთა სახელი გვარი — მღვდელი  
თადეოზ სიმონის ძე ნამიჭეიშვილი; საიდუმლო ნათლისლება აღას-  
რულა — მღვდელმა სტეფანე ტაბიძემ“<sup>17</sup>.

მოქალაქეობრივი აქტი დაბადების შესახებ რეგისტრირებულია  
1892 წლის 3(15) იანვარს.

სინოდის მიერ დადგენილი წესით ყოველი ახალი წლიდან მოქ-  
ალაქეობრავი აქტის რეგისტრირება ხდებოდა ახალ წიგნში (იანვრიდან  
დეკემბრამდე). ამდენად 1892 წლის ნოემბერში დაბადებული შეუძ-  
ლებელია ახალშობილთა სიაში გატარებულიყო 1892 წლის იანვარ-  
ში. გ. ტაბიძის მამა მეტრიკულ ჩანაწერში მოხსენებულია გარდაც-  
ვლილად. იმავე ეკლესიის 1891 წლის წიგნის გარდაცვლილთა ნაწილ-  
ში იკითხება: „მიმდინარეობასა შინა ამა თებერვალსა თვესა გარდაც-  
ვალეზულია ერთი მამრი — პრიხატნიკი წმ-ის გიორგის ეკლესიისა  
ვასილ სტეფანე მღვდლის ძე ტაბიძე, მიიცვალა 23 თებერვალს,  
35 წლისა, გაციეებისაგან“<sup>18</sup>. მომავალი პოეტი დაიბადა მამის გარ-  
დაცვალების რამდენიმე თვის (და არა წლის) შემდეგ. მეტრიკული

<sup>16</sup> გ. ტაბიძის არქივი, ს. ტაბიძის „მოგონებანი“.

<sup>17</sup> საქართველოს სსრ „მეჩის“ რესპუბლიკური არქივი, ვანი 21.

<sup>18</sup> იქვე.



ჩანაწერი და საიდუმლო ნათლობა შესრულებულია გალაკტიონის პაპის — სტეფანე მღვდლის მიერ, რომელმაც ზუსტად იცოდა შვილიშვილის დაბადების თარიღი, რაც გარკვეულადაა ფიქსირებული მის მიერ გალაკტიონის ნათლობის დღეს 1892 წლის 3 იანვარს, ძველი სტილით. ამრიგად, გალაკტიონ ტაბიძე დაბადებულია 1891 წლის 5(17) ნოემბერს<sup>19</sup>. ეს თარიღია მითითებული ყველა საბუთში, რომელიც დაცულია ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის საქმეებში<sup>20</sup>.

დედას შვილებისათვის პატარაობიდანვე ჩაუნერგავს დიდი პატივისცემა და მოკრძალება მამისადმი, რომლის სახელი დაუვიწყარი იყო ოჯახში. ჩანაწერში — „მამაჩემი (დედის ნაამბობიდან)“ კვითხულობთ: „საწყალი ძალიან ჩამოგავდა აბესალომს... ხანდისან აბესალომი რომ შეხტება, გახალისდება, რაღაცნაირად სწორედ ისეთი იყო. ხუმრობა უყვარდა, მაღალი არ იყო, არც აბესალომივით, არც შენსავეთ, ასე შენზე (გალაკტიონზე — ი. ლ.) ცოტა დაბალი იყო... ფილტვების ანთებით გახდა აეად. იწვა ჩენს პატარა ოთახში. ყოველდღე შოდიოდნენ ექიმები და ფერშალი კოჩინოვი. ფერშალს ეთქვა: „არ შორჩება, მაგრამ თქვენ .ცდას და მოვლას ნუ მოაკლებთ სულს დასამშვიდებლადო“. აბა, მე ამას ვინ გამიმხელდა?! მთელი ათი დღე, ათი ღამე თავს ვადექი, საწყალი ჩემი მამამთილი, რომელსაც ძალიან, უმცროს შვილზე უფრო, უყვარდა ვასილი, ყოველდღე ავადმყოფთან იყო, იჭდა დაღონებული... ნათესავეები გვირჩევდნენ: „ახლა კარგი ექიმია ჩამოსული — სამსონ თოფურიცა, ის თუ შოარჩენსო მხოლოდ“. ვასილი უარზე იყო. „ცოტათი მოეჯობინდები, შემდეგ მე თვითონ გავცწევე ქუთაისშიო“. მაგრამ არავეთარი მოეჯობინება არ დაეტყო. უკანასკნელ საღამოს (მახსოვს შაბათი იყო) იგი წამოდგა საწოლიდან, ფოსტლებში ფეხი შედგა და ფანჯარასთან მივიდა. დიდხანს იტკირებოდა. ეზოში ბავშვს მოჰკრა თვალი: „მაკრინე, მაკრინე, შეხედე, ბავ-

<sup>19</sup> ი. ლ. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. გ. ტაბიძის დაბადების თარიღის დაზუსტებისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 1965, № 18.

1918 წლის 14 (ძვ. 1) აპრილიდან საქართველოში შემოიღეს ახალი სტილი (იხ. „ერთობა“, 1918, № 75), ბუნებრივია, ამ დღემდე თარიღები ძველი სტილით ივარაუდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გაზეთი „ღროება“ დღიდან დაარსებისა უჩვენებდა ძველ და ახალ სტილს ერთდროულად.

<sup>20</sup> ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 7, საქმე 1717, ფურ. 86; საქმე 1826, ფურ. 52 და 62, საქმე 1764, ფურ. 3.

შეი ეზოში ფეხშიშველი დადისო“ და ფანჯრიდან გამობრუნდა და აღარ ამდგარა. შელამდა, მე და ჩემი მამამთლი ისევ თავზე ვაღექით, მამამთლი აივანზე გავიდა. ვასილი მე მომიბრუნდა: „ველარ მოვრჩებიო“, მითხრა; „რას ამბობ!“ ელდანაკრავივით ვთქვი, „გული ნუ გაიტყდება, ყოჩაღად იყავი, — განაგრძო მან, ბავშვი წამოიზრდება, შენ კიდევ ისეთი ქალი ხარ, რომ უბედურებას არ დაიმჩნევ“. „ნუ ამბობ, — ვეუბნებოდი მე, — შენ თუ არ იქნები, ერთი ბავშვიც მეყოფოდა, სხვა რაღად მინდოდა?! „როგორო“, ჩამეძია, მე ძალიან მრცხვენოდა გამეშხილა... მაგრამ მას ვუთხარი, რომ ორსულად, რომ ვიყავი. მას სახე გაუბრწყინდა, „არა გიშავს რა, იუსტინე (მასლი — ი. ლ.) კარგი კაცია, მოგეხმარება... ვამჩნევდი, რომ ლელავდა ახალი ამბის გაგონებით. „ეხლა წადი, მეორე ოთახში წადი“, მეუბნებოდა ღონემისდილი, მე არასგზით არ ვეთანხმებოდი... ბავშვის ტირილი შემოგვესმა, „არც ეხლა წახვალ?“ — მითხრა მან, მე ავდექი, აივანზე მამამთლიმა შემაჩერა: „რას გეუბნებოდა ვასილი?“ — მკითხა. „ისე, არაფერი-მეთქი“ დაუმაღლე ნალაპარაკევი. მამამთლი ვასილისთან შევიდა, მესმოდა მათი ლაპარაკი, „რას ეუბნებოდი, ვასილ, მაკრინეს?“ — შევეკითხა მამამთლი. „ორსულად ყოფილა“, — უპასუხა მამაშენმა... შემდეგი სიტყვებისათვის ყური არ დამიგდია, რადგან აბესალომი ხელმეორედ ატირდა, შევედი, ძუძუ მივეცი, ცოტათი მოვისვენე, რამდენიმე დღის უძინარს აკვანზე ჩამძინებოდა. თითქო აკვანს ცეცხლი მოჰკიდებოდა, მე ბავშვის აკვნიდან ამოვლეჯას ვცდილობდი, გამოვლევიძა... მამამთლი შემოვარდა. — კაპლები სად არის კაპლები? ხმის კანკალით თქვა მან. „რა მოხდა, ცულათაა?“ შევეკითხე, წამლები მივეცი და ოთახში გასვლა დავაპირე. მამამთლიმა კარი მომიხურა: „ბავშვთან იყავიო“ დამიძახა. მე მეორე კარიდან გავედი, სახლს შემოვუარე და იმ ოთახის ფანჯარაში შევიხედე, სადაც ავადმყოფი იწვა. შევხედე და თვალთ დამიბნელდა. იგი გულხელდაკრეფილი იყო. ჩემი სიცოცხლე დამსხვრეული იყო... დავეცი და მწარედ ავქვითინდი. ვასილის უკანასკნელი წამები ძალიან მშვიდი ყოფილა, მომაკვდავმა მოითხოვა ღვინო... დაცალა ჭიქა სიტყვებით: „ეს გაუმარჯოს პატარა ადამიანს, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ დაიბადებაო“. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები და სული დალია“<sup>21</sup>.

<sup>21</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 3705—06, თხზ. ტ. X II, გვ. 255—257.

მაკრინემ ღირსეულად შეასრულა დედობრივი მოვალეობა. 'ძვილე-  
ბის აღზრდაში დიდი როლი ითამაშა მისმა მეტისმეტმა კეთილშობი-  
ლებამ და ჰუმანიურობამ.

მაკრინეს იტაცებდა ხალხური ლექსი, თვითონაც ლექსაობდა, უკ-  
რავდა ჩონგურზე და დამღეროდა, ვაყებსაც ასწავლიდა სიმღერას.  
გალაკტიონს უყვარდა დედის სიმღერა, იგი გატაცებით უსმენდა ჩონ-  
გურის კენესას. ერთ ჩანაწერში პოეტი გვამცნობს: „ჩონგურზე უკ-  
რავს ქალი. მე გატაცებით ვუგდებ ყურს. სოფელს სძინავს.. ამოდის  
მთვარე... შეგიძლიათ გაარჩიოთ ქალი — ეს დედაჩემია, ა, გატუ-  
ნია.. დამიგდე ყური. შენ გაგიგონია, რომ ჩონგური კი არ მღერო-  
დეს, ლაპარაკობდეს... დედა მღერის, ჩამოჰყრა სიმს, ერთს, მეორეს,  
ჩონგური ბგერა-ბგერით იმეორებს იმასვე, რასაც მღერის დედა...  
ჩონგური მღერის, ლაპარაკობს, ძგერა-ძგერით იმეორებს მას, რასაც  
ამღერის ადამიანი“<sup>22</sup>.

დედის აკურატულობა შეილებსაც გამოჰყვავთ.

ტროპიკული გვირგები, ლიანები, ქადრებისა და ალვის ხეების რი-  
გი, ალაგ-ალაგ ჰაობიანი სახნავეების ფართო არე, მდინარე რიონი,  
რიონისპირა ქალები, ახლო მდებარე ტყე, ეზოს გადღმა სასაფლაო  
გახდა პატარა გალაკტიონის სანაჯარო. მზის ჩასვლისას, როდესაც  
მისი დისკო ცეცხლმოდებულ მეწამულ პალიასტომის ტბაში ჩაეშ-  
ვებოდა, ცას სანახევროდ კოლოები ჰფარავდნენ; ციებისაგან იჟლი-  
ტებოდა მთელი სოფლები, წყველა-კრულვით სტოვებდა ხალხი შეჩ-  
ვეულ ადგილებს. რიონის დელტა... ადიდებული და ატბორებული  
შპაგი რიონი ყველაფრის წალეკვას ლამობდა, მოჰქონდა დანგრეულ  
სახლები, სამეურნეო შენობები, საქონელი, გარღვეულ საფლავეპე-  
დან წამოდებული კუბოები... ხალხი მთელი კვირების განმავლობა-  
ში ელოდა როდის ჩადგებოდა რიონი კალაპოტში და ბოლო მოედე-  
ბოდა საშინელ მეწყერს. ყოველივე ეს ბავშვობიდანვე კინმატოგ-  
რაფიული სისწრაფით მიმდინარეობდა გალაკტიონის თვალწინ.

ფერსათის მთიდან საჯავახომდე გაწვილ სერებზე — ზეინდარის,  
ამალღების, საბუის, კინჰველაურის, საკავიის, ჯვარისერის, ციყელას,  
წიქედის, ზენობის, ჩინოთურას, საბეკის, ქედის, დაფნარისა და სხვა

<sup>22</sup> ი ქ ე ე, გვ. 800, ტ. XII, გვ. 224—225.

მაკრინეს მოლექსეობაზე მოგვითხრობს პოეტი მოგონებაში „სოფელი“, ტ. XII,  
გვ. 271: „აი კაცი რა კაცია, კაცია თუ აკაცია? უაკაცად თუ არ ვიყო, აკრონომი  
ფხაკაცია“.

გორაკთა და სერთა კალთებზე და უფრო ქვემოთ — ბარის დასაწყისში — ოდისახლების აივნებიდან და ეზოკარიდან ყველას თვალისდასანახად მოჩანს ჩრდილოეთით მთელ პორიზონტზე გაწოლილი და ცამდე აზიდული კავკასიონის თოვლითა და ყინულით შეღესილი მთაგრეხილი და თითქმის მისი ყველა მწვერვალი, ქუთაისზე გადმომხობილი პირქუში ხეაშლი, ნაქარალას ქედი და სხვა მრავალი დიდი თუ მცირე მთა, რომლებიც მარად თვალთა წინაშე ეხატებოდა პატარა გალაკტიონს. აქი ამბობდა შემდეგ პოეტი:

ვიგონებ ყრმობას, შორს ძლიერ შორს	ბავშვობიდანვე ის სიშორე.
კავკასიონის კლდოვანი მთის	მტანჯავდა ერთი —
მოსჩანდა ფერი.	ლავეარდოვანნი მიტაცებდნენ
სალამოობით — ეით ხომალდი	ნაქერალეზი
ასწიოს ნაღმმა —	და ეკითხულობდი, ეოცნებობდი,
მზით ენთებოდა და ქრებოდა	ემღერდი თუ ვწერდი,
ტიტანის მკერდი.	მღევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ
	ის მწვერვალები...

გალაკტიონი ბავშვობიდანვე ძალიან მოძრავი ყოფილა, მოუსვენარი, ერთსადაიმთვე აღგილას დიდხანს გაჩერება არ შეეძლო. თამაშის დროს უცებ თავს დაანებებდა, სხვა საქმით გაერთობოდა, მერე კვლავ დაუბრუნდებოდა მოთამაშეებს და იწყებდა სხვა თამაშს. იგი ბავშვობიდანვე გამხდარი იყო და სწრაფი, მას სირბილი ეხერხებოდა და არჩევანზე რომ მიდგებოდა საქმე, ბავშვები პირველად მას ირჩევდნენ. თამაშობდნენ ლელო ბურთს, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სიგრძეზე ხტომაში. ერთი ბავშვი, გვარად რამიშვილი, სჯობნიდა ყველას. ქვის სროლაში გალაკტიონს ვერავენ სჯობნიდა. ტიციანსა და გალაკტიონს უყვარდათ ცხენის ძუით მახის დაგება, დაჭერილ მწყერებს დასაკლავად არავის ანებებდნენ. მათ ხშირად ხედავდნენ რიონის პირას, უყვარდათ ბრტყელი ქვების გასრიალება და გამაჩვენებელი ის რჩებოდა, ვინც მეტჯერ აახტუნებდა ქვას წყლის ზედაპირზე. ძალიან უყვარდათ გალაკტიონსა და ტიციანს ნაწი ჯდომა, ისინი ხშირად ააცურებდნენ ნავს ზედა მიმართულებით, დინების საწინააღმდეგოდ, ერთი თავში დაჯდებოდა, მეორე ბოლოში და ასე მიჰყვებოდნენ დინებას და სტკბებოდნენ ბუნების სიმშვენიერით<sup>23</sup>.

გალაკტიონი იგონებს: „ორი წლით ვიყავი უფროსი ტიციანზე.

<sup>23</sup> ლიტ. მუზეუმი, სიმონ ტაბიძის მოგონებანი.

ჩვენ ადგილს ერქვა ჭერ ეზო, მერე შარა, შემდეგ გადაღმა, მერე ფშანი, მერე იქითა გადაღმა, შემდეგ იწყებოდა ჩვენი ტყე, ხვილიფი და მეფის ქალა. ყველა ამ ადგილებში დაგვყვებოდა ტატია და სრულეზით არა ესმოდა რა. ვეტყვოდი თუ არა, ვგრძნობდი, რომ ვერ გაიგო, დიდი თვალები უფართოვდებოდა და დიდხანს მიყურებდა, რომ როგორმე გაეგო თუ რა ვუთხარი. აი, ჩვენ გაღმა ფშანია:

— ტატია, ტატია, ტატია ბიჭო, შევძახე, უეცრად ადგილიდან არ დაიძრა.

მე საშინლად ავღელდი, ბორბლის ახლოს ვიდექით, ამოძვრა მწვანე გველი, რომ დავინახე გავცივდი, ტატიას ხელი ჩავავლე, გველმა ფშანისაკენ გასწვია კლაკვნით...

— ტატია, ხელავ გველი, — ჩუმად ვეუბნები მას, — შეხედე როგორ მისრიალებს.

— სად? სად? ვერ ვხედავ!

— როგორ ვერ ხედავ, აგერ გველი, ბიჭო, შეხედე!

ტატია გაჩუმებული იდგა, მე გაოცებული ვიყავი, თუ როგორ ვერ ხედავდა გველს ამოდენა უზარმაზარი თვალებით!

— სადაა, სად?! — მეკითხება ტატია და კიდევ უფართოვდება თვალები.

— პირდაპირ... ვერ ხედავ... ხედავ როგორ მიცოცავს?

— სად არის მგელი, სად? ამბობს ტატია...

როცა გველი მიიძალა, ორივენი დავჩუმდით, უეცრად ტატია მოსწყდა ადგილიდან და შარაგზისკენ გაეშურა ყვირილით:

— მგელი, მგელი, მგელი!

დავედევნე და ვეუბნები:

— ბიჭო, რის მგელი, რა გაყვირებს, გველი იყო და არა მგელი!

ტატია მაინც გარბოდა და მთელი სოფელი დააყენა ფეხზე: ბავშვი, ქალი, კაცი, მოხუცი შეშინებული იმით, რომ სოფელს მგლების ხროვა შემოესია...

ბიჭო, სადაა მგელი: გაიძახოდა სოფელი და რიონის ქალისაკენ გარბოდა ყვირილითა და ძახილით, რათა დაეფრთხოთ მგელი... ეს კორიანტელი სულ ტატიაზე ატეხა<sup>24</sup>.

გალაკტიონის სახლსა და ეზოს უბრალო ღობე ყოფდა ეკლესიის გალავანისაგან, გალავანში კი მუდმივი მღვმარებით მოცული სასაფ-

<sup>24</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 544, გვ. 3—4.

ლაო იყო. კაცთა მოდგმის სამუდამო სამყოფელის სიახლოვე ჩანს ზეგავლენას ახდენდა პატარა გალაკტიონზე, რამაც გარკვეულად იჩინა თავი მის ადრინდელ პოეზიაში. დამწყები პოეტის აზროვნებაში, მის ლექსიკაში სასაფლაო თავისი მღუმარებით, სევდიოთა, უსიცოცხლობით და ცრემლით უშუალო განცდილის გრძნობითაა წარმოსახული.

ეკლესიის ეზოში გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის თბილ და წყნარ საღამოობით იკრიბებოდა ახალგაზრდობა. დიდი ცაცხვის ძირში ისმოდა მათი სიცოცხლის მათუწყებელი სიცილ-კისკისი, სიმღერა, თამაში, გაშაირება. სოფლის „პოეტები“ აქ ეჭიბრებოდნენ ერთმანეთს ხალხური სიბრძნის ცოდნაში. გალაკტიონი ბავშვობიდანვე ამ გართობების მონაწილე იყო. დედა და მეზობლის ასაკოვანი ქალები არ აკლებდნენ პატარებს ქართულ ხალხურ ზღაპრებს, რომელთა გმირები მსმენელთა უახლოესნი და უსაყვარლესნი იყვნენ.

პატარა გალაკტიონი ეხმარებოდა დედას საშინაო საქმეებში, თუმცა მაკრინე ცდილობდა არ ჩაება პატარა სამეურნეო საქმიანობაში. ერთხელ ასეთი შემთხვევა ყოფილა: საღამოს პირას დაბრუნებულ ნახირს ეზოში შეძლოლა სჭირდებოდა, დედამ გასძახა შვილს:

— გატუნია, გოულე, შვილო, ჭიშკარი!

გაიქცეოდა გალაკტიონი. გაულებდა ჭიშკარს საქონელს, შემოუშვებდა ეზოში და დედას ეძახდა: — სად დავაბა, დედა!

გაკვირვებული მაკრინე შეჰყურებდა შვილს და მიაძახებდა გაჯერებულნი:

— შენი საქონელი ვერ უნდა იცნოო<sup>25</sup>.

დედის დახასიათებით გალაკტიონი ბავშვობაშიც მარტობისაკენ ილტვოდა, მაკრინეს ბავშვების აღზრდაში დახმარებას უწევდნენ პაპა სტეფანე (იგი 1894 წელს გარდაიცვალა) და მაზლი იუსტინე.

მალე გაიზრდნენ ბავშვობის წლებმა. დედამ ყველაფერი იღონა, რათა შვილებისათვის განათლება მიეცა და ისინი გზაზე დაეყენებინა, არ შეებღალა უდროოდ გარდაცვლილი მეუღლის სახელი, რომლის ოცნება განათლებული შვილი იყო. გალაკტიონს უსაზღვროდ უყვარდა დედა. ჭერ კიდევ სასულიერო სასწავლებლის დამწყებ კლასში მას დაუწერია ლექსი, რომელშიც დედის დიდი სიყვარული ყოფილა გა-

<sup>25</sup> ს. ტაბიძის მოგონებანი.

მოხატული<sup>26</sup>. „მინდა კარგი სწავლით ჩემი დაჩაგრული დედა გავა-  
ხაროო“ ამბობდა ამ ლექსში გალაკტიონი<sup>27</sup>.

ანბანი გალაკტიონმა დედის მზრუნველობითა და ხელისშეწყობით  
შეისწავლა.

1899 წელს, რვა წლის გალაკტიონი ქუთაისის სასულიერო სას-  
წავლებელში მიიყვანეს, მაგრამ იმ წელს იგი სასწავლებელში ვერ  
მოეწყო. იმავე წლის პირველი სექტემბრიდან მან სწავლა დაიწყო დე-  
კანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში გახსნილ კერძო ერთკლასიან  
მოსამზადებელ სკოლაში. აქ მას მასწავლებლად ჰყავდა მეტად დარ-  
ბაისელი და სათნო ადამიანი ნადია მაჩიტაძე.

გალაკტიონისა ძმა, აბესალომი, უკვე ქუთაისის სასულიერო სას-  
წავლებლის მოსწავლე იყო.

მზრუნველმა და წვილების მოყვარულმა დედამ პატარა გატუნა  
სხვის ანაბარა ვერ მიატოვა, „ვთუ სათანადო გულსყურით ვერ მი-  
ხედონ უმამოდ გაზრდილ ბავშვსაო“, რის გამოც იგი დროებით სა-  
ცხოვრებლად ქუთაისში გადმოვიდა, დაიჭირავა ოთახი არქიელის  
გორაზე, ანდრო წერეთლის სახლში<sup>28</sup>, მოსაველეად სხვა ბავშვებიც  
აიყვანა, რომლებსაც, თავის შვილებთან ერთად, მშობლიური მზრუნ-  
ველობით უვლიდა.

„ქარგმა და უდარდელმა ბავშვობამ“, როგორც ამას გალაკტიონი  
აღნიშნავს, სწრაფად გაიზარდა<sup>29</sup>.

## თ ა ვ ი მ ე ო რ ა

### ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში

1900 წლის 23 აგვისტოს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზე-  
დამხედველის სახელზე შეტანილ განცხადებაში იკითხება:

„მის კეთილშობილებას ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზე-  
დამხედველს. გარდაცვლილი ვასილ ტაბიძის მამულისა და ობლებს  
მეურვის მღვდელ თედორე ნამიჭეიშვილისაგან

<sup>26</sup> ი ქ ე ე.

<sup>27</sup> ჟურნ. „პიონერი“, 1963, № 8, გვ. 19.

<sup>28</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 495, გვ. 1.

<sup>29</sup> ი ქ ე ე, დღ. 402, გვ. 3.

წარსული წლის აგვისტოს თვეში ჩემ მიერ შემოტანილი იყო თხოვნა და მეტრიკული ამონაწერი ობოლი ვალაქტიონ ვასილის ძე ტაბიძის მიღების თაობაზე თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში, ეს საბუთები ინახება სასწავლებლის მმართველობაში, რისთვისაც უმორჩილესად ვთხოვთ ვასცეთ სათანადო განკარგულება მის დასახელებულ კლასში მიღებაზე.

მთხოვნელი მღვდელი თედორე ნამიჭეიშვილი<sup>1</sup>.

სასწავლებლის მმართველობას გულდასმით განუხილავს განცხადება, ერთ დღეზე გამოუანგარიშებიათ ვალაქტიონის ასაკი და განცხადებაზე ფაქტით მიუწერიათ: „მ წლის, 9 თვის, 20 დღის“ დაუღვიათ რეზოლუცია მისი სასწავლებელში ჩარიცხვის თაობაზე.

1900 წლის 1 სექტემბრიდან გ. ტაბიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პირველი მოსამზადებელი კლასის მოსწავლეა. სასწავლებელში სამი მოსამზადებელი და ოთხი ძირითადი კლასი იყო, ის მოთავსებული იყო არქიელის გორაზე, ბაგრატიის ტაძრის სამხრეთით. ამჟამად ამ შენობაში მოთავსებულია მე-6 საშუალო სკოლა. უმართებულთა ქ. ქუთაისის 1-ლი სკოლის სადარბაზოსთან გაკრული მემორიალური დაფის ცნობა, რომ თითქოს გ. ტაბიძე ამ სასწავლებლის აღზრდილი იყოს. ამ სასწავლებელში უპირატესად სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ, იყვნენ სხვა წოდებათა ყმაწვილებიც მცირე რაოდენობით. მოსწავლეთა უმრავლესობას სოფლიდან ჩამოსულები შეადგენდნენ. მათ შორის ვალაქტიონიც. „სოფლიდან ქუთაისში რომ ჩამომიყვანეს სასწავლებლად, ყველაფერმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, — იგონებდა შემდეგ პოეტი, — გაფაციცებით ვათვალისწინებდი ქუჩებს, შენობებს, ეტლებს და შეეტლებს, კოკარდიან მოხელებსა და სამხედრო პირებს, ჩოხა-ახალუხსა და მესტებში გამოწვიპულ თავადებს. როგორც კონტრასტი ჩემს ყურადღებას იქცევდნენ ღარიბულად ჩაცმული გლეხები, მუშები. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შემოვლოდნენ

<sup>1</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1717, ფურ. 86.



ზე პირველად დავინახე ქუთაისში მთელი კილომეტრის სიგრძეზე ჩამ-  
წკრევებული ურმები ყურძნით საესე ძარებით. პატარა ბიჭები ეპა-  
რებოდნენ ძარებს და იტაცებდნენ ყურძენს<sup>2</sup>...

დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პატარა გალაკტიონზე გრანდ-  
იოზულ ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებს, რომლის ხშირი სტუმარი  
იგი იყო. ქართული ხუროთმოძღვრის ამ ბრწყინვალე ძეგლის შემოქ-  
მედება დიდი და წარუშლელი გახლდათ. სიცოცხლის მიწურულს  
დაწერილ ლექსში იგი წერდა:

მასსოვს, აქ უღერდა  
პოეტის ჩანგი  
დაუბრუნებლად,  
მღელვარე სიმიტ...  
გვარგვინო სვეტის!  
შენ მაშინ ჩემი  
უღარებელი იუავ ტრიბუნა.  
ოო, როგორა ვთქვა

რომ ის დრო გაპქრა,  
როს ოცნებები  
მეხვია ბევრი...  
ისინიე დღესაც  
აქ, ამ ადგილას,  
ჩემთან არაან.  
გვარგვინო სვეტის!

პოეტის მრავალი ადრეული ლექსი ამ დიდებული ძეგლის გალა-  
ვანშია დაწერილი, ბევრის მნახველი და მომსწრე ტაძარი მისი პოე-  
ტური შთაგონების სავნად იქცა. საშავალითოდ მისი ერთი იმდროინ-  
დელი ლექსის დასახელება — „ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებთან“ და-  
ამაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. ამ ლექსში „დახავსებულ ნან-  
გრევებთან“ გარინდებულად მდგომი პოეტის „ფიქრები“ დიდებული  
ძეგლის წარსულზე მის „გულში ისევ და ისევ გროვდება“ რითაც მას  
„გული ეთუთქება“:

აა. ირყევა ლოდი, გვარგვინოსანიე დგება,  
ჰყვიის და ბრძოლისაკენ იწვევს მამულიშვილბს.  
ეძახის, მაგრამ მაინც საშველად არეინ ჩნდება.  
მხოლოდ ფაზასი კენესის, დუღუნი გააქუთ ზვირთებს<sup>3</sup>...

„ქუთაისში ჩამოსვლის პირველ წლებში გალაკტიონი დიდად არ  
გაპოირჩეოდა თავის ამხანაგებისაგან, — იგონებს მისი თანაკლასელი  
გ. მიხელიძე, — გარდა იმისა, რომ შას უყვარდა განმარტოვებით დგო-  
მა, დაახლოვებული ამხანაგები, მით უმეტეს მეგობრები, ბევრი არ  
ჰყავდა. მეტად გულჩახვეული იყო, არ უყვარდა თავისი გულისნადე-

<sup>2</sup> რ ა დ ი ა ნ ი შ. ჩვენი გალაკტიონი, „მნათობი“, 1963, № 1, გვ. 140.

<sup>3</sup> გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზ. ტ. VII, 1972, გვ. 70.

ბის გამოაშვარავება, დადიოდა ჩაფიქრებული, თითქოს რაღაც დიდად აწუხებდნენ. წუხილით კი, მართლაც, აწუხებდა თავისი ობლობა, რასაც ის. თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც ამქვადვებდა<sup>4</sup>.

ქუთაისში იმ დროს სასულიერო სასწავლებლის გარდა (1894 წლიდან 1904 წლის 23 მარტამდე) არსებობდა სასულიერო სემინარია, რომელიც დაკომპლექტებული იყო საკმაოდ ძლიერი პედაგოგიური პერსონალით. ორივე სასწავლებელი ერთ შენობაში იყო შოთავასებულის, ჰქონდათ საერთო კანცელარია (ასე ჩანს საქმის წარმოებიდან). 38 სასწავლებელს შორის ქართველები იყვნენ: არკადი ბაკურაძე; არჩილ გორგაძე, მონოზანი დიმიტრი (აბაშიძე), რაქდენ ტოგონიძე, მიხეილ ფხალაძე, მელიტონ ჩოგოვაძე და ცქიტიშვილი<sup>5</sup>. შემდეგ ხანებში მათ შეემატნენ: ტრიფონ ჯაფარიძე, მიტროფანე ფხაკაძე, თომა ფერაძე, რაფიელ ჩიხლაძე, მღვდელი რაქდენ ხუნდაძე (ეს ის ხუნდაძეა, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ფილიპონ ქორიძეს ქართული საეკლესიო საგალობლების ჩაწერის საქმეში<sup>6</sup>) და ვ. შარაძე<sup>7</sup>. პედპერსონალის უმრავლესობა ღვთისმეტყველების კანდიდატი იყო, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ მოსკოვის, კიევის და ყაზანის სასულიერო აკადემიები, ყველა მათგანი სათანადო სამოქალაქო ჩინის მქონე იყო.

გალაკტიონის კლასში ირიცხებოდა 57 მოსწავლე, კლასის დამრიგებელი იყო ივ. გიორგაძე<sup>8</sup>.

აკადემიური მოსწრების მხრივ გალაკტიონი საშუალო მოსწავლედ ითვლებოდა. 1900/1901 სასწავლო წელს მას ასეთი შეფასებები აქვს მიღებული: ღვთისმეტყველება — 2, 3, 3, 3., ქართული ენა — 3, 4, 3, 4., ძრითმეტყა — 2, 3, 3, 3. რუსული ენა — 2, 3, 3; 3<sup>9</sup>.

ქუთაისში გალაკტიონი კერძო ბინაზე ცხოვრობდა არქიელის გორაზე, ანდრო წერეთლის სახლში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეილებს (აბესალომს და გალაკტიონს) სხვა ბავშვებთან ერთად (ალ. ტაბიძე, ტრციანის დედაშვილები ეზიკია და გრიგოლ კონრეიძეები, ბოლოს, ცოტა ხნით, მათთან ცხოვრობდა ტიციანიც), უვლოდა დედა,

<sup>4</sup> გ. მიხეილიძე. ცოტა რამ გალაკტიონზე, „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 175.

<sup>5</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 5, საქმეები 516—553.

<sup>6</sup> მ. ქორელი. მოგონებანი და წერილები, თბ. 1969, გვ. 27.

<sup>7</sup> საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 440. საქმე 2096, ფურ. 4.

<sup>8</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1724.

<sup>9</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1758, ფურ. 6, 11, 41; 68, 77, 84.

რომლის მზრუნველობით ბავშვები დამაკმაყოფილებლად სწავლობდნენ, რასაც მოწმობს საშინაო დავთარი. ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ მოსწავლეებს ბინაზე აუცილებლად აცითხავდა „ნაღზირატელი“ — გაკვეთილებისაგან განთავისუფლებული პედაგოგი, რომელსაც მოჰქონდა საკლასო ჟურნალიდან ამოწერილი ნიშნები და ისინი გადაჰქონდა საშინაო დავთარში. „ნაღზირატელი“ — ზედამხედველი სათანადო რჩევა-დარიგებას აძლევდა მოსწავლეებს, თუ კი ეს საჭიროდ მიაჩნდა. ზედამხედველის მოვალეობაში შედიოდა აგრეთვე მოსწავლეთა ჰიგიენური პირობებისადმი თვალყურის დევნება, იგი ათვალეიერბდა საწოლებს, მაგიდებს, პირად ნივთებს და ოთახების სისუფთავეს საერთოდ. ასე რომ მშობელს სასწავლებელში მიუსვლელად შეეძლო თავისი შვილისა თუ აღსაზრდელის ყოველმხრივი შემოწმება<sup>10</sup>. გალაკტიონი ბეჯითად მეცადინეობდა. ჩაწერილი იყო ბიბლიოთეკაში, გამოჰქონდა იქიდან კლასგარეშე ლიტერატურა და ხარბად კითხულობდა. მისი თანაკლასელი იგონებს: „ერთ დღეს მე და გალაკტიონი შევედით ბიბლიოთეკაში, რომელსაც რუსული ენის მასწავლებელი პავლოვი განაგებდა. პავლოვმა შემოსვლისთანავე მიამბა გალაკტიონს, რომ ეპქვი ეპარება, რომ იგი ყველა გატანილ წიგნს კითხულობდა.

— პატივცემულო მასწავლებელო, აბა წიგნს რისთვის წაიღებ შინ თუ არ წავიკითხავ?! — ცოტა აღელვებით უპასუხა გალაკტიონმა.

— მაშ აბა მოკლედ გადმოხეცი ამ წიგნის შინააქსი?! —

— მოგიყვებით, — იყო გალაკტიონის პასუხი და მან დაიწყო წაკითხული წიგნის შინააქსის მოყოლა... პავლოვი კმაყოფილი დარჩა ნამბობით და ნორჩ მკითხველს კვლავ გაატანა ახალი წიგნი<sup>11</sup>.

გალაკტიონის აკადემიური მოსწრება 1902 წელს ასეთი იყო: ღვთისმეტყველება — 3, ქართული ენა — 3, არითმეტიკა — 3, რუსული ენა — 3<sup>12</sup>. არდადეგებზე მყოფი გალაკტიონი სოფელში ყვავილით გახდა ავად. „მამამ (იუსტინე ტაბიძემ — ი. ლ.) გამგზავნა რომანოზ ბახტაძის მოსაყვანად, — იგონებს ს. ტაბიძე, — მოვიყვანე... რომანოზმა გასინჯა ავადმყოფი, დაიჩოქა საწოლთან და ხმაშალა წაჩმოსთქვა:

— დაილოცოს შენი გზა და საეალი, უთუოდ დიდი ბატონები ზრძანდებიანო. მაკრინეს ყვავილი არ ჰქონდა მოხდილი... საჭირო

<sup>10</sup> იქვე, საქმე 1764, ფურ. 9.

<sup>11</sup> ა. გორგაძე, ჩემი მოგონებანი გალაკტიონზე, ვაზ. „ახალი კოლხიდა“, 1964, № 105.

<sup>12</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1764, ფურც. 3.

შეიქნა ისეთი პირის მოძებნა, რომელსაც მოზდილი ჰქონდა ყვავილი და იყისრებდა ავაღმყოფის მოვლას... ორმოცი დღის განმავლობაში მარტო იწვა ავაღმყოფი, სახე ნაპრალებით ჰქონდა დაფარული და ცხვირის ცალ მხარესაც ღრმა ნაპრალი ჰქონდა (მამამ შეილები გაგვხიზნა). საჩქეს არ აძლევდნენ, რომ ჩაეხენდა. ყვავილმოზდილი გალაკტიონი ქუთაისში გაემგზავრა, მას სასიამოვნო მოგონებად დარჩა ავაღმყოფობის დროიდან რემონოზის ჩონგური და მისი სიმღერები... მან შეიყვარა ჩონგურის დაცვრა და თვითონაც ისწავლა. მოზდილი გალაკტიონი, სემინარიული პროკლე დააჯენდნენ დედას, მისცემდნენ ხელში ჩონგურს, დედა უკრავდა და სამივენი მღეროდნენ. მათი საყვარელი სიმღერები იყო: „მიყვარს ფაცხა მე მეჯრული“, „სამი ქალი თიბდენ თოვას“, „სერზე მიღის სამი მგელი“<sup>13</sup>.

რუსეთის პირველი რევოლუციის მძლავრმა ტალღამ ქუთაისიც აამოძრავა. ქართველი მუშათა კლასი და გლეხობა ჩვენი საუკუნის დამდეგს მტკიცედ ირახმებოდა რევოლუციური მარქსიზმის ძლევამოსილი დროშის გარშემო. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ისინი დიდ კლასობრივ ბრძოლაში ებმებოდნენ. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. პროფესიულ პროპაგანდისტებში დიდი ავტორიტეტითა და მოწონებით სარგებლობდნენ: კობა ჯუღაშვილი, ალექსანდრე წულუკიძე, ალექსანდრე ჯაფარიძე, სერგო ქავთარაძე, მხებილ ოკუჯავა, ბუღუ მდივანი, კონსტანტინე ქარცივაძე; ალექსანდრე ბებურიშვილი, იცკა რიჟინაშვილი, ლადო გმხუარი, იასონ ჩიჩუა და მრავალი სხვა. მგზნებარე რევოლუციონერები რაზმავდნენ მასებს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველი დიდი მასობრივი გამოსვლები 1904 წლის თებერვლის დამდეგს მოეწყო. რუსეთის იმპერატორის მანიფესტმა იაპონიასთან ომის გამო დიდი აღშფოთება გამოიწვია. ქუთაისი მღელვარებამ მოიცვა. ქალაქის მყუდროება პირველად მოსწავლეთა დემონსტრაციამ დაარღვია. გამოსვლებამდე ადრე ქუთაისში მოსწავლეთა წრეები სწრაფად

<sup>13</sup> სიმონ ტაბიძის „მოგონებანი“.

სემინარიისა და სასწავლებლის ეკლესია 1902 წლის 17 სექტემბერს საკლასო ეურნალში ჩაუწერია: „აღსაზრდელი ტაბიძე ამ ზაფხულს ყვავილით იყო ავაღ“ (ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1764, ფურც. 8).

იზრდებოდა, მალე მოსწავლეთა წრეების საქმიანობის მოსაგვარებლად შეიქმნა საქალაქო კომიტეტი. სასკოლო წრეების თითქმის ერთი გეგმით მეცადინეობდნენ, კვირაში ორჯერ. შეცადინეობა ტარდებოდა პოლიტეკონომიაში, დიალექტიკურ მატერიალიზმში, რუსეთის რევოლუციურ წარსულში, პლენხანოვის როლის გამოვლინებაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმოცენებაში და სხვ. მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური განწყობილებების პირდაპირი გამომძახილი იყო ქუთაისის თეატრის რეპერტუარი, რომელიც ახალგაზრდობის გონებასა და მორალის მავნე საზრდოდ იყო მიჩნეული. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო განკარგულებაში აქცენტი სწორედ ამ გარემოებაზე იყო გამახვილებული: „ვიღებთ რა მზედველობაში დრამატულ ნაწარმოებთა საძრახისა შინაარსის მავნე გავლენას მოსწავლეთა ზნეობაზე, აუცილებელ საქმედ მიგვაჩინია, რომ საშუალო სასწავლებლებს უფროსებმა წინასწარ მისცენ მოსწავლეებს ნებათვა თეატრალურ სანახაობაზე დასასწრებლად: უფროსები გაცნობილნი უნდა იყვნენ წარმოსადგენად გათვალისწინებული სანახაობის შინაარსს. რის გამოც ვბრძანებ: დაევალოს დასების ხელმძღვანელებსა და ანტრეპრენიორებს, თუ მათ სურვილი აქვთ მათი მყოფრებელი იყვნენ მოსწავლეები, ადგილობრივ სასწავლებელთა უფროსებს წინასწარ განსახილველად წარუდგინონ დასადგმელად განზრახული პიესები, ცნობილი კლასიკოსების გარდა, საწინააღმდეგო შემთხვევაში სასტიკად ადვენონ თვალყური რათა აფიშებზე არ იყოს აღნიშნული: „მოსწავლეები დაიშვებიან“<sup>14</sup>.

მოსწავლეთა მღელვარებას წინ ვერაფერი აღუდგა. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდნენ გომნაზიის, რეალური და სასულიერო. ქალთა გომნაზიებისა და ეპარქიალური სასწავლებლების მოსწავლეები. ქუჩები სავსე იყო ახალგაზრდობით, მათ თვალებში ამოიციოთხავდით ბრძოლისაკენ სწრაფვას, უსამართლობასთან შეტყინების დამთრგუნავ წყურვილს. დემონსტრანტებმა ქალაქის ცენტრში შოიყარეს თავი და აქედან რევოლუციური სიმღერებით და ლოზუნგების ძაბილით გაუმართნენ ბუღვარის გასწვრივ. ქალაქის მოსახლეობისათვის ეს მანამდე უჩვეულო სანახაობა მომავალი დიდი რევოლუციური და სოციალური გარდაქმნების დასაწყისი იყო. ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კარგად არის შესწავლილი და გამოკვლეული 1905

<sup>14</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1832, ფურ. 149.

წლის რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების ისტორია, ამდენად სიტყვას არ გავაგრძელებთ. ჩვენ აქ დავჭყაყოფილდებით რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის გაცნობით, რომლებიც საგანგებოდ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს ეხება და საკმაოდ ნათელს ხდის ამ სასწავლებლის მოსწავლეთა აქტიურ როლს 1904 წლის თებერვლის გამოსვლებში და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

1904 წლის 3 თებერვალს პირველი საში კლასის 54 მოსწავლე თვითნებურად წასულა სასწავლებლის შენობიდან. თორმეტმა მათგანმა მონაწილეობა მიიღო მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში სობორის მოედანზე: „ეს მოსწავლეები აქეზებდნენ სხვა მოსწავლეებსაც შეეწყვიტათ სწავლა და წასულიყვნენ დემონსტრაციაზე“ — აღნიშნულია ერთ-ერთ პატაკში<sup>15</sup>. ზოგი მოსწავლე აპყოლია მოწოდებას, ზოგი კი შინ წასულა. ამ ამბების უშუალო მონაწილე, შემდეგში ცნობილი რევოლუციონერი კოტე (აკაკი) ცინცაძე თავის „მოგონებებში“ წერდა: „სემენარიაში კარგა ხანია არსებობდა თურმე მოწაფეთა წრეები, მეც... ერთ წრეში მივხვდი წრეში მიმიღო უფროსი კლასის მოსწავლემ გერმანე იმნაიშვილმა... სემინარიაში შესვლის პირველ წელსავე, 1903 წელს, მოხდა არეულობა... არეულობას ამზადებდნენ უფროსი კლასელები. მახსოვს არეულობის პირველი დღე, დილით სემინარიის ეკლესიაში ლოცვის დამთავრების შემდეგ გამოვიდნენ უფროსი კლასის ამხანაგები, კლასებში წასვლის მაგიერ წამოგვიყვანეს ერთ-ერთ დიდ ზალაში და იქ მყოფ აღმინისტრაციას გამოუტყბადეს: ჩვენ ვკვეთავთ სწავლას მანამდე, სანამ ჩვენი მოთხოვნილებანი შესრულებული არ იქნებაო. შეიქმნა დიდი ხვეწნა აღმინისტრაციის მხრიდან, მუქარაც ბევრი იყო, მაგრამ მოწაფენი, გარდა რამდენიმე სულმოკლეებისა, მაგრად იღვნენ... განსაკუთრებით სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ დაღმატი ვალდავა, ქაჯეარაძე, დემინაშვილი და სხვები. აღმინისტრაციამ გამოიწვია პოლიცია, პოლიცემისტერ ლსკოვსკის მეთაურობით. შემოვიდა თუ არა ლსკოვსკი სემინარიის ეზოში, შეიქმნა ერთი ალიაქოთი, გინება... ყვირილი. პოლიცია იძულებული იყო უკან გაბრუნებულიყო. ჩვენ, პატარა მოწაფეები, უცქეროდით ყველა ამას გაკვირვებით და რასაც უფროსები გვეტყოდნენ ვასრულებდით, როცა ყვირილი შეიქნებოდა, ჩვენც ვყვიროდით... ორი კვირის შემდეგ გაფიცვა გატეხეს, ბევრი

<sup>15</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 5, საქმე 360, იურ. 11.

დაიპირეს... მეთაურების ჩამოცილების შემდეგ დანარჩენები გატყ-  
დნენ. ბევრი სასწავლებლიდან დაითხოვეს, ვინც გადარჩა გარიცხვას,  
სწავლას შეუღდა. რამდენიმე ხანში შედგა ახალი ორგანიზაცია, რო-  
მელმაც კავშირი დაამყარა ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ კომი-  
ტეტთან... 1904 წელს გამოცხადდა რუსეთ-იაპონიის ომი, ქუთაისის  
კომიტეტმა გამართა კამპანია ომის წინააღმდეგ... გადაწყვიტეთ ჩაგ-  
ვეტარებინა ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია... დემონსტრაციის  
დღედ 3 თებერვალი დაინიშნა. სემინარიიდან მოწაფეთა გამოყვანა  
მონღობილი გვექონდა მე, ვანო ინწყირველს და დიმიტრი ჩხაიძეს...  
სასწავლებელი ომის საწინააღმდეგო პროკლამაციებით იყო მოფენი-  
ლი... ერთმა მოსწავლემ ნახა თუ არა პროკლამაცია, მაშინვე სემინა-  
რიის რექტორს, მაშა სილიბისტროს მიართვა, რომელმაც პროკლა-  
მაციაზე მთელი ქადაგება ააგო და ძალზე აღელვებულმა მოგვეპართა  
მოწაფეებს: „სიარცხვილი თქვენ, მომავლო მამებო მორწმუნეთაო...  
ნუთუ არ იცით, რომ ამ ფურცლების შინაარსი მთავრობის საწი-  
ნააღმდეგოა. ურწმუნოთა ურდოები-იაპონელები-სამართადიდებლო  
რუსეთს შემოგვსიენ, მათ სურთ მოსპონ მართლმადიდებელი ეკლესია...  
გაანადგურონ რუსეთის სახელმწიფო... გათავდა წირვა, გამოვედით  
გარეთ. ჩემს მეგობრებს შეუთანხმდი, რათაც არ უნდა დაგვიკადეს უნ-  
და მოვახერხოთ შუალაქისას შევიდეთ ეკლესიაში და ის ღვთის ტახ-  
ტი თავდაყირა დავსცეთ მეთქი (აქ ვრცლადაა მოთხრობილი, თუ  
როგორ აგლიჯეს საეკლესიო ტრაპეზი იატაკს და როგორ გადაასვენ-  
ნეს ხატი საპირფარეოშ-ი. ლ.) ...3 თებერვალს დემონსტრაცია  
იყო დანიშნული. დილით მოწაფეები კლასებიდან დიდი ყვირილით  
და მუქარით გამოდიოდნენ, ბევრმა გვიმუხტლა. ერთად შევიყარენით  
თავი ეზოში და როდესაც ბევრმა შოიყარა თავი ერთად, გული მოე-  
ცათ და დაიძრნენ... თავი ბულვარის ახლო უნდა მოგვეყარა... შევგ-  
როვდით 500 კაცამდე, დავეფინეთ ქუთაისის ქუჩებს და ყვირილით—  
„ძირს ოში“, „ძირს თვითმპყრობელობა!“ შემოვირბინეთ ყველა ქუ-  
ჩა... გავრბივართ, პოლიცია მოგვდევს... ბოლოს გამოუძახეს ცეცხლის  
მქრობელ რაზმს და წყლით დაგვშალეს... თუ არ ვცდები ქუთაისის  
მოწაფეთა დემონსტრაცია პირველი იყო მთელ რუსეთში... დაწყო

კვლევამიება... სამი თვის შემდეგ სემინარია დახურეს, დახურვამდის ორი კვირით ადრე 13 მოწაფე გაირიცხა სემინარიიდან<sup>16</sup>.

1904 წლის 23 თებერვლის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საიდუმლო განკარგულებაში (№ 799) აღნიშნული იყო: „შეძრწუნებული მოსალოდნელი უწყსრიგობის განმეორებისაგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქ. ქუთაისის სასწავლო დაწესებულებებში თებერვლის პირველ რიცხვებში, სასურველია და აუცილებელი მქონდეს ზუსტი ცნობები მოსწავლეთა განწყობასა და ქცევაზე სასწავლებლის კედლებში. ეს გამსაუფრებით მნიშვნელოვანია აშკამად, რათა შე შესაძლებლობა მქონდეს გაცე სათანადო განკარგულება... პოლიციის სათანადო პირებს გახოვთ მაცნობოთ, დამშვიდნენ თუ არა მოსწავლეები, როგორ იქცევიან ისინი სასწავლებლებში და ასრულებენ თუ არა დადგენილ წესრიგს. მე დიდად კმაყოფილი ვიქნებოდი, თუკი შესძლებდით მომავალში ჩემთვის გეცნობებინათ მოსწავლეთა შორის ყოველგვარი მღელვარების ყველა უწყრილმანესი ნიშანი<sup>17</sup>. გენერალ-გუბერნატორის ამ განკარგულების საფუძველზე ქუთაისის უანდარმერიის სამმართველოს უფროსი საიდუმლო მიწერილობაში (№ 580) სთხოვს ქალაქის ყველა სასწავლებლის ხელმძღვანელს უანდარმერიის სამმართველოს გადმოუგზავნონ იმ მოწაფეთა სია, რომლებიც გარიცხულნი არიან სასწავლებლებიდან არეულობაში მონაწილეობის გამო<sup>18</sup>. სასულიერო სემინარიიდან და სასწავლებლიდან უანდარმერიის სამმართველოს მიუღია იმ მოსწავლეთა სია, რომლებიც გაირიცხნენ და რომლებიც „უეჭველად შეიტყვევენ თავისთავში სახელმწიფო დანაშაულის ნიშნებს<sup>19</sup>“, სიაში მოხსენებულნი არიან: ივანე ინწკირველი, დიმიტრი ჩიხლაძე, ალექსანდრე გამყრელიძე, შალაქია ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, აკაკი ცინცაძე, დომენტი თევდორაძე. ვარლამ ბაქრაძე, ალექსანდრე ლანდია, აკაკი კვიციანი, შალვა მოსიძე, ზურაბ ტრაპაიძე<sup>20</sup>.

<sup>16</sup> ქ. ცინცაძე, ჩემი მოგონებანი, „რევოლუციის მატანი“. 1923, № 2. გვ. 107—113. გაგრძელება შემდეგ ნომრებშიც იხევედბოდა. სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსვლებს ეხებთან თავიანთ მოგონებებში გ. ვაშაძე, ს. ლოტიძე, ბ. ბიბინეიშვილი, (იხ. „რევოლუციის მატანი“, 1923, № 3 და 1925, № 1).

<sup>17</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 5, საქმე 360, ფურ. 4

<sup>18</sup> იქვე, ფურც. 5.

<sup>19</sup> იქვე, ფურ. 8—9.

<sup>20</sup> იქვე, საქმე 613, ფურ. 13.



რუსეთის იმპერატორის 1904 წლის 23 მარტის ბრძანების საფუძველზე სინოდის დადგენილებაში ხაზგასმული იყო: „ქუთაისის სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის აღსაზრდელთა შორის არსებული მანკე მიმართულებების გამო, რომელიც გამოიხატა წარსული წლის ბოლოს „ქუთაისის სემინარიის სოციალ-დემოკრატიული“ ჯგუფის სახელით მთავრობის საწინააღმდეგო ბეჭდვითი პროკლამაციების გავრცელებასა და ამა წლის 3 თებერვალს სემინარიისა და სასწავლებლის მრავალი აღსაზრდელის მთავრობის საწინააღმდეგო ქუჩურ დემონსტრაციაში მონაწილეობისა და თანაგრძობის გამო, შით უმეტეს, რომ სასწავლებლის კედლებში ადგილი ჰქონდა წმინდათა ნივთების უხეშ შებლაღას... წმინდა სინოდი ადგენს: 1. ამთავითვე შეწყდეს სწავლა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სასწავლო წლის ბოლომდე. 2. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მმართველობის დადგენილება 13 აღსაზრდელის, რომლებიც მონაწილეობდნენ... დემონსტრაციაში, დათხოვნის თაობაზე დამტიციდეს<sup>21</sup>“. უწმინდესი სინოდი მოუწოდებდა და კატეგორიულად მოითხოვდა სასწავლებლის ხელმძღვანელობას შთაგონებინა აღსაზრდელებისათვის ხელისუფლების ერთგულება და სიყვარული.

იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ, სინოდის დადგენილების გათვალისწინებით, სასწავლებლის ხელმძღვანელობას უბრძანა: „აეკრძალოს სრულიად სასწავლებლის მოსწავლეებს, რომელ დროსაც არ უნდა იყოს, ბულვარზე ყოფნის უფლება, რომლებიც ამის შემდეგ თავს ნებას მოსცემენ ბულვარზე ყოფნას შესაძე გაფრთხილების შემდეგ დათხოვნილი იქნას სასწავლებლიდან<sup>22</sup>“.

გალაქტიონის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში, ზემოთ განხილული მთვლენის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1905 წლის რევოლუცია.

1905 წლის 9 იანვარი, სისხლიანი კვირა.

მთავრობის ძალმომრეობითმა აქტმა ააღელვა მთელი რუსეთი. მღელვარებამ საქართველოც თავის ორბიტაში მოაქცია, რევოლუციური ტალღა მოედო ქვეყანას, განსაკუთრებით იმპერიის განაპირა მხარეებში, კერძოდ საქართველოში არსებული რეჟიმის დასამხობად თავგანწირულად იბრძოდნენ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია და

<sup>21</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 613, ფურ. 13.

<sup>22</sup> იქვე საქმე 1801 ფ. 104.

მოსწავლე ახალგაზრდობა. საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი შეფასება, რომელსაც ვ.ი. ლენინი აძლევდა კავკასიის პროლეტარიატის, კერძოდ საქართველოს მშრომელთა მედგარ ბრძოლას 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. ქუთაისი მეტად გაბედული და ორგანიზებული მოპრაობით გამოეპასუხა რევოლუციურ აზვართებას.

დადგა დრო რევოლუციური გამბედაობის გამოჩენისა. ქალაქში ბარკადები აღიშართა, ქუთაისი დიდი ბრძოლების მოლოდინში იყო... გენერალ ალიხანოვისა და მისი მარჯვენა ხელის პოლკოვნიკ კრაჟჩენკოს პლასტუნები შეუბრალებლად ჟლეტდნენ მრავალგზის ნაწამებ საქართველოს მშრომელებს, სწვავდნენ მათ სახლებსა და კარშიდამოს. დასავლეთ საქართველოში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული. ექვსი საათის შემდეგ ვისაც ქუჩაში შეხვდებოდნენ ადგილზევე განუკითხავად უსწორდებოდნენ. ამ ძალმომრეობის მსხვერპლნი გახდნენ იასონ ჩიჩუა, ვლ. შველიძე, იცკა რიჟინაშვილი. ალიხანოვმა და მისმა ხელქვეითებმა განსაკუთრებით ააწიოკეს გურიის-სამეგრელოს სოფლები.

რევოლუცია ჩაბშობილ იქნა. რეაქცია გამძვინვარდა, მაგრამ ხალხის ნება და იმედი არ ჩამქრალა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები, რომელთა დიდი უმრავლესობა სოფლელი ყმაწვილები იყვნენ, 1905 წლის აზბებს სტიქიურად მიჰყვებოდნენ, მათ ცნობიერებაში ჯერ კიდევ ბუნდოვნად იყო ასახული შიძინარე მოვლენების ისტორიული არსი. სემინარია, რომელმაც 1904 წლის აზბებში დიდი როლი შეასრულა, დახურული იყო, ყველა შემჩნეული პირი გამორიცხული და გასახლებული იყო ეტაპით თავის სოფელში. 1904 წლის მარტის თვეში მიღებულმა მკაცრმა ღონისძიებებმა სასულიერო სასწავლებელში შეასუსტა მოსწავლეთა გზნება, ამიტომაცაა, რომ საბუთებსა თუ ღოკუმენტებში, რომლებიც 1905 წლის ამსახველნი არიან, ყველაზე ნაკლებად სწორედ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი არიან მოხსენებულნი<sup>23</sup>.

სასულიერო სასწავლებლის ცხოვრებაში მძაფრი ქარიშხლიანი წლების ყველაზე რევოლუციური აქტი იყო სასწავლებლის ზედაზნედველის გრეკოვის მკვლელობა (1905 წ.). ამ აქტმა „დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია, გალაკტიონი ამ შემთხვევას, — იგონებს მისი თანაკლასე-

<sup>23</sup> უერნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 175.

ლი, — მცირე ლექსით გამოეხმაურა<sup>24</sup>. ვარლამ მახარობლიძის (1890—1972) მოგონებაში ეს ფაქტი მეტად რევოლუციური იერის მატარებელია. მისი გადმოცემით, არსებულა მოსწავლეთა რევოლუციური კომიტეტი, რომელშიც 10-მდე მოსწავლე შედიოდა („გალაქტიონი, აკაკი მარგიანი, ვ. მახარობლიძე, პროკოფი ფანჩულიძე, სიმონ მესხი, ლომიძე, ჩიქვინიძე და სხვები“). „მოსწავლეთა კომიტეტმა სასწავლებლის ზედამხედველის მოკვლა დაადგინა... მოსწავლეები ორჯერ დაესხნენ თავს, მაგრამ ორმაგმა კარმა იბატონა გრეკოვი... ბოლოს დავიქირავეთ ტერორისტი..., ელეზნი... მან ესროლა გრეკოვს, მაგრამ არა ზუსტად... გრეკოვი წაბარბაცდა და ჩაიკეცა, ის მესამე დღეს გარდაიცვალა<sup>25</sup>“. ვლ. მახარობლიძის მონაყოლით, გ. ტაბიძე რევოლუციითაც ყოფილა შეიარაღებული და იგი ამხანაგებს ამხნევებდა, თუ გვესროლეს, ჩვენც ვესროლოთ<sup>26</sup>“<sup>27</sup>. ძველი ჟურნალისტი ილია ბახტაძე (1881—1960), რომელიც გალაქტიონს მოსწავლეობის დროიდან იცნობდა, ვეამცნობს, რომ გ. ტაბიძე „ახლო იყო დაკავშირებული... რევოლუციური სულისკვეთებით გაუღენთილ ახალგაზრდობასთან<sup>28</sup>“. ამ წრებთან სიახლოვეზე თვითონ გალაქტიონიც მიუთითებს: „მეც ახლო ვიდექი რევოლუციურ წრეებთან... ეს წრე იკრიბებოდა საღამოობით ჩვენს გვერდით ნაცვლიშვილების სახლში, შდინარე რიონის პირად, მდლოზზე, სახლი გადასცქეროდა მთელ ქუთაისს ჩაფლულს მწვანეში<sup>29</sup>“ (თუმცა მისი თანაკლასელი დაბეჭდვებით გვარწმუნებს, რომ „ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩვენ დროს არავითარი რევოლუციური წრე არ არსებობდა<sup>30</sup>“. ფაქტები კი საწინააღმდეგოს მეტყველებენ და ამდენად თანაკლასელის ასეთ რწმუნებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ).

„ქუთაისის მოსწავლეთა კომიტეტის“ მითითებით უმცროსი კლასელები, არც ითვლებოდნენ მომწიფებულად პოლიტიკური მიზანდასახულობისათვის და შათი მიზიდვა ნაკლებად სწარმოებდა. მთელი

<sup>24</sup> იქვე, გვ. 176.

<sup>25</sup> ე. თორთოლიანი, რევოლუცია და მოსწავლეები, „რიონი“, 1968, გვ. 208. „ელეზნი“ ფსევდონიმი იყო ცნობილი რევოლუციონერის ვლ. ბაქრაძის (1886—1908).

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> ი. ბახტაძე გ. ტაბიძე ქუთაისში და მისი მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო აღწერაში, ვაზ „სტალინელი“, 1960, № 21.

<sup>28</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021171—39; ვაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1963, № 73.

იმედი უფროს კლასელებზე იყო დამყარებული<sup>29</sup>. გ. ტაბიძე ამ მძაფრი მოვლენების პერიოდში სწორედ უმცროსკლასელი იყო და ამდენად მისი აქტიური მონაწილეობა დიდ მოვლენებში გამოირიცხებოდა უნდა იყოს. ჩვენი საუკუნის დასაწყისის დიდმა ძვრებმა, რომლებიც კერძოდ სასულიერო სასწავლებლის კედლებში ასე ძლიერად გამოიხატა, 14 წლის გალაკტიონის თვალწინ კინემატოგრაფიული სისწრაფით ჩაიარეს, შეუძლებელია მომავალ დიდ პოეტზე თავისი დალი არ დაეშინათ, გავლენა არ მოეხდინათ. ქუთაისში დედის ყოფნამ, მისმა ყოველდღიურმა კონტროლმა და ყურადღებამ, განსაკუთრებით იმ მღელვარე დროს, როგორც ქუთაისში, ასევე ჭყვიშოში, ფრთები შეუკეცა გალაკტიონის, ასევე მისი ძმის, თავისუფალ ნაწარდს, დედა ყოველ ღონეს ხმარობდა შვილები თავის ნებაზე არ მიეშვა, რამაც თავის ნაყოფი გამოიღო.

გალაკტიონი წიგნმა გაიტაცა. „იგი ძალზე ცოტა დროს ანდომებდა სავალდებულო საგნების სწავლას, გარდა ქართული ენისა, რომლის მიმართ საკმაო მუყაითობას იჩენდა, მეტწილად იგი გართული იყო მხატვრული ლიტერატურით და კერძოდ პოეზიით“. გარეშე ლიტერატურის კითხვით გატაცებას იმდენად სერიოზული ხასიათი მიუღია, რომ ოჯახში შემფოთებულან: „ვგაი თუ ამის გამო გალაკტიონმა სწავლას გული არ დაუდოსო“. შემფოთებული დედა წერდა შვილს: „თუ კარგად, კეჟიანად გოუძღვები შენს თავს, თვარა შენ თვითონ გეზარალები, შვილო, ამ წელიწად ნახევარს არი შენი საქმე, ისახელე თავი, დედა, ბიძაშენმა თქვა, გაანებოს იმან სხვა ქაღალდების კითხვას თავიო, გაათავოს ოთხი კლასი და მერცე მეესწრება სხვა ქაღალდების კითხვასო. გაიშნო, შვილო, ჩვენი დაჩვიება... კუთით, არაფერი მეიწიო<sup>30</sup>“. დედის შთაგონებას შვილმა საქმით უბასუხა, იგი გულმოდგინეთ შეუდგა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების სწავლას. „გალაკტიონი ძალიან კარგად მეცადინებდა, ბევრ გარეშე წიგნს კითხულობდა, — იგონებს ს. ტაბიძე, — გალაკტიონს მე ვნახულობდი ყოველთვის წიგნით ხელში... ან გაკვეთილს კითხულობდა ან სხვა წიგნს. გაკვეთილების სწავლა უყვარდა სიარულით“. გალაკტიონი აწარმოებდა წაკითხული წიგნებიდან მიღებული შთაბეჭდილებების ანოტირებას. ერთ იმდროინ-

<sup>29</sup> უჯრ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 175.

<sup>30</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371—III—2.

დელ რეუელში მას ჩაუწერია: „რა მშვენერია ლამბერტის წიგნი! ამიეროდან მე ვიცი: 1. როგორი იყო იმერეთის მეფის და სამეგრელოს მთავრის შეხვედრა. 2. ვიცი ჩოგნით ბურთაობის წესები. 3. მისიონერების ბინა სამეგრელოში. 4. მეგრელების ნადრობა. 5. როგორი ყოფილა მეგრელი ქალი. 6. მეგრელი მალაღი წრის ქალი“... ეს ჩანაწერი არქანჯელო ლამბერტის წიგნს „სამეგრელოს აღწერას“ შეეხება.

გალაკტიონის თანატოლები (ლილი ჯაფარიძე, ქეთევან და შალვა ხუნდაძეები, მარიამ ოკუჯავა, იპოლიტე ბახტაძე, ფილიპე შავგულიძე, ავთანდილ ნემსაძე და სხვები) თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გალაკტიონზე თითქმის ერთსა და იმავეს აღნიშნავენ: საოცრად მოუსვენარი, მშფოთარე და ყველას გამკილავი, როცა თავის ლექსებს გვიკითხავდა, ზედმიწევნით დინჯი, გარეგნულად დამშვიდებული და ნაზი იყო. ქ. ხუნდაძის დახასიათებით „გალაკტიონი ბუნებით მოძრავი, მოუსვენარი და საგრძნობლად მშფოთვარე იყო. ხშირად მთელ ქუთაისის მოივლიდა ფეხით, ავიდოდა გელათში, ინახულვდა მოწამეთას, აირბენდა მწვანე ყაჯილას ქუჩას მდინარე წითელწყალამდე და დაღლილ-დაქანცული შემოვიდოდა ოთახში, მერე მიუჯდებოდა მაგიდას და წერდა ან გვიან საღამომდე კითხულობდა“<sup>31</sup>.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგისა და მწიგნობარისა გალაკტიონის ყველაზე დიდი პატივისცემა დაუმსახურებია ქართული ენის მასწავლებელს მელატონ არსენის ძე ჩოგოვაძეს (1867—1910), რომელმაც 1895 წელს ლეთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. წმინდა სინოდის ობერ პროკურორის 1896 წლის 25 სექტემბრის ბრძანებით იგი დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სემინარიის, სემინარიის დახურვის შემდეგ, სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად<sup>32</sup>. მ. ჩოგოვაძე თავისი ქვეყნის და ხალხის მგზნებარე პატრიოტი იყო და მოსწავლეებსაც ამ სულისკვეთებას უნერგავდა. ჩოგოვაძე დაჯილდოებული იყო პედაგოგის საუკეთესო თვისებებით, იგი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ არ გამოპარვოდა სახალე მეცნიერების საფუძვლების სწავლების საქმეში. მას ეკუთვნის მრავალი წერილი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. აკაკი წერეთელმა მ. ჩოგოვაძის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სი-

<sup>31</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1962, № 4, გვ. 126.

<sup>32</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 5, საქმე 552.

ტყეაში აღნიშნა, რომ იგი „იყო ღირსეული ადამიანი, თავდადებული ქართველი, უმწიკვლო თავის ასპარეზზე და ჩუმი მოღვაწე. ამისთანა მოღვაწენი ხშირი არ არის ჩვენში<sup>33</sup>“. გ. ტაბიძის არქივში დაცულია მოსწავლეობის დროინდელი რვეული, რომელშიაც თემებია ჩაწერილი, ყოველი თემის ქვეშ, ლამაზად, წითელი მეღწით მიწერილია: „წ. მ. ჩოგოვაძე<sup>34</sup>“. გალაკტიონის თანაკლასელი იგონებს: „გალაკტიონი განსაკუთრებით კარგად წერდა თხზულებებს ქართულ და რუსულ ლიტერატურაში. მის ნაწერებს მასწავლებლები თომა ფერაძე და მეღიბონ ჩოგოვაძე სანიმუშოდ გვიკითხავდნენ ხოლმე კლასში<sup>35</sup>“. მ. ჩოგოვაძე გალაკტიონის ლიტერატურული გემოვნების დახვეწა-ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი ითამაშა<sup>36</sup>.

უფროსი ძმის თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩარიცხვის შემდეგ (1905 — 1906 წელი) მაკრინემ გალაკტიონი ქუთაისში დატოვა, თვითონ კი სოფელს დაუბრუნდა. დედის ფიქრები განუყრელად გალაკტიონთან იყო: „ფიქრებიდან განუშორებელი, საყვარელი შვილო, ჩემო გატო! პირველად შენთვის ყოველივე კეთილს ვისურვებ, რომ შენი დედა არ დატანჯულიყოს. გატო, შვილო, შენ ნამეტანი იყავი ჩემთან მოჩვეული და მე შენთან. ეხლა მოშორებული მყავებარ და თუ ივარგებ უჩემოდ, არა მგონია. რა ვქნა დედა, ამ წრეულ არაფერი მიხერხდება, აქაობის მიტოვება არ გვარგია. აბა შენ იცო, თუ ივარგებ. თავი საქმეა ყოფაქცევა და მერე კარგი სწავლა. კარგი თვარა, გაჭირებული რა არის? როცა მაგ კლასში მიგაბარე, ინსპექტორმა მითხრა, თუ კაი ყოფაქცევას და კაი სწავლას გვიჩვენებს, ჩვენგანაც დიდი ზელის წყობა ექნებაო, ნუ იქ, დედა-შვილობას, შენ საზიანოს, ცუქობას ან სიზარმაცეს. ეს წერილი მალ-მალე წაიკითხე და შენი დედის დარიგება არ დაგაფიწყდეს<sup>37</sup>“. მეორე წერილში დედა გულისტკივილით წერდა: „ძალიან გულს მაკლავია, რომ შენ ხელისწყობაზე გღალატობ უქონლობით. მარა აწი შე

<sup>33</sup> ეურნ. „განათლება“, 1910, № 3, გვ. 148.

<sup>34</sup> გ. ტაბიძის არქივი, დოკუმენტების საქაღალდე.

<sup>35</sup> ა. ლ. გ. ო. რ. ვ. ა. დ. ე. ჩემი მოგონება გალაკტიონზე, ვაზ. „სახლო კოლხიდა“, 164, № 10.

<sup>36</sup> „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებ. 3, 1968, გვ. 153—156; ი. ს. კ. ბ. ა. ლ. ა. ნ. ი. ე. ა. დ. ე. მეღიბონ ჩოგოვაძე, თსუ, 1981.

<sup>37</sup> ეურნ. „ცისკარი“, 1962, № 4, გვ. 123.

ვაცი. გატო, დედა, ძროხამ კაი ხბო მოიგო და ახლა ჩვენმა ოჯახმა წამოიწია... ბიძაშენმა გიჩივლა ჩემთან. ბევრ ქალაღლებსა და წიგნებს კითხულობსო და ეგზამენებს ჩამორჩებაო. ვერ დავიჯერებ, დედა, შენს საზიანოს რასშეს იზამ, დედაშენს დატანჯავე?.. შენ მოლოდინში ვარ, რომ მოხვალ კარგი საშარვლით გაგანარებ“...<sup>38</sup>

შეილი უპასუხობდ არ ტოვებდა დედის წერილებს. ერთ-ერთ წერილში იგი წერდა: „საყვარელო დედა! აბესალომს წერილი გაუგზავნე, როგორც შენ დამიბარე, შე ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში გადაეულო, მაგრამ შეილ მანეთ ნახევარზე არ დამაყენა. ფულს წინდაწინვე თხოულობს, მე ჭრჭერობით ოთხი შანეთი მიეუცი. შენგან გამოტანებულ სამ მანეთს პროკლეს მოცემული მანეთი მიეუმატე, კალოშებს ვერ ვყადულობ. ხაზეიკის ფული, სამმანეთნახევარი რაც შეიძლება მალე გამომიგზავნე“...<sup>39</sup>

მეტად გულწრფელი და თბილი ურთიერთობა სუფევედა ცმებს შორის. უფროსი ძმა ყურადღებას იჩენდა უმცროსისადმი. 1907 წლით დათარიღებულ წერილში აბესალომი წერდა მას: „ქუერთ იყავი და ზნეობას ყურადღება მიაქციე. რაც ბავშვობაში შეგზარდებდა, ის სიბერემდე შეგარჩება, სხვა რა გითხრა გალაქტიონს! უთუოდ ეხლაც ლექსებს წერ, სწერე, სწერე და სწავლასაც ყურადღება მიაქციე“. წერილი ნიშანდობლივია იმითაც, რომ მასში კარგად ჩანს გალაქტიონის პოეზიით გატაცება უკვე 1907 წელსაც. არც უმცროსი იყო უყურადღებო, იგი კარგად იყო ინფორმირებული აბესალომის ყოველდღიური ცხოვრების ამბებით. ძლიერ გაახარა გალაქტიონი აბესალომის პირველმა ცდებმა მწერლობაში: „ძმაო, წავიკითხე „ისარის“ 25 თებერვლის ნომერში (1907 წ. — ი. ლ.), ძალიან გამეხარდა, როდესაც ფელეტონში მოქცეული პატარა ამბავი — „წერმა“ წავიკითხე, რადგან ქვევით შენი სახელი და გვარი იყო მოწერილი. დედაჩემს ვეთხარი, იმასაც ძალიან გაუხარდა“. ურთიერთობა ძმებს შორის სიციცხლის ბოლომდე კარგი იყო, განსაკუთრებით აბესალომში იჩენდა სიტბოსა და მზრუნველობას, რამდენადაც მას კარგად ესმოდა თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა მისი ძმა ქართველი ერისთვის, მისი მრავალსაუკუნოვანი პოეზიისათვის. გალაქტიონს ეს კარ-

<sup>38</sup> იქვე, გვ. 124.

<sup>39</sup> გაზ. „ქუთაისი“, 1963, № 180.

გად ესმოდა და ამიტომაც უზიარებდა შას ყველაფერს, იქნებოდა ეს მისი საღამოს ჩაშლა თუ კარგი ლექსის დაწერა.

1904—1905 წლების შლელვარე დღეები ოდნავ მიწყნარებული იყო, რომ მოსწავლეთა შლელვარებამ კვლავ შეიპყრო ქუთაისი, კერძოდ სასულიერო სასწავლებელი და განსაკუთრებით ის კლასი, რომელშიაც გალაკტონი სწავლობდა. III და IV კლასელებმა გაფიცვა გამოაცხადეს. საქართველოს ეგზარხოსის არქივისკომოს ნიკონის მიწერილობაში იმერეთის ეპისკოპოს ლეონიძისადმი (1907 წ., 12 ნოემბერი) იკითხება: „სასწავლებლს შმართველობამ (სასულიერო სასწავლებლის — ი. ლ.) გაარკვია III და IV კლასების გაფიცვის მიზეზი, რაც გახდა საბაზი ამ კლასებიდან მოსწავლეთა გარიცხვისა. მიწერილობაში მითითებულნი არიან დამნაშავენი, მეცადინეობის შეწყვეტისა და კლასების დახურვის მიზეზები, აგრეთვე ღონისძიებანი შეცადინეობის აღსადგენად ამ კლასებში<sup>10</sup>.. დამნაშავენი ყოფილან მოსწავლეები: სირბილაძე, გოგოძე და ქეიშვილი, რომლებიც გაურცხავთ სასწავლებლიდან. მოსწავლეთა შლელვარება არ დამცხრალა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის გენერალ-მაიორ სლავოჩკინის 1908 წლის 8 თებერვლის (№ 1203) მიმართვამი აღნიშნულია: „ქ. ქუთაისის ვავთა სასწავლებლებში შეწყვეტილი უმსგავსოებებისა და უწესრიგობათა გამო, რომელსაც მიმართავენ ადგილობრივი სკოლების მოსაწავლეები შეკრებებსა და კრებებზე, მაიძულებს მე ქ. ქუთაისის ყველა სასწავლებლის უფროსი დავავალდებულო გაუწიონ გულმოდგინე მეთვალყურეობა მოსწავლეთა ყოფაქცევას არა მარტო სასწავლებლებში, არამედ მის გარეთაც, კერძოდ ბინებშიც, რისთვისაც კლასების დამრიგებლებმა და მასწავლებლებმა რაც შეიძლება ხშირად ჩამოუარონ ყველა მოსწავლის ბინას და ამრიგად ადევნონ თვალყური მათ ყოფაქცევას სკოლების გარეთ, რათა საუწყებო პერსონალი სათანადო ყურადღებითა და გულმოდგინებით მოეკიდოს ჩემს ამ თხოვნას<sup>11</sup>.. ენერგიულმა და ქმედითმა ზომებმა აღადგინა წესრიგი, მოსწავლეთა შლელვარებამ იკლო და მიწელდა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასი გამოსაშვებ გამოცდებისათვის მზადებას შეუდგა.

<sup>10</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1832, ფურ. 66.

<sup>11</sup> იქვე, ფურც. 74.



1908 წლის 3 მაისს დაიწყო გამოცდები, რომელიც 31 მაისამდე გაგრძელდა<sup>42</sup>.

31 მაისს კურსდამთავრებულებს გააცნეს თბილისის სასულიერო სემინარიის 1908 წლის 16 მაისს მიმართვა სემინარიაში მიღების წესების შესახებ. მომართვის გაცნობას ხელმოწერით ადასტურებს 34 კურსდამთავრებული, რომელთა შორის პირველი ხელმოწერა ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს. სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელობამ 34 ხელისმომწერთაგან მხოლოდ 26-ს მისცა რეკომენდაცია თბილისის სემინარიაში სწავლის გაგრძელებაზე. მათ შორის ხუთს პირველი ხარისხით, 21-ს მეორე ხარისხით. აი, ამ სიის ფრაგმენტი:

**„თანრიზის სია“**

1907/8 ხახნავლო წელს ქუთაისის სასულიერო ხახნავლების  
კურსდამთავრებულთა

პირველი თანრიგით

(ჩამოთვლილია ხუთი მოსწავლე — ი. ლ.)

მეორე თანრიგით

№№ გსმს	ვისი შვილია	დაბად. წელი	ვის ხარჯზე	სად იგზავნება
21 ტაბიძე გალაკტიონ	ვარდ. პრეტჩატ- ნიკისა	1891 5 ნოემბერს	ბებოლების	სემინარიაში

შეფასებანი: სამღვთო რჯული — 4, რუსული ენა — 4, ქართული ენა — 5“. ეს კი გ. ტაბიძეს უფლებას აძლევდა მშობლების ხარჯით, უგამოცდოდ ჩარიცხულიყო თბილისის სასულიერო სასწავლებელში.

1908 წლის 18 ივნისს გალაკტიონმა მიიღო სასულიერო სასწავლებლის დამთავრების საბუთი:

<sup>42</sup> იქვე, ფონდი 440, საქმე 2098, ფურც. 36.

„მ ო წ მ ო ბ ა“

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის აღზრდილმა გალაკტიონ ტაბაძემ, ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის სოფელ ჭყვიშის გარდაცვლილი მედავითნის ვაჟმა, დაბადებულმა ნოემბრის თვის ხუთ-რიცხვში ათას რეაასოთხმოცდათერთმეტ წელს, 1900 წელს შემო-სულს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლს პირველ მოსამზადებელ კლასში ფრიადი (5) ყოფაქცევით, გამოიჩინა შემდეგი წარმატება:

საღმრთო (ძველი აღთქმა) _____	4
ისტორია (ახალი აღთქმა) _____	4
კატეხიზისი _____	4
ღვთისმომსახურების განმარტება	
საეკლესიო წესდებით _____	3
ენები:	
რუსული საეკლესიო სლავურით _____	3
ლათინური _____	3
ქართული _____	5
სამოქალაქო ისტორია, საეკლესიოსთან	
ერთად _____	4
არითმეტიკა _____	3
გეოგრაფია _____	3
ბუნებისმეტყველება _____	3
სუფთა წერა _____	5
საეკლესიო გალობა	
ქართული _____	4

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლს სრული კურსის დამთავრების გამო ტაბიძე გალაკტიონი სასწავლებლის მმართველობის მიერ 1908 წლს 2—31 ივნისის საეურნალო დადგენილებით № 15 სარგებლობს მეორე თანრიგის სასწავლებლების აღზრდილთათვის დაწესებული უპირატესობით, რომელიც სასულიერო სასწავლებლის წესდების შესაბამისად მინიჭებული აქვთ სასწავლებლის კურსდამთავრებულებს უმაღლესი დადგენილების 1884 წლის 29 აგვისტოს 124 პარაგრაფის ძალით.

სამხედრო ვალდებულების მოსახდელად გაგზავნისას იგი სარგებლობს შეღავათით, რომელიც ენიჭებათ მეორე თანრიგის სასწავლებ-

ლის აღზრდლებს (მუხლი 64 და სამხედრო ვალდებულების წესდების 61 მუხლის დამატება, გამოცემა 1897 წლისა).

რის დასადასტურებლად გაცემულია ეს მოწმობა, სათანადო ხელისმოწერით და სასწავლებლის ბეჭდის დასმით.

ქ. ქუთაისი. 1908 წლის 18 ივლისი. ხელმოწერა<sup>43</sup>..

დიდი აკაკის სავარდო და სამაისო ქუთაისში ვალაკტიონს ტყბილი ძუეუ აწოვა, პოეზიის მადლს აზიარა. აქ გადადგა მან პირველი ნაბიჯები პოეზიის დიდ გზაზე. მრავალი მწველი ლამე გაუთენებია ქართული პოეზიის მომავალ მშვენებას სიტყვასთან, სტრიქონთან ჳიდილში. პოეტური ბუნებოთ ვალაკტიონი გამოირჩეოდა თანატოლთა შორის, რასაც არა ერთი მისი თანამოსწავლე ადასტურებს. იგი ხშირად უკითხავდა თავის ლექსებს კლასისა თუ სასწავლებლის ამხანაგებს. „რამდენიმე წლის განმავლობაში, სასწავლებლის დამთავრებამდე, — ივონებს გ. მიხელიძე. — დაახლოვებულ ამხანაგებს ვალაკტიონი ხშირად გვიკითხავდა ლექსებს<sup>44</sup>“. იგი მონაწილეობას ღებულობდა ლიტერატურულ დიღებში, რომელსაც შელიტონ ჩოგოვაძის ხელმძღვანელობით ატარებდნენ მოსწავლეები<sup>45</sup>. ჩვენამდე მოაღწია სასწავლებლის უკანასკნელ კლასში სწავლის დროინდელმა ლექსებმა: „სალამო“, „ჩუ. ძახილია, მხიარულობენ“. პირველი დაწერილია 1908 წლის 3 მაისს, მეორეც იმავე ხანებში, რამდენადაც ავტოგრაფის ვერსო გვაუწყებს მისი თანაკლასელების გვარებს. დამწყებ პოეტს მხიარულება არ იტაცებდა, იგი დაღვრემილი შეპყურებდა მის გარშემო არსებულს და თბოვნით მიმართავდა მუზას:

და შენც, ოპ, მუზავ, გთხოვ, გვედრები,  
არ გადაზღუდო შენი უფლება...

ცდილობდა, მუზა თავისი სულიერი მდგომარეობისათვის დაქვემდებარებინა. რადაც დიდი ტკივილი აწუხებდა, აგონდებოდა „წარსული დრო, დრო ძლიერების“, როდესაც:

ტალღას ტალღაზედ შეარწევდა  
ბობოქრობითა  
და შესძახებდა გრძნობით იგო:  
„გამარჯვებითა“...

<sup>43</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1826, ფურ. 62.

<sup>44</sup> ეურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 175.

<sup>45</sup> გაზ. „ახალი კოლხიდა“, 1964, № 105.

ცხადია, იმ ახლო წარსული ქარიშხლიანი რევოლუციის მგზნებარე დღეთა შთაბეჭდილებების ასახვასთანავე გააქვს საქმე, რომლის დამარცხებამ კაბუჯ პოეტში მკვეთრად განსხვავებული გრძნობა დაბადა:

ახლა უძლური, უსიცოცხლო  
ზღვა არ ბობოქრობს,  
ზღვა აღარ დრტვინავს უწინდებურად,  
ის ფიქრობს... ფიქრობს!<sup>46</sup>...

იგონებდა რა ბავშვობის წლებს, პოეტი წერდა: „ბავშვობისას მიყვარდა განმარტობება, ოცნება. ეს თვისება გამოძევდა შემდღეშია. ადრე დაიწყო ლექსების წერა. მოწაფეობისას რამდენიმე რვეული მქონდა დაწერილი. სოფელში ჩავჯდებოდი ხის ძირას და ფანქარი რვეულში ვწერდი ლექსებს. ზოგჯერ კიდევ ჩამძინებია იქვე. რამდენჯერმე ვუნახივარ ამ მდგომარეობაში შეშფოთებულ დედას. სამწუხაროდ, ამ ლექსების რვეულები დამეკარგა“<sup>47</sup>.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პერიოდიდან ერთი ფაქტი იქცევა ფრიად სერიოზულ ყურადღებას, იმ ფაქტის მართებულ ინტერპრეტაციას პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი ცნობილი ლექსი — „პირველი მაისი“, რომელიც 1933 წელს გამოქვეყნდა პირველად ჟურნ. „მნათობში“ (№ 5) და 1937 წელს, თბულებათა პირველ ტომში წაემძღვარა შენიშვნა: „ლექსი წაკითხული არალეგალურ სადამოზე 1908 წელს“ სერიოზულ ექვს იწვევს. ავტოგრაფიულ ჩანაწერებში „გალაქტიონის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელიც შესაბამე პირშია დაწერილი მის მიერ, ვკითხულობთ: „1905. გალაქტიონი მონაწილეობას იღებდა მოწაფეთა არალეგალურ შეკრებებში, რომლებიც იმართებოდა ძველი ტაძრის ნანგრევებში, იქ კითხულობს ლექსს — „პირველი მაისი““<sup>48</sup>.

„პირველი მაისი“ ყოველგვარი შენიშვნისა და თარიღის გარეშე პირველად ჟურნ. „მნათობში“ გამოქვეყნდა 1933 წელს (№ 5). ლექსის ავტოგრაფი, რომელიც ჩინებულად ასახავს შემოქმედებით მხა-

<sup>46</sup> გ. ტაბიძე, თბ. ტ. I, 1966, გვ. 48, 49. ამ ლექსებით უნდა გახსნილიყო პოეტის თბულებათა ეს ტომი, შავრამ სარულაქციო კოლეჯამ ეს რატომღაც მიზანშეუწონლად სცნო და პრიორიტეტი პირველად გამოქვეყნებულ ლექსებს მისცა,

<sup>47</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1968, № 1, გვ. 140.

<sup>48</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371—110.

რეს, დათარიღებულია 1933 წლის 26 აპრილით. ავტოგრაფზე არის მინაწერი: „ექსპრომტი ცხრაას რვა წლის ლექსებიდან, იბეჭდება ავტორის უმნიშვნელო ცვლილებებით“.<sup>49</sup>

ფაქტის დასაფხვანად, დამატებითი ცნობებისათვის ჩვენ მივმართეთ გალაკტიონის თანატოლებს, თანამოსწავლეებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ პოეტის სასულიერო სასწავლებელში ამ წლებს საქმიანობას: ალექსანდრე გორგაძეს (რომელიც ჩემი ისტორიის მასწავლებელი იყო 30-იანი წლების დასაწყისში თბილისის მე-14 სკოლაში), სემირაგდონ ჩახუნაშვილს, ვასილ შანძეს, დომენტი დედარიანს, გერასიმე ბარათაშვილს, ღიომიდე ბახტაძეს (ამჟამად ყველა გარდაცვლილია). არც ერთმა მათგანმა რაიმე ნიშანდობლივი და ხელმოსაკადი არაფერი გავვიზიარა. წერილობით გამოგვეხმაურა გენადი მიხელიძე, რომელიც თავის „მოგონებაში“ („მნათობი“, 1962, № 1) ნაწილობრივ ადასტურებდა „პირველი მაისის“ წაკითხვის ფაქტს (ისე, როგორც 90 წლის ნასონ ასათიანი). იგი გვწერდა: „გადაჭრით ვაცხადებ. რომ კარგად ვიცნობ გალაკტიონის ყრმობის პერიოდს (მის მიერ ზოგიერთი რამის „კარგად ცოდნაში“ ჩვენ ადრე დავრწმუნდით, როდესაც მას ქუთაისში მოპოვებული საბუთების ასლები გავაცანით და დავარწმუნეთ მის არა ობიექტურობაში — ი. ლ.)... მოწაფეობის პერიოდი, 1900—1910 წ. წ., ჩვენ ერთად განვლეთ და ვფიქრობ, რომ ამ პერიოდის მის ცხოვრებას ბევრზე უკეთესად ვიცნობ. მეკითხებით — „შეგიძლიათ თუ არა დაადასტუროთ, რომ სწორედ ლექსის ეს რედაქცია წაიკითხა ავტორმა თუ ის სხვა ვარიანტს წარმოადგენდა?“ გიპასუხებთ: „მოგონებაში“ მე არ მითქვამს, რომ ბაგრატიის ტაძრის გალავანში წაკითხული „პირველი მაისი“ ზუსტად (სიტყვა-სიტყვით) იგივე ლექსი იყო, რომელიც პირველად 1933 წელს გამოქვეყნდა. როგორც მახსოვს ის „პირველი მაისი“. რომელიც გალაკტიონმა წაიკითხა, ეგონებ 1907 წლის მაისში. მე გადაჭრით არ ვადასტურებ 1907 წელს, რადგან არ მახსოვს ზუსტად, მაგრამ ეს წელი უნდა ყოფილიყო ლექსის წაკითხვის წელი და არა 1908 წელი, ვინაიდან ამ უკანასკნელი წლის მაისში დავამთავრე სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და კარგად მახსოვს ის მაისი, მაგრამ არ მახსოვს რომ „პირველი მაისი“ იმ წელს წაკითხულიყო,

<sup>49</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 5381.

უფრო პრაგმატიული უნდა ყოფილიყო, როგორც შინაარსის მხრივ, ისე ფორმითაც, ვიდრე 1933 წელს დაბეჭდილი“.<sup>50</sup>

ლექსის შემოქმედებითი ისტორიის შესწავლამ ცხადყო, რომ მისი იდეურ-კლასობრივი უღერადობა, პოეტური ფორმა, მეტრი არ შეესაბამება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე-პოეტის ჩუშენასა და შესაძლებლობას, მის ლექსიკას. გალ. ტაბიძე ქუთაისში მომკმედ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს დაუახლოვდა 1912 წლის მიწურულიდან, განსაკუთრებით სოც-დემოკრატიული მიმართულების განზეთების რედაქციებში თანაშემროლობის დავალებიდან, რის გამოც ზოგიერთი ცნობა უდაო დაზუსტებას მოითხოვს.

1908 წელს ქაბუკი პოეტი თბილისის სასულიერო სემინარიაში აარსებს ხელნაწერ ჟურნალს — „შუქი“; რომელშიც მან შეიტანა თავისი ლექსები და წერილებიც (მათ დაწვრილებით მომდევნო თავში შეგვხვებით), რომლებშიც კარგად იგრძნობა მისი „რევოლუციური პათოსი“, მაგრამ ის იდეურ-კლასობრივი უღერადობა, რომელიც ასე ძალუმადაა გამოვლენილი ლექსში „პირველი მაისი“, ხელნაწერ ჟურნალში მითავსებულ მასალას არ ახასიათებს, მათთვის უცხო. მსგავსი უღერადობა და რიტმი: „დრო მოვა და ისევ პროლეტარიატი მაისის ვარდებით სიცოცხლეს აივსებს“... იმავე 1908 წლის 3 მაისს დაწერილი ლექსის — „საღამოს“ ანალიზი ნათელს ხდის ავტორისეული თარიღის უმართებულობას. ამასვე აღასტურებს 1908 წელს მის მიერ დაწერილი ლექსების პოეტური სემანტიკა, მათი ანალიზი (იქნება ეს „მთვარე კაშკაშებს“, „შავი ღრუბელი“, „ჩუ, ძახილია“, „რომანსი“, „როცა ბულბული განთიადისას“, „ვეითარცა გედი ზღვისა სიღრმეში“, „შუქი“, „ნიავი“, „ორი“ თუ სხვა<sup>51</sup>). ყოვლად წარმოუდგენელია, რომ გალაკტიონს მისი შემოქმედების ისტორიისათვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ლექსი 1933 წლამდე არ გამოქვეყნებინოს. ზოგიერთი, რომელიც, სამწუხაროდ, არ იცნობს ქართულ პრესას, ირწმუნება თითქოს „პირველი მაისი“ დაიბეჭდა „სტოლინინის რეაქციის შავბნელ პერიოდში“<sup>52</sup> (ეს ცნობაც ავტორისაგან მომდინარეობს). ამრიგად, 1933 წელს დაწერილ და გამოქვეყნებულ ლექსს აღრინდელი თარიღით ვერ დავათარილებთ. სამწუხაროდ,

<sup>50</sup> გ. მიხელოძის ეს წერილი, სხვა დიდძალ მასალასთან ერთად, 1974 წელს გადაგვიცოთ თბილისის უნივერსიტეტის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის კაბინეტს.

<sup>51</sup> იხ. გ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. I, 1966, გვ. 47—61.

<sup>52</sup> ფ. ნ. ო. შ. ნ. ა. ნ. ი. ნ. ე., გალაკტიონის ცხოვრებიდან, 1964, გვ. 25.

„პირველი მისი“ არ არის ერთადერთი გამონაკლისი გალაკტიონის მიერ ლექსების თარიღების შეგნებული აღრევისა. ასეთი ჩვევა პოეტს გამოუმუშავდა იმ მძიმე წლებში, როდესაც პროლეტკულტელი კრიტიკოსები ყოველივე სუბიექტურში ანტირევოლუციურ გამოხდომებს ხედავდნენ, როდესაც მკვეთრად იმიჯნებოდა წარსული და აწმყო. გალაკტიონიც ყოველმხრივ ცდილობდა „წაეშალა“ ყოველგვარი კვალი აღრინდელი გატაცებებისა და ამით თავის შემოქმედებითი გზა გაეერთფეროვნებინა. დიდი მწერლები, ნებსით თუ უნებლიეთ, ზოგჯერ დახვეწილი მისტიკოსებიც არიან. არც გალაკტიონს დაუკლია გარეშემყოფათვის მისტიფიკაცია, მრავალჯერ თარიღებიც აურევია და სხვა ხერხებისათვისაც მიუმართავს.

გ. ტაბიძის ნაწარმოებთა მეცნიერული დათარიღების საკითხს ჩვენ საგანგებო მოხსენებით შევხებით 1964 წელს (იხ. შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXIV სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, გვ. 7—8). მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია, რაც აღნიშნა პრესაში („თბილსი“, 1964, № 82). 1965 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში — „გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები“ დათარიღების საკითხს მთელი თავი მიუძღვნით. რა დიდად სასიამოვნო იყო, როდესაც ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რვა წლის შემდეგ, გამოუჩნდა მხარდამჭერი რ. თვარაძის სახით, რომელმაც თავისი მონოგრაფიის არა ერთ გვერდზე (50, 51, 86, 87, 88, 90, 93, 96—97 და ა. შ.) მიუთითა „აშკარად ნაყალბე თარიღებზე“ და „შენიშნა, რომ: „ვისაც გალაკტიონის არქივთან არ ჰქონია ჯაჭმე, ვერასდროს წააშიოდგენს, რაოდენ ძნელი და, ამასთან, სარისკო საქმეა, მისი ლექსების დათარიღება... ზედმეტია იმის ხაზგასმა, რომ აკადემიურ გამოცემაზე მომუშავე პირებს უაღრესად დიდი ჯაფის გაწევა მოუხდათ ამ მხრივ (სხვას რომ ყოველივეს თავი დაუვანებოთ) მაგრამ ის-ც აშკარაა: მრავალი ნაწარმოების საბოლოო თარიღი: ჯერაც, არ არის დადგენილი“ („გალაკტიონი“, 1972 გვ. 97). სამწუხაროდ რ. თვარაძისათვის უცნობია თუ რა ბრძოლა მიმდინარეობდა აკადემიური გამოცემის ტომებში ყოველი ცალკეული ლექსის დათარიღებაზე). რ. თვარაძე გაკვირვებული წერს: „ეს ალბათ უიშვიათესი ნემსხვევაა მსოფლიო ისტორიაში, როდესაც თვითონვე ავტორმა

შეიტანა ქაოსი საკუთარ ნაწარმოებთა დათარღ-  
ლებაში, უსაშველოდ არივ-დარია თავისიე;  
ლექსთა დაწერის თარიღები“ (გვ. 50—51... დაყოფა ჩე-  
ნია — ი. ლ.). საბედნიეროდ ეს „უიშვიათესი შემთხვევა“ არ არის.  
ეს სენი მრავალს სჭირდა: რაბლეს, სტენდალს და ბევრ სხვას.

## თ ა ვ ი მ ა ს ა მ ე

### თბილისის სასულიერო სემინარიაში

1908 წლის პირველი სექტემბრიდან გალაკტიონი თბილისის სა-  
სულიერო სემინარიის მოსწავლეა.“ მე ეხლაც კარგად მახსოვს თბი-  
ლისში ჩამოსვლის პირველი დღე, ენკენისთვის პირველი დღე-  
ები. მზე არ ჩანდა, ჰაერი დაგუბებული იყო, სუნთქვა ჭირდა,  
მიძნელდებოდა. სოფლიდან ჩამოსული სემინარიელები იდგნენ სას-  
წავლებლის შენობის წინ, ერევნოს (დღეს ლენინის — ი. ლ.) მოედ-  
ნის ახლოს. აქა-იქ გუნდებოდ დაყოფილ სემინარიელებში ცხარე კა-  
მათი იყო გაჩაღებული. კარგად არ მახსოვს რაზე კამათობდნენ, შახ-  
სოვს მხოლოდ მათი ანთებული სახეები და გაბრწყინებული თვა-  
ლები, ზოგი შედიოდა სემინარიის კანცელარიაში რალაც დავთრების  
გამოსატანად ან ამბის შესატყობად. შევიცარმა ჩემი სახელი და გეა-  
რი დაიძახა. მე შევედი. კანცელარიაში მაგიდასთან მოხუცი მძსწავ-  
ლებელი იჯდა.

— დაბრძანდით, — მითხრა მან, — ცოტა რამ უნდა გკითხოთ, —  
მე მაინც ვიღეჭი.

— რომ შეგვხვდეს ვინმე და გკითხოს, როგორ უნდა უპასუხოთ?—  
„რა სისულელეა, — გავიფიქრე, — ეუპასუხებ როგორც საჭიროა“.

— ეუპასუხებ სახელსა და გვარს, — ვუთხარი მასწავლებელს.

— Но, но!

— მე გავჩერდი.

— აი, როგორ უნდა უპასუხოთ, — თქვა მასწავლებელმა, —

**Я воспитанник Тифлисской духовной семинарии Галактион Табидзе!** გაიმეორეთ!



მე გაემეორე....

— ეხლა უნდა შეგატყობინოთ, რომ თქვენ მიღებული ხართ სე-  
ნინარიაში... შეგიძლიათ წახვიდეთ. დაუძახეთ შენდევს, — მიმართა  
მან ზედაშხედველს. მე გამოვედი<sup>1</sup>. ასე იგონებდა გალაკტიონი  
პირველ დღეს თბილისის სემინარიაში. ამავე დღეებს განცდრის,  
ღუმორულ ტონში, გვამცნობს პოეტი: „1908 წელს, ქუთაისიდან რომ  
ჩამოვედი, ათი სემინარიელი მივედით ალექსანდრეს ბაღში (დღეს  
26 კომისრის. — ი. ლ.) მივედით ონკანთან მოწყურებული. მე მოუშვი  
ონკანი. მოვარდა წყალი და როგორი სისწრაფით. უბედურება, ონ-  
კანი შემდეგ არასგზით არ დაიკეტა, არა და არა, რომ ვერას გავხდით,  
მივატოვეთ ის მოშვებული წყალი და ვუტიეთ. ჰმ, დამამახსოვრდა  
ეს ამბავი. ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს: ონკანი რომ მე გავ-  
სენი“<sup>2</sup>.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულები სე-  
მინარიაში მესამე განყოფილების პირველ კლასში მოხვედრილან<sup>3</sup>.

დაიწყო სემინარიული ცხოვრება. გალაკტიონი სემინარიის საერთო  
საცხოვრებელში — ბურსაში — დაბინავდა, იქვე ცხოვრობდა მძი ძმა.  
პირველი განყოფილების მეორე კლასის მოსწავლე, კარგი აკადემიური  
მოსწრების მქონე, რომელმაც 1908 წლის 1 მარტს თხოვნით მიმართა  
სასწავლებლის ხელმძღვანელობას, რომ ჯანმრთელობის გამო მისთვის  
ნება დაერთოთ ეცხოვრა კერძო ბინაზე<sup>4</sup>.

საღმრთო სჯული, სიტყვიერების თეორია, ლათინური, ქართული,  
ფრანგული (გერმანული) ენები, ალგებრა, სამოქალაქო ისტორია,  
ქართული და სლავური საეკლესიო გალობანი და თხზულება  
(сочинение) — აი ის საგნები, რომლებიც ისწავლებოდა პირ-  
ველ კლასში. ყოველი შეფასება — ნიშანი, რომელიც გალაკტიონს  
მიუღია 1908—1909 სასწავლო წელს აღნუსხულია საკლასო ჟურნალ-  
ში (მოსწავლეთა გვარები ჟურნალში სტამბურადაა დაბეჭდილი, თი-  
თოეულ საგანს დათმობილი აქვს 6—6 ფურცელი). გალაკტიონის  
შეფასებანი ცალკეულ საგნებში ასეთია:

<sup>1</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371—18; ტ. XII, გვ. 246.

<sup>2</sup> იქვე, დღ. 610, გვ. 29; ტ. XII, გვ. 230.

<sup>3</sup> საქართველოს სსრ ცსა ფონდი 440, საქმე 2139, ფურ. 1.

<sup>4</sup> იქვე, საქმე 2084, ფურ. 2.

სადმართო წერილი (მასწავლებელი მურახოვსკი)<sup>ა</sup>

№ გვარი, სახ. სექ. ოქტ. 1/4 ნოვ. დეკ. 2/4 ია. თებ. 3/4 წლიური

27 ტაბიძე გ. 3— 3— 3 2 3 3 3 3— 3— 3

სიტყვიერების თეორია (მასწავლებელი ი. ვართაგავა)<sup>ბ</sup>

№ გვ. სახ. სექ. ოქტ. 1/4 ნოვ. დეკ. 2/4 იან. თებ. მარ. 3/4 აპ, მაი, წლიური

			თბზ.								თბზ. 3	
27 ტაბიძე გ.	2	2	2	3—	2	3—	3—	3—	3—	3	3—	3—
					2,5	3	3—	2	3—		3	

წლიური შეფასება ასეთია: სამოქალაქო ისტორია 2, ქართული 4, სიტყვიერების ისტორია 3, სადმართო წერილი 3. საერთო შეფასება 3. პედაგოგური საბჭოს გადაწყვეტილებით იგი გადაყვანილია შემდეგ კლასში.

ცდება გ. მიხელიძე, რომელიც ირწმუნება, თითქოს: „მურახოვსკიმ ის იმავე კლასში დატოვა... მეორე წელს იმავე პირველი კლასიდან ის გამოიციხეს“-ო („მნათობი“, 1962, № 11, გვ. 179). როგორც დოკუმენტები ცხადყოფენ, გალაკტიონმა საშუალო წარმატებით დაამთავრა პირველი სასწავლო წელი და იგი გადაყვანილი იყო მეორე კლასში. რაც შეეხება მურახოვსკის საგანში გალაკტიონის მოუწონებლობას ის „მოგონებათა“ ავტორის ფანტაზიის ნაყოფია.

ქუთაისში თანშეზრდილი ამხანაგები, რომლებიც მასთან ერთად ირიცხებოდნენ კლასში, უმსუბუქებდნენ პოეზიით გატაცებულ მეგობარს ბურსაში ცხოვრებას, გალაკტიონი მათთან ერთად ტრიალებდა, მათ უზიარებდა თავის განცდებს.

„შფოთიანი ტფილისი, პოეტების სამეფო“ გახდა გალაკტიონის პოეტური ნათლობის ქალაქი. თბილისში ჩამოსვლისთანავე მან რედაქციებს მიაშურა, გაუბედავად შეალო რედაქტორების მისაღებად

<sup>ა</sup> იკვე, ფურ. 3—6.

<sup>ბ</sup> იკვე, ფურ. 8—12, 21. ქართული ენის, ალგებრის, სამოქალაქო ისტორიის, ფრანგული ენისა და საეკლესიო გალობათა შეფასებანი. იკვე, ფურ. 14—37.

კარი და მოკრძალებით გადასცა მათ თავისი ლექსები. როგორც პოეტი იგონებს: „რედაქტორებისაგან ყველაზე ამხანაგურად მეპყრობა ლაღო დარჩიაშვილი, რედაქტორი ჟურნალის „ჩვენი კვალი“.<sup>7</sup> სწორედ ამ ჟურნალის მე-19 ნომერში, 1908 წლის 28 სექტემბერს, გამოქვეყნდა ახალბედა გალაკტიონის ლექსი „შავი ღრუბელი“, რომელშიც დამწყები ავტორი გრძნობს დროის სუნთქვას და ტრადიციულად განიცდის ყოველივეს, რაც მის ირგვლივ ხდება. იგი მუქი ფერებით ხატავს „შავი არშია შემოხვეული“ წლების განცდებს. ავტორი პირდაპირ მიუთითებს თავის სევდის მიზეზს. პოეტი წერდა:

სქელი ღრუბელი,  
 შავი და ბნელი  
 სამშობლო მხარეს გადაეფარა,  
 სხივთა მფენელი  
 მზისა ნათელი  
 ჩვენს სანუგეშოდ სჩანდა იღარა.  
 მაგრამ რა გაკრა ელვამ სივრცეზე,  
 მიკლაკ-მოკლაკა თვისი სხივები,  
 სამარადისოდ მე მომეჩვენა  
 გარდმოელენილი ცით ნაპერწყლები.  
 ელვა მსწრაფლ გაქრა,  
 ისევ დაფარა  
 სამშობლო მხარე უკუნა ბნელმა,  
 ცას ცრემლები სდის,  
 ტირის მარადის,  
 გული წაიღო ისევ ნალველმა!..

ნათელია ჭაბუკი პოეტის კმუნვის მიზეზი.

იმავე დღეს (1908 წლის 28 სექტემბერს) გაზეთ „ამირანში“, გალ. ტ-ბ-მე“-ს ხელმოწერით, დაიბეჭდა მისი მეორე ლექსი „მთვარე კაშკაშებს... ცა მოქარგული“, რომელშიც დამწყები მგონისის პოეტური პროგრამაა გადმოცემული:

...შორს, შორს მიტაცებს ცისა სიტურფე,  
 მისი სიმშვიდე და მყუდროება...

<sup>7</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 192, გვ. 19; ტ. XII, გვ. 279. ერთ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში იგი ამასაც წერდა: „ტფილისში ჩამოსვლისთანავე ოცამდე დიდი „პოემით“, რამდენიმე ასეული ლექსითა და რომანტულ-დრამატული ნაწერებით, შიშაქვს შედგარა აეროში ყველა რედაქციებზე“ (იქვე; ტ. XII, გვ. 278—79).

მასში იხატვის უმანკო, წყნარი,  
უცოდველი და წმინდა ცხოვრება.  
მინდა, დავტოვო ამქვეყნიური  
ყველა სიბილწე, შური და მტრობა  
და იქ გავფრინდე, ვარსკვლავთა ციმციმს  
შუეთანაბრო მეც ჩემი გრძნობა.

„როდესაც ჩემი პირველი ლექსები დაიბეჭდა, — წერს პოეტი, — ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა რაღაც ახალი, მე შეჩვენებოდა, რომ სადღაც გაიღო კარი და მე ვიწრო საკანიდან ამოვედი თავისუფალ ასპარეზზე და ყველგან, სადაც თვალი შემიწვდებოდა იყო მზე, მოძრაობა და სინათლე“<sup>8</sup> ეს განწყობილება მას პოეტურ სტრიქონებითაც გამოუთქვამს:

აბა როგორ გამოვთქვა  
გრძნობის მეთასედი,  
დღეს პირველად ჩემს ლექსებს  
ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთი:  
ჟურნალით — „ჩვენი კვალი“,  
გაზეთით — „ამიჩანი“<sup>9</sup>.

1908 წლის სექტემბრის ეს დღე პოეტის თქმით: „იყო ყველაზე უკეთესი და ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში“<sup>10</sup>. სემინარიის თანაკლასელი ასე იგონებს ამ დღეს: „კვირა დღე. სემინარიის მოწაფეობა ეკლესიაში ვიყავით... დავგვიანებული მოწაფეები კანტი-კუნტად შემოდრიოდნენ... გალაკტიონი არ ჩანდა. წირვა დაწყებული იყო, როდესაც ის შემოვიდა... ნალპანისაგან ნებართვის მიღების შემდეგ დაიკავა თავისი ადგილი. მოიხედა ჩემსკენ და ჯიბეზე შანიშნა, ზაიდანაც გაზეთის ყურს ამოეყო თავი...<sup>15</sup> წუთის შემდეგ... აივანზე ამოვეყვი თავი, რამდენიმე წუთში იქ გალაკტიონიც გამოვიდა. მან ჯიბიდან ამოიღო ჟურნალი და გაზეთი, რომლებშიც დაბეჭდილი იყო მისი ლექსები, ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ... წირვის დამთავრებისთანავე გალაკტიონი და რამდენიმე მისი კლასის ამხანაგი ფილიპე შაგულძიძე, იროდიონ სურგულაძე (შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი), ვანო ჩლაიძე, მე და კიდევ რომელიღაც აზნა-

<sup>8</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 192, გვ. 32; ტ. XII, 278.

<sup>9</sup> ტ. I, 1966, გვ. 369.

<sup>10</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 238, გვ. 47; ტ. XII, გვ. 230.

ნავი ჩავედით სემინარიის ეზოში... პატარა აუზის გვერდით მე მიემართე გალაკტიონს მისასალმებელი სიტყვით მისი ლექსების დაბეჭდვის გამო<sup>11</sup>.

ლიტერატურულმა ცხოვრებამ დაიმორჩილა პოეზიის ეშხით მოჭადოვებულა გალაკტიონი, მისი ფიქრის საზრუნავი გახდა „ქვეყნად სიცოცხლე და გაზაფხული“. 1908 წლის ეჟურნალ „საქართველოში“ (№ 7, გვ. 16) დასტავებულ ლექსში „რომანსი“ იგი ასე გოდებდა:

შემოდგომაა, ზუზუნებს ქიარი,  
განქრა ყოველი, რაც კი გვალხენდა,  
განქრა, წარვიდა, როგორც სიზმარი...

გალაკტიონი ეძებდა თანამოაზრეს, განცდისა და გრძნობის გამზიარებელს. ასეთად მან მიიჩნია დ ი მ ი ტ რ ი (ქუჩუ) ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, რომელიც მასზე ორი კლასით წინ იყო და სემინარისტებს შორის კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. „დემონი — ფსევდონიმი იყო ქუჩუ ქავთარაძისა, რომელიც მთელ თბილისის სემინარიას უყვარდა ულწურფელი, ღრმა ამხანაგური სიყვარულით, — წერს გალაკტიონი, — ქუჩუს ნამდვილი სახელია თითქმის სრულიად არ იყო ხმარებაში, ყველგან დემონს გაიძახდნენ“. დემონი სოფელში წავიდა“. „დემონი პოემას წერს“, „დემონი ეჟურნალის გამოცემას აპირებს“ და სხვა. მე ჯერ კდე სოფელში ვიყავი, როცა დემონის რამდენიმე ლექსი წავიკითხე ერთ-ერთ ეჟურნალში. მშენიერი, გრძნობიერი ლექსები, უბრალო აკაკის ენით დაწერილი და შთაბეჭდულებების მომგვრელი... თბილისისაკენ გამგზავრების წინა დღეებში, ქუთაისში, ერთი სემინარიელი შევხვდა:

— იც, — მითხრა მან, — სემინარიაში მარტო არ იქნები, იქ ერთი პოეტი დაგვხვდება.

— მართლა? ვინ?

— დემონი — ქუჩუ ქავთარაძე.

მოუთმენლად ველოდი მის გაცნობას...

თბილისში ჩავოსვლის პირველი დღე... სემინარიელები ირგვლივ შემორტყმოდნენ ერთ ამხანაგს და გატაცებით უსმენდნენ მას... „დემონი!“ — გავფიქრე მე, დემონი უნდა იყოს“. ცოტათი გამზდარი სახე და ცისფერი, ოცნების გამოხედვით თვალები, რამდენადმე, ძლივს

<sup>11</sup> ეჟურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 176—77.

შესამჩნევი უდროო ნაოქი შებლზე, დინჯი სახის გამომეტყველება. ყველა ამან ერთბაშად მომაჯადოვა. დემონი საუბრობდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, საუბრობდა მისდამი დიდი სიყვარულთ, რაც საუბარს ელფერს მატებდა. შემდეგ მე დავერწმუნდი, რომ ამ ყმაწვილის მსგავსი მოსაუბრე მთელ სემინარიაში ერთიც არ მოპოვებოდა. მისი საუბარი უსათუოდ გავრცატებდათ, მოგზიბლავდათ, დაგათრობდათ. ვიდეჟი დიდხანს გარინდებული და ყურს ეუგდებდი ამ ხალისიან, სიცოცხლით სავსე სემინარიელის საუბარს, რომელმაც ბოლოს ასე უმიზნოდ და ტრაგიკულად დაასრულა თავისი სიცოცხლე. იმ დღესვე გაუ გე, რომ დემონი მეორე კლასში დაეტოვებინათ ლათინურის გამო. ეს გარემოება თითქმის სრულიადაც არ აღელვებდა მას...

შაბათი საღამო იყო. პირველი შაბათი სემინარიის პანსეონში. ჩამოკერეს საეკლესიო ზარებს და სემინარიელები გუნდ-გუნდათ გაექანენ ეკლესიისაკენ. ეკლესია შიგნით გაბრწყინებული იყო სანთლებით. მოსწავლეები ჭარისკაცებივით რიგზე დაეწყნენ და დაიწყო ლეთისმომსახურება, პაერი საკმეველას სუნთა და კვამლით იყო გაუღენთილი. სემინარიის გუნდი მღეროდა საგალობელს ისეთი მიმზიდველობით, რომ შეუძლებელი იყო მორწმუნე გულს არ მოხვედროდა და არ აედღვებინა იგი. ზედამხედველები ჩადგნენ თავიანთ რიგებში და გაფაციცებით აღვენებდნენ თვალყურს წესიერებას. მე შეეპაჩინე ერთ ადგილას მდგომი დემონი, იგი იდგა დამშვიდებული, სუსტი და სრულიადაც არ ინძრეოდა. იდგა ისე, როგორც მოითხოვდა ამას სემინარიის დისციპლინა. მაგრამ მის პოზაში, ცოტათი დაბლა დახრილ თავში, სწორედ დაჭერილ ხელებში იყო რაღაც საოცრად მიმზიდველი, მომაჯადოვებელი და მე შეგონა, რომ მთელი სემინარია ჩემთან ერთად მისჩერებოდა ამ კაცს, აკვირდებოდა სიყვარულით, გულისთანაცქალით, თუ როგორ გაინძრეოდა, რანაირად და რას იტყოდა ეს მოძრაობა. ცხადზე უცხადესი იყო, რომ ქუჩუ თვითონაც მოხიბლული იყო საეკლესიო საგალობლით-ილუზიით, რომელსაც ბოლოს ყოველთვის იწვევს საეკლესიო გალობა... ჩანს იგი დაიღალა ფეხზე დგომით და ცოტათი კედლისაკენ გადაიხარა და მიწვა. ზედამხედველმა იმ წამშივე შეამჩნია ეს და არწივივით გაექანა იმ ადგილისაკენ... გაისმა ჩურჩული დემონისა და ზედამხედველს შორის. საუბარმა, ალბათ, სხვანაირი ხასიათი მიიღო. მთელმა სემინარიამ იქითკენ დაიწყო ცქერა, საიდანაც ჩურჩული ისმოდა და სა-

დაც ინციდენტი ხდებოდა. ბოლოს გაწითლებული ზედამხედველი თვალების ბრიალით წაეიდა თავის ადგილისაკენ. დემონი კი იღვასწორედ, დაშვებული ხელებით, სრულიად აუღელეებლად, ისე, როგორც ამას მოითხოვდა სემინარიის დისციპლინა<sup>12</sup>... ქუჩუ ქავთარაძე გალაკტიონისათვის ყველაზე ახლობელ და ძვირფას პირად იქცა სემინარიაში. გალაკტიონი თავის მხრით ცდილობდა ყველაფერში მიებაძნა ქუჩუსათვის.

დიმიტრი (ქუჩუ) სიმონის ძე ქავთარაძე (1890—1910) დაბადა ძველ სენაკში, შამამისი (შინაურობაში ფარნაოზი) მღვდელი იყო, განათლებული პირი, საზოგადო მოღვაწე, მრავალი შვილის მამა, მათ შორის ოთხი ვაჟის (კონსტანტინე, დავითი, დიმიტრი და ბაძუ). კონსტანტინე და დავითი რევოლუციურ მოძრაობაში იყვნენ ჩაბმულნი. დავითი პოლიტიკური ემიგრანტი გახდა, ცხოვრობდა შვეიცარიაში, ახლო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი პლენანოვთან, პირადად იცნობდა ვ. ი. ლენინს. გარდაიცვალა 1916 წელს, დასაფლავებულია იტალია-შვეიცარიის საზღვარზე. ბაძუ გახლდათ უახლესი მეგობარი შალვა დადიანისა და კონსტანტინე გამსახურდიასი.

ქუჩუ ქავთარაძე სამწერლო ასპარეზზე 1907 წელს გამოვიდა „დემონის“ ფსევდონიმით. თავისი ლექსებით იგი ხან უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, ხან კი აღფრთოვანებას ეძლეოდა. ქართულ პოეზიაში იგი უსათუოდ დაიკავებდა შესამჩნევ ადგილს. მას დარჩა მრავალი ხელნაწერი (ლექსი, პოემა, მოთხრობა, ესკიზი), რომელთა შორის გამოირჩეოდა პოემა „თინათინი“, რომლის სიუჟეტი სამეგრელოს ცხოვრებიდან ყოფილა აღებული. მოთხრობას „სამ მსხვერპლს“ საფუძვლად დასდებია მისი დროინდელი სემინარიის ცხოვრება. უდროოდ გარდაცვლილი ნიკიერი ახალგაზრდა პოეტის ნაწერები არ ჩანს. მისი პოეტური ნიჭის გასაცნობად გაცეხსენებთ ერთ მის ლექსს:

#### ილიას ააფლავი

პოი მთაწმინდავ, დიდებულო ძეგლო წარსულის,  
შენ გაბარია თავშესაფრად საუნჯე ჩენი,  
შემოგვინახე წმინდა ნეშტი ქართველი ერის,  
რომ ბრძოლის ვამსა მან აღმართოს ძლიერი ბენი.

<sup>12</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371; ტ. XII, გვ. 245—248.

იქა მარხია, იმ მადლობზე... და უგუნური  
ბორტებმა დიდ სამარცხვინო საქმეს რომ კმნიდა,  
განა უწყოდა ვის შეეხო ხელი ბინძური?!  
პოი მთაწმინდავ, მამავ დავით და თქვენც ღრუბელნო,  
დაიქვეთ და შეარყიეთ სამყარო მთელი  
თქვენც ბუმბერაზნო და ამაყნო კავკასის ქედნო,  
ღროა დასძახოთ: „წამებული აღსდგა ქართველი“

(„ნიშნაღური“, 1907, № 59, გვ. 27).

1910 წელს გალაკტიონმა მეგობრის ხსოვნას მიუძღვნა პოემა „შამ-შე“, რომლის ავტოგრაფი დაცული ყოფილა ხელნაწერთა ინსტიტუტის წერა-კითხვის გაშავრელებელი საზოგადოების ფონდში (S). პოემის სათაური ჭერ „მირზა“ ყოფილა. წგს ფონდში ის 1910 წელს მოხვედრილა. ავტოგრაფის დასაწყისში იკითხება: „უძღვნი ძვირფასი მეგობრის დემონის ხსოვნას“. ხელნაწერთა ინსტიტუტში პოემა დაცულია 5188 ნომრით, მისი პუბლიკაცია ეკუთვნის ლ. ჭრელაშვილს (იხ. „მაცნე“, ელს, 1981, № 1, გვ. 165—177). დემონის პოეზიის შესახებ პატარა წერილი დაიბეჭდა ალმანახში „ჩვენი ნაბიჯი“, 1910, № 1. გაზეთ „თემში“, 1913, №№ 145, 146, 151, გამოქვეყნდა მოგონებანი ქ. ქავთარაძის შესახებ.

გალაკტიონი დაეწაფა წაგნა, კითხულობდა ბევრს. სემინარიის ბიბლიოთეკის გარდა იგი ხშირი სტუმარი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისა და წიგნის მაღაზიისა, რომელიც ტერიტორიულად ახლო იყო სემინარიასთან. მას ხშირად ნახავდით ზაქარია კიკნისაძის წიგნის სავაქროში ქაშვეთის ეკლესიასთან. მან სავალდებულო საგნების სწავლას თავი მიანება და მთლიანად ლიტერატურულ მუშაობაში ჩაეფლო<sup>13</sup>.

1908 წელს სემინარიაში ორი ხელნაწერი ჟურნალი გამოდიოდა: „ჯამუში“ (რედაქტორი მე-4 კლასელი კარბელაშვილი) და „წვეთი“ (რედაქტორი ქ. ქავთარაძე<sup>14</sup>). იმავე წლის 9 ნოემბერს მათ შეემატა მესამე ხელნაწერი ჟურნალი „შუქი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო გ. ტაბიძე. ამ ჟურნალში მთავსებულები იყო შემდეგი ავტორები: გა (გ. ტაბიძე), ლადო ოსი (ვლ. ფარნევევი), თავისუფალი (ს. ბაღურაშვილი), აბო (ვ. გორგაძე), ბონჰარტი (ქუჩუ ქავთარაძე),

<sup>13</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 177.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 178.



3. ხობისპირელი (ქუჩუ ქეთარაძე) და სხვების ლექსები, მოთხრობები და ილუსტრაციები.

გალაქტიონის ბუნება, ჩანს, ვერ ეგუებოდა სემინარიის მონასტრულ წესებს, რაც მან კარგად გადმოსცა ჟურნალის მოწინავე წერილში „მზის შუქი თავისებური მებრძოლია. ის მედგრად და შეუპოვრად აპობს სიბნელის ძალებს, გულის სიღრმემდე სწვდება მის საიდუმლოს, რომ შემდეგ შუაგულიდან გააპოს სულისშემხუთავი, გულის მქეჩნავი ბნელი ატმოსფერა. ჩვენი ახალი გახეთი „შუქი“ იმავე მიზნის განხორციელებას ეცდება. ეცდება იცნოს, გააპოს და ოდნავადაც მაინც გაანათოს სიბნელით მოცული სემინარიის ატმოსფერა... და თუ უკანასკნელი მისთვის შეუძლებელი შეიქმნა, ის კი შესაძლებელი იქნება, რომ მოსწავლეებს დაანახვოს ეს ჭურღმული, ავი და კარგი გაარჩეინოს.

მაშ გამარჯვება ახალს „შუქს“!

მაგრამ, იცით, რა სიღრმის არის ეს ჭურღმული, ან ჩასწვდება მას ჩვენი „შუქი“ თუ არა?

ამბობენ, იყო ერთი დრო სემინარიაში, როდესაც ისიც (სემინარია) თავისუფლებით სტკებებოდაო. სარგებლობაც ბევრი მოჰქონდაო, მაგრამ ეხლა რას წარმოადგენს სემინარია? ის მონობის უღმრთო უღელში არის გაბმული და საშინელი გულცივობით ეწევა ამ უღელს, უღელზე ოქროს ჭვაროსანი დასკუპებულა, თავს ბრჭყვილა მიტრა უმშვენებს... და შეუბრალებლად ერეკება უბადრუკ სემინარიელებს... ხედავთ, რა უბსკრულია?

მაგრამ გამცემლობა, ლალატი კიდევ უარეს ჭურღმულს წარმოადგენს. იქ სანუგეშო და ოდნავ იმედის მომცემი არა მოიპოვება რა... ხედავთ იუდას. ხედავთ გამყიდველს, სემინარიის ერთნაირად გამოხრელს. ოჰ, რა გოლის გამგმირავი სურათია! ხედავ. პირდაპირ ხედავ, რომ ეს ვაჟბატონები სრულიად დარწმუნებულნი არიან თავიანთ ქველმოქმედებაში, მიისწრაფიან, რომ ერთმანეთი დალუპონ და, ნაკვლად, მათ მოიპოვონ უფლება და პატივისცემა. ისინი რექტორის წინ გაშოტილან და... ყიდიან, უგრძნობლად ყიდიან სემინარიას!

ამაზე რას იტყვი, როგორი ჭურღმულია? ბევრი, ძალიან ბევრი მხარეები აქვს ამ ჭურღმულს: სიბნელე, გამცემლობა და ბატონობა, ესენი მხოლოდ უმთავრესი მხარეებია. ამ მხარეებისაგან ყველაზე უფრო ის (სემინარია) იტანჯება, ესენი არიან მისი ერთგვარი ბატონე-

ზი ესენი არიან, რომ მიჰყავთ ის უფსკრულის კიდებზე, საიდანაც სურთ გადაჩეხონ ის...

### ფრთხილად სემინარიელებში

„შუქი“ ეცდება აღნიშნოს ცალ-ცალკე ყველა მხარე, გადაჭრილი გზით მისწვდეს სათითაოდ ყველას და საკადრისი პანდურიც ამოჰკრას!

მაშ ვეცადოთ, გავაუმჯობესოთ ორგანო, რომლის მიზანიც წმინდა და სპეტაკია; ვეცადოთ, ხელი შეუწყოთ მის გაძლიერებას, რომ უდროოდ არ განისვენოს „წიაღთა შინა აბრამისასა“.<sup>15</sup>

„შუქში“ გამოქვეყნებულია ბონოპარტის წერილი-„ეხლანდელი სემინარია“, რომელშიც ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ფარდა აქვს ახდელი იმ დროის სემინარიის ცხოვრებას, იქ გაბატონებულ დესპოტიზმსა და უზნეობას.

„შუქის“ თავფურცელზე დახატულია წითელი დროშა წარწერით: „თავისუფლება!“ ხოლო მის ქვეშ მიწერილია ვალაკტიონის საპროგრამო ლექსი „შუქს“:

გააჲ ბნელო,  
ნაცულად ნათელი  
გადმოფინე ტანჯულსა არეს,  
რომ შენი სხივით,  
იმედით ტკბილით  
ანუგეშებდე ტანჯულ-მწუხარეს,

რომ ბელი ჩენი,  
იმედის მჩენი,  
აღარ დაგვექარდეს განრისხებულად.  
გააჲ ბნელო!  
ნაცულად ნათელი  
მოგეფინე ტანჯულთ სახსნელ იმედად!

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე გ. ტაბიძის კორესპონდენციები: „როდის ჩამოგვეწვდება შუქი“ და „აკაქის იუბილე“. ამ უკანასკნელში საუბარია აკაქის დამსახურებაზე, დიდი პოეტის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს ჩატარებისა და ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულში სემინარიის აღსაზრდელთა მონაწილეობის თაობაზე. კორესპონდენციების შემდეგ მოთავსებულია გ. ტაბიძის ლექსი „ნია-ვი“, რომელიც შემდეგ ავტორმა გამოაქვეყნა ჟურნალ „ფასკუნჯში“ (1909, № 5).

„შუქთან“ დაკავშირებით გვერდს ვერ აუვლით გამოჩენილი პოეტის ერთ უცნაურ აჩემებას, მან განიზრახა ამ ხელნაწერი ჟურნალის ისტორიასთან დაეკავშირებინა თავისი ლექსები: „გადანახული დრო-

<sup>15</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 8412—8419; ტ. XII, გვ. 7—8.

შები“ და „დადგება დრო სანატრელი“<sup>16</sup>. პოეტის არქივის შესწავლამ ცხადყო, რომ ამ ლექსების ავტორისეული თარიღები გვიანდელია. პოეტს 1949 წელს „გადაუღია“ „შუქის“ ნებისმიერი ასლი, შიგ შეუტანია დასახელებული ლექსები და მასალა, რომელთა ავტორი იგი არ არის (ამ მასალებს ავტორები არიან ლადო ოსი და დემონი). პოეტის არქივში „გადანახული დროშების“ მრავალი ასლია, რომლებზედაც პოეტს გაკეთებული აქვს მინაწერი: „ეს ლექსი მოთავსებული იყო „შუქში““. რაც შეეხება ლექსს „დადგება დრო სანატრელი“ ის პირველად 1950 წელს გამოაქვეყნა ავტორმა (ტ. VII, გვ. 138), ხოლო მისი ავტორგრაფი, მანქანაზე ნაბეჭდი და შიგდევ ნასწორები, ყოველგვარი თარიღის გარეშეა. გალაკტიონს მის მიერ შედგენილი ასლები გაუმრავლებია და დაურჩებია მისი შემოქმედების შესწავლით დაინტერესებულთათვის. ზოგმა მათგანმა ამ „ავტორისეული საჩუქრების“ გათვალისწინებით თავის შრომაში აღნიშნა: „გალ. ტაბიძე ქურნ. „შუქში“ ათავსებს ლექსებს „გადანახული დროშები“ და „დადგება დრო სანატრელი““. სინამდვილეში ე. „შუქში“ ეს ლექსები არ არის მოთავსებული (იხ. არქივი, გვ. 8410—8420).

სემინარიის ცხოვრებაში გალაკტიონი ღირსშესანიშნავ მოვლენად მიიჩნევდა სამკითხველოსთან ქართული გაზეთების საკითხავი ოთახის ცალკე გამოყოფას, ეს იყო 1908/1909 სასწავლო წელს. პოეტი წერს: გამოიწერის ყველა ადგილობრივი ქართული გაზეთი, რამაც ყველა გააოცა... მოსწავლეები იყრიდნენ თავს ერთ პატარა ოთახში, კითხულობდნენ გაზეთებს და ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს. დემონი ყოველდღე დადიოდა საკითხავ ოთახში, რაც იწვევდა იმას, რომ მთელ სემინარიას რამდენიმე საათი უნდა დაედო იქ. ქუჩუ უსათუოდ აუხსნიდა ყველას მათთვის საინტერესოს. მან საკმაოდ ბევრი იცოდა თავის ამხანაგებთან შედარებით... ერთხელ ლაპარაკი აკაკის იუბილეზე ჩამოვარდა. მალე მთელი საქართველო იდღესასწაულებს სასიკეთულო მამულიშვილის 50 წლის იუბილეს, რა ბედნიერებაა! სემინარიამაც უსათუოდ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ დღესასწაულში, თქვა დემონმა<sup>17</sup>“.

<sup>16</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. I, 1966, გვ. 60 და 55.

<sup>17</sup> გ. ტაბიძის არქივი, ა-30, გვ. 8. ლექსი გამოაქვეყნდა ტ. VII, 1950, გვ. 136.

<sup>18</sup> ს. ქილია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, 1951, გვ. 12; ე. შუშინია, გალაკტიონ ტაბიძე, 1956, გვ. 16.

<sup>19</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371—18; ტ. XII, გვ. 248.

სემინარიელებს იმედი არ გაუმატლდათ, სასწავლებლის აღმონისტრაციამ აკრძალა ამ დღესასწაულში სემინარიის აღსაზრდელთა მონაწილეობა.

1908 წლის 7 დეკემბერს მადლიერმა ქართველმა ხალხმა დიდი ზემოთ გადაიხადა აკაკის იუბილე. სემინარიის პირველი კლასის მოსწავლე, იმ დროისათვის უკვე რამდენიმე გამოქვეყნებული ლექსის ავტორი, მონდომებით ცდილობდა გამხდარიყო ისტორიული დღესასწაულის უშუალო მოწმე და დამსწრე, მაგრამ მისი სურვილი ოცნებად დარჩა. იგი იგონებს: „აკაკის იუბილე იყო. ბევრმა პირველად ნახა ამ დღეს აკაკი. მე ერთი კვირით ადრე ვკითხე სახაზინო თეატრის სალაროში ბილეთი, მაგრამ ბილეთები გაყიდული იყო. დავრჩი ისე, რომ აკაკი ვერ ვნახე. უკვე 17 წლისა ვიყავი, სემინარიაში ვსწავლობდი, ლექსებსაც ვწერდი. ვბაძავდი აკაკის... სირცხვილი არ არის, რომ აკაკი ვერ ვნახო! ვფიქრობდი, მაგრამ შემთხვევა არ მომეცა. ხიონის ტაძრიდან აკაკი ეტლით წამოიყვანეს, მიმლოდა დამენახა, მაგრამ ჩემს წინ ჩემზე მაღალი ხალხი ჩადგა, ეტლმა ჩაიარა კიდეც... შემდეგ სახაზინო თეატრთან ვიცდიდი, ხალხი ბუზივით ირეოდა... აკაკი არ ჩანდა... გულდაწყვეტილი გვიან დავბრუნდი ბურსაში<sup>20</sup>...“

1908 წელს ჟურნ. „საქართველოში“ გ. ტაბიძემ გამოაქვეყნა ლექსები: „რომანსი“ და „როცა ბულბული განთიადისას“, რომლებიც ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით „ტ ა ბ ი“. ეს ხელმოწერა ავტორისაგან დამოუკიდებლად გაჩნდა. ჟურნალის მაშინდელი მდივანი იგონებს: „გ. გუნიას ფსევდონიმები უყვარდა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა, ჯერ ერთი, ამით ცენზორს უხვევდა გზა-კვალს და, მეორეც ახალგაზრდა პოეტებს არ ანებიერებდა სრული სახელ-გვარის მოწერით. მეც იმის შეგირდი არ ვიყავი?! სახელი „გალაქტიონი“ არ მომეწონა, ასე მეგონა, პოეტს, რომელიც ვარდ-ბულბულებზე ლაპარაკობდა, სახელიც შესაფერი უნდა ჰქონოდა... გალაქტიონი სულ ამოვადდე, დარჩა „ტაბიძე“, ტაბიძესაც, არ ვიცი რატომ, „ძეც“ წარუკვეთე და დარჩა „ტაბი“, აი. ასე დაამახინჯა „საქართველოს“ რედაქციამ გალაქტიონ ტაბიძის პირმშო ყვაილი<sup>21</sup>“.

ამავე წელს გაზეთებში „დროება“, „სახალხო გაზეთი“ გ. ტაბიძემ დასტამბა ლექსები: „ვითარცა გედი“ და „ფიქრი“.

<sup>20</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371—19; ტ. XII, გვ. 231.

<sup>21</sup> იოსებ გრიშაშვილი, ზემო მოგონება გალაქტიონზე, „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 15.

სემინარიის მასწავლებლები მკაცრად მოითხოვდნენ საპროგრამო საგნების ცოდნას, ჩამორჩენილ აღსაზრდელებს რიცხავდნენ, მიმდინარეობდა მათი თანდათანობითი გაცხრილვა. გალაკტიონმა, რომელიც პოეზიამ დაიმონა, „თითქმის მთლიანად მიატოვა, მიანება თაჯი გაკვეთილების სწავლას და. თუ როგორმე უპასუხებდა ისე და იმას, როგორც ახსოვდა მასწავლებლის მიერ გაკვეთილის ახსნიდან. ეს ცხადია საკმარისი არ იყო“<sup>22</sup>.

1909/1910 სასწავლო წელს გალაკტიონი აკადემიური მოსწრების მიხედვით საშუალო დონეზე იყო წლის პირველ ნახევარში, მეორე ნახევრიდან კი მრავალი გაცდენა ჰქონდა და „ორიანებიც“ საკმაოდ წომარეულად, განსაკუთრებით საღმრთო წერილში, სამოქალაქო ისტორიაში, ალგებრაში<sup>23</sup>.

ღრუბელი თანდათან იქუფრებოდა, გალაკტიონს, როგორც სემინარიელს, ჩანს, ეს დიდად არ აწუხებდა. 1909 წლიდან იგი ჟურნალ „ფასკუნჯის“ თანამშრომელი გახდა. სამსონ ფირცხალავა ივონებს: „მოსკოვის ქუჩაზე ვიდექი, ერთ საღამოს მეწვია ახალგაზრდა პირხმელი, მორიდებული. მან მორცხვად მითხრა: —ლექსი მაქვს დაწერილი და ეგებ „ფასკუნჯში“ დამიბეჭდოთო. გამოვართვი, წავიკითხე და მაშინვე შევიტყვე, რომ ჩემს წინ ნამდვილი პოეტური ნიჭის პატრონი იყო. ის ლექსი ახლობელ ნომერში დაიბეჭდა: ამას მერე სხვა ლექსები მოჰყვა. ეს მოწაფე გ. ტაბიძე იყო“<sup>24</sup>. ამ ჟურნალში გამოაქვეყნა მან ლექსები: „ღამე“, „ნიაგი“, „მომაკვდავი“, „გაზაფხულის მოლოდინში“, „ვარდი კოკორი გადაფურჩქენილი“, „სასაფლაოზე“. ამ უკანასკნელში იგი აქაისებურად ამბობდა:

სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მეხატება,  
შორით მოისმის ცეცხლის ხმა და ხმალთა კრიალი.

(ეს სტრიქონები მან გაიმეორა ლექსში „ციხის ნანგრევებთან“, რამაც ლექსის დათარიღებისას ავტორი შეცდომაში შეიყვანა). რას უქადდა მომავალი, როგორ წარიმართებოდა ცხოვრება? აი ის კითხვები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდა ჰაბუკ გალაკტიონს:

<sup>22</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 179.

<sup>23</sup> საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 440, საქმე 2192, ფურ. 2—4; 6—9, 20, 21—27, 25 და 47.

<sup>24</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1971, № 6, გვ. 169.

გრძნობა გვეყარავის სული შფოთავს, გული წუხდება,  
ჩად არ სწყდებაო ჩვენი კენესი ტანჯვა ესდენი

კითხულობდა იგი და აღძრულ კითხვას თვითონვე პასუხობდა

თავისუფლება აღარა გვაქვს, თავისუფლება,  
ოტირეთ, ძმებო! ცრემლი დაგვრჩა მანუგეშებლად...<sup>25</sup>

მის პოეტურ სულს ერთფეროვნება ბოჭავდა, მისი სული ეძიებდა „ჩა-  
რიშხალს და ბობოქარ ტალღებს“, რამდენადაც „მუდმივ ღუმელში  
ვერ თავსდება ტანჯულის გრძნობა“. ამ გრძნობის დასათრგუნავედ  
იგი „ახალი, მქუხარე ტალღის“ მოვარდნას ლამობს, მაგრამ „ნისლი  
უსახო“ მძვინვარე ბედის დამორჩილების საშუალებას არ აძლევს, მის  
ნაზ, რომანტიკულ ოცნებას, რომელიც „განთიადის სხივებს ელოდე-  
ბა“ ღრუბელი ეფარება, მისი მოგონება მას „ტანჯვად და შხამად“ ექ-  
ცევა<sup>26</sup>.

პოეტის ამდროინდელ ლექსებში ხშირად ვხვდებით რემინისცენ-  
ციებს ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძისა და აკაკ  
წერეთლის მხატვრული სახეების თავისებურ განმეორებებს.

1909 წელს გალაკტიონი თანამშრომლობდა ჟურნალებში: „პირვე-  
ლი ტალღა“, „საქართველოს მოამბე“<sup>27</sup>, აღმანახებში: „პირველი ნა-  
ბიჯი“, სადაც გამოაქვეყნა ლექსები: „სათლაღი“, „მუზა“, „ცხოვრე-  
ბასთან“, „სალამო“, „ქანდაკება“, „მე შენს სამარეს“, „სდუმს არე-  
მარე“, „მეგობარს“, „წყინარად მისცურავს ნარნარი მთვარე“ და „რის-  
თვის“<sup>28</sup>. ამ ლექსებს ლეიტმოტივად გასდევს მარტოობისა და სევდის  
გრძნობა:

ისევ ის სევდა... ისევ კენესა, ტანჯვა-წამება,  
ოპ, სად ხარ, სად ხარ მეგობარო, მომეცი ხელი  
ბედით ტანჯული, უთვისტომო არ გებრალბება?  
არ გებრალბება სიყმაწვილე ჩერ გაუშლელი?..

<sup>25</sup> აღმანახი „ჩვენი ნაბიჯი“, 1909, გვ. 2.

<sup>26</sup> აღმანახი „პირველი ტალღა“, 1909, № 2, გვ. 5.

<sup>27</sup> „საქართველოს მოამბეში“ (1909, № 6, გვ. 4) ჭ. ტაბიძის ხელმოწერით დაი-  
ბეჭდა ლექსი „ყუავილი“, რომელიც სინამდვილეში ტ. ტაბიძისა იყო.

<sup>28</sup> ეს ლექსები პირველად განმეორებით დაიბეჭდა მის თხზ. ტ. I, 1966, გვ.  
80—91.

<sup>29</sup> იქვე გვ. 89.

ყრმა პოეტის ლექსები, რომლებიც ერთფეროვნულად იმეორებდნენ ერთმანეთს, არ სცილდებოდნენ ბანალური ფრაზის საზღვრებს და მიმბაძველობას. ეს ლექსები სულ მცირე წარმოდგენასაც კი არ იძლეოდა საიმისოდ, რომ სულ მოკლე დროში რა დიდ ოსტატად მოეკლინებოდა მათი ავტორი XX საუკუნის ქართულ პოეზიას და რომ მისი შემოქმედება ჩვენი საუკუნის მშობლიური პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენა გახდებოდა.

1910 წლის 18 იანვარს თავი მოიწამლა მისმა უახლოესმა მეგობარმა, პოეტმა დიმიტრი (ქუჩუ) ქავთარაძემ—დემონმა<sup>30</sup>.

გ. ტაბიძის არქივში დაცულია მისი ლექსის—„პოეტის“ ავტოგრაფი, სადაც გადმოცემულია მისი ბიოგრაფიისათვის ეს მეტად შემწარავი მომენტი:

ჩვენ ერთად ვთარგმნიდით ნაზონ ოვიდის  
ქუჩუ ქავთარაძე—დენდი და დემონი,  
მუდამ ატარებდი მსუბუქ ხელთათმანებს,  
თვალები გქონდა შენ დიდი და ცისფერი.  
ლექსები დემონის მღეროდა, მღეროდა...  
იყავ მეგობარი ჩემი უანგარო—  
მაგრამ მიღალატე, თავი მოიწამლე  
იმ დროს, როცა ჩემთან რაღაც საშინელი  
ლანდი მარტოობის მიახლოვდებოდა.  
ქუჩუ ქავთარაძე მაშინ შენთან ერთად  
ჩემიც მოიწამლა ყრმობა ახალგაზრდა.<sup>31</sup>

დემონის სიკვდილმა ძლიერ იმოქმედა გალაკტიონზე, იმდენად ძლიერად, რომ ცოტადა აკლდა მიეზაძნა უფროსი მეგობრისთვის. გულგატეხილმა და იმედგაცრუებულმა სწავლას თავი მიანება, 1910 წლის აპრილის ბოლოს სემინარია მიატოვა და სოფელში დაბრუნდა, რამაც დედის, ბიძის, ძმის და სხვა ახლობლების აღშფოთება გამოიწვია, „გატუნა კურსშეუსრულებელი დარჩა“, რასაც უსიამოვნება მოჰყოლია და, ჩანს, მას უკვალოდ არ ჩაუვლია. „რამდენი ხანია კარგს განწყობილებაში არ ვყოფილვარ დედასთან, ძმასთან, — წერდა გალაკტიონი ერთ კერძო წერილში, — ამ ხნის განმავლობაში გამოვიარე საშინელი ვაჰირვება. ეგ კი არ იცოდა დედაჩემმა, რამდენი ვაჰირვება, ღმერთო ჩემო, რამდენი ვაჰირვება! თუ როდესმე ბედნიერ ცხოვრებას ველირ--

<sup>30</sup> საქართველოს ცსა, ფონდი 440, საქმე 2237.

<sup>31</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 362.

ს, ჩემს მოგონებაში წითელი ასოებით დაიწერება ის... წელიწადი<sup>22</sup>. ასე დამთავრდა გალაკტიონის ცხოვრების ერთი პერიოდი, წინ დიდ გზა იყო გასავლელი, გზა მოქალაქისა და გზა შემოქმედისა. არსებობისათვის კი საჭირო იყო მატერიალური საშუალების გამოჩახვა.

## ტ ა ვ ი მ ი ო თ ხ ა

### სოფლის მასწავლებელი

მატერიალურმა ხელმოკლეობამ აიძულა ახალგაზრდა გალაკტიონი გამოეძებნა საარსებო საშუალება. მან თხოვნით მიმართა იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მთავარ მეთვალყურეს, ცნობილ ისტორიკოს თედო ჟორდანიას გამოენახათ მისთვის ადგილი და დაენიშნათ სამრევლო სკოლის მასწავლებლად. თხოვნა შეწყყნარებული იქნა. გალაკტიონი დაინიშნა შორაპნის მაზრის სოფელ ფარცხნალის სამრევლო სკოლის მასწავლებლად. 1910 წლის 26 აგვისტოს იგი სწერდა იოსებ იმედაშვილს: „ბედმა უბრალო სოფლის მასწავლებლობა მარგუნა წილად!“<sup>23</sup>. ჩანს, კარგად გაუაზრებია მასწავლებლის მოვალეობა, რომლის შესასრულებლად მონდომებას არ იზოგავდა, ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. შეუყვარდა თავისი ახალი პროფესია. ეს ავტობიოგრაფიული მომენტი მან მშვენივრად გამოხატა ლექსში „პირველი ენკენისთვე“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „განათლების“ 1911 წლის მეშვიდე ნომერში.

სოფელი ფარცხნალი მდებარეობს ხარაგაულიდან 4 კილომეტრის დაშორებით. სოფლის შუა, შემადლებულ ადგილას, აღმართულია კვირაცხოვლის ეკლესიის ლამაზი შენობა, რომლის გალავანში მოთავსებული იყო სამრევლო სკოლა. აქ მუშაობდა გალაკტიონი 1911 წლის ივნისამდე.

ახალგაზრდა მასწავლებელს თავიდანვე მოუპოვებია ავტორიტეტი მოსწავლეთა და სოფლის მკვიდრთა შორის, რაზედაც მეტყველებს

<sup>22</sup> იქვე, გვ. 021372—III—3.

<sup>1</sup> ჟურნ. „ცისკარი“ 1976, № 9, გვ. 4.

<sup>2</sup> გაზ. „ქუთაისი“, 1965, № 219.

<sup>3</sup> იქვე.



თანამედროვეთა მოგონებანი (სეფე ლეჟავა<sup>2</sup>, პოლინა ბირკაძე<sup>3</sup> თუ ერმალოზ ბუაჩიძე<sup>4</sup>).

1910 წელს, სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, ქუთაისში შეიკრიბა სოფლის მასწავლებელთა ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა გ. ტაბიძე და სიტყვითაც გამოსულა<sup>5</sup>.

სოფლის „უბრალო მასწავლებელი“ ყოველმხრივ ცდილობდა არ გაეწყვიტა კავშირი ქართულ ეურნალ-გაზეთების რედაქციებთან. მაგალითად, 1910 წლის 27 ივლისს იგი სწერდა ეურნ. „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორს ი. იმედაშვილს: „ძვირფასო იოსებ! სამი თვის განმავლობაში ეურნალი მომდიოდა. მადლობელი ვარ... ამჟამად გიგზავნი თორ ლექსს. ჩამოსვლით კი, როგორც მსურდა, თბილისში ვერ ჩამოვდივარ! ბედმა უბრალო სოფლის მასწავლებლობა მარგუნა წილად... საძაგელი რამ... სოფლიდან ხალხურ ლექსებს გამოგიგზავნით, თუ მოეახერხე. მშვიდობით. მარადის თქვენი პატივისმცემელი გალაკტიონ ტაბიძე<sup>6</sup>“. მართალია, პირად წერილში თავის საქმიანობას „საძაგელ რამეს“ უწოდებს, სინამდვილეში ნათლად ჰქონდა გააზრებული პედაგოგ-აღმზრდელის ხედრი და როლი მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის რთულ პროცესში, რასაც ნათელს ხდის ეურნ. „განათლებაში“ (1911, № 7) გამოქვეყნებული ლექსი „პირველი ენკენის-თეე“, რომელშიც პოეტი ამბობდა:

...ხალხო ბედკრული მე მიჰირავს ხელში სანთელი,  
არ შეუდრკება საშინელ ხედრს მასწავლებელი  
იმ სანთლის პოვნის განუხეულად სიცოცხლე მჟეე,  
ვერას დააკლებს უგნურთ შტრობა, შიმშილ-სიცივე!  
მე ვიტყვი სიტყვას, მე გაგიტობთ შეცოებულ გულს,  
ღეე, თან მღევეს მკაცრი ხედრი, თქვენს მარად ეროგულს!  
თქვენ აღგამაღლებსთ ჩემი ზრუნეა თბილი და წრფელი,  
არ შეუდრკება საშინელ ხედრს მასწავლებელი!..

ფარცხნალის სამრევლო სკოლაში გალაკტიონი მართავდა ლიტერატურულ დილებს, სადაც აღსაზრდელები კითხულობდნენ ლექსებსა და ხალხური პოეზიის მარგალიტებს.

<sup>2</sup> გაზ. „ქუთაისი“, 1965, № 219.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> გაზ. „სახალხო განათლება“, 1967, № 44.

<sup>5</sup> ეურნ. „პიონერი“, 1963, № 8, გვ. 11.

<sup>6</sup> „ლიტერატურული საქართველო“, 1983, № 19, გვ. 7.

ფარცხნალში მუშაობის პერიოდის პოეტის მეხსიერებამ სამუდამოდ შემოინახა ერთი შემთხვევა, რომელსაც ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა: „როდესაც სემინარიიდან გამოვედი, სადგურ ხარაგაულის ახლო, ერთ პატარა სოფელში, — წერს გალაკტიონი, — მასწავლებლის ადგილი მომცეს. კვირა-უქმე დღეებში სოფლიდან სადგურზე ჩამოვდიოდი, აქ თავს იყრიდნენ ჩემი ამხანაგი მასწავლებლები... საღამოობით თფილისიდან მატარებელი ჩამოვივლიდა და ისეც ერთგვარ სიამოვნებას გვეკრიდა. სრულიად მოულოდნელად რომელიმე ნაცნობი გადმოვიდოდა მატარებლიდან... მოგვიტანდა თბილისის ამბებს, გვეტყოდა რამეს ნაცნობების შესახებ...“

ერთხელ დიდხანს ვიდექით სადგურზე... ესაუბრობდით, ვიცინოდით... მატარებელი მოვიდა. ჭკუფი ახალგაზრდა ქალებისა იდგა და მგზავრებს ათვალეირებდა, ამ დროს მატარებლის მეორე კლასის ფანჯარა ჩამოიწია. კუპედან ღმერთივით გადმოიხედა ბამბის ქულასავით ქალარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მქონე მოხუცმა...

— აკაკი! — ჩაილაპარაკა ვილაკამ.

ელექტრონის ძალასავით იმოქმედა ამ სიტყვამ ყველაზე. ერთხანთ გაშეშებული ვიდექით. მე თვალებით ვქამდი ამ სახეს. აკაკიმ წიკითხა სადგურის შენობაზე მიკრული სახელწოდება და ფანჯარა ისევ დახურა. ვხედავდი, რომ იგი დინჯათ გადაეშვა სავარძელში. ყველანი ამ კუპესაკენ გაექანენ... ბევრმა მატარებელში შესვლაც მოინდომა. დაიკივლა ამ დროს მატარებელმა, მისცეს მესამე ზარი და მატარებელი გუგუნით გაექანა სიბივით დაღესილ რელსებზე. დიდხანს დაყრუბულივით ვიდექი<sup>7</sup>. ეს იყო საოცნებო პოეტის პირველი ხილვა, რამაც დიდი მგოსნის საქმის ახალგაზრდა მიმდევარზე ამაღელვებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

მასწავლებლობა-მასწავლებლობად, პირადი მოწოდება პოეზიის მსახურებისა კი მას დიდ დროს ართმევდა. ბევრს მუშაობდა, კითხულობდა, წერდა, თანამშრომლობდა: „კოლხიდაში“, „თემში“, „სახალხო გაზეთში“, „განათლებაში“, „მნათობში“, „ნაკადულში“, თეატრსა და ცხოვრებაში“, „ჩვენს ნაბიჯში“. აქ დაიბეჭდა მისი ლექსები: „მსახიობ ქალს“, „პოეზია“, „მსახიობის დღიურიდან“, „ბრძოლაში ვეძებ“, „ფარვანაა“, „გაშლილ წალკოტში“, „ზევით ასწიეთ მზე, ზევით“; „რა მშვენიერი იყო ნამი!“, „დილა“, „ყვავილები“, „ნიაღვარი“,

<sup>7</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371—9; ტ. XII, გვ. 231—232.

„გაზაფხულის ღამე“, „ათასფერად მოქარგული“, „ტყეში“, „შემოდგომა“, „ოცნება კლდეზე“, „ჩემო მადონავ“, „შულამეა ზღვის ნეტარ გულში“, „მუსიკა“, „ექვი“, „დაიძინე“, „პირველი ენკენისთვე“, „შემოდგომა“, „დარიალისა ვიწრო კლდეებში“, „ველთა შორის“, „პამლეტის ქნარით“. ამ ლექსებში ეხვდებით ნათელი რწმენით აღგზნებულ პანგებს („ბრძოლაში ვეძებ“, „ზევით ასწიეთ მზე, ზევით“), რომლებშიც პოეტის ოპტიმიზმი გამოსკვივის:

შევერთდეთ ერთად, დიდი იმედით!  
თაისუფლების დროსა იხრწნება...  
მაშ, ცეცხლში ეპოვოთ, თავდავიწყება!

თავდავიწყებას პოეტი ბრძოლაში ეძებდა „ახალი გმირის“ გამოსამზერებლად, რის გამოც პოეტის სული „ბრძოლის ქუხილში“ მიიღრვოდა. მისი დაუოკებელი მისწრაფება იყო „წყვედიანით მოცულ ქაოსზე“ ცხოველსხივებიანი მზის გამარჯვება, რაც პოეტური განცლით გამოხატულია ამ სტრიქონებში:

შორს, ჩვენგან, ღამის წვედილო,  
შორს, შორს ბურუსო გრქნეულო!  
თვალის ამხვევად შექმნილო  
და ბორკილებად ქცეულო!  
ჩვენ მზე გვესურს... ხალხო, შეერთდით—  
ზევით ასწიეთ მზე, ზევით!

პოეტური ბიოგრაფიის ამ დაწყებითს პერიოდში ნათელი ხდებოდა, რომ გალაკტიონის სახით ქართული პოეზიის სარბიელზე გამოდიოდა დიდი შემოქმედებითი პოტენციის ხელოვანი, რომელსაც შესწევდა ძალა ემოციურისა და პოეტურ სიტყვაში განესახიერებინა ადამიანის სულიერი ცხოვრების ურთულესი მოვლენები. პირველი ლექსებისათვის დამახასიათებელმა მებრძოლმა სულმა, იმედითა და რწმენით აღბეჭდილმა მოტივებმა თანდათანობით გზა დაუთმო პოეტის პირად განცდებს, თავი ოჩინა სოციალური უიმედობის, გულგატეხილობისა და სევდის განწყობილებამ. ეს ნიშანთვისება მარტო გალაკტიონის პოეზიისათვის არ იყო დამახასიათებელი. „ჩვენ რომ თვალი გადავაგლოთ ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ნაწერებს აშკარად დაერწმუნდებით, — წერდა ერთ-ერთი რეცენზენტი, — რომ შანშიაშვილი, გრიშაშვილი, მჭედლიშვილი; მეტრეველი, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე და სხვანი ერთ განსაზღვრულ მიმართულებას სცემენ თავიანს!

იმათვის სინამდვილე არ არსებობს, პიროვნებისათვის ბრძოლა შორს მიუვლიათ და მათი ერთი მიზანი საკუთარი „მე“-ა<sup>8</sup>. მართლაც, ჩვენი საუკუნის 10-იანი წლების ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში წამყვანი ადგილი ლირიკას ეკუთვნოდა, რომელშიც, უმთავრესად, გამოხატული იყო სევდა, ღრმა და მიუწვდომელი ოცნება. ამ ლექსებში ნაკლებად იგრძნობოდა მითითება თანამედროვე ცხოვრებაზე. პოეტებს არ აინტერესებდათ ის პრობლემები, რომლებიც მათი სუბიექტური „მე“-ს გარეშე არსებობდა. მათი მისწრაფება იყო საკუთარი „მე“ გაეხადათ შემოქმედების ობიექტად, რის გამოც ისინი გაურბოდნენ ცხოვრების აქტუალურ საკითხებს და ვიწრო ინდივიდუალიზმის სფეროში იკეტებოდნენ. მკაცრი და სუსხიანი სინამდვილის წინაშე „თვალის დახუჭვის“, საკუთარ განცდების ინტიმურ სამყაროში გახიზვნის მზარდი ტენდენცია ყველაზე დამახასიათებელი ნიშანთვისება იყო მეოცე საუკუნის 10-იანი წლების პოეზიისა, როგორც ჩვენში, ასევე რუსეთშიც. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მრავალმა უნიჭომ წამოყო თავი. როდი ისმინა ამ პლედამ აკაკის გოდება:

ვინ არა სწერს ჩვენი ლექსებს,  
ვის არ უნდა მოლექსობა,  
მაგრამ ლექსი რა ლექსია  
თუ რომ გულს არ დაესობა?

იმ წლების ლექსის ღირსება მხოლოდ გრძნობაზე იყო დამყარებული, ლექსს გრძნობა უნდა აეტივტივებინა, შეერყია, მაგრამ ამის მიღწევა მრავალს არ შეეძლო. „დღეს ნიჭიერი და უნიჭო ერთმანეთში ისე არეულან და გადაბმულან, რომ მათ ერთმანეთისაგან დაშორება, საზღვრის დადება, — ვკითხულობთ ერთ მიმოხილვაში, — ნამდვილი ნიჭის გამოძებნა და დაფასება ცრუ პოეტებისაგან ყოველად შეუძლებელი ხდება... დღევანდელ პოეტებს თითქოს ბუნებაც განზე გაუდგა... თითქოს რაღაც უხეში, სატანური ძალა ჩამდგარიყოს მათ შორის“<sup>9</sup>. ლექსები აღსავსე იყო ბუნების სურათებით, მაგრამ მათ ავტორებს შვების ნაცვლად სევდა იპყრობდა, სულერთია ეს გ. ტაბიძე იყო, ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, ალ. შანშიაშვილი, კიკნა-ფშაველა, დემონი, ალ. აბაშელი თუ სხვა.

<sup>8</sup> დ. დიმიტროვი (ჩიანელი—დ. ჩხეიძე—ი. ლ.), ცხოვრება და მწერლობა გაზ. „სინათლე“, 1911, № 23.

<sup>9</sup> ჩვენი ღრობის ინდივიდუალიზმი, გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 76.

იმდროინდელი პოეზიის მარტოობისა და სევდის განცდა გახდა სა-  
ტირა-პამფლეტის საგანი, მართალია, ის ტაბიძეს ეხება, მაგრამ გამო-  
ხატავს საერთოს:

### ტაბიძისაგური

ნაღველი იყო შხამ-სამსალოთ გამარბათებელი,  
ბნელი-უკუნი გაელექტორნებული და მსოფლო  
არარაობით გაბერილი, ბუნება მიიმედ იყო.  
აქუშერკა არსად ჩანდა.  
ცის კიდობანზე ტარტაროზნი ფერხულს აბაიონენ...  
აღონაის, აღონაის!  
ვიკოდე, ნეტა, მოეესწრები აწ მე გაისს?  
დავბინაელი საფლავსა შინა, კეჭა-ქუხლი  
ცეცხლი.. განვიცდი ქაჭთა და მავანთ  
თვალთა ბრიალსა, ცხოველთ ღრიალსა...  
ო, ოჰ, აღონაის, აღონაის!  
აღონ, აღონეო, ზეზუმ ყადნეო!<sup>10</sup>

1911 წელს გაზ. „თემში (№№ 43, 46, 47) გამოქვეყნდა გალაკტი-  
ონის პოემა „მწყემსი“. ის რედაქციაში პოეტის ძმას აბესალომს მიუ-  
ტანია. „დავბეჭდავთო მითხრეს, — წერდა აბესალომი გალაკტიონს, —  
მაგრამ მიძღვნას გამოუშვებთ, რისთვის უძღვნის გრიშაშვილსო, მკით-  
ხეს“, ხოლო მეორე წერილში იგი აცნობებდა ძმას თუ როგორ მიმ-  
დინარეობდა ბეჭდვა!<sup>11</sup>.

„თემის“ რედაქციამ პოემა ყოველგვარი ცვლილების გარეშე დას-  
ტამბა.

„მწყემსი“ სევდით სავსე პოემაა, რომლის დედააზრია გვაგრძნო-  
ბინოს, თუ როგორ დაეცა სიყვარულის წმინდა გრძნობა „ჩვენ ნერ-  
ვებიან და მიხრწნილ დროში“. პოემას მისი ავტორისათვის დი-  
დება არ მოუტანია და მისი დამწერი ისე გარდაიცვალა, რომ არც ერთ  
გამოცემაში არ შეუტანია. ავტორმა პოემა ი. გრიშაშვილს მიუძღვნა.  
ჩვენი საუკუნის ათიან წლების დასაწყისში ორი მომავალი დიდი პო-  
ეტა პოეზიისადმი უსაზღვრო სიყვარულმა დააახლოვა. მათ ახლო მე-  
გობრული ურთიერთობა ჰქონდათ. 1912 წელს გალაკტიონი ასე უზი-  
არებდა სოსო გრიშაშვილს თავის განცდას: „იცი, საყვარელო სოსო,

<sup>10</sup> ტ ი ტ ე ს ძ ე (?), ტაბიძისებური, გაზ. „ქოლხიდა“, 1911, № 128.

<sup>11</sup> გ. ტაბიძის არქივი, აბესალომის წერილები.

ამ ბოლო დროს რაღაც უჩინარი სენი მეპარება, საშინელი სენი მარტობისა, ესეც ხომ თავისებური ავადმყოფობაა, და, ვით სიკვდილით დასჯილი სახრჩობელას წინ, თვალით ვეძებ მონათესავე სულს... საშინელებაა.

აშკარად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტობას.

მე დღეს შესაძლებელია ორასი ადამიანი ვნახო და დაველაპარაკო, შეიძლება გული გადუხსნა კიდევ წუთის გავლენის ქვეშ... და მაინც მარტო ვარ...

ამიხსენი, მეგობარო, ეს მდგომარეობა?

ოჰ, ჩემი მონეტრალე სული სიყვარულს თუ წააწყდება სადმე, თორემ ერთი დადინჯებულ ფიჭვ-სიყვარულს ვერ შექმნის... მაინც ვერაფერი გამიგია ამ ჩემთვის უცნაური გრძნობის.

ჩემი სიყვარული შორეული ტრფიალი არ არის და ვერც ანლოსა სწვდება მას.

და მგონია, არც კი მიყვარს ვინმე... მარტო ვარ, მარტო... რა გეწყობა<sup>12</sup>...

ი. გრიშაშვილს გალაკტიონის ეს წერილი ხელთ ჰქონია პოეტის გარდაცვალების შემდეგაც, რაზედაც მეტყველებს მისი მინაწერი „ასეთი იყო ბოლომდე“. გრიშაშვილი, ჩანს, აპირებდა მოგონებით გამო-სულიყო გალაკტიონის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე, მაგრამ რაღაც მიზეზისა გამო არ შემდგარა, მისი „მოგონება“ კი შემოგვიწინა აჩქივმა. აი, რა იკითხება იქ: „ზოლამ სთქვა თავის ერთ მეგობარ პოეტზე: „ვიდრე მის წიგნს გადავშლიდე, მინდა ჩემი გული გადავშალო“. რომ ესთქვა გალაკტიონი ჩემი ძველი მეგობარი იყო-მეთქი, შეიძლება არავინ დაიჯეროს, „შეიძლებას“ იმიტომ ვამბობ, რომ გალაკტიონს მეგობარი არა ჰყოლია... ჩემს ქალაქებში ვიპოვე ერთი წერილი, რომელიც დათარიღებულია 1912 წლით... ის უჩივის თავის მარტობას (მოტანილია ზემოთ ციტირებული წერილი—ი. ლ.), რა მომხიბლავია თავისი ღრმა კაეშანით ამ წერილში, იგი ჰგოდებს თავისი სიცოცხლის დამღრღნელ მარტობაზე. ბარათაშვილის ობლობა,

<sup>12</sup> ი. გრიშაშვილის არქივი, II—1535; გ. ტაბიძე. ტ. XII, გვ. 540—41. ი. გრიშაშვილმა ეს პირადი წერილი გამოიყენა თავის მინიატიურაში „მაისის ღამე, (იხ. „ბროლის ღიმილი“ 1913, გვ. 7—8, ტ. V, გვ. 9—10).

ეს კაეშანი სულ თან წაიღო სამარეში ჩემმა გალაკტიონმა, მეოცე საუკუნის საქართველოს პირველმა პოეტმა.

ერთხელ სახელგამის შესავალში შემხვდა გალაკტიონი, მე ჩამოვიდიოდი, ის ამოდიოდა. დამინახა და შემომძახა:

— სოსო, შე ძველო, — გამარჯვება — და მაგრად მომიჭრა ხელი. მე ვუპასუხე:

— რა გიჭირს, საქართველოს პირველი პოეტი ხარ!

იმა, დაინახა მომავალი პოეტი ბორის სერებრიაკოვი და მოიხმო:

— ბორის, ბორის იდი სულა, ვოტ ონ გავარიტ, — ხელი ჩემსკენ გამოიშვირა, — ჩტო ია პერვი პოეტ, ზაპომნი... უყვარდა საწყალს დაფირამბები, ის ამის ღირსი იყო უეჭველად. დღეს ერთი წელია, რაც ჯავიფთრინდა ჩვენი მოუსვენარი გალაკტიონი, მაგრამ მისი გულწრფელი და ნარნარადი ლექსები ყველას გულში გვაქვს დაჭდეული და იცოცხლებს ვიდრე საქართველოში ფირუზისფერი ზეცა არ გამუქდება და ბარათაშვილის მტკვარი აღარ იღინებს.

დაეხაროთ თავი ძვირფასი დიდი პოეტის მოსაგონრად და პატივსაცემად.

დიდება დიდ გალაკტიონ ტაბიძეს!“

გალაკტიონს აღეძრა თავისი ლექსების პატარა კრებულის გამოცემის სურვილი, მან თავისი ზვამიადი თბილისელ მეგობარს გაუზიარა. 1911 წლის 18 აგვისტოს იგი გრიშაშვილს სწერდა: „გამარჯვება, იოსებ! მე მეორე წერილს გიგზავნი. აღარ ვუცდი წინად გამოგზავნილ წერალის პასუხს. რომ იცოდე, როგორ მინდა ეს წერილი მალე მიიღო და იმ დღესვე სამაგაერო წერილი გამომიგზავნო. მე მინდა ვისარგებლო ეხლა შენის მეგობრულის რჩევით ნაწერების ცალკე გამოცემაზე. ქუთაისში კიდევ გავმართე ამხანაგების საშუალებით ხელისმოწერა და გროვდება ფული. მოგროვდება იმდენი, რომ მეყოს ცოტა ხანზე თბილისში ჩამოსვლაზე. შეიძლება მეტიც მოგროვდეს, რადგან მოსწავლეების იმედი მაქვს, რომლებიც, წარმოიდგინე, აქ საკმარისად მიცნობენ. მე კარგად ვიცი და შენგან ველი დარიგებას საქმეზე. შენ მითხარი, შეიძლება ქაღალდი და სტამბა ნდობით დავივალოთ? ძალიან კარგი იქნება, ჩემო იოსებ, თუ ეს შესაძლებელია, დამავალე და გამიგე, თუ შეიძლება ცოტას დამჭერდნენ ჭერ. შენ ხომ კარგად იცნობ მიხეილ გაჩეილაძეს? მგონია დაახლოვებული ხარ? მაშ ნუ დამიხარებ, ჩემო კარგო! სამაგაერო პატივისცემას გადაგიხდი. მე ეხლა

ჭუთაისში ვარ და მოვიციდი სანამ შენი წერილი არ მომივა. ნუ დაშვიწყებ, წიგნი იქნება, პატარა, ორშაურიანი. შენი გალაკტიონი.

...წავეიკითხე „ჩამომეხსენი“ ისე მომეწონა, რომ ზეპირად დავისწავლე, საუცხოო ლექსია!<sup>13</sup>“.

გალაკტიონმა ი. გრიშაშვილს პოემის გარდა სამი ლექსი უძღვნა: „შემოდგომა“ (ეურ. „განათლება“, 1911, № 10, გვ. 18), „მეგობარს“ და „გაზაფხულის ღამე“<sup>14</sup>.

არც გრიშაშვილი ტოვებდა უყურადღებოდ გ. ტაბიძეს და მის პოეზიას. მან გამოაქვეყნა რეცენზიები გ. ტაბიძის 1919 წლის ლექსების კრებულზე (ეურ. „ლეილა“, 1920, № 2) და „გალაკტიონ ტაბიძის ეურნალზე“ (გაზ. „პოეზიის დღე“, 1923, № 4. ორივე რეცენზია ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით მარუთა შუამდინარელი). მასვე ეკუთვნის წერილები: „ჩემი მოგონება გალაკტიონზე“ („სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 15, ტ. V, გვ. 316-19) და „ჩვენი გალაკტიონი“ (გაზ. „კომუნისტი“, 1959, № 71).

სოფლის სამრევლო სკოლის მასწავლებელში საბოლოოდ პოეტის მოწოდებამ გაიმარჯვა. იგი უკვე ავტორი იყო მრავალი ლექსისა და ერთი პოემის (გამოქვეყნებულის, თორემ ხელნაწერის სახით ჩვენამდე მოაღწია 1910 წელს დაწერილმა პოემა „შანშემ“, რომელიც შინაარსის მიხედვით ლირიკულ-რომანტიკული ხასიათისაა. ბუნებრივია, მის პიროვნებაში აღიძრა სურვილი ახლო ყოფილიყო მჩქეფარე მწერალურ ცხოვრებასთან, კულტურის ცენტრთან. ამიტომ მან სოფლის მასწავლებლობას შეგნებულად თავი მიანება და მოწოდებით ნაკარნახევ გზას დაადგა.

<sup>13</sup> გ. ტაბიძე, ტ. XII, გვ. 540.

<sup>14</sup> გ. ტაბიძე, ტ. I, 1966, გვ. 119.



პოეზიის დიდ გზაზე

გალაკტიონმა ქუთაისს მიაშურა. ქუთაისი იმდროინდელი ქართული ცხოვრების ერთ-ერთი მძლავრი კერა გახლდათ. კულტურის ცენტრი, რომელიც ჩვენი ეროვნული მწერლობის სასიცოცხლო იდიოლებით სუნთქავდა. ქუთაისი ქართული ჟურნალისტიკის ერთი უძლიერესი ცენტრთაგანი იყო, აქ გამოდიოდა გაზეთები, ჟურნალები, იცემოდა წიგნები, იმართებოდა დიდი სალიტერატურო სადამოები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქუთაისის თეატრი, რომელიც თავისი დადგმებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველა თაობის წარმომადგენელზე. აი, აქეთ მოილტვოდა პოეზიის მაგიური ძალით დატყვევებული ახალგაზრდა, მით უმეტეს აქედან მშობლიურ სოფლამდეც ახლო იყო.

გალაკტიონი ქუთაისში დაბინავდა ბალახვანის ქუჩაზე (№ 37). კონსტანტინე მურუსიძის სახლში, ლანაშრომლობა დაიწყო „კოლხიდასა“ და „მნათობში“. ამ გაზეთებში გამოქვეყნდა მისი ლექსები: „შუალამეა... ზღვის ნეტარ გულში“, „მუსიკა“, „ექვი“, „დაიძინე“, „დარიალისა ვიწრო კლდეებში“, „ველთა შორის გამოისმა“ და „პამლეტის ქნართი“, რომლებშიც გადმოცემულია მარტოობის მწარე ბალღამის და სიყვარულის ღრმა განცდა. ამ ხანას უკავშირდება გალაკტიონის პირველი სერიოზული გატაცება. იგი მოხიბლა რაისა რაფიელის ასულმა ჩიხლაძემ. პოეტის ერთ იმდროინდელ წერილში ვკითხულობთ: „ამას დაუმატე რაისასადმი მხურვალე გრძნობა... ღმერთს გეფიცები, სულ ცოტადა მიკლია შეშლას“<sup>1</sup>. რაისა იყო გალაკტიონის მასწავლებლის რაფიელ ჩიხლაძის ქალიშვილი (1891—1944), მან წარმატებით დაამთავრა ქუთაისის საეპარქიო სასწავლებელი, იგი იყო მოხდენილი გარეგნული შეხედულებისა, სულიერად ფაქიზი, გამჭრიახი, გულკეთილი, ხელოვნების მოყვარული და დამფასებელი. ქართულ გაზეთებში იბეჭდებოდა მისი პატარა წერილები. რაისას სილამაზემ მოხიბლა ჭაბუკი პოეტი, მაგრამ რაისმ არ გაიზიარა მისი გრძნობა, იგი 1912 წელს კიევში გაემგზავრა, სადაც დაამთავრა ქალთა უმაღლესი კურსები ისტორია-ფილოლოგიის განხრით

<sup>1</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1962, № 12, გვ. 145.

და სიკვდილამდე ემსახურა პედაგოგიურ ასპარეზს. კიევში იგი დაქორწინდა ნ. კეკუაყმაძეზე. მას ჰყავდა ორი ქალიშვილი ნათელა (ბიზანტიოლოგი) და მედეა. გალაკტიონმა რაისას მიუძღვნა ლექსები: „რომ არ ვიცი რა დაწვერო“, „ჩამავალი მზე“, „მონოზან ქალს ოფელიას“, „პამლეტის ქნარით“ და გაზაფხულდა<sup>2</sup>, რომლის კიდურდაწერილობაში იკითხება სახელი — რ ა ი ს ა.

რისთვის ტოკავს ხშირი ჩქერი,  
ან ნაკადი ან ჩანჩქერი?  
იმიტომ რომ, რაც კი სძულდა  
ხულის სევდა, ფიქრთა მტვერი  
აიცილა... გაზაფხულდა!

მიჯნური პოეტი „ორთქლით დანამულ მიწაზე“ სწერდა:

ცელქმა ნივმა ჩემი სიტყვებით  
დასერა ლურჯი ეთერი ცისა  
და წაიკითხა მთელმა მსოფლიომ—  
რა როგ მოყვარხარ, ჩემო რაისა!..

გალაკტიონი ანგარიშს უწევდა რაისას გემოვნებას, მის განათლებას, მის შეფასების უნარს. პოეტი სწერდა მას: „რაისა! მაპატიე, მინდოდა შენთვის ყველა ნაწერი გადმომეცა, მაგრამ ვერ მოვაგროვე. თუმცა ის, რაც აქ არის, ისიც საკმარისია ყველაფრის გამოსარკვევად. იმას, რასაც შენ იტყვი, ჩემთვის გადამჭრელი მნიშვნელობა ექნება, რადგან არავის არაფერი უთქვამს სახეირო. აბა, რა მნიშვნელობა აქვს დაუსაბუთებელ სიტყვებს ჩემს ნიჭზე და უნიკობაზე? საბუთები უპირველეს ყოვლისა, საბუთები! მე მინდა დასაბუთებული აზრი გამოითქვას ჩემზე, დაურიდებელი და ენერგიული სიტყვები. მაშ ასე, რაისა... სიტყვა თქვენიზეა“... პოეტის პირველი გატაცება, პირველი მხურვალეობა გაუზიარებელი დარჩა. ბედის მამიებელი პოეტი ცდილობდა სამსახურში მოწყობას, რამდენადაც პონორარით ცხოვრება არ იყო ადვილი. იგი დროებით ბათუმს გაემგზავრა<sup>3</sup>. სალიტერატურო კრიტიკამ უყურადღებოდ არ დატოვა ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედი, გაზეთები აღნიშნავდნენ: „სიმბოლიზმის ნიმუშებია ჩვენი ახალგაზრდა პოეტების: ს. აბაშელის, გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, ალ. შანშიაშვილის ზოგიერთი ლექსი“ („სახალხო გაზეთი“, 1911, № 287).

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, თბ., ტ. 1, 1966, გვ. 122—125; 392—393.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, ტ. XII, გვ. 539.

<sup>4</sup> იქვე.

„ახალი ჰოეზია ცოტა ბუნდოვანია, ბუნდოვანია ის იმიტომაც, რომ ის განყენებულ საგნებში დაეძებს თავის საგალობელ ღვთაებას. ის ამ ქვეყნიურ სინამდევალეს თითქმის სრულებით განშორებია და უსაზღვრო ოცნებას მოჰკიდებია. აქ კი მშვენიერი სულის მეუფებას ჰხდის იგი თავის მალალ იდეალად... ასეთია ვალ. ტაბიძის ახალგაზრდა მუხაც.“ (იქვე, № 295).

1911 წლის ნოემბრის დასაწყისიდან ვალაკტიონი გაზეთ „კოლხიდის“ რედაქციაში მუშაობს. „შენი ამბავი, რომ „კოლხიდის“ რედაქციაში გიშოვნია ადგილი, გავიგე, მაგრამ რატომ არ მომწერე, რამდენი გაქვს ჯამგირი?“ — სწერდა უფროსი ძმან. მცირე ხნის შემდეგ რედაქციასა და ვალაკტიონს შორის ადგილი ჰქონია რალაც კონფლიქტს, რაც იმავე ძმის წერილიდან ირკვევა: „იწერები „კოლხიდის“ რედაქციასთან შეტევა მომივიდო. დიდი ამბავი იქნებოდა, — წერდა ძმა, — ისიც მოგეწერა, თუ რამ გამოიწვია ეს განხეთქილება, რაზედ შედგა ეს ამბავი?“, ხოლო შეწუხებული დედა ასე არიგებდა მას: „საყვარელო შვილო, მარტო შენს ჰკუთხე ნუ მიდიხარ, ჩვენი დაიჭერე... რომ იყავი, იმ სამსახურში ნუ დადგები, თუ უკეთესს რამე საქმეს ვერ იშოვნი“. ქუთაისში მყოფ ვალაკტიონს ძმა ურჩევს სწავლის გაგრძელებას. პასუხად ვალაკტიონი სთხოვს აბესალომს დაუზუსტოს და გაუგოს სწავლის პირობები სამასწავლებლო ინსტიტუტში ან ისევ სემინარიაში. „მე ინსტიტუტში ვიყავი, სწერდა ძმა, — და ყოველივე გავიგე... ზეპირი საგნები მაინცდამაინც არ არის ძნელი, მომზადება შენ არ გაგიჭირდება, მაგრამ ამ ორ წელიწადს არ მიგიღებენ. ისევ სემინარიისათვის უნდა ეცადო... პროგრამასაც გამოგიგზავნი, მასწავლებლებსაც ვკითხავ გარემოებას. შენ მასწავლებელს მიეზარე მათემატიკაში, ლათინურსა და ნემენცურში, იქნება მანდ ვინმე გიმნაზიის მასწავლებელი... სოვეტშიც ხშირ-ხშირად შეიარე, იქნებ მასწავლებლის ადგილი მიიღო, თორემ სემინარიაში ვერ მოხვდები და სალღათად წაგიყვანენ და ყოველგვარ ოცნებას ბოლო მოელდება“.

აბალ, 1912 წელს ვალაკტიონი მშობლიურ სახლში (ჰყვიშში) შეხვდა, იანერის პირველ რიცხვებში კვლავ ქუთაისში დაბრუნდა და

5 გ. ტაბიძის არქივი, აბესალომის წერილები.

6 იქვე.

7 იქვე, დედის წერილები ვალაკტიონისადმი.

8 იქვე, აბესალომის წერილები.

სხვადასხვა რედაქციებში მუშაობდა. იგი უურნალ „მაშხალის“ თანამშრომელი გახდა და მის გამოცემაში ქმედითად მონაწილეობდა (ეს უურნალი შემდეგ სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა: „ჯოჯობეთის მაშხალა“, „ეშმაკის მაშხალა“, „ანკესი“, მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო სერგი გერსამია). გალაკტიონი თავის ნაწერებს აქვეყნებდა ხელმოწერით „გ“ და „გალაშკა“. აქ დაიბეჭდა მისი იუმორისტული მოთხრობები „ძველი ქუდი“, „ნამწვავები“, აგრეთვე იუმორისტული „ახალი ამბები“. აი ერთი მათგანი:

„— საბიბლიოთეკო კომისიამ ბიბლიოთეკის გაუმჯობესების საკითხი მხოლოდ ქალაქში დაწერით დაასრულა.

— როგორც გადმოგვეცეს, ქალაქის გამგეობის მოლარე თავგებს შეუტყამიათ კასაში, გამოძიება გრძელდება.

— დღეს, საღამოს 18 საათზე, ქალაქის თეატრში ლექციას წაიკითხავს სერგო რობაქიძე თემაზე: „ოთხი კაბიკი პოლიტიკურ ეკონომიაში“.

— განსვენებულ „კოლხიდის“ მემკვიდრეობა „შრომამ“ იკისრა და ვნახოთ როგორ იშრომებს.

— ადგილობრივ საგუბერნიო ციხეში რედაქტორთა რიცხვმა იმატა. გადაუწყვეტიათ, აქ მაინც გამოსცენ გაზეთი, რადგან თანამშრომლებითაც უზრუნველყოფილი უოფილან.

— ამბობენ, „კოლხიდის“ რედაქტორს ჭუმბაძეს 500 მანეთი მოუტაცნია რედაქციის კასიდან და სადღაც მიმალულაო. აღმოსაჩენად ზომები მიღებულია.

— 11 მარტს გამართულმა გრიშაშვილის საღამომ დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი, ქალების რიცხვი სკარბობდა, რადგან „შენი ჭირიშე, შენ გენაცვალეს“ მოელოდნენ გრიშაშვილისაგან<sup>9</sup>.

— ამ დღეებში რუსეთიდან დაბრუნდა „კოპერაციის“ რედაქტორ-გამომცემელი და შეუდგა ფ. ხელაძის ბიოგრაფიის წერას.

— როგორც ხმა დადის, ქუთაისში „შებორკილ ქალთა“ წრე შემდგარა. წრის დანიშნულება ჭერჭერობით საიდუმლოებით არის მოცული.

---

<sup>9</sup> 1912 წლის 11 მარტს ქუთაისში გაიმართა ი. გრიშაშვილის საღამო-მეჯლისი, მასში მონაწილეობდნენ: აკაკი, გ. აბაშიძე დ. კლდიაშვილი, ა. ჭუმბაძე, ნ. ჩერქესოვი, ნ. ლორთქიფანიძე, ვ. რუხაძე, დ. მესხი, ს. აბაშელი, ჯ. ჯორჯიკია, გ. ფარქოსაძე, გ. ტაბიძე და სხვები. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი, საღამოების პროგრამები, გვ. 118.

— წუხელის „სამშაბათელას“ სიზმარში „კოლხიდა“ გამოსცხადებია და უთქვამს: ჩემსა და „ცხოვრების“ სიკვდილს ხელს უწყობდნენ „უღმობელი“ (ვასილ წერეთელი — ი. ლ.) და „თაგუნაო“ (შ. შარაშიძე — ი. ლ.), მომავალში ფრთხილად გმართებთ თავის დაქერაო.

— ამ დილას სილოვანმა (ხუნდაძემ — ი. ლ.) შავი კვერცხი მიულოცა ერთ-ერთ „კარტველ კალს“ „ხრისტოს ვოსკრეს“-ის თქმისთვის, სამართლიანად მოქცეულა<sup>10</sup>.

საინტერესოა იუმორისტული მოთხრობის „ნამწვავების“ ისტორიაც, რომელიც ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. მისი დაწერა გამოუწვევია შემდეგ გარემოებას: „გალაქტიონი ახალგაზრდობიდანვე ეწეოდა თამბაქოს. ყველაზე იაფფასიანი პაპიროსი იყო „გოლუბკა“, ღირდა 20 ცალი ერთი შაური, გალაქტიონიც და სხვებიც ამას ვეწეოდით. ის ქუთაისში საერთოდ ღარიბულად ცხოვრობდა. ფულის უქონლობის პერიოდში მას პაპიროსის ნამწვავები უგროვებია ისეთი ვარაუდით, როცა გაუჭირდებოდა, იქიდან თუთუნი გამოეღო და მოეწვია... ასეთი კრიტიკული მომენტიც დაუდგა... მაგრამ ნამწვავები ადვილზე არ აღმოჩნდა, ოჯახის პატრონის მსახურს, როცა გალაქტიონის ოთახი დაულავებია, ნამწვავები გადაუყრია... თავისი იუმორისტული მოთხრობაც ამ ამბავზე აავო<sup>11</sup>“.

ცხოვრება ჭირდა, ვერასგზით ვერ დააღწია თავი ხელმოკლეობას გალაქტიონმა. შინაგანი მოწოდება ნებისყოფას ძაბავდა, რათა მატერიალურ სიდუხჭირეს არჩეული გზით წინსვლა არ გაემრუდებინა.

1912 წელს იგი თანამშრომლობდა: „ჩვენ ცხოვრებაში“, „თემში“, „განათლებაში“. გამოქვეყნდა მისი ლექსები: „რა ვქნა?“, „მუხა<sup>12</sup>“, ლექსთა ციკლი „გრძნობათა ფერფლი“ („განათლება“, № 9), მასში შედიოდა ლექსები: „ყვითელი ფოთოლი“, „Ave Maria“, „სარკმელთან“, „სასაფლაოზე“, „არ განახლდება, არ დაბრუნდება“, „გრძნობათა ფერფლი“, „ხოლი“, „სკერენადა“, „ხშირად ვოცნებობ“, „გამოსალმება“, „დახუჭული თვალები“ (ეს უკანასკნელი დაიბეჭდა კრებულ „გრდემლშიც“). მეოცნებე პოეტი რწმუნდება, რომ მისი ოცნება მიუღწეველია. ასეთია მისი ლექსების დედააზრი. პოეტის ნაზი, მთრთოლვარე განცდა თითქოს არ გამოირჩეოდა სხვა პოეტების გან-

<sup>10</sup> ეურნ. „მუხალა“, 1912, №1.

<sup>11</sup> ს. გერსამია, მცირე შენიშვნა..., „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1962, № 12.

<sup>12</sup> „კოლხიდა“, 1912, № 15.

ცდებისაგან, თითქოს ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა. სწორედ ამ გარემოებაზე ამახვილებდა ყურადღებას ერთ-ერთი კრიტიკოსი: „ახალგაზრდა პოეტებმა არა თუ მოგვცეს რთული რამ, არამედ მათ თავიანთ ლექსებში ერთმანეთი გაიმეორესო<sup>13</sup>“.

1912 წლის 28 აპრილს და 6 მაისს გალაკტიონმა მონაწილეობა მიიღო ბათუმსა და ლანჩხუთში გამართულ დიდ ლიტერატურულ სამომოებში“. იმავე ხანებში, მაისში, მხატვარმა გრიგოლ მესხმა (1879—1971) პირველად ქართულ მხატვრობაში დახატა გალაკტიონ ტაბიძე<sup>14</sup>.

გამოქვეყნდა პოეტის ახალი ლექსები: „შერიგება“, „უხილავი“, „ახალ წლის ღამე“ და „მესაფლავე“.

ლექსი „უხილავი“ წარდგენილი იყო გაზეთ „თემის“ მიერ გამართულ კონკურსზე. ეიუროპი პირველი პრემია არავის არ მიაკუთვნა. „ეორე პრემია წილად ზედა აღ. აბაშელის ლექსს — „მზე“, მესამე პრემია გ. ტაბიძეს ლექსისთვის — „უხილავი“, რომელმაც 3 დადებითი და 5 უარყოფითი ხმა მიიღო<sup>15</sup>. „თემში“ ვკითხულობთ: „16 იანვარს სასიამოვნო სურათს წარმოდგენდა ქართული თეატრი. აქ პირველად უნდა მომხდარიყო საკონკურსოდ წარმოდგენილი ავტორების დაჯილდოება... დარბაზობა გახსნა ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა აკაკიმ... მის გვერდით ისხდნენ: გრ. დიასამიძე („თემის“ რედაქტორი), ეიურის წევრები: ნიკ. ქართველიშვილი, იაკ. ნიკოლაძე და მის. წულუკიძე. აკაკიმ გახსნა თუ არა დარბაზობა, სიტყვა მისცა დიასამიძეს, რომელმაც გამოაცხადა კონკურსის შედეგები: პირველი პრემია არავის მიეცა; მეორე ლექსისთვის „მზე“ მიეკუთვნა აღ. აბაშელს; მესამე პრემია ლექსისთვის „უხილავი“ გ. ტაბიძეს. აკაკიმ გადასცა ჯილდოები გამარჯვებულებს<sup>16</sup>“. წუთით წარმოვიდგინოთ გალაკტიონის განწყობილება აკაკის მიერ ჯილდოს გადაცემის მომენტში. ნუთუ ამ ფაქტმა არავეითარი გამოხმაურება არ ჰპოვა ახალგაზრდა პოეტში?!

1912 წლის სექტემბრიდან გალაკტიონი მშობლიურ სოფელშია. ბევრს მუშაობს. 22 ოქტომბერს დაწერილ წერილში, რომლის ადრე-

<sup>13</sup> „ბათუმის გაზეთი“, 1912, №№91 და 101.

<sup>14</sup> რ. ეგაძე, გ. ტაბიძის იერსახე ქართულ ფერწერასა და გრაფიკაში, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, № 10, გვ. 4.

<sup>15</sup> გაზ. „თემი“, 1912, № 56.

<sup>16</sup> იქვე.

სატია მიხეილ ბოქორიშვილი, გალაკტიონი წერდა: „მე, მაგალითად, ორი პოემა დავწერე — „ძველი კოშკი“, ორი შენი „მწუხრიშვილის“ ტოლი პოემა და „ალვის ხეები“, მ ის ტ ი ც ი ზ მ ი თ ავესებული, „იარი მეგობარი“ (მოთხრობა, რომელსაც წინათ — „ძველი კოშკი“ ერქვა და რომლის ნაწილი წაგვიკითხე კიდეც). გომერის „ოდისეის“ მესამედი გამმოვთარგმნე და ჯერჯერობით მიტოვებული მაქვს. ერთი ასამდე წვრილი ლექსი დავწერე, ვწერ ღღე და ღამე განუწყვეტლად, ავად-მყოფივით. ეხლა თავში აზრად მომივიდა პოემის — „ქრისტე უდაბ-ნოში“ დაწერა. ამიტომ, თუ სადმე საღვთისმეტყველო წიგნები მაქვს, გატაცებით ვკითხულობ, მ ის ტ ი ც ი ზ მ ი თ ისადგურებს ჩემში... ხან-ღიხან იმდენსა ვწერ, რომ შენც გიკვირს, ხანღიხან კი სულ ვერა-ფერს ვწერ და გული მოგდის, ეს ხომ შენც გამოგიცდია? ნაწერები არასოდეს ტყუილა არ დაიკარგება!“. ამონაწერიდან ბევრი რამ სა-ინტერესო ირკვევა პოეტის შემოქმედებით შრომაზე, მის პროცესზე; ირკვევა, რომ გალაკტიონი მთარგმნელობით საქმიანობაშიც იწაფე-ბოდა, ქართულ ენაზე თარგმნიდა ძველი ბერძნული ლიტერატურის უმესანიშნავეს ძეგლს, პომპროსის „ოდისეას“, ჩანს, რუსული ენი-დან, რაზედაც ნაწარმოების და მისი ავტორის რუსული ფორმით მოსსენიება მეტყველებს. სამწუხაროდ მის არქივში ამ თარგმანის კვა-ლი არ ჩანს. ალბათ, არ მოეწონა და გაანადგურა, თუმცა წერილში ირწმუნება: „ნაწერები ტყუილა არასდროს არ დაიკარგებაო“, ხელ-ნაწერთა განადგურების ფაქტი არაერთხელ შეინიშნება მის ბიოგ-რაფიაში. ასევე არ ჩანს ორი პოემა: „ალვის ხეები“ და „ძველი კოშ-კი“. სამაგიეროდ დაცულია 1912—1914 წლებში დაწერილი პოემები: „საბედისწერო ფიქრი“<sup>17</sup> და „თასი“<sup>18</sup>, რომლებიც პოეტს სიცოცხ-ლეში არ გამოუქვეყნებია, ისინი იმ ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩი-ნა, რომ მშობლიურ სოფელში შემონახულ საქალაქლებში კქონდათ ბინა. აქვე აღმოჩნდა და ამჟამად მის არქივში ასევე სიჭაბუკის დროინ-დელი, (როგორც ზოგიერთი მას პოეტის „შეგირდობის ხანის“ ნაწერს უწოდებს) მთარგმნელობითი ნიმუში ლერმონტოვის „დემონის“ თავისუფალი თარგმანი „სატანას“ სახელწოდებით<sup>20</sup>.

„თასი“ პატარა პოემაა. ის ისტორიულ ფონზეა აგებული, რომელ-

<sup>17</sup> უჯრ. „ცისკარი“, 1962, № 2.

<sup>18</sup> გ. ბ. ბ. ძ. თხ. ტ. VII, 1970, გვ. 60—66.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 69—73.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 40—59.

შიც დაუოკებელი ვნებათა ლელეაა გადმოცემული. წყაროთა არასწორი გამოყენების გამო დამახინჯებულია ისტორიული სინამდვილე, გაზვიადებულია მთავარი გმირის ავხორციანობა.

„საბედისწერო ფიქრი“ ცხოვრების წარმავლობის განსჯას ეხება, ავტორის მოზანია გაარკვიოს რაში მდგომარეობს მეუღლე წარმავლობაში ადამიანის დანიშნულება. „უძლური არის ადამიანი“-ო, ასკენის პოეტი, რაც სავესებით შეესაბამება გალაკტიონის იმდროინდელ სულიერ განწყობილებას.

მ. ბოკორიშვილისადმი გაგზავნილი წერილი იმ მხრივაც არის საყურადღებო რომ მასში ნათლადაა გამოკვეთილი წერილის ავტორის მსოფლმხედველობრივი პოზიცია. გალაკტიონი გულწრფელად გვამცხობს, რომ აპირებს „მ ის ტ ი ც ი ზ მ ი თ ა ვ ს ე ბ უ ლ ი“ პოემის დაწერას რომ მასში „ი ს ა დ გ უ რ ე ბ ს მ ის ტ ი ც ი ზ მ ი“ . ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი მომენტი მის აზროვნებაში. მეოცე საუკუნის პირველი ორი ათეული წლის უახლესი რუსული პოეზია, განსაკუთრებით მოდერნისტული ნაკადი ფილოსოფოს ვ. სოლოვოვის თეოკრატიული მოძღვრების დიდ ზეგავლენას განიცდიდა. გალაკტიონის იმდროინდელ პოეზიაზე კი ახალი რუსული პოეზიის გავლენა თვალსაჩინოა<sup>21</sup>.

ჩვენს საუკუნის ათიანი წლების დასაწყისიდან ქართულ პოეზიაში თავს იჩენს მოდერნისტული მიმდინარეობის ნიშნები, ბრძოლა გამოეცხადა იმ მიმართულებას, რომლის დანერგვასა და დამკვიდრებას ესოდენ დიდი ამაგი დასდეს სახელოვანმა სამოციანელებმა. „ოქროს ვერძის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში „ხელოვნება და კრიტიკა“ საქმაოდ მძაფრად არის გადმოცემული ეს აზრი<sup>22</sup>, რაც არ წარმოადგენდა რამე ახალს. რუსი სიმბოლისტების უურნალები „ვეისი“, „აპოლონი“ და სხვ. აჭრელებული იყო სტატიებით, სადაც რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის ტრადიციები ნამდვილ განადგურებას განიცდიდნენ. დიდი მონდომებით მტკიცდებოდა, რომ ბ. ზელინსკის მოღვაწეობის მეორე პერიოდიდან დაწყებული, განსაკუთრებით 60-იანი წლების რუსული უურნალისტიკის წყალობით, რუ-

<sup>21</sup> აღნიშნულის გამო ჩვენ სათუოდ მიგვაჩნია რევაზ თვარაძის არგუმენტირებული ექსკურსი მისტიციზმის კვალის უარსაყოფად გალაკტიონის შემოქმედებათა და მსოფლმხედველობრივ პრაქტიკაში (იხ. მისი, „გალაკტიონი“, 1972, გვ. 108—109.

<sup>22</sup> ეურნ. „ოქროს ვერძი“, 1913, № 3, გვ. 42—43.



სეთში მხატვრული კრიტიკა „დაილუპა“, რომ მთლიანად უნდა გადაიშალოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული კრიტიკა, რომ ჩერნიშევსკი იყო „ნიჭიერი ეკონომისტი“, მაგრამ, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, დარჩა „შრომისმოყვარე და უნარიანი“, „ზომიერი და აკურატული“, რომლის სტატიები წარმოდგენდა ხიდს „პელინსკის ესთეტიკიდან ვანდალ პისარევამდე“ (ყურნ. „ვესი“, 1907, № 7). „ოქროს ვერძის“ წერილში გატარებული აზრი შემდეგ უფრო „საფუძვლიანად“ გაიმეორეს ქართველმა სიმბოლისტებმა.

მთელ საქართველოში იკითხებოდა საჯარო ლექციები, როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული ძალებით, თემაზე — „ჩვენი დროის ხელოვნება“. ერთ-ერთი ლექტორი იყო ცნობილი რუსი პოეტი, რუსული სიმბოლიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი თედორე სოლოგუბი, რომელმაც საქართველოს დაბა-ქალაქებში წაიკითხა საჯარო ლექციები, მათ შორის სამჯერ ქუთაისში. ლექტორი აღნიშნავდა: „ნამდვილი ხელოვნება ის არის, რომელიც თანაბრად იწირავს ორ აუცილებელ ელემენტს: ცხოვრების მოვლენებს, როგორც აუცილებელ მასალას, და მხატვრულ ენერჯიას, თუმცა აქტიუობა მხოლოდ ამ უკანასკნელს ეკუთვნის. ამ ხელოვნების აუცილებელი დამახასიათებელი თვისება არის სიმბოლიზმი, ტრაგიზმი და დემოკრატიზმი. სიმბოლიზმი იმით, რომ მოვლენათა სამეფო მხატვრულ შემოქმედებაში განიცდება, როგორც ინტუატიური სახე, როგორც მხატვრული პიროვნების წარმოდგენა. ტრაგიზმი იმით, რომ ხელოვნება შედეგია იმ აუცილებელი ბრძოლისა, რომელიც მთელ სამყაროში და ცალკე ადამიანში სწარმოებს; ბრძოლა „რაც არის“ და „რაც უნდა იყოს“ შორის. ხელოვნებას უტყუარი რელიგიური ხასიათი აქვს. დემოკრატიზმი იმით, რომ ფართო მასა, ხალხი სიმბოლოებით ეწევა ცხოვრების შემეცნებას, ის სახეებით აზროვნებს, ამიტომაც ხელოვნებას მტკიცედ გარკვეული ხალხოსნური ხასიათი უნდა ჰქონდეს. ნამდვილი ხელოვნება — სიმბოლიური ხელოვნებაა, რადგან ამაში ნახულობს მხატვრული პიროვნება თავის სრულ გამორკვევას, თვითდამყარებას, რადგან სიმბოლისტური ხელოვნება ცხოვრების აზრის საკითხის გადაწყვეტას ეტანება — ის ამ გზაზე ხვდება სიკვდილის პრობლემას... ეგოცენტრიზმი — ანამდვილი მიმართულება თანამედროვე ხელოვნებისა<sup>23</sup>“. ასე ქადაგებდა თ. სო-

<sup>23</sup> გაზ. „თემი“, 1913, № 118, გვ. 3—4 (დაყოფა ვახუთის რედაქციისაა — ი. ლ.).

ლოგუბი და განა მართო იგი?! ამას ქადაგებდნენ იმ დროისათვის მოდერნისტული ხელოვნების წარმომადგენლები ევროპაშიც და რუსეთშიც, განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის დაჰარცხების შემდეგ გამეფებულ რეაქციის წლებში, როდესაც საგრძნობი გასდა საზოგადოებრივი შფოთი, სულიერი გამოფიტულობა, რღვევა და დაცნობილობა. ახალი ლიტერატურული სკოლის მიზნების პოპულარიზაციისათვის ესტუმრნენ ჯერ თბილისს, შემდეგ ქუთაისს კუბოფუტურიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები ვასილ კამენსკი და ვლადიმერ გოლცშმიდტი<sup>24</sup>.

სიკვდილის, ტანჯვის და სამარადისო თემების ჰოეზიამ საქართველოშიც შემოაღწია.

ახალგაზრდა პოეტი, რომელიც, ექვეგარეშეა, ყოველთვის სიახლეს ეძებდა, ცდილობდა ყოფილიყო თავისი დროის მხატვრული მსოფლმხედველობის გავლენის ქვეშ. ცდუნება ახლის წინაშე არასოდეს ყოფილა ცოდა. საქართველოში მოდერნიზმი როგორც მიმართულება, როგორც განსაზღვრული სკოლა მეოცე საუკუნის დასაწყისში არ ჩამოყალიბებულა, პირიქით, იმეამად სამწერლო ასპარეზზე მოგვევლინენ ცალკეული ინდუვიდულისტ-მომოდერნისტო პოეტები, რომლებიც, თეორიული მსჯელობების გვერდის აქცევით, ამჯობინებდნენ, პოეზიის თავიანთი გაგება აეშენებინათ პირად მხატვრულ გამოცდილებაზე, გამოყენებინათ „ახალ“ მიმდინარეობაში უკვე დამკვიდრებული გამოსახვითი ხერხები თუ თემები. მაგალითად, რუსულ სიმბოლიზმში ორეულების თემამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა, განსაკუთრებით ალ. ბლოკის, ა. ბელის, ვ. ბრიუსოვის და სხვების პოეზიაში, სხვებთან ეს თემა მეტნაკლებად იყო გავრცელებული. ორეულების სხვა სახეებთან ერთად ფართო გასაქანი ჰქონდა დრამატულ სიუჟეტებს, როგორც ორეულების წყაროს (ჰამლეტი, ოფელია). გ. ტაბიძის „ჰამლეტის ქნარით“ ამ თემის ნათელი დადასტურებაა (რაისა-ოფელია — „წადი, წადი მონასტერში, ოფელია“). რუს სიმბოლისტებთან ქრისტეს თემას დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. გალაკტიონის ამ დროის პოეზიაში ქრისტეს თემა არ არის უცხო. მ. ბოჭორიშვილისადმი მიწერილ წერილში გალაკტიონი უშუალოდ გვამცნობს, რომ აზრებს დაეწერა პოემა — „ქრისტე უდაბნოში“. ამავე ხანაში მას მისტიციზმი იტაცებს („წერ მისტიციზმით ავსებულ პოემას“-ო). მის

<sup>24</sup> გაზ. „საქართველო“, 1916, № 202, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 669.

ლექსებში თავს იჩენს ბიბლიურა, და მითოლოგიური თემათი, რაც ასევე უაღრესად ნიშანდობლივია რუსული სიმბოლიზმისათვის. მაგალითად, გალაკტიონი სახარების ერთი იგავის მიხედვით ქმნის პოეტურ ნოველას — „ათი წლის წინად“<sup>25</sup>. მითოლოგიურ თემაზეა აგებული მისი ლექსი ნიობიდაზე („გუბე“)<sup>26</sup>. ყოველივე ეს სპეციფიკური ნიშნები იყო „ახალი პოეზიისა“, რამაც გალაკტიონის შემოქმედებაში იჩინა თავი. სიახლის ეს სიპტომები კარგად იყო მითითებული კრიტიკულ წერილში — „ახალი გზა ჩვენს ლიტერატურაში“<sup>27</sup>.

1912 წელს გალაკტიონმა სცადა გამოეცა ლექსების კრებული, მაგრამ განზრახვა, როგორც პოეტი გვამცნობს: „კატასტროფით თავდება. წიგნს წინასწარ ხელი 15 კაცმა მოაწერა“<sup>28</sup>.

პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში 1913 წელი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ იგი დამოუკიდებელი გზის ძიებაშია. პრესაში სისტემატური თანამშრომლობა სულ უფრო და უფრო პოპულარულს ხდიდა მის სახელს. იგი თანამშრომლობდა გაზეთებში: „განთიადი“, „თემი“, „მერცხალი“, „სიმართლის ხმა“; ჟურნალებში: „თეატრი და ცხოვრება“, „განთიადი“, „ოქროს ვერძი“ და კრებულში „ჩანგი“.

1913 წლის 1 მარტს გაზ. „განთიადში“ გალაკტიონმა გამოაქვეყნა ლექსების ციკლი — „წუთი გრძნობათა“. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლექსების ციკლს, ერთი უანრის მხატვრულ ქმნილებებს, რომელთაც აერთიანებს საერთო თემატიკა, ჩანაფიქრი და მოქმედი პირები, ქართულ პოეზიაში სათავე გალაკტიონმა დაუდო. პირველი ციკლი — „გრძნობათა ფერფლი“ მან გამოაქვეყნა ჟურნალ „განათლებლაში“ (1912, № 9). ციკლში „წუთი გრძნობათა“ გაერთიანებული იყო ლექსები: „ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს“, „წუთი“, „მალე ფერგადაშლილი“, „ველთა შორის გამოისმა“, „სად?“, „ავრორა“, „10 წლია შემდეგ“.

გამოქვეყნდა მისი ლექსები: „უხილავი“, „თვალუწვდენელი, დაუსაბამო“, „ყველაფერმა იცვალა ფერი“, „გარდაცვალება“ და „REQUIESCAT PACE“, რომელიც შემდეგ „მესაფლავის“ სათაურით დარჩა ქართულ პოეზიაში.

<sup>25</sup> გ. ტაბიძე, თხ. ტ. I, 1966, გვ. 154.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 251. 1914 წლის მარტის თვეში წერს გალაკტიონი ლექსს — „ქრისტე“, იქვე, გვ. 162.

<sup>27</sup> გაზ. „ერი“, 1913, № 47.

<sup>28</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 192, გვ. 19—22.

1913 წლის 31 მარტს გალაკტიონმა მონაწილეობა მიიღო იოსებ გრიშაშვილის საღამოში, რომელიც ქუთაისის თეატრში გაიმართა<sup>29</sup>.

გალაკტიონის 1913 წლიდან გამოქვეყნებული ლექსების უმრავლესობის უმთავრესი აზრი „ახალი პოეზიის“ თავისებური ინტონაციაა:

...საით მივეყვარ ჩემს მოწყენილ გზას,  
სად ეპოვებ შვებას მიუსაფარი?  
რას მომცემს იყოს ჩემი სამშობლო  
და ან რას მისცეს მას ჩემი ქნარი?  
არ ვ...ი... მაგრამ უბუნობაში  
ფიქრს ვერ ვიკავებ ცრემლად მონაქუხს,  
ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,  
მაგრამ არაფერ იძლევა პასუხს...

ეს ხომ ალექსანდრე ბლოკისებური პასაჟებია, დაძაბული დიალოგი ხელოვანსა და ცხოვრებას შორის, რომლის დროსაც პოეტს სურს მიიღოს პასუხი მისთვის ერთადერთ მტკივნეულ და საკვირბოროტო კითხვაზე: თუ რა ელის ადამიანს, მის თანამედროვე აწყობას თუ მომავალში? გალაკტიონის ლირიკაში მრავალი შთაშბეკდავი მაგალითია, როცა მარტოობისა და მწუხარების უამს პიროვნება თავის გოლის საიდუმლოს, ფაქრთა ლელვას, ოცნებასა და გულისტქმას ბუნებას უზიარებს, თუნდაც „მხოლოდ ღამეს“, პოეტის უძილობის დროს თუნდაც რომ კამკამებს სარკმელში. ასეთი განწყობილების ლოგიკური კვანძი გახსნლია 1913 წელს დაწერილ ლირიკულ შედეგში „მე და ღამე“. ამ ლექსშია გაცემული პასუხი პოეტის იმ დროის „სიცოცხლის მიზნისადმი“ — მარტოებისადმი. სოლიპსიზმი — უკიდურესი ინდივიდუალიზმი, რომელიც ახასიათებდათ სიმბოლისტებს, გადადიოდა მარტოობის განდიდებაში. გალაკტიონის პოეზიაში მარტოობის განდრდება ზენიტს „მე და ღამეში“ აღწევს. ამ ლექსში ისმის უიმედობისა და სევდაშეპყრობილი რომანტიკოსის გულისცემა და ნერვების ცანცახი.

გასაზიარებელი არ არის აკაკი თოფურიას მსჯელობა „მე და ღამის“ შექმნის შესახებ. თურმე „ირკვევა, რომ აქ („მე და ღამეში“ — ი. ლ.) ლაპარაკია არა რაღაც მისტიკურ, არამედ სულ სხვა ხასიათის საიდუმლოებაზე... რეალური ფაქტი, რომელიც თვით პოეტის მოგონებრიდან ჩანს, ბიძგი გამხდარა „მე და ღამის“ შექმნისა, რაც სულ

<sup>29</sup> ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი, საღამოს პროგრამები, გვ. 128.

სხვა მნიშვნელობას ანიჭებს მას... ნაცვლად დეკადენტური განწყობ-  
ლებისა ჩვენს წინაშე დგება პოეტური ოსტატობით დახატული სახე  
ლირიკული გვირისა, რომელსაც მტკიცედ განუზრახავს ბოლომდე შე-  
ინახოს რევოლუციონერი ამხანაგის, მეგობრის საიდუმლო“ („ლიტე-  
რატურულ-კრიტიკული წერილები“, ცხინვალი, 1969, გვ. 139—152).

სინამდვილეში გ. ტაბიძის ის მოგონება, რომელსაც ეყრდნობა  
ა. თოდურობა, სხვა არაფერია თუ არა 1948 წელს დაწერილი პოემის  
„ბამბურა მურა“-ს შინაარსი. პოემის სავარაუდო წინასიტყვაობაში  
(არქ. დღ. 226) პოეტი დაწერილებით აღწერს ქუთაისის ციხის მახ-  
ლობლად მომხდარ ამბავს და წერს: „ბამბურა მურა“ პოემა. ის და-  
კავშირებულია... ნამდვილ ამბავთან, რომელიც ერთხელ შემემთხვა  
1916 წელს“. თუ ეს ამბავი 1916 წელს მოხდა, მაშ რა საერთო აქვს  
მას 1913 წელთან, „მე და ღამესთან“? სამწუხაროდ, პოეტური მის-  
ტიფიკაცია დამახასიათებელია გალაკტიონისათვის, რასაც ზოგჯერ  
ანგარიში არ ეწევა, მის არქივში დაცულია ასეთი ჩანაწერიც: „1917  
წ. მოსკოვში ყოფნისას შევედი ბოლშევიკური პარტიის რიგებში,  
რეკომენდატორებათ „პრავედის“ თანამშრომლები მყავდა, გვარები არ  
მანსოვს... როდესაც 1918 წელს სამშობლოში ვბრუნდებოდი სამოქა-  
ლაქო ომის ხანობით მოცულ რუსეთიდან, სადგურ ნეჟენთან მანრო-  
ელები დაგვესხნენ თავს, ატყდა ომი პარტიზანული... ჩემი პარტიული  
ბილეთი მიწაში ჩავმარხე, თუ აღმადგენენ პარტიაში ძველი სტაჟით,  
მე თანახმა ვიქნები, ასე იყო ეს ამბავი“ (არქივი, გვ. 4186). საინტე-  
რესოა, როგორ რეაგირებას მოახდენს ამ ჩანაწერზე პატივცემული  
აკაკი თოდურობა, ჩანაწერი ხომ გალაკტიონის ხელითაა დაწერილი და  
შემონახული ოთხმოამელობისათვის?! აი, სადამდე მიდის ზოგჯერ პო-  
ეტის „ხუმრობანი“, მისი „პოეტური“ მისტიფიკაცია. ამდენად, ზოგ  
შემათხვევაში მის „მოგონებაზე“ დაყრდნობა სერიოზულ შემოწმებას  
მოითხოვს.

თავისი ლექსების კრებულის გამოცემის ცდა პოეტს 1913 წელსაც  
განუზრახავს, მაგრამ როგორც იგი წერს: „გამოცემის განზრახვა მეო-  
რეჯერაც სრული ფიასკოთი დამთავრდა. გამოცემლები, როგორც ქუ-  
თაისისა, ისე ტფილისისა. კატეგორიულ უარს აცხადებენ ჩემი წიგნის  
გამოცემაზე, ეს გარემოება სულით ხორცამდე მაშფოთებს, მაგრამ მე  
თავს ვიკერ და მოთმინებით ვუცდი, ვიცი გამოიდარებს<sup>30</sup>“.

<sup>30</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 122, გვ. 22.

1913 წელს ქართულ პრესაში („იმერეთი“, „თემი“, „სახალხო გაზეთი“, „ერი“, „განთიადი“, „კლდე“ და ა. შ.) განახლდა ადრეული წლების პოლემიკა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ირგვლივ. იბეჭდებოდა ყოველგვარი მასალა, ღვარძლიანიცა და შეურაცხმყოფელიც, გულსტკივილის გამომხატველიცა და მწუხარების მომფენიც. საპროტესტო წერილებს არ უჩანდა ბოლო. საერთო პროტესტს შეუერთდა გალაკტიონ ტაბიძეც, რომელმაც ე. მაღაქიაშვილთან, იასამანთან და ჯელასთან ერთად გაზეთ „განთიადის“ 1913 წლის № 20-ში, გამოაქვეყნა ეს წერილი: „ჩვენ სრულათ ვეთანხმებით გაზეთ „თემის“ წინააღმდეგ მიმართულ მუშათა საპროტესტო წერილების აზრს, ამიტომ ხსენებულ გაზეთში თანამშრომლობას დღეიდან (ე. ი. 25 აგვისტოდან — ი. ლ.) თავს ვანებებთ“.

„თემის“ რედაქციამ იმავე წლის 2 სექტემბერს (№ 139) პროტესტის ავტორებს უპასუხა რეპლიკით და მოდავეებს ბრალი დასდო იმაში, რომ რედაქციას არასოდეს არ უთხოვია თქვენთვის თანამშრომლობაო. გალაკტიონ ტაბიძემ უპასუხოდ არ დასტოვა „თემის“ რედაქციის რეპლიკა და გაზეთ „სიმაართლის ხმის“ 1913 წლის № 11-ში გამოაქვეყნა საპასუხო წერილი: „თემის“ უქანასკნელ ნომერში დასტამბულია წერილი იმ პირების საპასუხოდ, რომელთაც უარი განაცხადეს „თემში“ თანამშრომლობაზე. ეს განცხადება დაკავშირებული იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარშემო ატეხილ კამათის დროს „თემის“ დასაგმობ პოზიციაზე შედგომასთან. ესლა „თემი“ გვეკითხება: „განა გვითხოვნია თქვენთვის როდესმე თანამშრომლობაო?“ „თემმა“ უნდა იცოდეს, რომ მკითხველთათვის ინტერესს მოკლებულია, თუ ვინ ვის სთხოვა თანამშრომლობა „თემმა“ ჩვენ თუ ჩვენ — „თემს“, მხოლოდ მათ იციან, რომ ჩვენ ვითვლებოდით „თემის“ თანამშრომლებად, რაც არა ერთხელ ჰქონია აღნიშნული ამ გაზეთს. აი, სწორედ ამ მკითხველთათვის იყო საჭირო ჩვენი განცხადება. პირადად მე უნდა აღვნიშნო შემდეგი: 1. მე არ მითხოვია „თემისათვის“ გამოვეცხადებინე თავის თანამშრომლად, მან მაინც გამოამაცხადა. 2. მე არა ვის არ „ვემდურები“ რამეზე, რადგან სამუდარო და სახევეწნი არავისთან არაფერი მაქვს, მით უმეტეს „თემთან“. 3. იმ წერილების შემდეგ, რომლებმაც საერთო უკმაყოფილება და ზიზღი გამოიწვია, მე „თემში“ დასაბეჭდად არაფერი გამომიგზავნია რა. 4. აქედან ცხადია, რომ სრულიად უსაფუძვლოა „თემის“ ექვიანობა იმაში, თუ „რა წმინდა წყლის რისხვია“ ჩემი რისხვა. გალ. ტაბიძე“.

1913 წელს გალაკტიონმა მრავალ ლიტერატურულ საღამოში მიიღო მონაწილეობა (ქუთაისი, სამტრედია, ქიათურა). ამ საღამოებიდან მის მენხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილა ერთი მათგანი, რომლის შესახებ იგი წერდა: „არასოდეს არ დამავიწყდება სალიტერატურო საღამო, რომელშიაც პირველად გამოვიდიოდი. ხუმრობა იყო? სცენაზე ლექსი უნდა წამეკითხა! დილიდანვე რაღაც საშინელების გრძობამ შემიპყრო... შიშმა სრულიად დამიმონა... ერთიჯ ვნახოთ დამავიწყდა ლექსი! მაშინ? საზოგადოება დაინტერესებულთა ახალგაზრდა მგონით, იგი გატაცებით თვალყურს გადევნებს... მე ძალზე გავიზიარე ლექსი... ამ დღეს სალიტერატურო საღამოში მონაწილეობდნენ: აკაკი, პეტრე გელეიშვილი, პ. ოცხელი, ვ. რუხაძე, იასონ ნიკოლაიშვილი და სხვები. საღამო გელეიშვილის ლექციით დაიწყო. იგი მუსრს ავლებდა ახალგაზრდა მწერლებს, რომლებიც იქვე ისხდნენ აკაკის გვერდით. დათიკო მესხმა მეორე დღეს ამ თემაზე იუმორისტული შენიშვნა დაწერა... აკაკიმ თავისი კლასიკური ლექსები წაიკითხა... ჩემი რიგაც დადგა... მე დავიწყე, მაგრამ ხმა მიკანკალებდა. უეცრად აკაკის დაინებული შემოხედვა ვიგრძენი. აკაკი მიცქეროდა... ლექსი დამავიწყდა, უნდა გაეჩერებულიყავი, ცივმა ოფლმა დამასხა. ბედათ იმ რითმაზე, რომელზედაც გაეჩერდი, მომაგონდა სრულიად ახალი რიჟმა. ექსპრომტათ, ავადმყოფური თავგანწირვით ვქმნიდი ახალ სიტყვებს, ახალ აზრებს, რომელშიაც საერთო არა იყო რა, მაგრამ მე მსურდა სიტყვების კორიანტელით ამეხვია თვალი მაყურებელ-მსმენელისათვის. ცდა საუკეთესოდ დაგვირგვინდა... საღამო გათავდა. მე დავიფიცე, რომ ამ დღიდან სალიტერატურო საღამოზე აღარ გამოვალ<sup>31</sup>“.

1913 წელს პოეტი მუშაობდა გაზეთ „თანამედროვე ქვეყნის“ რედაქციაში, სადაც მას კარგი ავტორიტეტი ჰქონია მოპოვებული. და მაინც, გალაკტიონი მეტად მოკრძალებული, ერთობ მორიდებული მუშაკი ყოფილა. რედაქციაში ხშირად იმართებოდა კამათი ხელოვნების საკითხებზე. „გალაკტიონი ყურს უვდებდა, იგონებს რედაქციის მუშაკი, — მაგრამ მონაწილეობას არ იღებდა. ამ მხრივ განმარტობულად და ერთობ დარცხვენილ-მორიდებულად ეკავა თავი<sup>32</sup>“. გაზეთის გამოცემა მაის-ივნისში მთავრობის მიერ დროებით შეჩერებული იქნა. გალაკტიონი ხონში გაემგზავრა. „იგი ხონში პირველად იყო.“

<sup>31</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371—9; ტ. XII, გვ. 232—233.

<sup>32</sup> გ. მეხუკე, პოეტის დროინდელი ქუთაისი, გაზ. „ქუთაისი“, 1954, № 55.

ხონმა მასზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, განსაკუთრებით მოიხიბლა გადაბიბინებული და ერთობ დამშვენებული ეზოებით. აკვირებდა სკოლების სიმრავლე<sup>33</sup>. მან ხონში ორი საღამო გაატარა.

ქუთაისში დაბრუნებული პოეტი თავის რედაქციას დაუბრუნდა, მაგრამ მთავრობამ გაზეთი აკრძალა<sup>34</sup>, „თანამედროვე ქვეყანა“ შეცვალა „სიმართლის ხმამ“, ამ გაზეთის ქრონიკორ-რეპორტიორად მუშაობდა გ. ტაბიძე.

გასული საუკუნის 80-იან წლებში სოფელ თამაკოდან (მარტვილის თემი) ქუთაისში ჩამოსახლდა სტეფანე ოკუჯავა თავისი ოჯახით. ამ ოჯახში აღიზარდნენ მგზნებარე რევოლუციონერები: ვლადიმერი, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ ამხანაგების დახმარებით, ეანდარმთა ოფიცრის სამოსელში გადაცმული, ღამე გაიქცა მეტეხის ციხიდან, მიხეილ (მიშა) — ცნობილი პარტიული მუშაკი, ერთ დროს საქართველოს კპ ცკ მდივანი, შალვა (პოეტ ბულატ ოკუჯავას მამა) და ნიკოლოზი სამხედრო პირები იყვნენ. შალვა ბორის ძნელაძესთან ერთად საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. ალექსანდრე, ვასილი, ოლია და მარიამი რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ, როგორც პროპაგანდისტები და რევოლუციური ლიტერატურის გამავრცელებლები. ქუთაისის სახელმწიფო არქივში ჩვენ მივაკვლიეთ ქუთაისის პოლიცემისტერის მიერ 1914 წლის 13 თებერვალს გაცემულ მოწმობას (№ 871), მასში იკითხება: „მიეცა ესე სტეფანე ვასილის ძე ოკუჯავას, მისი თხოვნისამებრ, სასწავლებელში წარს: ვენად, მისი სიღარიბის დასამტკიცებლად, რომ, როგორც მდინარეპირა პრისტავის 11 თებერვლის ოქმიდან ირკვევა, ოკუჯავას ოჯახობა შედგება პირადად მისგან, რომელიც 52 წლისაა, მისი მეუღლის ელისაბედისა (50 წლის), ვაჟებისაგან: ვლადიმერი 30 წლისა, მიხეილი 28, ალექსანდრე 26, ნიკოლოზი 20, შალვა 12, ვასილი 6 წლისა და ქალიშვილების: ოლღას 22 წლის, მარიამი 15 წლის, რომელთაგან ვლადიმერი სწავლობს უნივერსიტეტში. (შვეიცარია), მიხეილი — მოსკოვის უნივერსიტეტში, მარიამი წმინდა ნინოს სასწავლებელში, შალვა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ოლღა მასწავლებლადაა ქიათურაში, ნიკოლოზმა დაამთავრა სათავადაზნაურო გიმნაზიის კურსი და აძლევს კერძო გაკვეთილებს, ყველა შვილი სწავლობს მამის

<sup>33</sup> გ. მ ე ბ უ კ ე, გ. ტაბიძე ხონში, გაზ. „კომუნისმის გზით“, 1967, № 110.

<sup>34</sup> გაზ. „მერეთი“, 1913, 25 ნოემბერი.



ხარჯზე, რომელსაც ქონება არ გააჩნია და მთელი ოჯახი თავს ირჩენს ვაჟის გაკვეთილების ხარჯზე და ქალიშვილის ოლიას ჯამაგირზე, რაც დასტურდება ბეჭდის დასმით და სათანადო ხელმოწერით<sup>35</sup>. აი, ამ ოჯახს დაუახლოვდა გ. ტაბიძე 1912 წლიდან, მას თავდაიწყოებით შეუყვარდა ოლა (ოლია) სტეფანეს ასული ოქუჯავა. შემონახულია ამ სიყვარულის ამსახველი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომლის წაკითხვა აუღელვებლად შეუძლებელია: „ოლო! მე მგონია, შენ ერთადერთი არსება ხარ მთელ ქვეყანაზე, რომელსაც ჩემი უბედურება გულს გტკენს“... „ოლო! მას შემდეგ, რაც შენ წახყუდი, რაღაც საშინელმა სიცარიელემ მოიცვა ჩემი არსება... სიცარიელემ, რომლის განადგურებას, არ ვიცი, რანაირი მდგომარეობა შესძლებს და ან რა არის მისი წამალი?“... „ძვირფასო ოლია, შენ რომ არ ყოფილიყავი, შესაძლებელია მე სამუდამოდ დავსაპარებელიყავი“ — სწერდა გალაკტიონი თავის სატრფოს 1913—1914 წლებში<sup>36</sup>.

გალაკტიონისა და ოლიას სიყვარულს დიდი დარჯობა გადაეღობა წინ, სტეფანე და ელისაბედი არ იყვნენ მოძახენი, რომ მათი ქალიშვილი „ქუჩის ბიჭს“ გაჰყოლოდა (ოლად, ოლიას უკრძალავდნენ გალაკტიონთან შეხვედრას. ერთმანეთისაგან იძულებით დაშორებულები წლების მანძილზე იტანჯებოდნენ. ოლია მშობლებმა ჯერ ბათუმში, ხოლო შემდეგ ქიათურაში გახიზნეს (ოლია იქ მასწავლებლობდა). შეყვარებულთა დაშორება ვერ მოხერხდა. 1916 წლის აგვისტოში ისინი დაქორწინდნენ. გალაკტიონმა ოლია 1912 წელს გაიცნო, გალაკტიონთან ერთად ყოფილა მისი ბიძაშვილი ტიციანი, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და არდადეგებზე იმყოფებოდა. ტიციანს ოლიას გაცნობის შემდეგ გალაკტიონისათვის უთქვამს: „მას გენიალური თვალები აქვს, ქუთაისში ლაპარაკობენ ოქუჯაების ოჯახის განსაკუთრებულ პატიოსნობაზე“<sup>37</sup>.

ოლიამ 1908 წელს დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის სრული კურსი<sup>38</sup>. ერუხანს ქუთაისში ეწეოდა

<sup>35</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 15, საქმე 1666, ფ. 2.

<sup>36</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021372—111, 2, 3, 5; ტ. X II, გვ. 499—537.

<sup>37</sup> იქვე.

ოლიას დაბადების თარიღად მითითებულია 1887, 1893 და 1895 წლები. სინამდვილეში იგი დაბადებულია 1892 წელს. გარდაცვალა 1943 წლის მარტის თვეში ქ. ვლადიმირის საპატიმროში.

<sup>38</sup> ქუთაისის ცსა, ფონდი 15, საქმე 1665.

ეკრძო მასწავლებლობას, 1913 წელს კი დაინიშნა მასწავლებლად ჭიათურაში. 1916 წელს იგი სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვს გაემგზავრა, მასთან ერთად იყო გალაკტიონი, რომელმაც მოსკოვში 24 ნოემბრამდე დაჰყო. მოსკოვში მყოფ ოლიას მოუსწრო თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებმა. 1919 წელს ოლიამ მონაწილეობა მიიღო პირველ საბჭოთა შაბათობაში, მუშაობის დროს ხელი დაიზიანა, რასაც სისხლის მოწამვლა მოჰყვა. ექიმები მოითხოვდნენ ხელის (მარჯვენა) ამპუტაციას, რაზეც ოლიამ კატეგორიული უარი განაცხადა. მას ხელა შერჩა, მაგრამ უმოქმედო. ოლია საქართველოში დაბრუნდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. გალაკტიონის დახასიათებით ოლია მგზნებარე რევოლუციონერი ყოფილა (ტ. XII, გვ. 227). გადარჩენილია ცოლ-ქმრის ხანგრძლივი მიმოწერის ნაწილი, რაც ნათელს ფენს მათ ურთიერთობას. „სადა ხარ ეხლა, ოლოლ? რომ იცოდე რანაირ მდგომარეობაში ვარ... ისე მინდა ეხლა შენს ახლოს ვიყო, შენს სუნთქვას ვგრძნობდე, მაგრამ ყველაფერი ეს ისეა შესაძლებელი, როგორც ცისა და დედამიწის შეერთება... მე მგონი შენ ერთადერთი არსება ხარ მთელ ქვეყანაზე, რომელსაც ჩემი უბედურება გულს გტყენს, ახლა რომ შენთან ვიყო, დაგოცნიდი, დაგოცნიდი გიყვივით“ — ვკითხულობთ 1913 წლის 21 სექტემბრით დათარიღებულ წერილში<sup>39</sup>: „როდესაც შენ აქ იყავი, მე შემძლო დამენახე შენ, ჩემთვის შენს ახლო უბრალო ყოფნა საკმარისი იყო, რომ შენს გარდა არაფერზე მეფიქრა, როდესაც მწარე ფიქრები, სევდიანი განწყობილება შემიპყრობდა, მე მოვჭროდი შენკენ... რადგან შენი სიახლოვე საკმარისი იყო ჩვენთვის“; — ვკითხულობთ მეორე წერილში<sup>40</sup>.

1914 წლის 31 აგვისტოს წერილიდან: „ოლინკა! მე ისევ ძველებურად, გაგიყვებით და დიდი სიყვარულით მიყვარხარ!.. რას იზამ, ოლკინ, მე რომ მოკვდე? მოკვდა საწყალი გალონი და დაასაფლავეს, რას იზამ მაშინ?.. იტირებ თუ არ იტირებ? ჩემო ძვირფასო, ერთადერთო მეგობარო, ერთადერთო ნუგეშო და დიდო ადამიანო, ჩემო პატარა ჩმოლკინ... გებრალეობოდე შენი საწყალი გალონი, შენი მუდამ მოსიყვარულე გალონი“<sup>41</sup>.

შეყვარებულთა განცდა იძაბებოდა, ისინი გულისტკივილით აღნიშ-

<sup>39</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021372—III—2; ტ. XII, გვ. 499—500.

<sup>40</sup> იქვე, III—3; ტ. XII, გვ. 501.

<sup>41</sup> იქვე, III—10; ტ. XII, გვ. 509—511.

ნადნენ მართობ-სა და რალაც დამამძიმებელ გრძობის სიკარბეს, რის გამოც ერთმანეთს ამშვიდებდნენ და ანუგეშებდნენ: „უნდა ეცადო, რომ მწარე წუთები ტკბილ წუთებად წარმოიღვინო, უნდა ჩაჰკლა მწუხარება გულში. ჩვენი სიცოცხლე ისე ხანმოკლეა და უღლეური, რომ არავითარი ფასი არ ექნება მას, თუ ის ისე არ გავატარეთ, როგორც ჩვენ გვსურს... არაფერი იმაზე სამწუხარო არ არის, როცა ადამიანი ვერ შეიგნებს თავის მდგომარეობას. ერთადერთი საუკეთესო ხანა ჩვენს ცხოვრებაში სიყმაწვილეა, ახალგაზრდობაა და როცა ამ ხანასაც სიმწუხარეში ვკლავთ... ამაზე სიგიჟე იქნება? ჩვენ ვფიქრობთ, თითქოს ჩვენი მწუხარებით ვალამაზებთ ცხოვრებას... ნამდვილად კი იმგვარა მწუხარება და ნაღველი, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ჩვენ გვაშინებს... საშინლად გვაშინებს, სასაცილო ადამიანებად გვხვდის. ყოველ წუთში ენაზე გვაყვარია „ტანჯვა“, „გამოუთქმელი მწუხარება“, „სულის სიციარილე“, და სხვა, მაშინ როდესაც ჩვენ, ახალგაზრდები, უნდა გავიძახოდეთ „სიცოცხლე“ „ხალისი“, „ბედნიერება“. თუ არც სიხალისია, არც ბედნიერება, არც სხვა რამე, ჩვენ უნდა შევქმნათ, გესმის, ჩვენ უნდა შევქმნათ ბედნიერება, გასსოვდეს, რომ სიყმაწვილე ბედნიერებისათვისაა შექმნილი“<sup>42</sup>, ხოლო უთარილო წერილში პოეტი წერდა: „გაიფიქრე მხოლოდ, რამდენი უბედურება გადიტანე შენ, ფიზიკურად სუსტმა, მაგრამ სულიერად ძლიერმა ქალმა! შენ ყოველთვის შეგეძლო და შეგიძლია გაიმაგრო გული, ეხლაც საჭიროა გქონდეს სიმტკიცე, გქონდეს რწმენა, შენ ყოველთვის განსაცვიფრებლად ხალისიანი იყავი“<sup>43</sup>...

ოღაა გალაკტიონის ლექსების ერთ-ერთი პირველი მსმენელი, წამკითხველი და შემფასებელი იყო წლების მანძილზე.

ოკუჯავების ოჯახთან დაახლოებამ, ამ ოჯახის რევოლუციურმა პათოსმა, უშუალო კავშირმა რსდმპ ქუთაისის ორგანიზაციებთან გალაკტიონზე გარკვეული ზემოქმედება იქონია. ამ ოჯახთან დაახლოების შემდეგ უახლოვდება და თანაუგრძობს გალაკტიონი ბოლშევიკურ ფრაქციას, ამყარებს კავშირს სოციალ-დემოკრატიული გაზეთების რედაქციებთან, სადაც თანამშრომლობდნენ: თენგიზ ჟღენტი, სერგო ქავთარაძე, ბარონ ბიბინიევილი, კოტე ცინცაძე, პარმენ კახიანი, ვალია ბახტაძე, მიხეილ ოკუჯავა და სხვები. თენგიზ ჟღენტი თავის მოგონე-

<sup>42</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021372—III—4; ტ. XII, გვ. 503—505.

<sup>43</sup> იქვე, 021372—III—39.

ბაში — „ზოგიერთი ეპიზოდის პარტიული მუშაობიდან 1905 წლის შემდეგ“ ეხება რა 1912—13 წლების პარტიულ მუშაობას ქუთაისში, აღნიშნავს: „პოეტებიდან ჩვენი დავალებით და ჩვენთან ერთად მუშაობდნენ: ვ. რუხაძე, ნ. ჩხიკვაძე, გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი და სხვები... ქუთაისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას ეკონომიურად უჭირდა, საჭირო შეიქმნა წყაროს გამოძებნა, ამ მიზნით ორგანიზაციამ განიზარაბა დიდი ლიტერატურული საღამოს მოწყობა. შედგენილ იქნა გეგმა. ერთი ასეთი საღამო მოეწყო ქუთაისში. პოლიციას ეჭვი რომ არ აეღო, რომ ეს იყო კომიტეტის საქმე, საღამოს დაერქვა გალაკტიონ ტაბიძის საღამო“<sup>44</sup>. ამ ორგანიზაციებთან დაახლოებამ გ. ტაბიძის მსოფლმხედველობაში უფრო ნათლად გამოკვეთა მისი სამყარო, რასაც ცხადყოფს ლექსი — „გმირის გარდაცვალება“, რომელიც პოეტმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის აგვისტ ბებელის გარდაცვალების გამო დაწერა და გამოაქვეყნა გაზ. „განთიადის“ 1913 წლის 2 აგვისტოს ნომერში<sup>45</sup>.

გ. ტაბიძის კავშირი და სიახლოვე რევოლუციურ წრებთან და სოციალ-დემოკრატიული გაზეთების რედაქციებთან იმდენად შესამჩნევი გამხდარა, რომ ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს ჭერ მეთვალყურეობის ქვეშ აუყვანია პოეტი, ხოლო შემდეგ მიუღია გადაწყვეტილება მისი დაპატიმრების შესახებ. ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის 1914 წლის 15 მარტის (№ 1684) მიწერილობაში თბილისის ჟანდარმერიის შეფის სახელზე იკითხება: „თქვენი 1914 წლის 12 თებერვლის მიწერილობის შედეგად (№ 1190) გაცნობებთ, რომ ქ. ქუთაისში გამოძვეალმა გაზეთმა „სიმართლის ხმამ“ ა. წ. პირველი მარტიდან შესწყვიტა გამოცემა, ის შეცვალა გაზეთმა „აზრმა“. „სიმართლის ხმის“ რედაქციაში შედიოდნენ შემდეგი პირნი: რედაქტორ-გამომცემელი ლევან პავლეს ძე ბუაძე, ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის სოფელ ეწერის გლეხი, რეპორტიორი გალაკტიონ ტაბიძე, სასულიერო წოდებისა, კორექტორი პროკოფი ამბაკოს ძე გუჯაბიძე, ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფ. ასკანის გლეხი და

<sup>44</sup> „რევოლუციის მატანე“, 1928, № 2, გვ. 133—134. აქ იმ საღამოზეა საუბარი, რომელსაც უკახებ პოეტი სწერდა ოღაას: „ამ საღამოზე გამოსვლა მე არ მინდოდა, მაგრამ მიცემული მქონდა სიტყვა, გავედი თუ არა, დავიწყე მე და ლამე“ (ტ. XII, გვ. 509).

<sup>45</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. I, 1966, გვ. 156/407:

მთარგმნელი ნიკოლოზ სოლომონის ძე ჯანელიძე ქ. ქუთაისის მდაბი-  
ოთაგანი; ხოლო „აზრის“ რედაქციის შემადგენლობას განეკუთვნებიან  
შემდეგი პირნი: რედაქტორ-გამომცემელი ბუაძის ქალი, მცხოვრები  
ქ. ქუთაისში, უზნაძის სახლში, ბალახვანის ქ. № 20; ქრონიკორი ზე-  
მოთ ნახსენები ტაბიძე და ჯანელიძე (შემდეგ მოცემულია დაწვრილე-  
ბითი ცნობები ამ დასახელებულ პირებზე — ი. ლ.)... ყველა მათგანზე  
დაწესებულია აგენტური მეთვალყურეობა<sup>46</sup>“.

გალაქტიონი ვაზ. „აზრის“ ქრონიკორი იყო. 1914 წლის 22 აპრილს  
ქრონიკაში განსხვავებული შრიფტით დაიბეჭდა: „დღეს მუშათა პრე-  
სის დღეა. ჩვენ ვიღებთ უამრავ წერილებს ამ დღის აღსანიშნავად. ამ  
წერილებში მკითხველები მოუწოდებენ ყველას გაადიდონ ერთდღიანი  
შემოსავალი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლად და გაშალონ კამპა-  
ნია ახალ ხელისმომწერთა შესაძენად. ჩვენგან დამოუკიდებელი მი-  
ზეზებისა გამო ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას გამოვავქე-  
ყნოთ ეს წერილები და საერთოდ მივაქციოთ სათანადო ყურადღება  
მუშათა პრესის დღეს“. ეს შენიშვნა და სხვა მასალა ამავე ნომრიდან  
რუსულ ენაზე ნათარგმნი წარუდგენიათ პოლკოვნიკ პასტრულონისათ-  
ვის, რომელსაც უბრძანებია: „გთხოვთ დაადგინოთ აგენტური და მომა-  
სყენოთ<sup>47</sup>“. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფ-  
როსისადმი (1914 წლის 21 ივლისი, № 4909) ვკითხულობთ: „თქვენი  
17 ივლისის № 119 დეპეშის საფუძველზე, 18 ივლისის „აწალი აზრის“  
ოედაქციაში, რომელიც წარმოადგენს ამიერკავკასიის სოციალ-დემოკ-  
რატიული ორგანიზაციების ორგანოს, ჩატარებული იყო ჩხრეკა იმ  
დროს. როდესაც იქ თავი მოიყარა გაზეთის რედაქციის თითქმის  
მთელმა შემადგენლობამ... არსებული ცნობების მიხედვით გაზეთ  
„აწალი აზრის“ მთავარი ხელმძღვანელია გალაქტიონ ტაბიძე, რომელიც  
მოხსენებულია ა. წ. 16 მარტის მიწერილობაში № 1684, „იგი რამდე-  
ნიმე დღის წინ გაემგზავრა ქუთაისიდან. ტაბიძეზე დაწესებულია მეთ-  
ვალყურეობა და ქუთაისში ჩაქოსელისთანავე დაპატიმრებული იქნება  
და გადაეცემა მიწერაზე<sup>48</sup>“.

აღსანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინი მსოფლიო ომის პერიოდში დაინ-

<sup>46</sup> საქართველოს სსრ ცსა ფონდი 153, საქმე 3390, ფურ. 112—113 (დაყოფა  
ჩვენია—ი. ლ.).

<sup>47</sup> საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 153, საქმე 3390, ფურ. 123, 124.

<sup>48</sup> იქვე, ფურ. 186—187 (დაყოფა ჩვენია—ი. ლ.).

ტერესებული ყოფილა ქართული გაზეთების პოზიციით ომისა და რევოლუციის საკითხებში, რის გამოც მას თხოვნით მიუმართავს ქართველი ამხანაგებისათვის ეთარგმნათ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალა. ვ. ი. ლენინს ნ. კიკნაძისათვის უთხოვია „ახალი აზრის“ (ეს ის გაზეთია, რომლის მთავარ ხელმძღვანელად ჟანდარმერიის სამმართველოს გ. ტაბიძე მიაჩნდა), „თანამედროვე აზრის“ და „შევარდენის“ მასალები. შეკითხვაზე, თუ რა მიმართულებისაა ეს გაზეთებიო, ნ. კიკნაძეს უპასუხია: „პირველი ორი გაზეთი ასახავს იმ მენშევიკ ლიკვიდატორთა შეხედულებებს, რომლებიც დაჭვავებულნი არიან კავკასიის საოლქო კომიტეტის გარშემო“ (იხ. ვ. ესაიაშვილი, ქართული სიტყვასაც იცნობდა, გაზ. „კომუნისტი“, 1970 № 89).

სიმონ ტაბიძე მოგვითხრობს: „ერთხელ ქუთაისში უნდა ჩავსულიყავი. წამოსვლის წინ ჩვეულებრივ ბიცოლას (მაკრინეს — ი. ლ.) გაუარე. მან რალაც შეკრული გამატანა, შიგ რა იყო არ ზიცი. მთხოვა მიმეტანა გალაკტიონისათვის. მეც ბინაზე მისვლისთანავე ბარგი დავტოვე და გალაკტიონისათვის გადასაცემი წავიღე. რედაქციისაკენ სადგურის ქუჩით წავედი. უკან მოვიხედე და დავინახე სამი ჟანდარმი. ერთ მათგანს „სიმონა ჟანდარმს“ ეძახდნენ. ფეხს აუჩქარე, შევედი რედაქციაში, გალაკტიონს გახვეული შეეკრა გადავეცი და ვუთხარი: „სიმონა ჟანდარმი და მისი აფსონები მოდიანთქო“. სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ გალაკტიონი მოტანილ შეეკრას სწვდა, ხელი წაავლო და უკანა ოთახისაკენ გაიქცა და დაიძახა: „მოდიანო!“ მეც უკან დავვედევნე... რედაქცია სასტუმროს („გრანდოტელი“) ქვეშ იყო მოთავსებული. ყველა თანამშრომელი გარბოდა, ძლივს გავეტიეთ კარში. თავი ამოვყავით ბალახვანის ქუჩაზე. შემდეგ გავიგეთ, რომ ჟანდარმებს რედაქცია დაულუქავთ და გაზეთი დაუხუარავთ<sup>49</sup>“.

როგორც მიკვლეული მასალებიდან ჩანს, 1913—1914 წლებში გ. ტაბიძე მუშაობდა გაზეთების „თანამედროვე აზრის“, „სიმართლის ხმის“ და „ახალი აზრის“ რედაქციებში. ამ გაზეთების რუბრიკა — „ახალი ამბები“ ეკუთვნის ვალ. ტაბიძეს. მათში გადმოცემული იყო როგორც ადგილობრივი (ქუთაისი და მისი მაზრა), ასევე სხვა ქართული და რუსული გაზეთებიდან ამოკრებილი მასალები, ცნობები. გალაკტიონის არქივში შემონახულია მასალა, რომლებიც მისი ჟურნალისტური საქმიანობის ამსახველნი არიან. აი, ერთი მათგანი:

<sup>49</sup> გ. ტაბიძის არქივო, ს. ტაბიძის „მოგონებანი“.

„გავიდა 1914 წელი. გაზეთების მოვალეობა იყო განეხილათ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ამ წლის განმავლობაში. მოხდა ჩვეულებრივი ამბავი, ჩვენს გაზეთებს ამისათვის დიდად არ შეუწუხებიათ თავი, თითქო ამის მოვალენიც არ ყოფილიყვნენ, მაშ რა საქმე შეასრულეს ამ ხნის განმავლობაში ქართულმა გაზეთებმა?

დავიწყით:

რომ გავითვალისწინოთ გაზეთის მნიშვნელობა თანამედროვე კულტურულ ცხოვრებაში, აუცილებლად უნდა გავსინჯოთ ის, როგორც ეკონომიური მოვლენა საზოგადოებრივი მოთხოვნილების კითხვათა დასაკმაყოფილებლად. კულტურული ერები შეჩვეულნი არიან ყოველდღიურად გაზეთების კითხვას ან გადასინჯვას, რომ გაიგონ, თუ რა ახალი ამბები ხდება ქვეყანაზე, სხვადასხვა სახელმწიფოებსა და მხარეებში პოლიტიკასა, ვაჭრობაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში და სხვა საზოგადოებრივი მხარის ცხოვრება-განვითარებაში. მაგრამ ყველაფერი გაზეთში დაბეჭდილი როდი აინტერესებს მკითხველს. ერთი მათგანი ყურადღებას აქცევს შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოქმედებას, მეორე დაინტერესებულია იტალიაში მომხდარი წყალდიდობით, მესამე — საპარლამენტო არჩევნების ახალი კანონპროექტით, მეოთხე — ბირჟით, მეხუთე — ომით, მეექვსე — დაჭრილების სიით და ა. შ.

მოწინავე სტატია — „ოსმალეთისა და ბულგარეთის დამოკიდებულება“ ზოგიერთ მკითხველს იმითომ აინტერესებს, რომ ყველა ამას შეუძლია გავლენა იქონიოს სახელმწიფო რენტაზე, დაჭრილების სია იმითომ, რომ ხომ არავეინა მისი ნაცნობი, მეგობარი დაჭრილი ბრძოლის ველზე. ზოგიერთები ადღევეებით ათვალეირებენ განცხადებებს, რომ გაიგონ, თუ ვის სჭიირდება მუშახელი ან სხვა რამ. მკითხველები, რომელთაც არ აინტერესებთ არც პროვინციის, არც ქალაქის ცნობები, ძეიძლება გაერთონ ფელეტონით ან ნახატებით. ყოველი ცნობა გაზეთში აუცილებლად იმისათვის უნდა იბეჭდებოდეს, რომ საზოგადოების ყურადღება მიიქციოს. ცნობას, რომელიც მხოლოდ პიროვნებისათვის არის საინტერესო, გაზეთში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. აიღეთ მაგალითად, ორი ცნობა: 1. „მგოსანი აკაკი ამჟამად ქუთაისში იმყოფება“ და 2. „ივანე გვარამია ამჟამად ქუთაისში იმყოფება“. პირველი ცნობა არავითარ გაკვირვებას არ გამოიწვევს, რადგან ის აკაკის ეხება, რომლის ყოველი ნაბიჯი შეუძლებელია საინტერესო არ იყოს მკითხველისათვის, ხოლო ივანე გვარამიას ქუთაისში ყოფნა მხოლოდ ბ-ნ გვარამიას თუ დაინტერესებს, თორემ სხვა

არაეის. მაგრამ თუ გვარამიანზე დაიბეჭდება, რომ მან ქუთაისში ყოფნის დროს ვინმე გაქურდა, ან მას დაესხნენ თავს და გაქურდეს, წაართვეს ოქროს საათი, ფული, მაშინ მისი პიროვნება უეცრად გადადის საზოგადოების ინტერესის სფეროში, რადგან იგივე უბედურება შეიძლება სხვასაც შეემთხვეს.

ძირითადი მიზანი გაზეთისა არის საზოგადოებრივ მოვლენებზე წერა, იმგვარი კითხვების აღძვრა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი საზოგადოებრივ ინტერესებთან<sup>50</sup>.

ფაქტია, რომ ამ პერიოდის ქართულ პრესაში (განსაკუთრებით ქუთათურ გაზეთებში) იბეჭდებოდა გალაკტიონის წერილები, ფელეტონები, ახალი ამბები. ვინ იცის რამდენი მასალაა გამოქვეყნებული მის მიერ, ზომელთაც არაერთადი ხელმოწერა არ გააჩნიათ და არც ავტორის (სამწუხაროდ, არც სხვას) დაუტოვებია მათ შესახებ რაიმე ცნობა. კვლევა-ძიება ამ მიმართულებით მომავლის საქმეა და ის ატრაბუსციის ერთ-ერთი საინტერესო უბანი იქნება ქართულ ტექსტოლოგიაში.

## თ ა ვ ი მ ე მ მ ვ ს ნ

### პირველი წიგნი

1914 წლის მარტში გაზეთები „აზრი“, „შრომა“ და სხვა ამცნობდა მკითხველებს გამომცემელ ტუტკუ გვარამიას განცხადებას: „იბეჭდება და მოკლე ხანში ხელისმომწერთ დაურიგდებათ გალ. ტაბიძის ნაწერების პირველი წიგნი. წიგნში მოთავსებული იქნება: 1. ავტორის სურათი, 2. ბიოგრაფია, 3. ლექსები (ჯერ დაუბეჭდავებიც) და ი. ვართაგავას, ივ. გომართელის და მიხ. წულუკიძის წერილები<sup>1</sup>“.

პოეტი დიდად გახარებული იყო ამ წამოწყებით, იგი სიამაყით ამცნობდა თავის სატრფოს: „ჩემი წიგნის საქმე დიდებულად მიდის. ივანე გომართელმა ისეთი მშვენიერი კრიტიკული წერილი დასწერა რომ რა გინდა!<sup>2</sup>“.

<sup>50</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 2, გვ. 7; ტ. XII, გვ. 58—59.

<sup>1</sup> გაზ. „აზრი“, 1914, №№ 38, 43, 46, 52, 62, 65; გაზ. „შრომა“, 1914, № 10, 14.

<sup>2</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. XII, გვ. 507.



იმავე წლის ივნისის ბოლოს მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო გალ. ტაბიძის პირველი კრებული. რომელშიც შევიდა 157 ლექსი, მათგან 35 ადრე იყო გამოქვეყნებული ქართულ პერიოდიკაში. გაზ. „იმერეთი“ ახალ ამბებში ამცნობდა მკითხველებს, რომ „რედაქციამ მიიღო ახალგაზრდა მგოსნის ვალაკტიონ ტაბიძის წიგნი“<sup>3</sup>.

კრებულის გარეკანზე გამონახულია პოეზიის სიმბოლო: ყულ-მოღერებული მშვენიერი ასული, რომელსაც გულმკერდზე ჩანგი აქვს მისვენებული. ნახატის ირგვლივ წარწერილია ავტორის სახელ-გვარი და კრებულის სახელწოდება — „ლექსები“, რომლის მომზადებასა და გამოცემაში ავტორი ქმედით მონაწილეობას ღებულობდა. ამ კრებულში შესულმა ლექსებმა შემდეგ გამოცემებში (განსაკუთრებით 1927 და 1954 წლების გამოცემებში) განიცადა საგრძნობი რედაქციული და სტილური ხასიათის ცვლილებები.

სინამდვილეს მოკლებულია გ. ჩიქობავას მონაყოლი, თითქოს პოეტმა „თავისი პირველი კრებული რაღაც ორი კვირის განმავლობაში გააშადა დასაბეჭდად. მასთან რიგი ლექსები ახლად დაწერა, ხოლო ბევრი, უკვე გამოქვეყნებული, საფუძვლიანად გადააკეთა“ (ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 2, გვ. 83). 1966 წელს გამოქვეყნებულ წიგნში — „ვალაკტიონის ახლოს“ იგივე ავტორი ადრე მონაყოლის რაღაც შეუსაბამო მეტამორფოზას განაცდევინებს: „დასაბეჭდად გამზადებული ხელნაწერები მოპარეს(?) და მას (პოეტს — ი. ლ.) ორ-სამ დღეში(II) ახალი „ვარიანტების ვარიანტები(?) წარუდგენია გამომცემლისათვის“ (დასახელებული წიგნი, გვ. 79).

ჩვენი საუკუნის ათიანი წლები ქართულ პოეზიაში პოეტმა განსაკვიფრებელი სიმრავლით ხასიათდებოდა. დიდი ეროვნული თუ სოციალური ენებათა ღელვით დამუხტული ქართული კლასიკური პოეზიის ადგილი უხვირო მოღვესეობამ დაიკავა, ხოლო პერმენტიზმის კვალით დადაღულმა კარჩაკეტილობამ აშკარა პროვინციალიზმის იერი მიიღო. მართლაც მრავალი იყო „ამბების“ რითმებით გამლექსავთა რიცხვი. კემშარტი პოეტი კი, ისეთი, რომელსაც შეეძლო შეეცნო ბუნება,

<sup>3</sup> გაზ. „იმერეთი“, 1914, № 127 (№ 126 ავტორად შეცდომით მითითებული იყო: ტიციან ტაბიძე).

ცნობები გამოაქვეყნა გაზ. „შრომამ“, 1914, 3 ივლისი და გაზ. „აზრმა“, 1914, 7 ივლისი.

ადამიანის სულიერი სამყარო მთელი თავისი სისრულით, განეცდევინებინა სხვისთვის მის მიერ განცდილი, პოეტთა შორის ბევრი არ იყო. ამ „მეწყერივით მოვარდნილ“ სენის წინააღმდეგ უშეღავათო ბრძოლა იყო საჭირო, ის გალაკტიონმა დაიწყო თავისი უცნაური თრთოლვით აღბეჭდილი ლექსებით. „ნამდვილ პოეტთა რიცხვი, — წერდა ალ. აბაშელი 1913 წლის დასაწყისში, — თითქმის თითებზეა ჩამოსათვლელი. მრავალ არიან წვეულ, ხოლო მცირედნი რჩეულნი“, რომელთა შორის იგი გალ. ტაბიძეს მიიჩნევდა ყველაზე იმედის მომცემ პოეტად.

მართლაც, გ. ტაბიძე, ბუნებისა და ადამიანის სულის მესაიდუმლე საესებით განსხვავდებოდა თანატოლებისაგან.

მისი ლექსების კრებული მთელ მანძილზე განმსჭვალულია შემოდგომის სიმფონიის ნაზი გრძნობით. „ყვითელი ფოთოლი“—აი ემბლემა გალაკტიონის ლირიკისა. პოეტს მშვენიერ ფორმაში აქვს გადმოცემული გრძნობა სიცოცხლის წარმავლობისა, იგი ცხოვრების მსვლელობას მიჰყვება და იშვიათად გვესმის ხმა მოწოდებისა და პროტესტისა. თითქმის ყოველ ლექსში იგრძნობა ავტორის მოღლილობა, ნელი მოძრაობა და მონოტონური ნაბიჯი. პოეტი შეგუებულია არსებულ ვითარებასთან და ამ მხრივ დისპარმონია მის ლექსებში არ ჩანს, მაგრამ ეს გარეგნული შთაბეჭდილებაა. საკმარისია ჩავიხედოთ პოეტის სულში და ჩვენ აშკარად დავინახავთ და ვიგრძნობთ აჩქარებული ტემპით მიმდინარე მღელვარებას. პოეტის ლექსის ფორმა, ტონი და მკრთალი სახეები ქმნიან ისეთ განწყობილებას, რომელიც უთქმელ სევდას წერტილებით გადმოსცემს. იგრძნობა მძაფრი წინააღმდეგობა ოცნებასა და სინამდვილეს შორის. პოეტი გრძნობს, რომ ადამიანი სიცოცხლისა და ხალისისათვისაა გაჩენილი, რომ ადამიანში უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვის დაუცხრომელი სურვილი მარხია, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ „რადაც აჩრდილი... ახშობს წყურვილს ადამიანურს“. აქედან გამომდინარეობს უიმედობა, სევდა, მელანქოლია. პოეტი თითქოს ამჩნევს, რომ მის გარშემო არსებული ეს მყუდროება მოჩვენებითია, რომ მასში „იდუმალ ძილით“ ახალ „ქაოსებს სძინავს“, რომ ის „ლეღვაა დაფარული უჩინარ ცეცხლის“. პოეტი მშვენივრად გრძნობს, რომ ამ, ერთი შეხედვით, დუნე ცხოვრებაში გამუდმებული შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობს, ყოველივე ძველდება, ნადგურდება, იბადება ახალი. მაგრამ ამ პერიოდისათვის პოეტმა

4 ალ. აბაშელი, ყვითელი ფოთოლი, ვაზ. „შარდევანი“, 1915, № 5.

ვერ შესძლო მთლიანად გამსჭვალულიყო ამ ახლის ძლიერებითა და სიდიადით, მას მიჰყოლოდა და თავის პოეზიაში ადგილი არ დაეთმო მერყევი განწყობილებისათვის. საზოგადოებრივმა აქტივობამ ვერ ჩაჰკლა პოეტის ლტოლვა სიწყნარისადმი, მის ამ ლექსებში ჩანს ჩანასახი მარადიულობის ძიებისა, რომელშიც მეოცნებე პოეტი მხოლოდ ღრმა საიდუმლოებზე ფიქრობდა. მის ამ კრებულში გამოთქმულია დიდი ეროვნული სევდა გამოწვეული იმ დროის სოციალური უკუღმართობით. თვით პოეტსაც ადვილად ეუფლებოდა ამ ქვეყნიდან გაქცევის ცდუნება. იგი ეძებდა ახალ, სრულყოფილ სიცოცხლეს, მაგრამ თანდათან რწმუნდება, რომ მისი ძიება არის განუხორციელებელი ოცნება, რომ მისთვის „მარტოოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა“. გალაკტიონის შთაგონება თანდათან ექცევა ინტიმურ გრძნობათა რკალში, იგი საკუთარ „გულის სიღრმეში“ იწყებს „რაიმე ახლის“ ძიებას რათა „დამენახა რამე ნათელი“. პოეტს ბეზრდება მყუდროება და უსიცოცხლო ცხოვრება, მას ქარიშხალთან შებმა და ბრძოლა სწყურია: „დაჰქროლე ქარო, მე არ მიყვარს ეგ მყუდროება, მე ქარიშხალთან შებმა მინდა, დაჰქროლე ქარო!“, მაგრამ დაბროკლებად მას „შავი ბურუსი“ აღემართება. ერთგვარი პროტესტანტის ხმა ისმის მის სიტყვებში:

გზა დამიკაღე, შავო ბურუსო,  
წყვეულო ღამეე, გზა დამიკაღე!  
წინ ვივლი, სანამ დავმიწვდებოდე,  
ბედს კი მაინც არ წევურიგდებნი.  
წინ ნუ მიხედები, შავო ბურუსო,  
წყვეულო ღამეე, წინ ნუ მიხედები..

პოეტის არსება მოწმანებულია, იგი გულამოკენესით შესტირის ზეცას:

ბედნიერება ჩემთვის არ არის,  
ბედჯრული შვილი გამომიგლოვე!

უიმედო პოეტი ასკვნის: „მე საფლავს ვეძებ, რომ დამიამოს და დამავიწყოს გულის ღრმა წყლული“. რამ დაუდაგა ასე ძლიერ, ასე უსაშველოდ მგრძნობიარე გული ჰაბუე პოეტს? ვინ აწამა მისი სული, ვინ ურჩევს ჯვარცმას? მისი დიდი წინაპარი ნ. ბარათაშვილი თავის ზრახვებს უმხელდა „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა“, ადამიანთათვის ნიკოლოზი თითქო ვერ ბედავდა წმიდათა წმიდა გრძნობების გადამლას. ასეა მისი შთამომავალიც: „რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული, ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული“... პოეტის სევდა ჩვენთვის გამოუცნობი რჩება, მაგრამ რამდენა-

დაც უპირველეს ყოვლისა იგი ღირიყოსია, თავს ვერ იკავებს და მოზღვავებულ სევდას მაინც ამოიკენსებს: „მე მესიზმრება... შორი ქვეყანა, სადღაც, ოდესღაც ზმანებული, ერთხელ ნახული“, სწორედ ამ „ოდესღაც ზმანებულმა, ერთხელ ნახულმა“ ქვეყანამ დაუღია მას გული. გალაკტიონი შეგუებული იყო ნ. ბარათაშვილის თქმულთან, რომ აღამიანების ფიქრები ვერ მისწვდებიან ციური ხატების მიღმა მდებარე სადგურს და თავის სანუგეშოდ ამბობდა: „რად მინდა მიგ-სწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს“, რადგან შეგნებული ჰქონდა, რომ არის საზღვარი, რომლის იქით „კაცის გონება და გრძნობა ვეღარა სწვდება“. იდეალური, გალაკტიონის აზრით, პოეტური წარმოსახვის სფეროშია და არა იმ სამყაროში, რომელსაც აღამიანის ფიქრი ვერ სწვდება. წარმოსახვის ძალა კი ყველას ერთნაირი როდი აქვს? იგი ცდილობს იდეალური სფერო განკვერიტოს სახელ-მოხვეპილი წინაპრების, იქნება ეს დანტე, პეტრარკა, შელი, ბაირონი, რუსთაველი თუ ბარათაშვილი, თვალით. პოეტი შთაგონების ძალაში ხედავს იდეალურის შესაძლებლობის ნუგეშს:

ნუ დაღონდები... არსებობს მხარე  
სად თანაგრძნობაც არსებობს შენთვის.  
იქ დაუღეგარ მეოცნებე სულს,  
ბინა ექნება, მუდამ ყოველთვის.  
იქ მუსიკოსდა თვით დანდეს ქნარო  
იქ მალღღებოდა პეტრარკას სული,

ღღვამ შელისა და ბაირონის,  
მხოლოდ იქ ჰპოვა ნავთსაყუდარი  
იქ რუსთაველის დატრიაღებდა  
შემოქმედების დიდი ნაღმი,  
და იქ რეკვადა უცნაურ გრძნობით  
ბარათაშვილის მწუხარე სიმი...

აღსანიშნავია, რომ გ. ტაბიძე გვევლინება სოციალური ხახიათის გოდების პოეტად, მისი გოდება, მსგავსად ბაირონისა და ბარათაშვილისა, მსოფლიო გოდებაა. ამ გოდებას არა აქვს მარტო ნაციონალური ხასიათი, ამგვარი სულიერი ტანჯვა და ასეთნაირი მისწრაფება ყოველთვის ერთნაირია, განურჩევლად ეროვნებისა. დიდი პოეტები ყოველთვის ეძებდნენ აღამიანის არსებობის მიზანს, უძებნიდნენ აზრს ცხოვრებას და ამით ცდილობდნენ სოციალურ საიდუმლოებათა წიგნის წაკითხვას. ეს კითხვები აწუხებდა გალაკტიონ ტაბიძესაც, მაგრამ სანუგეშო პოეტმა ვერაფერი იპოვნა და მისი არსება დაიცხრიღა და მოიშხამა:

ფიქრს ვერ ვიკავებ ცრემლად მონაქუხს...  
ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,  
მაგრამ არავინ იძღვვა პასუხს...

გულღამძიმებული წარმოსთქვამდა იგი.

უმართებულო იქნებოდა, თუ პოეტის პირველ კრებულში არ შევამჩნევდით მისი შემოქმედების მეორე ძლიერ მხარეს — იმ ე დ ი ა ნ ო - ბ ა ს. პოეტი ბრმად როდი ემორჩილება უნუგეშო ხედვებს, რომელიც მას ცხოვრების სინამდვილემ არგუნა:

მაგრამ ვის ველი, ან რად ელოდები,  
განა არა მაქვს წინ მომავალი?  
რად ჩავიგონო გზის უმიზნობა,  
რად ავარიდო სიცოცხლეს თვალი?  
ვის შეუშინდე? რად შეუშინდე?  
დავიწყებული რად არის ჩრდილი?

განა განახლებისაკენ მისწრაფების სურვილი არ ღადაღებს მის ამ სიტყვებში: „განახლდა გული, დღეს ის აღარ ვარ, რაც უწინ ვიყავ, ფერი ვიცვალე“. პოეტის „გარდაქმნილი არსება“, რომელიც „ტყვედ ჰგავდა უცნაურ ძალას“, მოწყურებულია „ქარიშხალთან ერთად გაფრენისა“, მისი მისწრაფებაა: „ბ რ ძ ო ლ ა, ს ი ც ო ც ხ ლ ე, ს ი ყ ე ა რ უ ლ ი, ს ი ა მ ე, შ ე ე ბ ა!“<sup>5</sup>. გალაკტიონის ლირიკაში ერთმანეთს ერწყმის, ერთი მხრივ, რევოლუციის ქარტეხილის ძლიერი გრავიწევა და მეორე მხრივ, ადამიანურ სიმთა უნაზესი რხევა. ეს შერწყმა ჰქმნის თანამედროვე ადამიანის განცდის პოეტურ სიმფონიას.

გ. ტაბიძის იმდროინდელ ლექსებში იმედიანობასთან ერთად პოეტს ბრძოლის წყურვილიც უცხოველდება, მას სწამდა ბედთან შებრძოლება, ქარიშხლის აზვირთება მას სხვა ძალას მატებდა: „მძლედ დაჰქროლე, ქარიშხალო, ააღლევე მთა და ბარი“ — ომანობდა პოეტი, რამდენადაც ქარიშხალში ცოცხლობდა „პოეტის ფიქრთა... იღუბალი აღმაფრენა“.

10-იანი წლების ქართულ პოეზიაში არავის არ უგრძენია ამა ქვეყნის მშვენიერება ისე, როგორც გ. ტაბიძეს (მაგალითად, „გურიის მთები“. ეს ლექსი თავისი რომანტიკული სულით, სიცოცხლის ტრფობითა და ახლისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ჟინით, პოეტის ამ დროის ლირიკაში, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, ის არის ამ ქვეყნიერებისა და სიცოცხლის ჰიმნი).

ყურადღებას იპყრობს „ქართული სულით მეოცნებე“ გალაკტიონის პოეტური პეისაჟები, იგი მთვარის სხივებით ხატავს მშობლიურ

<sup>5</sup> ეს ლექსი, „განახლდა გული“, პირველად 1914 წლის ლექსთა კრებულში დაიბეჭდა (გვ. 31).

მთებსა და ველებს, მათ ნაირფეროვნებას. მას იტაცებს ლაყვარდთა სიმაღლე და ვარსკვლავების უსაზღვროება, ბუნების ქალწულებრივი სუნთქვა, მისი საღებავი მრავალფეროვანია, მაგრამ ამავე დროს გაღმაცემა უაღრესად ინდივიდუალურია. გალაკტიონი, ისე როგორც ბარათაშვილი, ბუნებაში ეძებდა სიმშვიდეს. ამიტომ ხატავდა იგი ასეთი რბილი ფერებით ქვეყანას, მშვენიერებას, განთიადს, ცისკრის ვარსკვლავის ამობრწყინებას:

როცა მზე მწვერვალს გაღმონათებს  
და სხივს დაადნობს თოვლიან მთაზე,  
იქვდავებაა მაშინ მნათობის  
მწვენიერება და სილამაზე...

გ. ტაბიძე 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ჩამოწოლილი რეაქციის დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. რევოლუციის დამარცხებამ მრავალს გაუტეხა გული. ეს გარემოება საკმაოდ მძაფრად აისახა მის შემოქმედებაში, მისი პოეზია უტყუარი სარკეა ჩვენი ინტელიგენციის ფართო წრეების სულისკვეთებისა, იმ სულისკვეთებისა, რომელიც მიზნით და სიწრფელით უთუოდ კეთილშობილური იყო. ასეთი განწყობილებებითაა აღსავსე მისი ლექსების პირველი წიგნი.

პირველმა კრებულმა მის ავტორს ნიჭიერი პოეტის სახელი დაუმკვიდრა, რომლის სახელი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა.

ცნობილია, რომ დიდი პოეტის გამოჩენა ყოველთვის აღინიშნება, ერთი მხრივ, ამა თუ იმ თემის ან თემების (თუნდაც უკვე გამოყენებულის, გაცვეთილის) ახალი კუთხით დანახვითა და გაშლით, მეორე მხრივ, მოსალოდნელი, პოეზიაში განმტკიცებული ავტომატიზმისადმი დაპირისპირებული ინტონაციის ორგანული შერწყმით, რასაც მხატვრული აზროვნების სიღრმე და მთელ ეპოქასთან მისი შეხმიანება აგვირგვინებს. მეოცე საუკუნემ ქართულ პოეზიაში თავისი ზრახვების მხატვრული გამოსახვა ვალ. ტაბიძეს არგუნა ბედმა.

ლექსების პირველმა კრებულმა გამოამჟღავნა ლირიკული თრთოლვის გამოხატვის შეუდარებელი ოსტატობა. მართალია, „პოეტი ჭერ კიდევ მიდიოდა რომანტიკული ლირიკის ნაცნობი გზით, იგი დიდი სიფაქიზით იმეორებდა ძველ მოტივებს, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა თანამედროვეთა შორის, მაგრამ ფერების ზუსტი განაწილება, პეიზაჟის ხატვის უნარი, დიდი ემოციური ძალა მისი ლექსებისა იმთავითვე ცხადპყოფდა, რომ რომანტიკულ ლირიკას შემდეგში

ალარ შეეძლო რაიმე ახლისა და მნიშვნელოვანის თქმა ამ მიმართულებით. გალაკტიონ ტაბიძემ თითქმის ამოსწურა ამ ლირიკის შესაძლებლობანი<sup>6</sup>. ამ მართებული მოსაზრების შემდეგ ძნელდება თ. ჩხენკელის ერთი დაკვირვების გაზიარება, რომლის მიხედვითაც: „1908 წლიდან — „მე და ლამემდე“ გამოქვეყნებული გალაკტიონის ლექსები პირობითად თუ ჩაითვლება პოეზიად. ამ ლექსებში მხოლოდ ეპზბრონური ელემენტების სახით არის მიმოფანტული მისი ტალანტისათვის ნიშანდობლივი სიტყვიერი და ფრაზეოლოგიური მიმოქცევები“ (ყურნ. „მნათობი“, 1968, № 11, გვ. 126). ანალოგიურ აზრს აწვითარებს რ. თვარაძეც თავის მონოგრაფიაში — „გალაკტიონი“ (1972). ყურს ეხამუშება მრავალგზის განმეორებული „შეგირდობის ხანა“, „შეგირდობის წლები“. ასეთი კვალიფიკაცია ვერასოდეს ვერ მოგვეცემს პოეტის ევოლუციის, მისი ზრდის, დაოსტატების, მაღალ საფესურზე ასვლის ნათელ და სრულ სურათს. 1908—1914 წლები გალაკტიონის შემოქმედების ერთი გამოკვეთილი პერიოდი, რომელშიც პოეტურად აისახა ეპოქის სული.

პოეტის პირველმა კრებულმა ფართო გამოხმავრება პოვა იმდროინდელ სალიტერატურო კრიტიკაში, გამოქვეყნდა რეცენზიები და გამოძახილები, მიუხედავად იმისა, რომ გამომცემელმა ვერ შეასრულა პირობა, ვერ შესძლო ი. ვართაგავას, მ. წულუკიძის წერილების დართვა კრებულისათვის, იქ მხოლოდ ივანე გომართელის წერილი — „სევდის მგოსანი“ დაისტამბა.

სალიტერატურო კრიტიკამ ხაზი გაუსვა, რომ „წიგნი ერთგვარ ნაზ და სევდიან განწყობილებას ქმნის ჩვენში და ეს განწყობილება დატულია ბოლომდე. გ. ტაბიძის სევდა ყველასათვის საყვარელი და ძვირფასია, რადგან ის ჩვენი ინტიმობაა, ჩვენი ცხოვრების ტრაგიკული წუთებია... პოეტი ღვიძლი შვილია ჩვენი ეპოქისა... მისი სულის საარკე“.

„გალაკტიონ ტაბიძე, — წერდა იოსებ იმედაშვილი, — რომელმაც პირველი ორიოდ ლექსი 1908 წელს გამოაქვეყნა, ხოლო უფრო მეტად 1910 წლიდან „თეატრსა და ცხოვრებაში“ და სხვაგან გაშალა ფრთები, თავისი ლექსთა თაიგული გასულ წელს გამოსცა ცალკე წიგნად, არ ეკუთვნის იმ მოლექსეთა ჯგუფს, რომელთა სახელი ლეგიონ-

<sup>6</sup> აკაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1962, გვ. 269.

<sup>7</sup> გაზ. „შრომა“, 1914, № 20.

ნია... გ. ტაბიძემ საუცხოოდ გადაგვიშალა მუდამ მაძიებლის სულით დღევით აღამიანის სწრაფვა, უკანასკნელი ათეული წლების ინტელიგენციის მერყეობა, ახალი გზის ძებნა, იმედის გაცრუება, უნუგეშობა<sup>8</sup>..

კრიტიკა გამოსთქვამდა რწმენას, რომ „განმარტოებით მდგომარე მგოსანი... ღრმად ჩახედავს მსოფლიო საიდუმლოებას“<sup>9</sup>..

„გალ. ტაბიძის შემოქმედება უხვად არის დაჯილდოებული ღვთიურის ცეცხლით, მისი სევდა უნივერსალურია, მსოფლიო სევდაა... მშვენიერია მისი პოეზია, ვით ფრთამოქარგული პეპელა და ნაზი, როგორც ძილში მოსასმენი სტვენა ბულბულისა. იგი ისე მოველინა ჩვენს მწერლობას „როგორც სიმღერა მოულოდნელი“— წერდა ალ. აბაშელი<sup>10</sup>..

1916 წელს მოსკოვიდან გაზ. „საქართველოს“ რედაქციას მოსდის ტიციან ტაბიძის დიდი წერილი — „მარტოობის ორდენის კავალერი (გალაკტიონ ტაბიძე)“, რომელშიც ავტორი სხვათა შორის წერდა: „ჩვენი პოეტის სიმღერა არა გავს ადრინდელ რომანტიკოსთა მწუხრიან მელანქოლიას, მაგრამ მასში არც გლადიატორის კენესაა ბოდღერისა და ფრანგების „დაწყველილთა“... ტ. ტაბიძის აზრით, „მარტოობისა და ტანჯვისათვის ნიადაგი საქართველოში არ არის ყამირი. საქართველომ ერთხელ გაიცინა თამარ მეფის შემხედვარემ იმ სიცილით, რომლითაც რეინიან ჯავარაყრილი ეროვნებანი და ეს სიცილი ეხლაც დაჰქრის ჩვენში, როგორც ღიმილი მგლოვიარ ტუჩებზე... მორცხვად შეჰოდგა ფეხი მწერლობაში გ. ტაბიძემ, რომ დაერეკა გლოვის ზარები და უკვდავ მეზარეთა ჩრდილები არ გასწყურებიან მის დანახვანზე. ეს მწერალი საინტერესო სახეა ქართველი მწერლისა, არა მარტო სამგოსნო ტალანტით, უფრო წერის მანერით და ლიტერატურული გავლენით... პოეტი მიდის ნამდვილ მოდერნისტულ გრძნობის უნგლიობამდე და თვრება მარტოობით... მისი ლექსი... უჩვეულო მოკლე სიტყვებში იშლება... მას აქვს ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ... საქართველოს ჯერ შეუძლია მარტო ტანჯვის და წამების მოცემა, მაგრამ ეს დიდი ძღვენი... გ. ტაბიძის ქნარ-

<sup>8</sup> „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 2, გვ. 5.

<sup>9</sup> იქვე, 1915, № 35, გვ. 13.

<sup>10</sup> გაზ. „შადრევანი“, 1915, № 5.



მა უნდა აამდეროს ეს ტანჯვა, სთქვას საქართველოს ნაწამები ქებანი<sup>11</sup>. სპეციალური წერილი — „პოეტიკა“ უძღვნა გ. ტაბიძის ლექსების პირველ კრებულს ალექსანდრე აბაშელმა, რომელშიც მან საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ სიანხეს, რაც ვალაკტიონმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში<sup>12</sup>.

როდესაც საუბარია პოეტის პირველ კრებულზე, შეუძლებელია ყურადღება არ გავამახვილოთ ერთ, ვფიქრობთ, გ. ტაბიძის შემოქმედებითი ისტორიისათვის შეტად მტკივნეულ საკითხზე, რომლის მართებულ ინტერპრეტაციას პრინციპული მნიშვნელობა უნდა მიენიქოს. პოეტის ლექსების I (1914) და II (1919) კრებულებში ყველა ლექსი თარიღის გარეშეა დატოვებული. 1927 წლის „ლექსების“ კრებულში 695 ლექსიდან დათარიღებულა მხოლოდ 95. 1937 წლის თხზულებათა I ტომის გამოცემიდან სათავე ედება ლექსების ნებისმიერ დათარიღებას, განსაკუთრებით 1908—1911 წლებში დაწერილ ლექსებს, ამ თარიღებს იმეორებენ მომდევნო წლებში გამოცემული კრებულები და „ჩჩულები“. 1954 წელს მან თავის „ჩჩულებში“ (შემდგენელი — ბ. ჩიქობავა) მოახდინა ლექსების ხელახლა „დათარიღება“. თხზულებათა II, III, IV, V, VI, VII და VIII ტომებში (1935—1957) შესული ლექსების უმრავლესობა უთარიღოდაა წარმოდგენილი. 1927 წლის კრებულში, ამ ყველაზე ავტორიტეტულ ავტორიზირებულ გამოცემაში, მოთავსებულმა ლექსებმა, რომელთაგან მხოლოდ 95 იყო დათარიღებული, გვიან სულ სხვადასხვა თარიღები მიიღო. უამრავი შემთხვევაა, როდესაც ადრე გამოქვეყნებულ ლექსს დათარიღებისას პირუკუ მოქმედებას აქვს ადგილი. პოეტის მიერ მრავალი ლექსი (როგორც ხელნაწერ, ასევე ნაბეჭდ წყაროებში) დათარიღებულია 1915, 1916, 1917 და სხვა წლებით, მაშინ, როდესაც ეს ლექსები 1910—1914 წლებშია დაწერილი და გამოქვეყნებული. მაგალითად, „შემოდგომა“ პოეტის მიერ დათარიღებულია 1916 წლით, ის კი 1910 წელს გამოქვეყნდა „სახალხო გაზეთში“. „ყვავილები“ — დათარიღებულია 1916 წლით, გამოქვეყნდა 1910 წელს „თეატრსა და ცხოვრებაში“; „ხომლი“ — დათარიღებულია 1917 წლით, გამოქვეყნდა ჟურნ. „განათლებაში“ 1912 წელს „თვალუწვდენელი, დაუსაბამო“ დათარიღებულია 1916 წლით, გამოქვეყნდა გაზ. „განთიადში“, 1913 წელს.

<sup>11</sup> გაზ. „საქართველო“, 1916, № 4—5.

<sup>12</sup> რეცენზიები დაიბეჭდა აგრეთვე კრებულში „ცხოვრება და მეცნიერება“, 1914, განყ. III, გვ. 10; გაზ. „შადრევანი“, 1915, № 3; „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №№ 28, 29, 30, 32, 35.

<sup>13</sup> ჟურნ. „ახალი ცისკარი“, 1916, № 1.

ანალოგიური მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ მათი დასახელება და მითითება შორს წაგვიყვანს. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ლექსი დათარიღებულია ადრეული წლებით, გამოქვეყნდა კი გვიან. მაგალითად, „შემოღამება“ — დათარიღებულია 1909 წლით, დაიბეჭდა „განათლებაში“ 1912 წელს; „სერენადა“ — დათარიღებულია 1908 წლით, გამოქვეყნდა იმავე ჟურნალში 1912 წ. „გამოსალმება“ დათარიღებულია 1910 წლით, დაისტამბა 1912 წელს; „ქალაქი“ დათარიღებულია 1908 წლით, გამოქვეყნდა 1952 წელს (ავტოგრაფი უჩვენებს ზუსტ თარიღს), „გამონაკლისი“ — დათარიღებულია 1910 წლით, გამოქვეყნდა 1940 წელს; „იერი“ დათარიღებულია 1915 წლით, გამოქვეყნდა 1940 წელს (ამ ლექსში კონკრეტულად ლაპარაკია 1940 წლის 10 მაისს თბილისში მოვარდნილ არნახულ თავსხმაზე, ლექსმა კი რატომღაც თარიღად 1915 წელი მიიღო). 1925 წელს „მნათობში“ (№ 10) გამოქვეყნდა გალაკტიონის „100 ლექსი“, რომლებიც განმეორებით დაბეჭდვისას, 1927 წელს, კრებულში უთარიღონი იყო, 1937 და 1954 წლებში მრავალმა ლექსმა სულ სხვადასხვა თარიღი მიიღო. აღარაფერს ვიტყვით „ეპოქის“, „რევოლუციური საქართველოს“ ციკლების ცალკე ლექსებად დაშლის შემდეგ, ლექსების თარიღები არეული იყო (ზოგმა ლექსმა თარიღით გადაინაცვლა 1912—1924 წლებში). ყოველივე ეს დადასტურებაა იმისა, რომ პოეტი გარკვეული მიზნით მოქმედებდა. იგი ყოველწინადაც დილობდა ტომეულებსა და „რჩეულებში“ ლექსები ისე დაეთარიღებინა და განელაგებინა, რომ არავითარი ზღვარი, პერიოდი მის რევოლუციამდელ პერიოდში არ გამოკვეთილიყო (იქნება ეს სიმბოლისტური თუ სხვა).

ლექსების პირველი წიგნი გალაკტიონმა პირადად მიართვა აკაკი წერეთელს სხვიტორში, „უდიდესი პოეტი აკაკი წერეთელი აღელვებული მიესალმა ამ წიგნის გამოცემას<sup>18</sup>“. სხვიტორიდან პოეტმა ჭიათურაში გამოუარა თავის სატრფოს, თავის გულისმურაზს — ოლიას, რომელსაც უსათუოდ გულის ამაჩუყებელი წარწერით, მიუძღვნა თავისი პირველი პოეტური კრებული.

1914 წლის ზაფხული მან მშობლიურ სოფელში გაატარა, საიდანაც იგი ოლიას წერილობით უზიარებდა ყოველივეს: „მე არას დროს მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, იმდენი ჩემი და მყუდრო ბედ-

<sup>18</sup> გაზ. „ტრიბუნა“, 1923, № 492.

ნიერება არ გამოცდია, როგორც ეს სოფელში ყოფნის დროს, — ვკითხულობთ 1914 წლის 24 ივლისის დაწერილ წერილში, — წარმოიდგინე სოფელი, ქალაქის დრტვინის და მოუხეშავ ცხოვრებას დაშორებული, შორი თვალუწვდენელი მინდვრები, იქით კიდევ მუდმივი მწვანით შემოსილი მთები. ესლა მინდვრებზე სულ სიმინდია დათესილი. ალაგ-ალაგ გაუვალი ტყეებია, მათ სივრცეში დასვენებას არა სჯობია რა. ჩვენი სახლის მახლობლად, სულ ორმოც საექნზე მდინარე რიონი ჩამოდის, მე და ტიტე (ტიციანი — ი. ლ.) დღეში სამჯერ ვბანაობთ ხოლმე... ვკითხულობთ ერთად წიგნებს, რაც კი გაგვაჩნია. შედამებისას გავალთ რიონის გაღმა ყანებში, დაესხდებით რიონის პირზე ვერხვის სირში, გვაქვს თან დოქით ღვინო, თან ვსვამთ და თან ვსაუბრობთ, ვიგონებთ ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესაებს, მაგრამ ყველაზე უფრო ვაგონებთ ჩვენს ტრფიალებს, ტიტე მიაშობს მოსკოვის ამბებს, მე ვუამბობ ქუთაისისას, რადგან მე უფრო ტყუილებს ვამბობ, ვინემ ტიტე, ტიტე გულზე სკდება. მთვარე ამ დროს მალდა სივრცეზეა ასული, ნიავეი ქრის, რიონის ზვირთების ბუტბუტი არღევს მყუდროებას... მივსეირნობთ ნავით, ვერ წარმოიდგენ, რა საუცხოო რამაა ნავით სერინობა მთვარიან ღამეს... ტიტემ ანკესები იყიდა... დავდივართ და ვიჭერთ თევზებს... მე და ტიტე ხშირად ვსაუბრობთ შენზე<sup>14</sup>... გალაკტიონს, მართლაც, ისე მყუდროდ გაუტარებია ზაფხული სოფელში, რომ იმავე წერილში არის ასეთი სტრიქონი: „გეფიცები დღეს გავიგე, რომ ომი (პირველი მსოფლიო ომი — ი. ლ.) დაიწყო“.

ავვისტოს ბოლოს გალაკტიონი ქუთაისში დაბრუნდა. 1914 წლის ოქტომბერში იგი ასე ატყობინებდა ოლიას პირად და ქუთაისის ამბებს: „ოლოლ! როგორაა საქმეები? შენი უკანასკნელი წერილი მივიღე. იმწამსვე მსურდა წერილის მოწერა, მაგრამ მყუდრო, საამისოდ განწყობილი დრო და ადგილი ვერ ვიშოვე. მე ისევე ძველ ბინაზე ვარ... სხვა, საღამო მაქვს... არ ვიცი, როგორ ჩივილის. თუ კარგად ჩაიარა, ხომ ძალი არ დაჰყუფს ჩემს ბედს! კარგა ხნით უზრუნველყოფილი ვიქნები. თუ არა და, მდგომარეობა ძველებური იქნება, რაც გამეხერხება, ვიტრიალებ, მინდა რამე გაკეთდეს... აქ შინაარსიანი და მშვენიერი ცხოვრება მოეწყობა მალე. შედგა მსახიობთა ამხანაგობა შალვა დადიანის რეჟისორობით, რომელიც წარმოდგენების მართვას

<sup>14</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021372—III—6; ტ. XII, გვ. 507—508.

დაიწყებს. მალე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებიც მოხდება, შეიძლება მოეწყოს სალიტერატურო წრის საქმე, ჟურნალის საქმე. ყველა ამაზე შეიძლება იმუშაოს კაცმა და სრულიადაც მოწყენა არ იგრძნოს, ოპ, ეს მოწყენა, მოწყენა! სხვათა შორის ქალაქის სამკითხველომ ბევრი ახალი წიგნი მიიღო: მერე ეკოვსკის, ბალმონტის, ბრიუსოვის, ვიაჩესლავ ივანოვის, ალ. ბლოკის და სხვების... ჩამოდი, უსათუოდ ჩამოდი, ძალიან ვთხოვთ. შენი მატერიალური პირობები ეხლა არც ისე ცუდია, რომ ჭიათურაში დარჩენა ღირდეს, ეს ჩემი ღრმა რწმენაა<sup>15</sup>».

1914 წლის 13 ნოემბერს გაზეთი „ახალი ივერია“ იუწყებოდა. „19 ნოემბერს ქალაქის თეატრში გაიმართება სალიტერატურო საღამო ახალგაზრდა მგოსნის ვალაკტიონ ტაბიძის სასარგებლოდ. ბატონი ტაბიძე სწავლის გაგრძელებას ფიქრობს და საღამოსაც ამ მიზნით მართავს<sup>16</sup>“. 19 ნოემბერს საღამო არ შედგა. ის გადაიტანეს ჟერ 23, შემდეგ 27 ნოემბრისათვის. საღამოს პროგრამა ასეთი იყო: „მატერიალისტური შეხედულება ლიტერატურაზე“ (მომხსენებელი ს. ქავთარაძე<sup>17</sup>), საკუთარი ნაწარმოებების კითხვით გამოვლენ: იასონ ნიკოლეიშვილი, ვარლამ რუხაძე, თეოფილე ხუსკივაძე, დომენტი თომაშვილი, ვალაკტიონ ტაბიძე, შოთა დადიანი, ცვარნამი, ვ. ყიფიანი. საღამოს ღიძძალი ხალხი დაესწრო და დიდი წარმატებით ჩატარდა<sup>18</sup>».

ვალაკტიონის დედას შეუტყვევია ვაჟის საღამოს ამბავი, გადაუწყვეტია ვალაკტიონის შეუტყობინებლად დასწრებოდა მას. მართლაც, მაკრინეს სიმონ ტაბიძისთვის უთქვამს:

— ახლა უთხარი, რომ ჩამოსული ვარ და ველოდები<sup>19</sup>...

1914 წლის მარტში აკაკი წერეთელს თვალის ქუთუთოს დამბლა დაეცა, მას გამუღმებით თვალიდან ცრემლი სდიოდა. ამ შემთხვევამ ვალაკტიონს სურვილი აღუძრა ფსევდონიმით ეხმარა — „ც რ ე მ ლ ი“. მის არქივში (გვ. 8751—52) ორი ლექსის ავტოგრაფი ხელმოწერილია

<sup>15</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021372—III—8; ტ. XII, გვ. 512—513. (დაყოფა ჩვენია — ი. ლ.) ჩვენ საგანგებოდ გაუსვით ხაზი იმიტომ, რომ ხაზგასმული უტყუარო საბუთთა პოეტის საგანგებო ინტერესისა ახალი რუსული პოეზიისადმი.

<sup>16</sup> გაზ. „ახალი ივერია“, 1914, № 32.

<sup>17</sup> სკკპ წევრი 1903 წლიდან, გარდაიცვალა 1971 წლის 18 ოქტომბერს.

<sup>18</sup> გაზ. „ახალი ივერია“, 1914, № 39.

<sup>19</sup> გ. ტაბიძის არქივი, ს. ტაბიძის „მოგონებანი“.

ამ ფსევდონიმით, ისინი პოეტს არ გამოუყენებია<sup>20</sup>. ავტოგრაფების მარცხენა ზემო კუთხეში მიწერილია „აკაკი“, რომლის გასწვრივ ცრემლის მონახაზებია.

პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. კავკასიის ხაზზე თურქთა მხედრობა გააქტიურდა, რასაც ქუთაისში პანიკა გამოუწვევია. ეს საბაბი გამხდარა ვალაქიონის საგაზეთო მასალისა—„ქუთაისი“, სადაც ვკითხულობთ: „ქუთაისში პანიკაა. შეძლებული მცხოვრებნი უკვე გარბიან ქალაქიდან, რჩება მხოლოდ ღარიბი და ხელმოკლე მოქალაქეობა. იტაცებენ დეპეშებს, რომლებიც, მათი აზრით, ძლიერ ცოტა ცნობებს იძლევიან ჭარების მდგომარეობის შესახებ. ქუჩაში, ხან აქ, ხან იქ დაინახავთ ჭგუფ-ჭგუფად დამდგარ ხალხს გართულს დეპეშების კითხვაში. ომისადმი ინტერესს ამლიერებს ქუთაისის დღევანდელი მდგომარეობა, გუბერნატორის ბრძანებით ქუჩებში გამოკრულია განცხადებები, სადაც იგი ითხოვს დასცალონ ქალაქი... დაბალი ხალხი ხანდახან ღრმად არის დაარწმუნებული, რომ თათრები უკვე გაბაშვილის გორაზე დგანან. გუშინ ხმა გავარდა, რომ მთას იქით დიდი სროლის ხმა ისმოდა. ვერავინ ეს ხალხი გავრცელებული ხმის სიყალბეში ვერ დაარწმუნა... დღევანდელმა დეპეშებმა კი შემდეგი ცნობა მოიტანეს: „ოსმალებმა, იმ მიზნით, რომ შეამსუბუქონ მეათე კორპუსის გადარჩენილი ნაწილის მძიმე მდგომარეობა, რომელიც საარაკამიშთან უკან იხევს, მოახდინეს კარაურგინის რაიონში ენერგიული თავდასხმა. სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა“<sup>21</sup>.

1914 წელს პოეტი თანამშრომლობდა გაზეთებში: „აზრი“, „ახალი აზრი“, „შრომა“, ეურნალში „თეატრი და ცხოვრება“. ამ პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა მისი ლექსები: „ქრისტე“, „სიჩუმე“, „გურიის მთები“, „ელეგია“, „ქალს მთებიდან“, „ვერსად, ვერასოდეს“ და „სანთლები“. მისთვის უცხო არ იყო ლირიკული პოეზიის ისეთი ფორმები, როგორიცაა სონეტი და ელეგია. ამ მხრივ იგი სხვათა მიმდევარი და განმეორებელია (ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, ალ. აბაშელი). სონეტს ვალაქიონი იშვიათად მიმართავდა, რაც შეეხება ელეგიას, რომლის ნიშანდობლივი თვისება ძირითადად მწუხარების

<sup>20</sup> გ. ტ ა ბ ი ძ ე, თბზ. ტ. I, 1966, გვ. 255, 256.

<sup>21</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 2, გვ. I; ტ. XII, გვ. 294—95.

გამოხატვა იყო, მას გალაკტიონმა ორჯერ მიმართა. ერთი მისი ელეგია („წვიმას წვეთები დასცემიან<sup>22</sup>“) დაწერილია ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტოს“ დიდი გავლენით.

## თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ა

### „ლურჯა ცხენების“ სამხაროში

1915 წლის ახალი წელი. ბედნიერი, ხალისიანი დღეები. კარგ განწყობილებას ხელს უწყობდა მშვენიერი ამინდი: „ოლოლო!.. რომ იცოდე რა მშვენიერი დღე არის დღეს?! ისტორიულ ქრონიკაში რომ წამეკითხა ასეთი დარი იყო, არ დავიჯერებდი, პირდაპირ არ გინდა კაცს სახლში იჯდე, გინდა გაინავარდო სადმე, — წერს გალაკტიონი, — საჩქაროდ... მოვიხურე პალტო, ჩამოვიფხატე ქუდი და ტროსტით ხელში „ვაჟნოთ“ გავსწიე ქალაქგარეთ... გზაზე ბევრს ვფიქრობდი... შევედი ეკლესიის ეზოში და დიდხანს ვიწეპი ქვებზე, შემდეგ წარწერებს ვათვალიერებდი, გავიცანი ბევრი მკვდარი, რომლებიც სიამოვნებით მომეგებნენ და მითხრეს: „მობრძანდით, მობრძანდით! მაგრამ რიგად ნუ გეშინია ჩვენი, ერთ დროს ახლობელი მეგობრები ვიქნებით ან ჯოჯოხეთში ან სამოთხეში... მეორე მიცვალებულმა თავისი ლექსები ამოიღო და პათოსით კითხვა დამიწყო... მე რე მითხრა, აბა შეადარე შენს ლექსებს, რომელი სჯობია... იმ პოეტმა ტრაბახით ამიკლო, სულ ძვლებს აჩხარუნებდა და გაიძახოდა: „ჩემისთანა არ იქნებო!“ მეც ველარ მოვითმინე და თავის ქება დავიწყე... მკვდარმა პოეტმა დაცინვით გაიღიმა და ჭიბიდან გაზეთი „შადრევანი“ ამოიღო, სადაც მიხ. წულუკიძის წერილია მოთავსებული, („შადრევანი“, 1915, № 5—ი. ლ.)... მე სირცხვილით გავწითლდი და ხმა გავიკმედე<sup>1</sup>... წერილით თქმული ეს სიტყვები თითქოს ერთგვარი თვითკრიტიკა იყო განვლილი პოეტური გზისა, რამდენადაც 1915 წლიდან პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, მართლაც, სრულიად ახალი ხანა იწყება ესაა გარდატეხის წელი მის პოეზიაში, ჩნდება ახალი პოეტური სახეები.

<sup>22</sup> გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზ. ტ. I, 1966, გვ. 166, 168.

<sup>1</sup> გ. ტ ა ბ ი ძ ე, არქივი, 021372—III—9; ტ. XII, გვ. 513—516.

თემატიკა, განცდათა სამყარო, განსაცვიფრებელი მიღწევები ლექსის რიტმის, რითმის და მუსიკის სფეროში.

1915 წელს გალაკტიონი თანამშრომლობდა: „თანამედროვე აზრ-ში“, „ახალ კვალში“, „სამშობლოში“, „ვანთიადში“, თეატრსა და ცხოვრებაში“, „სხივში“. გამოქვეყნდა მისი ლექსები: „რა სევდიან ნანას აშობს ქარი“, „Arf Poetigue“ („მიყვარდა ჰანგი“), „ბედისწე-რა“, „აკაკის გარდაცვალების გამო“, „ვეგნერი“, „შენ ზღვისპირად“, რომელშიც პირველად გაიელვა მისი პოეზიის ლირიკული გმირის — მერის სახელმა, „ფანტაზია“, „ყვითელი ფოთოლი“, „ატმის ყვავილე-ბი“, „პრიმიტივი“, „ის“, „თეთრი ლანდები“, „ალეები თოვლში“, „ვერხვები“, „აკაკის ლანდი“, „მერი“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურ-ჯა ცხენები“ და სხვ.

გზადაგზა ჩვენ საუბარი გვქონდა გალაკტიონის კრიპტონიმებსა და ფსევდონიმებზე, აღვნიშნეთ, რომ მისი ლექსები: „...მთვარე კაშკაშებს“. გავ. „ამირანი“, 1908, № 169 და „ვითარცა გე-ლი“, „დროება“, 1908, № 29 გამოქვეყნდა კრიპტონიმით — „გალ. ტბ-ძე“, „ტ ა ბ ი ს ხელმოწერით დაისტამბა ლექსი „...როცა ბუღბუ-ლი განთიადისას“. აღნიშნულის გარდა გალაკტიონ ტაბიძემ ქართულ პერიოდიკაში გამოიყენა კრიპტონიმები „გ“ („მაშხალა“, 1912, № 1, გვ. 8), ფსევდონიმები „გ ა ლ ა შ კ ა“ („მაშხალა“, 1912, № 1, გვ. 8; „ჯოჯოხეთის მაშხალა“, 1912, № 1, გვ. 5), „ახალი მწიგნობა-რი“. („სამშობლო“ 1915, № 87), „№ . № .“ ამ ხელმოწერით გა-მთავრდა მან მონოგრაფია „ზაქარია ჭიჭინაძე“, 1922; ლექსი — „ცისფერი“ და ფელეტონი — „სახელმწიფო გამოცემლობა“ („გა-ლაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1913, № 9, გვ. 3 და 7—9), რეცენზია კ. ჭიჭინაძის „ლექსებზე“ (ჟ. „მნათობი“, 1924, № 3, გვ. 313—314). ხელნაწერ ჟურნალ „მუქში“ მან გამოიყენა კრიპტონიმები: „გა“ და „გ“. პირად არქივში გვხვდება ავტოგრაფებზე მიწერილი ფსევდონი-მები: „ც რ ე მ ლ ი“ (დღ. 134, გვ. 4), „A c o r d i — ს ა მ შ ა ბ ა თ ე-ლ ა“ (გვ. 97) „რ ი მ ა ნ ე ლ ი“ (დღ. 100, გვ. 1), „გ ა ფ რ ი ნ დ ა-შ ვ ი ლ ი“ (გვ. 93, 97), „ტ ო ბ ა ნ ი ე რ ე ლ ი“ (გვ. 4083, 691), „თ ბ ი-ლ ი ს ე ლ-ქ უ თ ა ი ს ე ლ ი“ (გვ. 8751, 8752, 97, 484, 4083). ეს ფსევდონიმები წას პრესაში არ გამოუყენებია?

\* ა. ლ ო რ თ ე მ ა ნ ი ძ ე, გალაკტიონის ფსევდონიმები, ჟურნ. „საბჭოთა ხე-ლოვნება“, 1964, № 4, გვ. 41—44; მისივე, გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები, „მეცნიერება“, 1965, გვ. 51—62.

№. №-ნომენ ნოსციო — სახელი უცნობია.

1915 წლის 8 თებერვალს (ახალი სტილით) გარდაიცვალა აკაკი წერეთელი, რომლის შემოქმედების უკანასკნელი ორი ათეული წლის მონაკვეთი უაღრესად მკაფიოდ ავლენს დიდებული პოეტის ცხოველ-მყოფელ კავშირს ახალი ეპოქის სულიერ და პოეტურ კომპლექსთან. აკაკი წერეთლის პოეტური ბუნება განსაკუთრებული და იშვიათი მთლიანობით ხასიათდებოდა. აკაკის მთელი შინაგანი არსება აუღერებული იყო, მან მთელი საქართველო გამსჭვალა თავისი მელოსით, ამ მხრით მას ანალოგი არ მოეძებნება. აკაკი წერეთელი ქართულ პოეზიაში ეროვნული სულის განსახიერება იყო. სწორედ ამის გამო შეიგრძნო, შეითვისა და შეიყვარა თავისი სულიერი მამა გალაკტიონ ტაბიძემ, რომელიც ერთ ჩანაწერში გვამცნობს: „აკაკი წერეთელი ჩემი სამოქალაქო ლირიკის ძლიერი წინამორბედი. ეს იყო მგოსანი, რომელიც სცილდებოდა თავის დროის პროგრესულ მოთხოვნილებათა შთაგონებას. ეს იყო მგოსანი, რომელიც ჰკაფავდა გზას წარსულიდან მომავლისაკენ. თავისი ცხოვრებით და გაბედული გამოსვლებით მან უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. აკაკის ჩანგის მომხიბვლელობა გამოიხატებოდა იმ ზნეობრივ სიძლიერეში, რომელიც შეადგენდა პოეტის პიროვნებას. მან შესწირა თავისი თავი ერთს წმინდათა წმინდას სამშობლოს. აი, რანაირად ისახება ჩემს წარმოდგენაში მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის ისტორიული მდგომარეობა და მნიშვნელობა“<sup>3</sup>; მან აკაკის სიკვდილი ასე წარმოიდგინა: „აკაკი კვდებოდა და მისი დამავალი მზის ნათელი ანათებდა მთების მწვერვალებს და ამსგავსებდა მათ მეფეებს თავზე ოქროს გვირგვინებით“<sup>4</sup>.

სიმბოლისტები ბრალს სდებდნენ რეალისტ მწერლებს, რომ ისინი გატაცებულნი იყვნენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენების ასახვით. ანდრეი ბელი წერდა: „ჩვენ გვიყვარს პუშკინი, მაგრამ გვეშინია მისი, რადგანაც მან ხარბად შეუშვა თავის შემოქმედებით ანალებში სოციალური ცხოვრება“<sup>5</sup>. რამდენიმე წლის შემდეგ ეს აზრი გაიმეორეს ქართველმა სიმბოლისტებმაც. გალაკტიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კლასიკოსებისადმი დამოკიდებულების საკითხში არასოდეს გაუზიარებია მოდერნისტების მოთხოვნა. აკაკის

<sup>3</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 6189—20; ტ. XII, გვ. 140—141.

<sup>4</sup> ტ. XII, გვ. 66.

<sup>5</sup> ა. ბელი, სიმბოლიზმი, სტატიების კრებული, მოსკოვი, 1910, გვ. 113 (რუსულ ენაზე).



ისტორიული მისია, მისი ხვედრითი წონა ერის ცხოვრებაში თავიდანვე ნათლად შეიგრძნო მომავალმა მემკვიდრემ, რომლის შემოქმედებაში აკაკის სახემ უაღრესად საპატიო ადგილი დაიმკვიდრა.

აკაკის გარდაცვალების მეორე დღეს გალაკტიონმა ურნ. „განთი-  
ადღი“ (№ 3) გამოაქვეყნა ლექსი — „აკაკის გარდაცვალების გამო“, რომელშიც ქაბუკი პოეტი ანუ გეშეზა დიდი უბედურებით გულმოკ-  
ლულ ქართველობას.

1915 წლის მარტში ქუთაისის საქალაქო მმართველობის მიერ მო-  
წყობილ აკაკის ხსოვნის სამოქალაქო პანაშვილზე გალაკტიონმა წაი-  
კითხა ლექსი — „აკაკის ლანი“, რომელიც პირველად გაზეთ „ახალ  
კვალში“ (1915, № 1) გამოქვეყნდა. ლექსი დიდი და ცხოველი შე-  
მოქმედებითა ისტორიის მქონეა, რაზედაც მერყველებს არქივში და-  
ცული ამ ლექსის რედაქციები. მაგალითად, ერთ რედაქციაში ვხვდებ-  
ით ასეთ პასაჟებს:

...ხალხი უეცრად მუხლზე დაემხო  
და ხმა გაისმა აკაკის წყნარი...  
„ვინ არის ჩემი დიდი მემკვიდრე“  
ვინ არის ღირსი წილის ქნარი?  
მკრამ ამოღო მოუწოდებდა,  
მემკვიდრე ღირსი არსათი სჩანდა,  
დაკვიდა თავი მაშინ მოხუცმა  
და მწარე ფიქრით დანადვლიანდა.  
თითქოს მოხუცის უეცარ ფიქრზე  
ეჭვსი მგოსანი წინ წადგა ნელა,  
მათ, როგორც მთების მძლავრი არკანი,  
წინ მოუძღოდა ვაჟა-ფშაველა.

შემდეგ აბაშელს და შანშაშვილს  
უცხო და ტკბილი ხელთ ეყარათ ქნარი  
და გრძნაშვილის გაისმა ხმები,  
და რუხაქიმაც დარეგა ზარი.  
დარეგა ზარი იქ ქუჩისშვილმაც  
და ცად აღაყრეს ყველამ ხელები,  
მაშინ ერთ დიღს და ხმოვან ქნარს  
ჰგაედნენ

ჩვენი რჩეული პარანასელები.  
ვინ არ იგრძნობდა იმ სანატრელ დროს  
რომ ყველა თავის მგოსანთან არის.  
რომ ყველა ერთად ღირსია ერთი  
დაუმონებელ აკაკის ქნარისმ.

ამ სტრიქონებში გადმოცემული აზრი მოკლებული არ არის სუბი-  
ექტურ განსჯას ათიან წლებში ქართველი პოეტების ძალთა განლაგება-  
ზე, რომელთაგანაც ზოგს „უცხო და ტკბილი“ ქნარი ეპყრა ხელთ,  
რომ „ყველა ერთად ღირსია ერთი დაუმონებელ აკაკის ქნარის“  
(საინტერესო და დამაფიქრებელია, რომ საკუთარ „პოეტურ მე-ზე  
უბრალო მინიშნებაც კი არსად ჩანს).

სემინარიის მიტოვების დღიდან გალაკტიონი სისტემატურად ფი-  
ქრობდა სწავლის გაგრძელებაზე, ცოდნის საფუძვლიან გაღრმავებაზე.

• გ. ტაბიძე, ტ. I 1966, გვ. 450—451.

მას სურდა რუსეთში გამგზავრება სასწავლებლად, მაგრამ საამისო ეკონომიური პირობები არ გააჩნდა, რის გამოც პოეტი თხოვნით მიმართავდა სხვადასხვა პირებს, ცნობილ მოღვაწეებს აღმოეჩინათ მისთვის დახმარება.

1915 წლის 25 აპრილს კ. მაყაშვილისადმი მიწერილ თხოვნაში იგო წერდა: „მომავალი ენკენისთვიდან მოსკოვში მსურს წასვლა შანი-ავსკის ინსტიტუტში, მაგრამ მე უღარიბესი მშობლების შვილი ვარ, ამიტომ თხოვნა მინდა მივცე თბილისის სათავადაზნაურო ბანკს სტიპენდიის დანიშვნის ან ერთდროული დახმარების შესახებ, იქნებ დამეხმაროთ?“. ასეთივე თხოვნით მიმართა მან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობას, რათა აღსრულებინა „ბავშვობიდანვე გულში ჩანერგილი სურვილი უშაღლესი განათლების მიღებისა. სურვილი სურვილადვე დარჩა... ერთადერთი გზა, რომლის მიღწევასთან ერთად სრულიად გამოიცვლება ჩემი ცხოვრება, ეს არის სტიპენდიის დანიშვნა... ამით მე მომეცემა შესაძლებლობა მივიღო განათლება მოსკოვში<sup>7</sup>“. ქუთაისის განყოფილებამ 1915 წლის 3 აგვისტოს ქუჭკ გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა გ. ტაბიძისათვის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე<sup>8</sup>. 1916 წლის 24 აგვისტოს გალაკტიონმა განმეორებითი თხოვნით მიმართა მთავარ გამგეობას<sup>9</sup>. საზოგადოების აღმინისტრაციულმა სექციამ (დ. კარიჭაშვილი, ი. ვართაგავა, გ. ლასხიშვილი) 1916 წლის 9 სექტემბერს განიხილა მთხოვნელთა განცხადებები და სტიპენდიის დანიშვნის კანდიდატებად, სხვა პირთა შორის, ღირსად მიიჩნია გ. ტაბიძე<sup>10</sup>. სექციის მიერ წარდგენილი გ. ტაბიძის კანდიდატურა მთავარ გამგეობას, სათანადო საბუთების წარმოუდგენლობის გამო, არ დაუმტკიცებია.

1916 წელს გ. ტაბიძეს ი. იმედაშვილისათვისაც მიუმართავს თხოვნით: „ძვირფასო იოსებ! პატარა სათხოვარი მაქვს, იმედია შემისრულდებ. მე მივემგზავრები მოსკოვს. წერა-კითხვის საზოგადოებას გაუგზავნე განცხადება, თუ სტიპენდია არ მომცეს, არ ვიცი როგორ

<sup>7</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 5587 ხ., ტ. X11, გვ. 553.

<sup>8</sup> საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 481, საქმე 1555, ფ. 157.

<sup>9</sup> იქვე, ფ. 26.

<sup>10</sup> იქვე, საქმე 1679, ფ. 71.

<sup>11</sup> იქვე ფ. 6. სტიპენდიანტთა კანდიდატების სიაში გ. ტაბიძე ორჯერ არის მოხსენებული, საქმე 1679, ფ. 3 და საქმე 1555, ფ. 15.

იქნება იქ ჩემი ცხოვრება. ძვირფასო იოსებ! შეახსენე მახდ საზოგადოების წევრებს, აუხსენი, რომ მე ლირის ვარ სტიპენდიის და იქნება მეშველოს... მოსკოვში კარგად ვიმეცადინებ... მაშ ველი დახმარებას. თქვენი პატივცემელი გ. ტაბიძე“ („ლიტერატურული საქართველო“, 1983, № 12).

ფიქრი სწავლის გაგრძელებაზე ხელს არ უშლიდა გალაკტიონის თავისი უპირველესი მოწოდებების მიმართ ყურადღება ოდნავ მოედუნებინა, იგი ბევრს მუშაობს, რაღაც საოცრად მოკლე დროში მის პოეზიაში არსებითი გარდატეხა მოხდა. ეურნ. „თეატრი და ცხოვრების“ 1915 წლის № 2-ში გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსი „L'Art Poetique“. ეს იყო ქართულ პოეზიაში პირველი მოწოდება თანამედროვე პოეტებისადმი, რომელშიაც გ. ტაბიძე პოლ ვერლენისა და სტეფანე მალარმეს მოთხოვნათა მსგავსად, თანამოკალმეებს მოუწოდებდა უპირველესი ყურადღება მიექციათ ლექსის მუსიკისა და სილამაზისათვის.

რუსი სიმბოლისტებისათვის, ფრანგი კოლეგების მიბაძვით, „მუსიკა — ხელოვნების მწვერვალად“ იყო მიჩნეული (ა. ბელი). მათი აზრით, მუსიკა, რომელიც არ გამოხატავდა მატერიალური სამყაროს მოვლენებს, იძლევა უმაღლეს ინტუიტური შემეცნების — „ნოუმენურს“ (შემეცნება იდეებში); მუსიკა იდეალურად გამოხატავს სიმბოლოს. ამიტომ სიმბოლო ყოველთვის მუსიკალური უნდა იყოს — წერდა ა. ბელი წერილში „სიმბოლიზში როგორც მსოფლგაგება“.

გალაკტიონის ლექსში „L'Art Poetique“, რომელიც შემდომო მოცემებში უსათაუროდ და გადამუშავებული სახით იბეჭდებოდა, პოლვერლენისა და სტეფან მალარმეს სიმბოლისტური პოეტიკის სული ზოგჯერ პირდაპირაა გამოთქმული:

მე მიყვარს ჰანგი გრძნობით გამთბარი,  
ყვავილებივით ნაზი და ჩუმი —  
ხან მოშრიალე, ვით აბრეშუმში,  
ხან მოთამაშე, ვინ ნიაქპარი.  
სიძლერა გულში დაგუბებული,  
ხან ნიავეით, ხან შეშლილივით  
როცა სიღრმეში ვერ იტევს გული,  
მიდის და მოდის ფერად ლევივით.  
იძლერე დამთვრალ ყვავილთა მტვერში,  
იძლერე ტრფობის ან მტრობის ხმაზე,  
ოღონდ ყოველში და ყველაფერში  
მუსიკა იყოს და სილამაზე.

მუსიკა გვიხსნის, ჰოი, მგონებო,  
მართალი არის ბრძენთა თქმულება,  
რომ უფრო დიდი და საოცნებო,  
უფრო მაღალი დანიშნულება  
არ არის, როგორც განწმენდის ხმაში  
ვით ცეცხლის ალში დააცხრო ვნება,  
რასაც არ ჰქვია რითმით თამაში  
და განცდით ტანჯვა შვენიერება.  
იძლერე გრძნობით და როცა მღერი  
მწუხარებთს ან იმედის ხმაზე,  
მარად გახსოვდეს, რომ ყველაფერი  
მუსიკა არის და სილამაზე.

1927 წელს პოეტმა ლექსის პირვანდელი რედაქცია გადაამუშავა, მოქმედება წარსულში გადაიტანა და ნათქვამს უფრო რომანტიული იერი მისცა. მუსიკისა და სილამაზის გვერდით გრძნობაც დაასახელა, რაც პირვანდელი ჩანაფიქრისაგან უღაო დაშორებას წარმოადგენდა. გრძნობის განსაკუთრებული ხაზგასმა, მისი გაღრმავება და გაფართოვება გალაკტიონის ესთეტიკური მრწამსის ერთერთი არსებითი ნიშანი იყო.

„L'Art Poetique“ სიმბოლისტური პოეტიკის ნაცნობი აკორდი იყო.

იმავე წელს აქვეყნებს გალაკტიონი ლექსებს „ბედისწერა“ და „ვაგნერი“ (ყურნ. „განთიადი“, 1915, №№ 2, 3).

პოეტი თავის ბედისწერას დემონურ ძალებს უკავშირებდა:

ზღვას, უღაბნოს და დემონებს ჩემი ბედისწერა  
შეეჩეია და სიმღერა მხოლოდ მათთან მჭერა.

დიდი გერმანელი კომპოზიტორის მუსიკით შთაგონებულმა გალაკტიონმა თავისი განცდა მკითხველებს გაუზიარა. ვაგნერის ქანდაკებაში იგი კომპოზიტორის დიდებული მუსიკის პანგებს აღიქვამდა, რაც მისთვის იყო „წმინდა, ვით ზეცა და ბნელი, როგორც ქვესკნელი“, ამ მუსიკაში გალაკტიონს ეზმანებოდა „გრიგალი ბოროტად მიძინებული... ნარად დამწველი პანგები ლოენგრინისი ცად მყვანის“, ვაგნერის ციური რაინდის ლოენგრინის სახე სიმბოლისტურმა პოეტიკამ დაამკვიდრა პოეზიაში და გალაკტიონის ლირიკაში მისი წარმოსახვა პირველი შემთხვევაა. ლოენგრინის სახე მკვიდრდება გ. ტაბიძის პოეზიაში („მზეო თიბათვისა“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, „ეს მშობლიური ქარია“<sup>13</sup>).

ვაგნერიანობის პრობლემით დაინტერესება შემთხვევითი არ უნდა იყოს გალაკტიონის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, რის უტყუარი საბუთია მის მიერ გაკეთებული ვრცელი ამონაწერი ფ. ნიცშეს ნაშრომიდან „ვაგნერიანობის საკითხი (მუსიკალური პრობლემა)“, რომელშიც მას ხაზი გაუსვამს მისთვის საინტერესო ადგილებისათვის<sup>13</sup>. ვაგ-

<sup>13</sup> რუსმა სიმბოლისტმა ელისმა (ი. კობლინსკიმ) 1911 წელს რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა „რიხარდ ვაგნერი. პარციფალი. დრამა მისტერია“, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობდა, ვფიქრობთ, მას იცნობდა გ. ტაბიძეც.

<sup>14</sup> გ. ტაბიძის არქივი, ფვ. 021371—II.

ნერთ იგი დაინტერესდა იმ მიზეზის გამო, რომ მთელი ევროპული სიმბოლიზმი ამ კომპოზიტორის მუსიკიდანაც იღებდა სათავეს.

1915 წლის დასაწყისში დაწერილი და გამოქვეყნებული ლექსებით გალაკტიონის პოეზიაში მკაფიოდ ვლინდება ის კონტაქტები, რომლებიც პოეტმა დაამყარა მსოფლიო პოეზიაში მიმდინარე პროცესებთან, ეს განსაკუთრებით ითქმის რუსულ პოეზიაზე, სადაც მეოცე საუკუნის პირველ ორ ათწლეულში სიმბოლისტურ სკოლას დომინირებული ადგილი ეკავა, რაც კარგად იყო ცნობილი გალაკტიონისათვის, გავიხსენოთ ამონაწერი მისი წერილიდან: „ქალაქის ბიბლიოთეკამ მიიღო: მერეეკოვსკის, ბალმონტის, ბრიუსოვის, ვიჩ. ივანოვის, ალ. ბლოკის წიგნები“ — სინარჯლის გრძნობით აცნობებდა იგი ოლიას ამ ფაქტს. ვინ არიან ეს ავტორები, თუ არა რუსული სიმბოლიზმის თავკაცები? ფაქტია, რომ კონტაქტებმა (ამ შემთხვევაში წიგნიერმა) მოახდინა პოეტის მსოფლმხედველობრივ პოზიციაზე გარკვეული ზემოქმედება და მის პოეზიაში აისახა ის, რასაც მოითხოვდა იმ პერიოდის ევროპულ და რუსულ პოეზიაში გაბატონებული ლიტერატურული მიმდინარეობის თეორია და პრაქტიკა. გ. ტაბიძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა შემოიტანა ახალ ქართულ პოეზიაში სიმბოლისტური ლექსის კულტურა. ამ დროის მისი ლექსი ხასიათდება რთული პოეტური სახეებისაკენ სწრაფვით, გართულებული სიმბოლიური სახეების ძიების გზით. „ატმის ყვავილები“, „ალკები თოვლში“ ასეთი სწრაფვის ნათელი ნიმუშებია. ის გარემოება, რომ გალაკტიონი არასოდეს მისულა სიმბოლიზმის, როგორც ფილოსოფიური და ესთეტიკური კრედოს, აღიარებამდე, არ ნიშნავს, თითქოს გალაკტიონს თავის პოეზიაში უხვად არ ესარგებლა სიმბოლისტური პოეტიკის უმდიდრეს სალაროდან.

1915 წლიდან თვალში საცემი ხდება სიყვარულის თემის ახლებური გააზრება. „შორეული ქალის ეშხით“ აფორიაქებული პოეტის განცდა ამაღლელებელი და ვაჟკაცურია. სიყვარულის გრძნობა მისთვის სათუთი ხდება, მას სჯეროდა, რომ „ვინმე განთიადამდე ისმენს ამ ოხვრას და მწარე გმინვას“. ლექსები: „ის“, „ვერხვები“ და სხვა ამის შესანიშნავი მაგალითებია. პოეტის მეოცნებე სული „გამოუცნობ სინაზით სძგერდა“ და ნატრობდა არ შერხეულიყო „გადაზნექილი სიზმრების წელი“. სიყვარულის განცდას იგი ამაღლელებლად წარმოგვიდგენს, სატრფოს თვალებით იგი სხვაგვარად უცქერის ქვეყანას, მას „არც პოეზია ატკობს, არც მეგობრობა წმინდა“, პოეტისათვის

არაფერი აღარ არსებობს, რაც სატრფოს არ უკავშირდება. სატრფო ხან ახარებს, ხან სტანჯავს, არავის შეეძლო ამ დროს პოეტის აფორიაქებულ სულთან ეპოვა რაიმე საერთო. მის პოეზიაში ვლინდება და მკვიდრდება ევროპულ-რუსულ პოეზიაში (ბაირონი, შელი, ჰოფმანსტალი, ლერმონტოვი, ბლოკი) ფართოდ გამოყენებული პოეტური სახე მერიისა. გალაკტიონი ყოველნაირად ცდილობს დაგვარწმუნოს: „სახელი „მერი“ მე არ გამომიგონებია, თუმცა ლექსის ობიექტად პირველია ეს სახელი საქართველოში. მერი ხშირი სახელია ბაირონის ლირიკაში, მერი ასულდგმულებს შელლის, მერის აღტაცებაში მოჰყავს პუშკინი. მერი ერთი უკეთესი ტიპია ლერმონტოვისა. ათასი ინგლისური და ფრანგული რომანების გმირი ქალია მერი. ჩამოთვლილი პოეტების არც ერთი მერი ერთმანეთს არ ჰგავს. ასე, ალ. ბლოკის მერი სიმბოლიური სახებაა, ჩემი მერი რომანტიკული, მაგრამ არსებული და ცხადია. კრიტიკოსებს კი სურთ ამ ლექსით გააბან არარსებული კავშირი ჩემსა და ბლოკს შორის<sup>14</sup>“. გავიზიაროთ თუ არა პოეტის ეს „აღსარება“?

პირველად სახელმა მერიმ (ლექსის სათაურად) გალაკტიონის პოეზიაში გაიელვა 1915 წლის იანვარში ჟურ. „განთიადის“ ფურცლებზე (№ 8, გვ. 2), შემდეგ ლექსებში: „არ დაბრუნება“, „მერი“, „გზაში“, „ო, დღეს შემოდგომაა“, „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“ („გალაკტიონ ცაიძის ჟურნალი“, № 5, გვ. 2, სადაც შავი კურსივით არის დაბეჭდილი „მერი შერვაშიძე“) და 1935 წლის შემდეგ დაწერილ „მერის თვალებით“, რომელიც პოეტმა დაათარიღა 1916 წლით(!).

„სულ ახლა გაიფურჩქნა ნიჭი გალაკტიონ ტაბიძისა, — წერდა ერთი კრიტიკოსი, — თვისება მისი ნიჭისა — უშუალობაა. მისი პოეტური ტემპერამენტი მეტად ნერვიულია, სილამაზის ფაქიზი გრძნობა აქვს. იცის თავის დაჭერა. მშვენიერია მისი უკანასკნელი ლექსი — „მერი“<sup>15</sup>. მართლაც „მერიმ“ ფართოდ გაიკაფა გზა ქართველი მკითხველისაკენ, ლექსმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. ის იდგმებოდა ცოცხალ სურათებად თეატრში. მაგალითად, გაზ. „ჩვენი მეგობარი“ (1916, № 242) წერდა: „დაიწყო გ. ტაბიძის ლექსების კითხვა. ფარდა აიხადა და

14. გ. ტაბიძის არქივი, გვ 1560; ტ. I, 1966, გვ. 453.

15. გაზ. „საბალხო ფურცელი“, 1916, № 469.

სცენაზე გამოჩნდა სურათი: სამი ასული, თეთრ მოსასხამებში, ჭიანურებით ხელში... თალებს ქვეშ ჭვარისაწერად გამოწყობილი დგას ასული, თეთრ სვეტებს მიყრდნობილი, ნაბადში გახვეული მოჩანს თვით მგოსანი... ლოეიდან „მერის“ კითხულობს პაოლო იაშვილი“. გალაკტიონი იგონებს: „ერთხელ ოპერის თეატრში „მერი“ ცოცხალ სურათად დადგეს. მერის ანსახიერებდა მსახიობი ნინო დავითაშვილი. იგი იღვა პედესტალზე. ანათებდა ბენგალიის ცეცხლი, ქვევით ვიდექი მე და ვკითხულობდი „მერის“ (არქივი, გვ. 1560 ტ. I, გვ. 413).

გალაკტიონის არქივში არაერთი ჩანაწერია, რომელშიც იგი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ მისი ლირიკული გმირის პროტოტიპი ქუთაისში მცხოვრები მერი შერვაშიძე იყოს<sup>16</sup>. პოეტისეულმა ცნობებმა და თანამედროვეთა ინფორმაციამ (ს. გერსამია, ფ. დიღია, ბ. დადიანი და სხვები) დაამკვიდრა აზრი, რომ ლექსის ლირიკული გმირის შთაგონება იყო ქუთაისში მცხოვრები მომხიბვლელი ასული, რუსეთის იმპერიის დედოფლის ყოფილი სეფე ქალი მერი შერვაშიძე, რომლის გრანდიოზულმა ქორწილმა მისცა საზრდო პოეტის მუზას. ამ ლატერატურულმა „ქორმა“ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში თავისებური გამოხატულება ჰპოვა (რასაც ხელს უწყობდა თანამედროვეთა „დამარწმუნებელი მტკიცება“, რომ მერის ჭვარისწერა 1915 წლის მაისის თვეში შედგაო. ლექსი კი გამოქვეყნდა იმავე წლის ივნისის თვეში, „თეატრისა და ცხოვრების“ № 36-ში, როგორც პოეტი ვეამცნობს „ჩემდა დაუკითხავად“-ო?!). სინამდვილეში მერი შერვაშიძის ქორწილი შემდგარა 1918 წლის 20 სექტემბერს ე. ი. ლექსის გამოქვეყნების სამი წლის შემდეგ. პაპუნა წერეთლისადმი მოწერილ წერილში მ. შერვაშიძე დაწვრილებით საუბრობს ამ თემაზე<sup>17</sup>. ამდენად მერი შერვაშიძის პროტოტიპობის საკითხი ერთხელ და საშუალოდ უნდა მოიხსნას. გასაზიარებელი არ არის სერგი ქილაიას წერილში — „ლეგენდალ დარჩეს“ (გაზ. „კომუნისტი“, 1983, № 210) გაპოთქპული მოსაზრება, რომ ძალაში დაეტოვოთ, თუნდაც ლეგენდის სახით, გალაკტიონის გადმონაცემი. ასევე უმართებულოა მტკი-

<sup>16</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 220, გვ. 22—23, გვ. 1560, 4328; ტ. I, გვ. 453—54; ტ. XII, გვ. 249.

<sup>17</sup> მერი შერვაშიძის წერილი ინახება პაპუნა წერეთლის ოჯახში.

ცება, თითქოს მერის სახით გალაკტიონს მხედველობაში ჰყავდა მისი მომავალი მეუღლე ოლღა ოკუჩავა<sup>18</sup>.

გასაზიარებელი არ არის გ. ჩიქობავას მონაყოლი „მერის“ შემოქმედებით ისტორიაზე, „მერი“ თურმე „ბოშური კილოზე დამყარებული ძველი რომანსის განახლება“ ყოფილა (ყურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 7, გვ. 87, აგრეთვე მისივე „გალაკტიონის ახლოს“, 1966 წ.).

„მერის“ ციკლის ლექსები წარმოადგენს ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში უკვე სიმბოლიზირებულ სახის გამოხყენებას. ამ სახეს პოეტი იმავე წყაროებიდან იღებს და სარგებლობს და თავის სასიყვარულო ლირიკაში ერთ-ერთ ძირითად ადგილს მიუჩნევს. „მერის“ სიყვარულის ფილოსოფია, მიუღწეველი რომანტიკული იდეალის პროტისეული ხედვაა, რომლის განცდა გალაკტიონთან ყოველთვის რომანტიკული ფერებით აღჭურვილი და მოცახტავი დარჩა.

1915 წლის ზაფხული გალაკტიონმა ბაკურიანში გაატარა. აქედან სწერდა ძმას: „ხომ იცი, ჩემი ჩვეულებრივი მელანქოლია როცა დამიპყრობს, ყველაფრის ხასიათი მეკარგება. ბაკურიანში მომკლა ამ მელანქოლიამ... მშვენიერი ბუნებაა, სულ ფიჭვები და ნაძვები, როცა ტყეში გახვალ, ირგვლივ სულ უზარმაზარი ტყეებია, მშვენიერი სუნის სდგას, ჰაერი ფიჭვის სუნითაა გაჟღენთილი... მე ვნანე მზის ამოსვლა ცხრა წყაროს მთიდან და დიდი ხნით შემახსოვრება ის... მაგრამ აქ თითქო ჩემთვის არაფერი არ არსებობდა<sup>19</sup>“. ბაკურიანში შექმნა მან ლექსების ციკლი — „თეთრი ლანდებით“, რომელშიც შევიდა: „ალგები თოვლში“, „ვერხვები“, „Nactiurne“, შემდეგ ამ ლექსს ახალი სათაური მიეცა „ის“ და „თეთრი ლანდებით“, ციკლი გამოქვეყნდა ჟურნ. „ახალი ცისკარი“ (1916, № 1, გვ. 84—85).

1915 წლის 20 სექტემბერს ქუთაისის თაეტრში გაიმართა გალაკტიონის შემოქმედებითი საღამო „საქართველოს ყვავილების“ სახელწოდებით. მასში მონაწილეობა მიუღიათ: ვ. გაფრინდაშვილს, ელენე დარიანს, შალვა დადიანს, ვარლამ რუხაძეს, პაოლო იაშვილს (პაოლოს მოხსენებაც წაუკითხავს თემაზე: „სამშობლოს გარეთ ომის დროს. პარიზი, ლონდონი, ჩრდილოეთი. იმპრესიონისტული შთაბეჭ-

<sup>18</sup> ბენ. ჩიქობავა, ვინ არის მერი—გ. ტაბიძის სატრფილო პოეზიის გამოცემის ქალი? ჟურნ. „მნათობი“, 1973, № 7. ამ წერილის გამო იხ. ი. ლორთქიფანიძე, ერთი შეუსაბამობის გამო, „კრიტიკა“, 1974, № 6.

<sup>19</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. XII, გვ. 494—495.



დიღებანი“), კატო მიქელაძეს და სხვებს. სწორედ ამ საღამოზე წაუკითხავს პირველად პაოლო იაშვილს ელენე დარიანის ლექსები, რასაც საზოგადოების გაოცება და აღშფოთება გამოუწვევია. არავის არ აღძვრია ეჭვი, რომ პოეტი ქალის სახელს ამოფარებული იყო პ. იაშვილი (საღამოს ანგარიში დაიბეჭდა გაზ. „სამშობლოში“, 1915, № 177), ელენე დარიანის ლექსები, რომელიც გალაკტიონის საღამოზე წაიკითხა პ. იაშვილმა, გამოქვეყნდა გაზ. „მეგობარში“ (№ 33—„ძახილი“, „ჩემი თავადი“ და № 62 „ზამთარში“.

1915 წლის 7 ოქტომბერს ქუთაისის სტუმრად ეწვია კონსტანტინე ბალმონტი. საერთო პოეტურმა ინტერესებმა დააახლოვეს გალაკტიონი რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთ თავკაცთან, რომლის ხსოვნას გალაკტიონმა 1942 წელს ლექსი უძღვნა.<sup>20</sup>

1915 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დაიწერა საყოველთაოდ ცნობილი ლექსები: „მთაწმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“, რომლებიც მან წაიკითხა თავის სალიტერატურო საღამოზე 23 ნოემბერს. ეს ლექსები, პოეტის თანხმობით, გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“. (1916, № 1).

„მთაწმინდის მთვარის“ შემოქმედებით ისტორიაზე გიორგი ჩიქობავა წერს: „1915 წელს გ. ტაბიძე... ფოთში მიუწვევიათ... მეზობლად ვილაყ გაბმით აღრიალებდა გრამაფონს ერთი და იგივე გაცვეთილი რომანსით. პოეტი ფიქრმა გაიტაცა... ქართველ პოეტებს მომაკვდავი გედის თემაზე, მგონი არაფერი დაუწერიათ... სიცოცხლეში გედი მხოლოდ ერთხელ მღერის, ისიც სიკვდილის წინ... ქართულად უნდა ითქვას ეს პოეტური სიტყვით. ამ ოცნებამ შეიპყრო პოეტი და საჩქაროდ ჩაამწკრივა 14 მარცვლიანი ლექსი, რომელიც ფირფიტიდან გადმომღერებულ, გადმოქართულებულ პაროდის წარმოადგენდა. აი ასე იშვა „მთაწმინდის მთვარე“ (ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 2, გვ. 83—84). ნუთუ ეს იყო „შთაგონების“ წყარო?! არა გვგონია.

ახალ ქართულ პოეზიაში მთაწმინდამ, პოეტებისათვის მარად მიმზიდველმა, ჩამაფიქრებელმა და მღელვარე გრძნობების აღმძვრელმა, ქართული ლექსის დიდოსტატების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო (ნ. ბარათაშვილი, ა. წერეთელი). ეს დიდებული ტრადიცია უახლეს ქართულ პოეზიაში გ. ტაბიძემ განაგრძო. სამი თაობა, სამი

<sup>20</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. VII, 1972, გვ. 170.

სხვადასხვაგვარი მსოფლმხედველობა და პოეტური სტილი. გალაკტიონის ჩანაფიქრი ხორცშესხმულია სიმბოლისტური პოეტიკის სტილით (მელანქოლიური სამოსელი, სიკვდილის გზის ძიება). გალაკტიონის შეფასებით: „მთაწმინდის მთვარე“ ჩემი საპროგრამო ლექსია, რომელიც კონკრეტულად ასახავს ჩემს დამოკიდებულებას კულტურულ მემკვიდრეობასთან (ბარათაშვილი, აკაკი, მე)<sup>21</sup>.

„მთაწმინდის მთვარე“ ქართული პოეზიის ოქროს ფონდის თვალმარგალიტია.

ქართულ პოეტურ კულტურაში „ლურჯა ცხენები“ უჩვეულო მოვლენა იყო. ამ ლექსმა იმთავითვე მიიქცია დიდი ყურადღება. ქართულმა სიმბოლისტებმა თავიანთი ორგანოს „ცისფერი ყანწების“ ლიტერატურული ნაწილი გ. ტაბიძის ამ ორი ლექსით გახსნეს, და ეს ალბათ, იმის გამო, რომ „ყანწელებმა“ კარგად იცოდნენ, რომ მათ შიერ დეკლარაციებითა და მანიფესტებით გამოცხადებულ ახალ მიმდინარეობას ქართულ სინამდვილეში სათავე გალაკტიონმა დაუდო, თუმცა „ქართველ სიმბოლისტებს შორის გალაკტიონ ტაბიძე ყველაზე ნაკლებად ჩანდა სიმბოლისტად“<sup>22</sup>.

სალიტერატურო კრიტიკაში იმთავითვე გამოითქვა მოსაზრება „ლურჯა ცხენების“ შთაგონების წყაროზე, მის წარმომავლობაზე. ერთი ავტორი წერდა: „ზოგიერთი შედარებები და მეტაფორები თარგმანია ჩვეულებრივი რუსული სახეებისა“<sup>23</sup>.

წერილის „ქართული მოდერნიზმი“-ს ავტორი აღნიშნავდა: «Синие кони» одно из замечательных стихотворений грвзинскои поэзии ... хотя и видно влияние Бальмонта («Созвучия»), но «Синие кони» ни в чем не уступает грвзмонтовскому вошн<sup>24</sup>. ამ აზრმა შემდეგ ფეხი მოიკიდა, ის უმთავრესად ვერბალური ხასიათის მატარებელი იყო (გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი და სხვები), მიუთითებდნენ ბალმონტის ლექსებზე „Конни“<sup>25</sup> და „Три коня“<sup>26</sup>. საბიძნეოდ ამ ლექსებს არავითარი კავშირი არა აქვს გალაკტიონის

<sup>21</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 3160. ტ. XII, გვ. 152.

<sup>22</sup> გ. ციხლაძე, „კრიტიკული ვტიუდები“ ტ. III, 1959, გვ. 30.

<sup>23</sup> კ. ნადირაძე, ქართული პოეზია, ეურნ. „წვილდოსანი“ 1920 № 1, გვ. 19.

<sup>24</sup> ეურნ. „ARS“, 1918, წ. I, გვ. 51—52. (ავტორი გრ. რობაქიძე).

<sup>25</sup> К. Бальмонт. Сопеты солнца, меди и луны. Москва, 1917. с. 242

<sup>26</sup> К. Бальмонт. Пол. собрание стихов, т. 9, 1912. с. 27.

ლექსთან. მაგალითად, „სამი ცხენი“ წმინდა სიმბოლისტური ლექსია. აგებული წლის სამი დროის სიმბოლიკაზე.

მ. ზენკევიჩმა 1940 წელს რეცენზიაში აღნიშნა ქართულ-რუსული სიმბოლიზმის რამდენიმე შეხვედრის ფაქტი. მაგალითად, გ. ტაბიძის „ლურჯა ცხენებისა“ და ვ. ბრიუსოვის „კონ ბლედის“<sup>27</sup> განწყობილებათა ერთგვაროვნება. კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ ლურჯა ცხენები ბუნებაში არ არსებობენ, მაგრამ სიმბოლისტურ პოეზიას კარგად ეხმიანებათ<sup>28</sup>.

„ლურჯა ცხენებში“ „სიმბოლისტური სახე-სიმბოლოები: „სამუდამო მხარეში“, „ცივ სამარეში“, „ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს“, „დღეები შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით“. ეს კი ლექსს „ირაციონალური პოეზიის“ ნიმუშად ვერ გახდის. გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ პოეზიის ის ნიმუშია, რომელიც ნებისმიერი ანალიზის შედეგადაც შეინარჩუნებს იდუმალებისა და შეუცნობლობის იმ ხარისხს, ადამიანის ემოციური სამყაროს შესაძრავად რომ არ არის აუცილებელი.

1915 წლიდან გალაკტიონის პოეზიაში უჩვეულო ინტენსივობით წინა პლანზე გამოდის პოეტური აზროვნების განსხვავებული, ახალი სისტემა, რომელშიც თვალსაჩინოდ ვლინდება ახალი ეპოქისთვის ნიშანდობლივი მსოფლშეგრძნება. ამ დროიდან მისი პოეტური აზროვნების სისტემა მოდერნისტული პოეტური კულტურის შესაჩინვე გავლენას განიცდის.

1915 წლის ნოემბერში, ქუთაისში, ახალგაზრდა პოეტებმა ჩამოაყალიბეს ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურული გაერთიანება „ცისფერი ყანწები“, რომლის ორგანიზაციული გაფორმება ნოემბრის პირველ რიცხვებში უნდა მომხდარიყო. 10 ნოემბრით დათარიღებულ წერილში პ. იაშვილი აცნობებდა ელენე ბაქრაძეს: „ჩემი ცხოვრება ქუთაისში უინტერესოდ არ მიმდინარეობს. მე შეეძელი ჩემს გარშემო დამეჭვრებიან ხელოვნების ახალგაზრდა მოყვარულები. მალე გამოუშვებთ ალმანახს — „ცისფერი ყანწები“<sup>29</sup>. ეს პოეტური ორდენი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ჩამოყალიბებული პროგ-

<sup>27</sup> В. Брюсов. Избранные сочинения, т. 1, Москва, 1955, с. 213.

<sup>28</sup> Журн. «Красная новь», 1940, № 11.

<sup>29</sup> Г. Цурпкиова. Тидиан Табидзе. Жизнь и поэзия, Ленинград, 1971, с. 93.



ბით იცოდა, რომ ახალ ორგანოში ითანამშრომლებდა ვალაკტიონ ტაბიძე. მაგალითად, ქუთაისის გაზეთები: „მეგობარი“ (1916, №№ 106, 108, 111), „ახალი კვალი“ (1916, №№ 73, 83, 91) იუწყებოდნენ: „იბეჭდება და 14 თებერვალს გამოვა აღმანახი „ცისფერი ყანწები“. შინაარსი: I. პირველთქმა—პ. იაშვილი. II. პოეზია: გ. ტაბიძე... ამიტომაც მოხდა, როცა საზოგადოება, სალიტერატურო კრიტიკა გაეცნო ახალ გამოცემას, მის კრედოს, სასტიკი პროტესტი გამოუცხადა როგორც გ. ტაბიძეს, ასევე ზოგიერთ სხვა მწერალს. დაიბეჭდა ისარის (ალ. წერეთელი), გაზ. „სამშობლო“, 1916, № 304, ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) იქვე, № 341, ფ. მახარაძის „თანამედროვე აზრი“, 1916, № 56, ცაცა ღარაბაგვიანი, „ახალი კვალი“, 1916, № 4, წერილები, რომელთა შემოქმედების და პროტესტის მთავარი მიზანი ახალი გაერთიანება და მისი მიზანი იყო, ამავე დროს ყველა ავტორი ერთხმად აღნიშნავდა „მწუხვართ და ჩვენს გულსწყრომას ვუცხადებთ მგოსან ვალაკტიონ ტაბიძეს, რომ ასეთ უნიადაგო და გარყვნილ ჟურნალში მიიღო მონაწილეობა“—ო.

„ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ ვალაკტიონი, ჩანს, გარკვეულა ამ ორგანოს პროგრამის არსში, საშინლად აღელვებულა. გაერთიანების მესვეურებსა და მას შორის რაღაც ინციდენტს ჰქონია ადგილი. 1916 წლის მარტში იგი აცნობებდა ოლიას: „სამუდამოდ დავშორდით ერთმანეთს მე, გაფრინდაშვილი და იაშვილი. ძალიან დიდი ჩხუბი მოგვივიდა და ერთმანეთს ისეთი სიტყვები ვუთხარით, რომელიც ამის შემდეგ დალაპარაკების ნებას არ მოგვცემს. მე არ ვნანობ, ამ დღეებში გამოვა მათი მეორე „ცისფერი ყანწები“<sup>34</sup>.

1916 წელს, 14 თებერვალს, ქუთაისში საზოგადოებრივ ვითარებაში აღნიშნა შიო მღვიმელის სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დილა, რომლის მოწყობა-ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდა გ. ტაბიძე.<sup>35</sup>

1916 წლის 20—26 თებერვალს გ. ტაბიძემ (გ. ქუჩიშვილთან ერთად) ყვირილაში (ასე ეწოდებოდა რევოლუციამდე სადგურ ზესტაფონს და მის შემოგარენს) ჩატარა სალიტერატურო საღამოები, რომელთა სამახსოვროდ ფოტოსტენოგრაფიან ს. გოლაძემ მეგობრებს გა-

<sup>34</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021372—III—5; ტ. XII, გვ. 521.

<sup>35</sup> გაზ. „სამშობლო“, 1916, № 288.

დაულო სამახსოვრო სურათი, რომელიც „თეატრმა და ცხოვრებამ“ გამოაქვეყნა თავის ფურცლებზე<sup>36</sup>.

8—15 მაისს გალაკტიონი მონაწილეობდა სალიტერატურო დღეებში ფოთსა და ლანჩხუთში.<sup>37</sup> თანამშრომლობდა „თეატრსა და ცხოვრებაში“, „თანამედროვე აზრში“, „ახალ კვალში“, გამოქვეყნდა მისი ახალი ლექსები: „პრიმიტივი“, „ჩემო მადონაე“<sup>38</sup> და სხვები.

ეურნალ „ახალ ცისკარში“ (1916, № 1) გამოქვეყნდა მისი ლექსი — „კოშკი“. ამ ლექსს პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მასში კარგად გამოსკვევივის მისი ავტორის სულიერი განწყობილება.

რუსეთის პირველი რევოლუციის დიდმა მოვლენებმა დასაბამი მისცეს სიმბოლისტური პოეზიის განვითარების უკანასკნელ ეტაპს ახალ რუსულ მწერლობაში. ამ მოვლენებმა ძირფესვიანად შესცვალეს პოეზიის სახე, მიმართულება და შემოქმედებითი ძიების ხასიათი, თვითონ პოეტის ბედი. სწორედ ამ წლებში ყველაზე თვალსაჩინოდ გამოიკვეთა წინააღმდეგობა სიმბოლისტების თეორიულ დეკლარაციებსა და მათ მხატვრულ შემოქმედებას შორის. უფრო უშუალო ფორმით გამოიხატა ხელოვნებაში ახალი ეპოქის მიერ ნაკარანახევი თემისა და იდეის შექრა, ძველის გარდაუვალი დაღუპვა. სიმბოლისტების „მისტიკური წინათგრძნობანი“ დაფუძნებული იყო მსოფლიო რღვევის მოლოდინზე, რომელიც, შესაძლოა, ახალ საუკუნეს მოჰყოლოდა. ამ „წინათგრძნობებმა“ იწყეს ისტორიულ-კონკრეტული ხასიათის მიღება. განგაში გამოწვეული იყო არა განუყნებელი ესკატალოგიური მოლოდინით, არამედ ისტორიის ნამდვილი ფაქტებით. სწორედ ამ ჰიდილის ამსახველია გალაკტიონის ბრწყინვალე ლექსი „კოშკი“, რომელშიც იგი გოდებდა:

აღბათ, მოხდება სასწაულო საბედისწერო...

ნუთუ არავის, არავის არ შევებრალებით?!

გალაკტიონი ემზადებოდა მოსკოვში გასამგზავრებლად. მატერიალური პირობების გაუმჯობესების მიზნით მან მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო აღწერაში, რომელიც განახორციელა ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომიულმა ორგანიზა-

<sup>36</sup> ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916, № 9, გვ. 6, 8.

<sup>37</sup> „სამშობლო“, 1916, №№ 342, 345.

<sup>38</sup> „ჩემო მადონაე“ გამოქვეყნდა „თეატრსა და ცხოვრებაში“, 1916, № 40. ხარედაქციო შენიშვნით: „ეს ლექსი მიღებულია 1910 წელს“.

ციამ. ჟურნალისტი ილია ბახტაძე იგონებს: „სხვებთან ერთად საერთო აგრონომიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, პროგრესულად შოაზროვნე დანილევსკის შეუთანხმე აღწერაში გალ. ტაბიძის მოწვევა, ისე როგორც სხვებმა, მოემარაგდით სააღწერო მასალებით, მივეცით საჭირო თანხა და გავგზავნეთ ბალდადის საბოქაულოში... გალაკტიონი აქტიურად ჩაება აღწერაში<sup>39</sup>“.

1916 წლის 23 აგვისტოს გალაკტიონი დაქორწინდა ოლღა ოკუჩავაზე. ქორწინებას თავიდანვე დაებედა რაღაც ტრაგიკული, მათ ისე გაატარეს ცხოვრება, რომ თითქმის არასოდეს განუცდიათ ოჯახური იდეალიზაცია წუთები. ოლია სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში გაემგზავრა, მასთან ერთად გალაკტიონიც. რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა დაუნიშნავდა სტიპენდიას, პოეტს იმედი არ გაუმართლდა, თუმცა აღმოჩნდა პირი, რომელმაც გაუწია მას მატერიალური დახმარება. ეს პირი ჩახლდათ უაღკოპოლო სასმელების ცნობლი ოსტატი მიტროფანე ლალიძე<sup>40</sup>.

ოუსეთში მიმავალმა ილიამ ღრმა განცდით დაგვიხატა თავისი განცდა ლექსში „ყვარლის მთებს“. ანალოგიური განცდა და განწყობილება გამოსატა გალაკტიონმა ლექსში „ციხის ნანგრევებთან“, რომელშიც რუსეთს მიმავალი გალაკტიონი თავისთავს ასე მიმართავდა:

გემშვიდობებთ მშობლიურ ჩენო გორებო,  
თქვენც, ნანგრევებო ციხის და ტაძრის,  
გემშვიდობებთ: შექნელება ეს განშორება,  
როგორც ლოდინი ბრძოლების მკაცრის...

პოეტს „სამშობლო მხარე... ბურუსში“ ეხატებოდა და ჩრდილოეთში მიმავალს თან მიჰყვებოდა „სევედა და მოგონება“.

მოსკოვში ჩასული ახლადდაქორწინებულნი ჯერ პოვარსკაიას<sup>41</sup> ქუჩაზე, სახლი № 29, ბინა 18, შემდეგ კი ბოლშაია ბრონნაიაზე დაბინავდნენ. გალაკტიონი ცდილობდა მოწყობილიყო რომელიმე სასწავლებელში, მაგრამ ვერ მოახერხა. „ხედავ უზარმაზარ სახლებს, ყველას თავისი საქმე აქვს, — წერდა პოეტი, — დადიან, დარბიან, ფუსოკუსებენ ბუზებივით. ივლი მთელი დღის განმავლობაში და ერთ ნაცნობსაც ვერ შეზვდები... ხედავ უზარმაზარ სახლებს, ამჩნევ თუ რამდენი სიმდიდრეა მათში... ყოველ წამს რეკავს ტრამვაი, დაქრი-

<sup>39</sup> გაზ. „სტალინელი“ (ქუთაისი), 1960, № 21 (ი. ბახტაძის წერლი).

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> ამჟამად ვოროესკის ქუჩა.

ან ავტომობილები, ძვირფასი ეტლები, გაბრმავებს ელექტრონის სინათლე, თეატრებისა და კაფეების ელვარება. ყოველ წამში გრძობ, თუ რა საშინელი წყევლაა კაცის თავზე ღარიბად დაბადება<sup>42</sup>».

მოსკოვში იგი ცდილობდა დაემყარებინა კონტაქტი რუს პოეტებთან. ქართულმა სტუდენტობამ, სტუდენტ ვ. ყიფიანის ინიციატივით, მოაწყო გ. ტაბიძის საღამო, რომელსაც კ. ბალმონტი დაესწრო<sup>43</sup>.

24 ნოემბერს გალაკტიონი მოსკოვიდან სამშობლოში გამოემგზავრა. 29 ნოემბერს იგი ქუთაისში იყო: «რა ბედნიერი ვარ, — სწერდა იგი ოლიას, — რა ბედნიერის როგორც კი გამოვსციდი როსტოვს, დავინახე ჩვენი ლურჯი ცა, ვიგრძენი მხურვალე მზე<sup>44</sup>»...

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ პოეტი ქუთაისში ცხოვრობდა მხატვარ ფელია ჩუღდუცის ბინაზე, სადაც გაეცნო მხატვარ კროტოვს, რომელიც მასწავლებლობდა ქუთაისის სასწავლებლებში, კროტოვმა დახატა გალაკტიონის პორტრეტი.

1916 წლის 23 დეკემბერს ქუთაისის თეატრში გაიმართა გალაკტიონის დიდი საღამო. «საღამო დაიწყო ბ. ალ. წერეთლის ლექციით: «ნეორომანტიზმი ქართულ უახლეს ლიტერატურაში»... ლექციის შემდეგ დაიწყო გ. ტაბიძის ლექსების კითხვა. ფარდა აიხადა და სცენაზე გამოჩნდა სურათი: სამი ასული, თეთრ მოსასხამში, ჭიანურით ხელში. შემდეგ ცოცხალ სურათად დადგმული იყო ლექსი «მერი». თალებს ქვეშ ჯვრის საწერად გამოწყობილი დგას ასული და თეთრ სვეტს მიყრდნობილი, ნაბადში გამოხვეული მოსჩანს თვით პოეტი. ჭიანურს უკრავს და ლექსს «მერი» კითხულობს პ. იაშვილი... შემდეგ ლ. ჭაფარიძემ და ვ. გაფრინდაშვილმა წაიკითხეს გ. ტაბიძის ლექსები: «მე და ღამე», «ვერხვები» და სხვ. უკანასკნელ განყოფილებაში თვითონ გ. ტაბიძემ წაიკითხა თავისი ლექსები. დებმა იშხნელებმა გიტარაზე იმღერეს გ. ტაბიძის ლექსები. საღამო ძლიერ საინტერესოდ ჩატარდა<sup>45</sup>».

იმ წელს ოლიასადმი მიწერილ წერილში გალაკტიონი წერდა: «სიკვდილი კი თითქო ამბობს: გალაკტიონ ტაბიძე, შენ ჯერ არ მოკვ-

<sup>42</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021372—1—7, ტ. XII, გვ. 520.

<sup>43</sup> გაზ. «საქართველო», 1916, № 257.

<sup>44</sup> ტ. XII, გვ. 518—519.

<sup>45</sup> გაზ. «ჩვენი მეგობარი», 1916, № 242.



ღები, ვიდრე ბევრ რამეს გააკეთებო! ენახოთ! ენახოთ! მე მთელ ღელამიწას ღელში ვიწვევ! ენახოთ რა შენება, ენახოთ?!<sup>46</sup> მსგავსი აზრი პოეტმა ლექსშიც გამოთქვა ჭერ კიდეც 1912 წელს:

და მზად ვარ, რომ ველური ხმით ყველას შეუძახო:  
დამმორჩილდით, ყველაფერს ექმნი, ღმერთი ვარ, ღმერთი  
(„განათლება“, 1912, № 9)

პოეტური მედიდურობის ეს გრძნობა გალაკტიონს ბოლომდე შერჩა:

აო არის ვინმე ჩემი მსგავსი და ჩემი ტოლი  
ერთადერთი ვარ, მაღალი ვარ, ვარ უკვდავი...<sup>47</sup>

ასეთი გამოთქმები მის პოეზიაში არაიშვიათია. საკუთარი პოეტური სულის ფრთავაშლილობით ალტაცებული პოეტი დამშვიდებით წარმოსთქვამდა:

მე სული ვარ, შემოქმედი შეუზღუდველ სულთანა,  
სამუდამო, როგორც ღმერთი, და უძლევი ვით სატანა...

მეორეგან იგი ბრძანებდა:

ქვეყნად ყოველი არსის სული  
მემორჩილება,  
ღმერთი ვარ, ღმერთი!

გალაკტიონს სჯეროდა შემოქმედების მაგიური ძალისა, როგორც თვითონ უწოდებდა „ღ ა ი მ ო ნ ს“ — დიად შემოქმედებით ძალას ემორჩილება „ყოველი არსის სული“. ქართულ პოეზიაში იშვიათად თუ გამოუხატავს შემოქმედებითი ძალის ასეთი უსაზღვროება. სიმბოლიზმმა შექმნა პოეტის კულტი. აბრტურ რეგმბო და პოლ ვერლენი სერიოზულად აყენებდნენ საკითხს არის თუ არა პოეტი ღმერთი. პოეტის კულტის რეციდივი გალაკტიონში სწორედ ამ გზით შემოიჭრა და დამკვიდრდა.

1917 წლის დასაწყისი. გალაკტიონი ქუთაისშია. ცდილობს გამოსცეს ლექსების მეორე კრებული „ქართული ორნამენტის“ სახელწოდებით. მუშაობდა თავისი ლექსების რუსულ ენაზე გადასათარგმნელად, ამ კრებულის წინასიტყვაობა ოლია ოკუჯავას უნდა დაეწერა: „სწერ თუ არა ჩემზე წერილს, — წერდა 1917 წლის 29 იანვარს

<sup>46</sup> ტ. XII, გვ. 519.

<sup>47</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 4308.

გალაქტიონი ოლიას, — უსათუოდ უნდა დამახვედრო, იცოდე, რადესაც ჩამოვალ, ჩემი წიგნი უნდა გამოვსცე რუსულად, თარგმანები. აჟ იყო იგორ სევერიანინი... გავიცანი... ძალიან კარგი კაცი ყოფილა“<sup>48</sup> განზრახული პოეტმა სისრულეში ვერ მოიყვანა.

1917 წლის 2 თებერვალს თბილისში მოეწყო „ცისფერყანწელთა“ პირველი საღამო. საღამოს ინიციატორებმა თხოვნით მიმართეს ი. გრიშაშვილს და გ. ტაბიძეს მონაწილეობა მიეღოთ საღამოში. არცერთმა მათგანმა საღამოში მონაწილეობა არ მიიღო. „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში, საღამოს შესახებ, იკითხება: „ცისფერი ყანწელების“ დამარცხება 2 თებერვალს მხოლოდ ახალგაზრდული გამოუცდელობა მგონია. ამ დამარცხების მიზეზი ისაა, რომ „ცისფერყანწელებმა“ მოიწადინეს ასე ადვილად დაეპყროთ პოეზიის კლასიკური ქვეყანა საქართველო“<sup>49</sup>.

გალაქტიონი წერდა:

როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,  
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა...

„ქარი მსოფლიო ომის მაუწყებელი“ გრიგალივით დაჰქროდა რუსეთის იმპერიის უზარმაზარ სივრცეებზე, მილიონობით ადამიანებისათვის მოჰქონდა ნგრევა, შიმშილი, განადგურება და უბედურება. რუსეთის იმპერიის საშინაო და საგარეო ვითარება კატასტროფულად უარესდებოდა, იმპერია ეკონომიურად და პოლიტიკურად მოშლილი იყო, რევოლუციის აზვირთებულმა ტალღამ შესძრა რომანოვების იმპერია. რუსეთი დიდი გარდაქმნების მოლოდინის წინაშე აღმოჩნდა. რევოლუცია გარდაუვალი იყო. ბუნებრივია, ეს აზვირთება ვერც საქართველოს ასცილდებოდა.

<sup>48</sup> ტ. XII, გვ. 523—524.

<sup>49</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, № 791.

**ეპოქალურ მოვლენათა რაღაღი**

თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ისტორიული მსჯავრი გამოუტანა რომანოვების იმპერიას; რევოლუციის ტალღამ შესძრა ქვეყანა.

მოულოდნელად და უეცრად დაიქუხა თებერვალმა ქუთაისში: „თებერვლის რევოლუცია ისე მოულოდნელად დააცხრა ქუთაისს, როგორც ქორი, — წერს გ. ტაბიძე, — მე მაშინ მხატვარ ჩუღეციის-თან ეცხოვრობდი, ეცხოვრობდით ჯიბოს (პაოლო იაშვილის მამის — ი. ლ.) სახლში“<sup>1</sup>.

აღტაცებული პოეტი სწერდა დედას: „ნხლა გამაგრდი დედა მთელი ქვეყანა გახარებულია თავისუფლებით. შენც უნდა იყო მხიარულად... დიდი საქმეები არ მაძლევს საშუალებას ასე ადვილად მივატოვო ქუთაისი“<sup>2</sup>. „დიდი საქმეები“, როგორც აუცილებელი აქტი მიმართული ტირანიის წინააღმდეგ, არ წარმოადგენდა მოულოდნელობას ვალაკტიონისათვის. რევოლუციის წინა პერიოდის „სიჩუმე“ დიდად აღელვებდა პოეტს, იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ სიჩუმეში „იღუმალ ძალით სძინავს ახალ ქაოსებს“, რომ „იგი დევნაა დაფარული, უჩინარ ცეცხლის“. და მოულოდნელი არ იყო, როცა მშობლიურ ქუთაისში მყოფმა პოეტმა შეიტყო რა ცარიტული იმპერიის დამხობის აღმაფართოვანებელი ცნობა, იმ დღეებშივე დაწერა და 13 მარტს (ძველი სტილით) გამოაქვეყნა საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „დროშები ჩქარა“:

გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...  
 დროშები ჩქარა  
 თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,  
 ვით დაპირილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა...  
 დროშები ჩქარა..

ლექსი დაისტამბა ქუთაისში ახლადგამოსულ გაზეთ „სოციალ-დე-

<sup>1</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 524, გვ. 20. ჟ. იაშვილის სახლი იდგა კახაკოვის (დღეს შინა ცხაკაიას) ქუჩაზე.

<sup>2</sup> იქვე, 021372—I—1; ტ. XII, გვ. 492.

მოკრატის“ პირველ ნომერში<sup>3</sup>. ქართველი მკითხველი დაეწაფა მგზნებარე სტრიქონებს, რომელთაც ქართულ საბჭოთა პოეზიის ოქროს ფონდში ელოდათ დამკვიდრება. ერთიმეორის უსწრაფესად იწერება და ქვეყნდება რევოლუციის მქუხარე დღეების შემგებებელი ლექსები. 25 მარტს, იმავე გაზეთის მესამე ნომერში, გალაკტიონმა გამოაქვეყნა სონეტი „ნიკოლოზი“, რომელიც შემდგომ გამოცემებში იბეჭდებოდა სათაურით „ათრობდა ხალხთა მწუხარება“, მასში მკვეთრად გაისმოდა აღფრთოვანებული შექაბილი:

ასხანაგებო! განაზღვრის ზარმა დარეკა,  
ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე ღგება:  
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!

რასაც მოჰყვა თავისუფლებას მოწყურებული, სულის სასიხარულო ლალადისი:

სალამი ნგრევას, ვისში გვიანი  
აღფრთოვანება იყო ნეტავი,  
დღეს წამოიჭრა ოქროსთმინა  
დღე ახალგაზრდა და გამბედავი.

რევოლუციურ გარდაქმნათა აუცილებლობის შეგნებულმა, გააზრებულმა მხატვრულმა ასახვამ, ისტორიული ცხოვრების მძაფრი განცდების პირად სულიერ (შეიძლება ითქვას ეროვნულ) კრილობებთან გათანაბრებამ გალაკტიონის ლირიკას მასშტაბური ხასიათი მიანიჭა.

1917 წლის 29 აპრილს პოეტმა მონაწილეობა მიიღო ვალერიან გუნიას სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოში<sup>4</sup>.

იმავე წლის 18 ივნისს თანასოფლელებს ჰყვიოში გაუხსნიათ სამკითხველო, რომლისთვისაც ერთხმად მიუნიჭებიათ გ. ტაბიძის სახელი, რასაც წერილობით ამცნობდა პოეტს ვანიკო ტაბიძე<sup>5</sup>.

1917 წლის ივლისის ამბებმა შესძრეს რუსეთი, თებერვლის რე-

<sup>3</sup> თუ რა ვითარებაში დაიწერა ეს ლექსი იხ. გ. ტაბიძე, თხზ. ტ. II, 1966, გვ. 303—4.

თებერვლის რევოლუციის პირველ წუთებზე ქუთაისში იხ. ი. პონტელის „მოგონებანი“, 1958, გვ. 84—85.

<sup>4</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, № 849.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 24551—194.

ვლუციით გამოწვეულ აღტყინებას ჩრდილი მოეფინა, რეაქცია ამოძრავდა და კონტრიერში წამოიწყო. იმედით აღსავსე პოეტს სამშობლოს ბედი კვლავ შორეულბლულად წარმოუდგა. „ლოცვად მუხლმოყრილი“ პოეტი გრაალს (საშუალო საუკუნეებში გავრცელებული ლეგენდის თანახმად მაცხოვარი საიდუმლო სერობის დროს ხმარობდა წმინდა გრაალის თასს, რომელშიც მისმა ფარულმა მოწაფემ იოსებ არიმათიელმა შეაგროვა მისი გვერდიდან გამონადენი სისხლი. ლეგენდის მიხედვით, ეს თასი დაცული იყო ინგლისში, ზღაპრულ კოშკში და მას იცავდა საგანგებოდ შეწირულ რაინდთა კორპორაცია. ეს ლეგენდა დაედო საფუძვლად საშუალო საუკუნეებში შექმნილ რიგ რაინდულ რომანებს, მაგალითად, „პარციფალი“) ევედრებოდა მძაფრი ქართველისაგან დაეფარა „სამშობლო მისი“:

მზეო თიბათისა, მზეო თიბათისა.  
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.  
იგო ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულოთ,  
ურთებით დაიფარე, ამას გვედრები...

იმპერია შეტორტმანდა, ხალხი ბობოქრდა, ივლისის დღეებში ძაღუფლეება, სანახევროზე მეტად, ძველის ხელში იყო, ომი და სისხლისღვრა ახალი ძალით გაჩაღდა, სამხედრო ხუნტამ კლანკები გამოაჩინა, შკაფიოდ გამოისახა ახალი ქაოსის საშიში კონტურები: „შეტაკებანი მკაცრი და მწარე ეფინებიან ველებს მზიანებს“ — ამბობდა პოეტი. ასეთ რთულ სიტუაციაში მეუღლე სთხოვეს გალაკტიონს, ჩაეიდეს მასთან მოსკოვში. პოეტს გული მიუწევდა დიდი მოვლენების შუაგულსაკენ, მას სურდა ამ მძვინვარე ხანაში ეპოქალურ მოვლენათა პროცესის შუაგულში ყოფილიყო, იქ განეკვირბა „ბურჟუასიანი ქაოსი“, მაგრამ ამ სურვილის დაკმაყოფილება ჩანს, არ შეეძლო: „მე ჭერჭერობით, — წერდა იგი ოლიას, — მოსკოვში ვერ ჩამოვდივარ, საქმეები აქ ძლიერ ცუდად მაქვს, ვერაფერი სალდათობას ვერ მოუხერხე, ჭერაც არ გამოვცხადებულვარ, გამოვცხადები და შემდეგ პირდაპირ მოვდივარ ტრიუმფით“<sup>6</sup>.

პოეტმა გამოაქვეყნა ლექსები: „სილაუეარდე ანუ ვარდი სილაში“ (ეს ლექსი დაიბეჭდა „თეატრისა და ცხოვრების“ იმ ნომერში (№ 1),

<sup>6</sup> ტ. XII, გვ. 523.

რომელიც გამოვიდა 1917 წლის პირველ იანვარს, ამდენად ლექსი დაწერილია 1916 წლის ბოლოს და არა 1917-ში, როგორც ის დათარიღებულია ყველა გამოცემაში), „შენი ლიმილი“, (ყურნ. „ლიგვია“, 1917, № 1), რომელშიც პოეტი გოდებდა:

შენ ლიმილს მე თან გავატანე ბედნიერება,  
სიყვარულიდან გავატანე, რაც კი რამ მქონდა,  
მაგრამ ლიმილი გაიტაცეს ჩემი გულიდან  
როგორც ლუვრიდან გაიტაცეს შორს ჭიოკონდა!..

1917 წლის 28 ნოემბერს ქუთაისის თეატრში გაიმართა გალაკტიონის დიდი საღამო<sup>7</sup>. 30 ნოემბერს კი იგი სწერდა ოლიას: „ოლია! შეიძლება თუ არა იანვრიდან შანიავესკის უნივერსიტეტში ჩაწერა? ეს აუცილებელია სტიპენდიისათვის. მე ვოცნებობ ჩვენ ერთად ყოფნაზე, პატარა ბავშვზე, განა კარგი არ არის? აჰ, ნეტავი კარგად მოვეწყობოდეთ, მე ამის იმედი მაქვს.

Будем жить припеваючи!

ა? კარგია, კარგი ცხოვრება! ცხოვრებას ჰკვიანად უნდა მოპყრობა, ცხოვრება მიდის“<sup>8</sup>.

სალიტერატურო კირტიკას შეუუმჩნეველი არ დარჩენია ის როლი, რომელსაც გ. ტაბიძე ასრულებდა უახლეს ქართულ პოეზიაში. „ახალი სიტყვის“ თქმის იმედი მასზე მყარდებოდა. „პოეზიის ახალი სიტყვის ძიება, — წერდა კრიტიკოსი, — მომავლის საქმეა, მაგრამ ერთი ცხადია, ეს ახალი სიტყვა უნდა შეჰქმნას ისევე მან, ვინც მძლავრად გარდმოშალა თავისი ნიჭი, შემოქმედებითი ალლო გვიმზილა... ამის ნიშნებს გალაკტიონ ტაბიძე იძლევა, რომელმაც ჩვენ ახალი პოეზიის ეს დარგი (ლირიკა—ი. ლ.) ფრიად ღირსეულად დაამუშავა, გააღრმავა და წარმტაც ფორმაში ჩამოასხა... მეტად საყურადღებო პოეტია გალ. ტაბიძე, დიდი გულწრფელობა, უმეშვეობა სჩანს მის სათუთ შემოქმედებაში“<sup>9</sup>.

1917 წლის დეკემბერში პოეტი მოსკოვს გაემგზავრა. 27 დეკემბერს, როგორც ეს ოლია ოკუჩავას წერილიდან ირკვევა, იგი უკვე მოსკოვშია და მეუღლესთან ერთად, რომელიც მოსკოვში ერთდროულად სწავლობდა და მსახურობდა, ცხოვრობდა პოვარსკაიას

<sup>7</sup> გაზ. „ჩემო ქვეყანა“, 1917, № 117; გაზ. „სახალხო საქმე“, 1917, № 849.

<sup>8</sup> ტ. XII, გვ. 524—525.

<sup>9</sup> ა. კ. პ. ა. ვ. ა. წლის ნაკვეთები გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, № 768.

(დღეს ვოროჟისკის ქუჩა, არბატზე) № 29 სახლის მე-18 ბინაში.  
 1917 წლის 25 ოქტომბერს (ახალი სტილით 7 ნოემბერს) 11  
 საათზე და 45 წუთზე პეტროგრადიდან მოსკოვში მიღებული იქნა  
 ვ. პ. ნოვინის ტელეფონოგრაფა მთელი ძალაუფლების საბჭოების  
 ხელში გადასვლის თაობაზე. პეტროგრადში გადაწყვეტი გამოსვლის  
 შემდეგ მოსკოვისათვის დადგა საბრძოლო ეპი. 5(17) ნოემბერს საბ-  
 ჭოთა მთავრობის მეთაური ვ. ი. ლენინი მიმართვაში „მოსანლეობი-  
 სადმი“ წერდა: „ამხანაგებო!.. მუშათა და გლეხთა რევოლუციამ სა-  
 ბოლოოდ გაიმარჯვა პეტროგრადში... რევოლუციამ მოსკოვშიაც გა-  
 იმარჯვა... ყოველ საათს მოდის ცნობები, რომ... უმრავლესობა მხარს  
 უჭერს ახალ მთავრობას... ამხანაგო მშრომელებო! გახსოვდეთ, რომ  
 ახლა თვითონ თქვენ განაგებთ სახელმწიფოს, არავენ არ დაგეხმარე-  
 ბო, თუ თვითონვე არ გაერთიანდით და საკუთარ ხელში არ აიღებთ  
 სახელმწიფო ყველა საქმეს. თქვენი საბჭოები ამიერიდან სახელმწი-  
 ფო ხელისუფლების ორგანოებია, სრულუფლებიანი, გადამწყვეტი  
 ორგანოები“<sup>10</sup>.

მოსკოვში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ  
 ისე როგორც მთელ ქვეყანაში, წამოიჭრა რთული ამოცანები, რომ-  
 ლებიც ხელისუფლების ახალ ორგანოებს პარტიის უშუალო ხელმ-  
 ძღვანელობით უნდა გადაეჭრა. ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა გამძაფ-  
 რებული წინააღმდეგობა კონტრრევოლუციის მხრიდან. ქალაქს  
 უჭირდა, არ ყოფნიდა სურსათ-სანოვაგე, არ სწარმოებდა ვაჭრობა,  
 ტრანსპორტი გაჩერებული იყო. ძველი დაინგრა. აკი შესანიშნავად  
 გადმოსცა კიდევაც ეს განცდა პოეტმა მოსკოვში დაწერილ ლექსში:

ცეცხლი, მახვილი, სისხლი იყოს შენი სახელი  
 დაინგრეს ძველი, სიხარულით მოდის ახალი  
 და ამბობს ყველას გასაგონად: მსოფლიო, წუნარად:  
 შენი წარსული, შენი აწმყო იქცა აზარად  
 და დახარხარებს შენს ნანგრევებს: ცეცხლი, მახვილი...

აი, ასეთ უაღრესად რთულ და მძიმე ვითარებაში, ამავე დროს ისტო-  
 რიულად მეტად საპატიო პერიოდში, დიდი სოციალური გარდაქმნე-  
 ბის ხანაში, ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის დიდ ქალაქში (მის მო-

<sup>10</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტ. 26, გვ. 346—349.

მავალ დედაქალაქში) ჩავიდა გალაკტიონი, რომელსაც მოგვიანებით თამამად შეეძლო თანამოკალშეთა საყურადღებოდ ეთქვა:

მე ქარში ვიყავ, როცა პოეტებს  
თქვენთვის საყვარელ ბუღბულ-მდელოში,  
ტაბილად გეძინათ საქართველოში...

გ. ტაბიძე ეწყოზა მოსკოვის სცენისმოყვარეთა მიერ დაარსებულ პირველ სარეისორო (ინსტრუქტორულ) კურსებზე. აქვე იწყებს სწავლას ოლიაც. კურსები ექვსთვიანი იყო. იქ ისწავლებოდა: რეჟისურა (მასწ. ნ. ფ. აქსაგრასკი), სცენის მოწყობა და არქიტექტურა (მასწ. მხატვარი ე. ი. კაშოლკინი), გრიმის თეორია და პრაქტიკა (მასწ. სახალხო თეატრის მსახიობი დ. ე. გარინა-ვინდიგნა), თეატრის ისტორია (მასწ. ვ. ა. ფილიპოვი), მეტყველების ისტორია და დიქცია (მასწ. რ. ვ. რახმანინოვი) და სახალხო თეატრების ორგანიზაცია (მასწ. ჩუტრიკინა).

გალაკტიონი არაერთხელ გამხდარა მოწმე დემონსტრაციებისა და საჯარო გამოსვლებისა მოსკოვის ქუჩებსა და მოედნებზე. აქ მიღებული შთაბეჭდილებების ამსახველია ლექსი „მოედანზე“ (ტ. II, 1966, გვ. 25), რომელიც ასე მთავრდება:

მანიფესტანტებს მეთაური მიუძღვის დროშით  
და მოედანზე საოცარი ისმის სიტყვები...

მატერიალურმა ხელმოკლეობამ აიძულა პოეტი გამოეძებნა დამატებითი სახსარი; მან მუშაობა დაიწყო კომისიაში, რომლის მოვალეობას შეადგენდა მოსკოვის მოსახლეობის აღწერა, რამაც საშუალება მისცა პოეტს უფრო ახლო გასცნობოდა მოსკოვს. ლექსი — „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“ დაწერილია მოსკოვში 1918 წელს აღწერით გამოწვეული შთაბეჭდილებების ქვეშ. მე პირადად ვიღებდი მონაწილეობას ამ აღწერაში, იგონებდა პოეტი, — ჩემზე შემადრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვის ფსკერმა, მისმა სილატაკემ<sup>11</sup>. ლექსი „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“ რევოლუციონური სტიქიონის აზღვაების გადმომცემი სიმფონიაა. მისი რიტმი, სახეები, ინტონაციური ხლართი, შინაგანი თრთოლვა და

<sup>11</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 3180.

მოსკოვი ოქტომბრის დღეების წინ და შემდეგ დაწერილებითაა მიმოხილული კრებულებში: «Октябрь в Москве», Москва, 1967 г., «Октябрь на Пресне», М.-а, 1922 »



მღელვარება მრავლისმეტყველია. პოეზიაში გათვითცნობიერებულთ არ გაუქვირდებათ, რომ ამ ლექსში თითქოსდა ალ. ბლოკის „თორმეტ-ში“ აუღერებული „ветер, ветер на белом свете“ ამეტყველდაო.

მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა თაოსნობით მოქმედებდა ქართული მხატვრულ-ლიტერატურული წრე, რომელიც მართავდა საქველმოქმედო დილა-საღამოებს ქართველი მსახიობების, მწერლების, პოეტების მონაწილეობით. ამ წრის მუშაობაში მონაწილეობდნენ გალაკტიონი და ოლია. წრის მესვეურნი ცდილობდნენ მოსკოველ მსახიობებს წინაშე მრავალფეროვანი პროგრამით წარდგენილიყვნენ. ერთი შორიგი დილის აფიშა-პროგრამა, სტამბურად ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ინახება პოეტის არქივში და იუწყება: „მოსკოვის ქართული მხატვრულ-ლიტერატურული წრე. კვირას 2 იელისს, თეატრ „გროტესკში“, დიდი დიმიტროვკა 25, „პოლონისა“ გვერდით, ეწყობა ქართული მხატვრულ-ლიტერატურული დილა. პროგრამა: 1. ქართული სცენის დამსახურებული მსახიობი ვლ. ს. ალექსეევ-მესხიევის მოხსენება. 2. პიესა „დარისპანის გასაჭირი“ 3. დივერსიმენტი, მინი-ტიურა, ლექსები, სიმღერა. 4. ცეკვები — ლეკური. მონაწილეობენ: ქ-ბი თ. ნანეიშვილი, ო. ოკუჯავა, ნ. გეორგაძე, მ. დონდუა, ა. შენგელია; ბ-ბი ვლ. ალექსეევ-მესხიევი, გ. ტაბიძე, გ. შარაშიძე, თ. იანელი. ა. საყვარელიძე, მ. მიხეილიძე. ა. კალანდაძე, ი. ნანეიშვილი და სხვ. დასაწყისი დღის 12 საათზე“.

მოსკოვში მძიმე ვითარება შეიქმნა, ჰირდა ცხოვრება, არ იშოვებოდა პური. სარატოვიდან მიღებული წერილი პოეტში პურით დაკმაყოფილების ასოციაციას ბადებს: „ძვირფასო გალაკტიონ! მოგიძღვნე სალამს და ძმურ შოკითხვას. მართალია, მოგშორდი, მაგრამ ჩემი გული და სული თქვენთანაა... რომ შეღვიძება, თვალებს რომ გავახელე, პარტო მაშინ დავრწმუნდები ხოლმე, რომ არ ვარ მოსკოვში... პური აქეთ ბლომათაა, მწყინს, რომ მე პურის შადანში ჩავარდი და თქვენ კი ყველანი მშვიერ მოსკოვში დარჩით“... გალაკტიონს წერილზე მიუწერია: „პური, ბევრი პური!“<sup>12</sup>

1918 წლის 25 ივნისს გ. ტაბიძემ დაამთავრა კურსები და მიიღო მოწმობა: «Свидетельство. Выдано от Совета преподавателей режиссёрских курсов при московской лиге любителей сценического искусства Гал. Вас. Табидзе, что он в течение семестра 1918 года прослушал полный курс по следующим предметам...

<sup>12</sup> გ. ტაბიძის არქივი, 24555—80.

Москва, 25 июня 1918 года, № 680, подпись<sup>13</sup>» (ასეთივე მოწმობა, № 679 მიიღო ოლია ოკუჯავაძე). კურსების დამთავრების ორი დღის შემდეგ, 27 ივნისს გალაკტიონი რამდენიმე დღით პეტროგრადში გაემგზავრა. პოეტმა დაათვალიერა, გაიცნო ნევისპირა დიდი ქალაქი, რომლის ღირსშესანიშნაობებშია მოხიზლა პოეტი, მიღებულია შთაბეჭდილებებმა ჭარბი საკვები მისცა მის პოეზიას. აქ, პეტროგრადში, დარწმუნდა იგი, რომ „ძველს, დახვეწებულს ემუქრება სიბნელით სიყვითლე“, რომ გარდაუვალა „დაინგრეს ძველი“, რომ „სიხარულით მოდის ახალი“ და ეს ახალი ყველას გასაგონად აცხადებდა: „..ისოფლიო, წყსაოად, შენი წარსული იქცა არარად“. პეტროგრადის შთაბეჭდილებებმა დააჩქარეს პოეტური განსხეულების დაქვემდებარება წყვილიად გამრღვევი „ჭერ არნახული ცისკრის“ გაელვებისადმი. გალაკტიონმა სულ სხვა თვლით შეაფასა რევოლუციური ძვრების შედეგი. მან ამ საგულისხმო მომენტში დიდი მნიშვნელობა მიანიჭა რევოლუციის ეროვნული ასპექტით განჭვრეტას. განცდილ. შეუძლებელია, არ მიესადაგებინა მშობელი ქვეყნისათვის და შეჰთხვევიოთ არ იყო, რომ, აქ, პეტროგრადში, დაწერა თავისი პოეტური ეპისტოლე მეგობრებისადმი, რომელშიც დიდი რევოლუციის ქარტახილი განჭვრეტილია საქართველოს ბედთან მიმართებაში:

...ო, როგორ შინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით  
ჩვენთვისაც იყოს უშალესი თავისუფლება,  
ო, როგორ შინდა უფრო მძლავრად გავშალოთ ფრთები.  
განა არ არის საშინელი საცოდავობა  
ისეთ ქვეყანას — როგორც ჩვენი საქართველოა  
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშენიერეს?

„ქართული სულით მეოცნებე პოეტის ქნარი“ როგორც „ჩვენი დროის შემატიანე“ გულშეურავლედ მიესალმა ათასწლოვან ადგილებიდან მომწყდარ რუტინას და ამაყობდა „გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი ქნარის“ რევოლუციური აქტურებით.

დიდი ისტორიული ცვლილებები გალაკტიონის პოეზიაში ამჟამად რებდა ფიქრს, თუ როგორი იქნებოდა სამშობლოს ბედი ახალ ისტორიულ ვითარებაში, იგი წერდა:

წყებათ დაღწილ ზარების დარდი,  
დაღლილ ცხენების სუნთქვა და შური,

<sup>13</sup> იქვე 021372, დოკუმენტების საქაღალდე.

მე, ნოემბერი და პეტროგრადი ---  
აქეთი კარგი და უდაბურო.  
და მარტოობამ სხვა ქადაგებით  
გაიგო ჩემი: ვარ გაძარცვული  
ამ უცხო ნისლოს ბარიკადები  
მე მიუვარს, როგორც ჩემი წარსული.

პეტროგრადში გატარებული რამდენიმე დღე პოეტმა შეიყვარა და შეითვისა. იგი სიამოვნებით იგონებდა ყოველთვის იმ დიდ რომანტიკულ აღფრთოვანებას, რომელმაც ესოდენ ძლიერად მოიკცა პოეტის სული, თუ როგორ იხილა „ქართველები ცეცხლთა ფენისა“. „ქალაქი წყალზე“ სამუდამოდ აღიბეჭდა მის მესხიერებაში.

გალაკტიონი 30 ივნისს მოსკოვს დაბრუნდა. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვია. ოლია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გალაკტიონი საქართველოში დაბრუნებულიყო. მან დიდი გაჭირვებით შესძლო სამხრეთისაკენ მიმავალი მატარებლის ვაგონში პოეტის დაბინავება. ეს იყო 1918 წლის ივლისის მეორე ნახევარში.

სამოქალაქო ომის ხანძრით მოცული ცენტრალური რუსეთი, გერმანელების მიერ ოკუპირებული უკრაინა, პარტიზანული ბრძოლები. სადგურ ნეჟენთან იგი მოწმე ხდება, თუ როგორ უმოწყალოდ ხერტდნენ მახნოელები დაჭრილ პარტიზანებს. ლექსში, რომელიც 1920 წელს გამოქვეყნდა გაზ. „ერთობაში“, არის ასეთი სტრიქონები:

მახსოვს: ნეჟენი!<sup>14</sup>..

იქ მარტოობა და სინანული.  
დაგვესხენ ღამით მოთარეშენი  
და აბტყდა ომი პარტიზანული.

შემდეგ უდაბნოს ყვავილთა მზოგარ  
თვალით მძებნელო და მარებელო,  
ეუღარაჟებდით, თუ ქარში როგორ  
ასცდა ლიანდაგს მატარებელო...

(ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა სათაურით — „ლაღო მესხიშვილი“, 1927 წლიდან კი იბეჭდება სათაურით — „ცხრაას თვრამეტი“).

მძიმე მოგზაურობის შემდეგ პოეტი შავი ზღვის უდიდეს ნავთსადგურში — ოდესაში ჩავიდა, რომლის რეიდზე მდგარ გემებზე:

<sup>14</sup> პოეტის არქივში ინახება „ჩანაწერი ნეჟენზე“ (იხ. ტ. XI, გვ. 253—254),

უცხო ქვეყნების ფრიალებს დროშა  
და დროშებს შურით გასცქერის თვალი...

ოდესიდან ბელგიის საკომპანიო ხომალდით — „დ ა ლ ა ნ დ ი“ პოეტის საქართველოში დაბრუნდა. იგი 1922 წელს იგონებდა: „მე მახსოვს ტიტანური გემი „დალანდი“, ის მოარღვევდა შავი ზღვის აზობოქრებულ ტალღებს“<sup>15</sup>, არაერთი ფიქრობს, რომ სახელწოდება „დალანდი“ პოეტის ფანტაზიის ნაყოფია. მაგალითად, ლ. დეისაძე გვარწმუნებს, რომ გ. ტაბიძემ ვაგნერის ოპერის — „მფრინავი პოლანდიელის“ მთავარი გმირის სახელი (დალანდი-ი. ლ.) უწოდა თავის ფანტასტიკურ გემს, რომლითაც იგი... რუსეთიდან საქართველოში მოემგზავრებოდა“<sup>16</sup>.

1918 წლის 19 ივლისს პოეტი თბილისში ჩავიდა, ხოლო 24 ივლისს ბათუმშია<sup>17</sup>.

დიდ ისტორიულ მოვლენათა რკალში, იმ დროს, როდესაც, — პოეტის თქმით, — „ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს, ერთი — ქარიშხლის, მეორე — მშვიდის“ და რთულ საზოგადოებრივ ვითარებაში ყოველთვის „ასე დიდია მგოსნების ბედი, ასე მძლავრია ლექსების ზეგვი“, გალაკტიონის პოეტური სული აღიქვამს თავისი დროისათვის მღელვარე ცხოვრებით აღსავსე წინამორბედების, დიდი მგოსნების ბაირონისა და შელის პოეზიას.

ბაირონისა და შელის შემოქმედებათა შორის ხშირად გაჰყავთ პარალელი. შელის პოეზია მართლაც ენათესავება ბაირონის პოეზიას. შელის დიონისურ საწყისთან პარამონიულად არის შერწყმული აპოლონისებური ჰერეტიითი ელემენტი, რასაც ბაირონის პოეზიაში ნაქლებად ვხვდებით. გალაკტიონმა სწორედ ამ ასპექტიდან აღიქვა შელი:

ფეერიულ ნავს სცილდება კორდი,  
ამაყი ლორდი დგას, დროა ძველი,  
ბაირონს უსმენს მერა ჩავორტი  
და ფერადებში მისცურავს შელი<sup>18</sup>...

<sup>15</sup> „გალაკტიონ ტაბიძის ეურნალი“, 1922, № 2, გვ. 1.

<sup>16</sup> ვაზ. „ლოტერატურული საქართველო“, 1969, № 34. ლ. დეისაძის აზრი სინამდვილეს არ შეესაბამება. შავი ზღვის ნაოსნობის სამმართველოს არქივის მიერ გაცემულ ცნობაში იკითხება: „შავი ზღვა აუზში 1907 წლიდან 1920 წლის ჩათვლით რეგულარულად მიმოდინოდა ბელგიის სამოგზაურო კომპანიის სამგზავრო გემი — „დალანდი“...“

<sup>17</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 431ბ.

<sup>18</sup> გ. ტაბიძე, ტ. II, 1966, გვ. 22—23, ლექსის შემოქმედებით ისტორიაზე იქვე, გვ. 309—310.

გალაკტიონმა უშუალოდ განიცადა ჩვენი საუკუნის დასაწყისისა და ათიანი წლების მძაფრი მოვლენები, შეიგრძნო რა პეტროგრადში ამოვარდნილი ქარიშხლის ტრიუმფალური სვლა, რომლის სულისჩამდეველი და დიდი შესაქე იყო ვლადიმერ ლენინი, მის პოეტურ სულში და პოეზიაში ნათელხილვის მადლით შეაღწია დიდი ბელადის სახემ:

გემით „დალანდი“ მოვდიოდი სამშობლოსაკენ  
და მთვარისაგან ვაღვიძება გულს დარდად ჰქონდა:  
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ  
და არ მახსოვდა: მქონდა იგი თუ მომაგონდა?

ძველი დამოკიდებულება შეუძლებელი ხდება, რადგანაც:

გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდო:  
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი'  
შავი ზღვის ზეირთებს მოაპობდა გემი „დალანდი“  
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

„გალაკტიონის“ გემი „დალანდი“. — წერს გ. მარგველაშვილი, — იყო პირველი დასტამბული ლექსი მსოფლიო პოეტურ ლენინ-ანაში. თანაც აუღერებელი რევოლუციის მოვლენათა უშუალო გამოძახილად, მათი ქართველის შუაგულში, სამი წლით ადრე, ვიდრე ეს რევოლუცია თვით პოეტის სამშობლოში გაიმარჯვებდა<sup>18</sup>.

გემი „დალანდი“ რევოლუციური რუსეთის სიმბოლური სახეა, ახალი დროის, ახალი პოზიციის გასაგება, საიდანაც ახალ რაკურსში მოსჩანს მშობლიური ქვეყნის მომავალი, მოსჩანს მტკვარი, ფაზისი, მცხეთა, მუხრანის, სიონის, გეგუთის:

ყველგან უჩინრად ტირიან დანაკლისს  
თამარის ტაძრებს და ძელები ირავლის...

ყოველივე ეს „აღღვავებს ოცნებას“ პოეტისას და მასში საქართველოს ხელახალი შეფასება ხდება:

გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? —  
ეს ჩემი სამშობლოს მთებია!

<sup>18</sup> გ. მარგველაშვილი, პოეზია და ისტორია, „ლიტერატურული საქართველო“, 1970, № 41.

მე რაღაც იღუმალ მოლოდინს ვუნდები...  
იარგულზე ზვირთვება  
და გემი „დალანდი“, რომლითაც ვბრუნდები<sup>20</sup>!

ეს არ არის სამშობლოში ჩვეულებრივი დაბრუნება, პირიქით, ეს არის სამშობლოს ხელახალი ხილვა საუკუნის დიდი მოვლენის ფართო გააზრებით. პოეტი დამშვიდებით უცქერდა „მსოფლიო ლელეებს“, რადგან, როგორც იგი ამბობდა:

ვიცი: ახლოა ის, ვისაც ველო,  
მას სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების  
მოაქვს მებრძოლო პოეტისათვის.  
დასცხრით ტალღებო, მზე ამოდის აღმოსავლეთით;  
მზე მოდის არა ერთი და ორი...  
ააშვიდით, როგორც მე ვარ მშვიდი ამ მოლოდინში...

დიდი რევოლუციების ეპოქა (ისტორია) და გალაკტიონის შემოქმედება (პოეზია) ქართულ სინამდვილეში ისტორიისა და პოეზიის ურთიერთ კავშირის ერთი უიშვიათესი მაგალითია.

პოეტი იგონებდა: „რუსეთიდან ვბრუნდებოდი, როდესაც გემი ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა, ხელისუფლება გემიდან ჩამოსვლის ნებას არ იძლეოდა. ამ მდგომარეობამ რამდენიმე საათს გასტანა. ბოლოს ნება დაგვრთეს ჩამოსვლისა. ჩამოვედი თბილისში, არ გასულა რამდენიმე დღე დილაადრიან სასტუმროში, სადაც დავბინავდი, მოვიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტები, დაიწყეს ჩემი ნომრის ჩხრეკა. განსაკუთრებით წიგნებისა და ხელნაწერებისა, ჩხრეკდნენ დიდხანს და როცა ვერაფერი იპოვეს, მე მათ ლექსად ვუთხარი: „ჩხრეკა რაა, პირში გეტყვი, რომ დღე მოდის შეგების სეტყვით“<sup>21</sup>“.

პოეტისეული ავტოგრაფის საფუძველზე მის თხზულებათა II ტომში (გვ. 43) დაიბეჭდა ლექსი — „ჯერ ისევ გუშინ შენ თავზე იდე“ 1918 წლის თარიღით, რომელიც რევოლუციის მშვენიერი პოეტური ასახვაა. ტომის გამოქვეყნების შემდეგ სრულიად შემთხვევით გაირკვა, რომ ეს ლექსი წარმოადგენდა ვალერი ბრიუსოვის ლექსის „ამხანაგ ინტელიგენტების“ თარგმანს. ცხრა სტროფიანი ლექსიდან თარ-

<sup>20</sup> ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, № 114.

<sup>21</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 3165.

გმნილია 4 სტროფი, 16 სტრიქონი (В. Брюсов. Стихотворения и поэмы, Ленинград, 1961, с. 433—434).

სამშობლოში დაბრუნებული პოეტი თბილისში დასახლდა, ჩვენი დედაქალაქის მკვიდრი გახდა. აქი თქვა კიდევაც: „და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია, მე თბილისი ავირჩიე ბებური“—თ. დედაქალაქში დამკვიდრებით დამთავრდა პოეტის მოღვაწეობის ქუთათური პერიოდი. ქუთაისი მისი დავაჯაცების კერა იყო. აქ, ქუთაისში დაიწყო მისი პოეტური ცხოვრების გზა, აქ თანამშრომლობდა იგი მრავალ პერიოდულ გამოცემაში, აქ გამოიცა მისი ლექსების პირველი წიგნი, აქ, ქუთაისში გაიციო და დაუაზლოვდა გალაკტიონი მრავალ მოღვაწეს, მსახიობს, თანამოკალმეს, მხატვრებს, რომლებთანაც კავშირმა და ურთიერთობამ უდაოდ დადებითი როლი შეასრულა მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში. თბილისში დამკვიდრებული გალაკტიონი მთლიანად შემოქმედებით შრომაში ჩაება. იგი მონდომებით ამზადებდა ლექსების მეორე კრებულს. ერთხანს იგი სცილილდა მოწყობილიყო მუდმივ სამუშაოზე, მაგრამ განზრახვა ვერ განახორციელა: „მასწავლებლობა კი ამცდა, — წერდა პოეტი ძმას, — კითხვა ყოფილიყო ჩემზე და ერთ წვრილშვილით დატვირთულ მასწავლებელზე. ორივეზე ბევრი ილაპარაკეს, ჩემზე განსაკუთრებით, იმას მაინც მისცეს, როგორც ოჯახის პატრონს, მეორე ადგილი ავირჩიე და დღესვე ვაძლევ თხოვნას საბჭოში<sup>22</sup>“. ერთ წერილში იგი იმედოვნებდა, რომ მის საპატივეცემულოდ გამართული საღამოები ოდნავ მაინც გაუუმჯობესებდა მის მატერიალურ მხარეს<sup>23</sup>.

წერილში — „ჩვენი სიტყვაჯაზმული მწერლობა 1919 წელს“ ივანე გომართელი აღნიშნავდა: „პირველი წიგნის გამოცემის შემდეგ ვალ. ტაბიძე დიდხანს სდუმდა. ეს გარემოება განსაკუთრებით იყო საწყენი ჩვენთვის, რადგანაც პირველ წიგნში უტყუარი ნიჭი სჩანდა მგოსნისა“<sup>24</sup>. მართლაც, 1915—1920 წლებში გალაკტიონმა ქართული პერიოდიკის ფურცლებზე 39 ლექსი გამოაქვეყნა, რომელთაგან რვა არასოდეს შესულა მის სიცოცხლისდროინდელ გამოცემებში. პოეტი, მთელი პოეტური შესაძლებლობის მობილიზაციით ემზადებოდა, მოეხდინა უჩვეულო ნახტომი და დაეპყრო ქართული პოეზიის ოლიმპ-

<sup>22</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021372—III, წერილები ძმისადმი.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> ვახ. „ერთობა“, 1920, № 2.

პი, რაც მან სულ მალე შესძლო თავისი მეორე კრებულის გამოცემით. დიდი ძვრების ხანაში გ. ტაბიძემ ახალ მოვლენებს თავისი შესაფერი ყალიბი მოუნახა. ახლებურად აუღერდა მისი პოეზიის მეტრულ-რიტმიკული ორგანიზაცია, მეტაფორულ-სახეობრივი წყობა, უჩვეულო პოეტური მეტყველება. გალაკტიონმა ეპოქალურ მოვლენათა ფონზე ქართულ პოეზიაში დაამკვიდრა არა მარტო იდეურ-თემატური სიახლე, არამედ შინაარსთან მისადაგებული სრულიად ახალი ლექსის კულტურა, რითაც იგი მოგვევლინა ქართული პოეზიის ახალი საფეხურის — ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლად.

### თ ა ვ ი მ ე ტ ხ რ ა

## „CRANE AUX FLEURS ARTISTIQUES“

დიდი აწმლავით იუწყებოდა ქართული პრესა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე კრებულის „CRANE AUX FLEURS ARTISTIQUES“ გამოსვლას<sup>1</sup>. ამ წიგნით დაიწყო სრულიად ახალი ხანა ქართულ პოეტურ კულტურაში.

ლექსების ამ კრებულის სათაურზე გალაკტიონს ასეთი ჩანაწერები აქვს გაკეთებული: „გავრცელებული იყო არასწორი შეხედულება მეორე წიგნის სათაურზე... წიგნის სახელწოდება ირონიულია „CRANE AUX“... ანუ „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“. იგულისხმება თავის ქალა (სიკვდილი), არტისტული ყვავილები (ხელოვნება), ე. ი. სიკვდილი და ხელოვნება. რომელმა უნდა გაიმარჯვოს? რა თქმა უნდა ხელოვნებამ! რა არის ხელოვნება? ხალხისადმი, სამშობლოსადმი სამსახური. ლექსი „შერიგება“ — შერიგებაა ცხოვრობასთან... ასეთი საკითხები საერთოდ ფილოსოფიის საგანს შეადგენს, „სიბრძნისაა ერთი დარგი“. იგი გარდუვალია, მაგრამ არსებობს ხელოვნება (არტისტული ყვავილები), აქ საჭიროა აზროვნების გამახვილება. მკითხველი, რომელსაც აქვს გამახვილებული აზროვნე-

<sup>1</sup> გაზ. „ერთობა“, 1919, №№ 126, 127, 128, 130, 131, 193, 197, 200, 207, 214; გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №№ 492, 497, 503, 540, 548, ეურნალები: „ოქტრი და ცხოვრება“, 1919, № 7, „თოლაბულისის სარტყელი“, 1919, №№ 1, 2 და ა. შ.



მა, არასოდეს არ აურევს მცნებას სიკვდილისა, ხელოვნებისა და რევოლუციისას, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ასე მკვეთრად დაპირისპირებული სიკვდილი — სიცოცხლესთან, სიკვდილი ხელოვნებასთან, სიკვდილი რევოლუციასთან“ (არქივი, გვ. ?161—63, ტ. XII, გვ. 153).

როდის ან ვისთვის გააკეთა ეს ჩანაწერი პოეტმა, ჩვენთვის ამჟამად არ არის საინტერესო. არსებითია ის, რომ ჩანაწერის ხასიათი დაუფუარავად მიაჩნტურია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლიტერატურული ნაწარმოები თავის გაჩენას მრავალ წინამორბედ მოვლენას უქადლის, რამდენადაც შესაბამისი აღქმის, რაც გაპირობებულია სალიტერატურო სკოლის ესთეტიკური მრწამსით, ერთ მწკრივში აქცენდა სხვადასხვა ავტორის აზრს და გამოძახილს (იქნება ეს ბოდლერი, ვერლენი, პოლ ვალერი თუ ვალაკტიონი). საქმეც ის არის, რომ ვალაკტიონის ჩანაწერს, მიუხედავად ავტორის სურვილისა თუ ჩანაწერისა, როგორც ამაზე სამართლიანად მიუთითებს გასტონ ბუაჩიძე, „დაეპატრონა არანაკლები იდუმალება“, რომელიც ერთგვარ უბერხულებას დაუშვებობრდა და, ეფემერის ამოფარებული, მოხდა წიგნის მეორედ მონათვლა: მას „არტისტული ყვავილები“ უწოდეს და ასე განსაჯეთ, „არტისტული ლექსებიც“ კი. დიასაჩა უმანკო ქვავილები, არტისტიზმს შეეგუენ, თავის ქალას კი გაუშკლავდნენ“ (იხ. მისი „წახანაგები“, 1983, გვ. 90—98)“. კრებულის სათაური რომ ირონიულია, — წერს გ. ბუაჩიძე, — ეს ექვის გარეშეა. ხელოვნება ხალხისადმი სამსახურიოა? კეთილი და პატიოსანი. მაგრამ თუ ლექსი „შერიგება“ — შერიგებაა ცხოვრებასთან, მაშინ რატომაა სილაშხე სიკვდილთან პოეტის შემრიგებელი? ანდა, რატომ უნდა აურიოს ერთმანეთში მკითხველმა — თუნდაც რომ გამაზვილებულმა აზროვნება არ ჰქონდეს, სიკვდილის, ხელოვნების და რევოლუციის ესოდენ განსხვავებული მცნებები? ან რატომაა ამ მოკლე ნაწყვეტში შედარებით განმეორებული სიტყვა „სიკვდილი“? (იქვე, გვ. 95). აი, რა სირთულეების წინაშე აყენებს ზოგჯერ პოეტი მკითხველს თავისი მისტიფიციკრებული დებულებებით. რას ვიზამთ, დიდი მწერლები ძრავივითად დახვეწილი მისტიკოსებიც არიან. ვალაკტიონის სახელებს, ტროპების, ასოციაციების საქმად დიდი ნაწილი ძალზე რთულია, ბუნდოვანია, რასაც სიმბოლისტურ პოეტურ კულტურასთან ვალაკტიონის სიახლოვე განაპირობებს. როგორადაც არ უნდა იმართლოს თავი პოეტმა, რომ ჩემი პოეზია არასოდეს ყოფილა დავალებული სიმბოლისტური პოეტიკით, ეს არასოდეს მოგვეცემს

უფლებას გავიზიაროთ ის, რამდენადაც მეცნიერების უპირველესი მოვალეობა კემმარტების დადგენაა.

მეორე კრებულში ხშირად გვხვდება სახელები ფრანგი „დაწყველილი ჰაბუკებისა“ (ბოდლერი, რემბო, ვერლენი, მალარმე), აგრეთვე ვიონისა, ვერჰარნისა, პოს, მიუსეს, შელის, გოტიესი და სხვების. ჰართული პოეზიის ტრადიციებზე აღზრდილმა გალაკტიონმა იმთავთვე კარგად გაიზარა, თუ რისი მიღება-გაზიარება, შემოქმედებითად ათეხება შეიძლებოდა თავისი უცხოელი წინაპრებისაგან.

განსაზღვრულ ისტორიულ ეტაპზე იქმნებოდა მოდური ლიტერატურული სკოლები და მიმდინარეობანი, რომლებიც იპყრობდა საზოგადოებრივ ყურადღებას და ღრმა კვალს ტოვებდა ამა თუ იმ ერის კულტურულ ცხოვრებაში. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის პირველი ათეული წლების ყველაზე გავლენიანი ლიტერატურული მიმდინარეობა ევროპასა და რუსეთში სიმბოლიზმი იყო.

სიმბოლიზტებმა კატეგორიული ბრძოლა გამოუცხადეს „ნატურალისტურ მეთოდს“, რომელმაც მათი მტკიცებით, „ხელოვნება გადააქცია ცხოვრების უბრალო ასახვად, მათ დაჟინებით მოითხოვეს კემმარტი მხატვრული ქმნილებების შინაარსის მიღმა ყოველთვის დამალულიყო სხვა, რაღაც უფრო ღრმა და მიუწვდომელი. მხატვრული სახის ნაცვლად მათ წამოაყენეს მხატვრული სიმბოლო, რომელიც ბეგრ მნიშვნელობას მოიცავდა.<sup>2</sup>

რეზი დე გურმონი წერდა: «Что такое символизм? Если держаться прямого грамматического значения, почти ничего. Если же раздвинуть вопрос шире, то слово это может наметить целый ряд идей: индивидуализм в литературе, свободу творчества, отречение от звучных формулировок, стремление ко всему новому, необычному, даже страшному. Она означает также идеализм, пренебрежение к фактам социального порядка, анти-натурализм, желание облекать плотью лишь то, что существенно. Наконец для поэта символизм связан с велибризмом» (Книга масок+ СПб, 1913. с. 27).

სიმბოლიზტებმა დაიკავეს წმინდა იდეალისტური პოზიცია. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ხელოვნებამ არ უნდა გამოხატოს ნამდვილი ცხოვრება (როგორც მოვლენათა სამყარო), პირიქით, ხელოვნებამ უნდა აღიქვას და გადმოსცეს „უმალღესი რეალობა“, რომელიც შემეცნების შესაძლებლობის ფარგლებს მიღმა იმყოფება, „სხვა სამყაროა“, „საიდუმლოა“, „პირველი იდე-

ისაა“, „ტრანსცენდენტალურია და ზემგრძნობიარე“. ხელოვნება, მათი გაგებით, თანხვედბა რელიგიას, რის გამოც ის მისტიკურ ხასიათს ღებულობს. სიმბოლისტები ტრანსცენდენტურს სიმბოლოს მეშვეობით ასახავდნენ და თან პოეზიაში შექონდათ „მუსიკის სული“. ლექსის მელოდიურობამ, სიტყვათა განზრახულმა ბუნდოვანებამ, უზუსტობამ უნდა წარმოშვას რაღაც წარმოდგენა. მოგვიანებით, როდესაც ამ მიმდინარეობის თავკაცები (სტეფანე მალარმე, ედუარდ დიუჟარდენი) გაეცნენ ა. შოპენჰაუერის შეხედულებას მუსიკაზე, ის ხელოვნების სიმბოლური თეორიის საფუძვლად აღიარეს, რადგანაც მუსიკალური სახის შოპენჰაუერისეული განსაზღვრა ზუსტად ესადაგებოდა მხატვრული სახის სიმბოლისტურ გაგებას. სიმბოლისტებისათვის მიუღებელი იყო ხელოვნების იდეურობა და ინტელექტუალობა. ინი უკიდურესი სუბიექტივისტები, ინდივიდუალისტები იყვნენ. სიმბოლისტებმა ახლებური ურთიერთობა დაამყარა პოეტურ ენასა და საგანს შორის.

სიმბოლისტში რთული მოვლენა იყო. ის საფრანგეთიდან გავრცელდა ევროპის ქვეყნებში და ყველგან ნაციონალური ელფერი შეიძინა. ცადი გასაქანი ჰპოვა ამ მიმდინარეობამ რუსეთშიც და დომინანტური ადგილი დაიკავა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის რევოლუციამდე ლიტერატურაში.

რუსული სიმბოლისტში უწყვეტი ძაფებით იყო დაკავშირებული იმ ეპოქასთან, რომელმაც ეს მიმდინარეობა წარმოშვა და, როგორც მხატვრულმა მიმდინარეობამ, განვლო განვითარების სამი ძირითადი ეტაპი. პირველი ეტაპი მთოცავდა წარსული საუკუნის 90-იან წლებს, ეს იყო მისი ჩასახვა-გაფორმების ხანა. მეორე ეტაპი დაიწყო 1900 წლიდან, ამ დროიდან მიმდინარეობდა მისი საბოლოო გაფორმება და მოუქიდებელ მიმდინარეობად. 900-იანი წლები რუსული სიმბოლისტური ლირიკის აყვავების, გაღრმავებისა და განახლების ხანაა. ხოლო პირველი რევოლუციის მოვლენებმა დასაბამი მისცა ამ მიმდინარეობის განვითარების უკანასკნელ ეტაპს, სწორედ ამ ეტაპზე ყველაზე თვალსაჩინოდ გამოიკვეთა წინააღმდეგობანი მათ თეორიულ დეკლარაციებსა და მხატვრულ შემოქმედებას შორის. არც ერთ სხვა რომელიმე მიმართულებას რუსულ პოეზიაში არ შეეძლო მეტოქეობა გაეწია სიმბოლისტური პოეზიისათვის. მას ჰყავდა ისეთი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ: კ. შერეჟკოვსკი, თ. სოლოგუბი; კ. ბალმონტი, ვ. ივანოვი, ა. ბელი, ვლ. სოლოვიოვი, ვ. ბრიუსოვი,

აღ. ბლოკი და მრავალი სხვა. სიმბოლიზმა რუსულ ლექსს დაუბრუნა ელვარება და ნაქედობა, რიტმული, რითმული და ალიტერაციული სიმდიდრე. ამ მიმდინარეობის ისეთმა სახელგანთქმულმა და საქვეყნოდ ცნობილმა პოეტებმა, როგორც იყვნენ ვ. ბრიუსოვი და აღ. ბლოკი, «Вывели русскую поэзию из состояния упадка и застоия»<sup>3</sup>.

გალ. ტაბიძე, რომლის პოეტური ფორმირება სწორედ რუსული სიმბოლიზმის აყვავების პერიოდში მიმდინარეობდა, ვ. ბრიუსოვის პოეზიის გამზიარებელი იყო. რუსულ სიმბოლიზმში თავიდანვე გზას იკაფავდა ორი ნაკადი, რომლებიც შემდეგ, ამ მიმდინარეობის კრიზისის დროს, უაღრესად მტრულად განეწყო ურთიერთისადმი: სიმბოლიზმი, როგორც სკოლა, როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალებების განსაზღვრული სისტემა (რასაც მტკიცედ იცავდა და ავითარებდა ვ. ბრიუსოვი) და სიმბოლიზმი, როგორც რელიგიური მსახურების ფორმა, როგორც «გამოუთქმელის საიდუმლო დაწერილობა.» როგორც ვთქვით და აღვნიშნეთ, გალაკტიონი ვ. ბრიუსოვის პოზიციის გამზიარებელი იყო, მისთვის უცნობი არა ყოფილა, რომ ვ. ბრიუსოვმა დაუბრუნა რუსულ ლექსს ძალა და სიხალე, გასსნა მისი ახალი შესაძლებლობანი, რომ ბრიუსოვი ახალ რუსულ პოეზიაში ითვლებოდა არა მარტო ერთ-ერთ წამყვან ძალად, არამედ მისი ლექსთწყობის კანონმდებლადაც. ჩვენი დაკვირვებით, გალაკტიონისათვის სიმბოლიზმი წარმოადგენდა «ლექსის სკოლას» («პოეზია უპირველეს ყოვლისა»), მხატვრული გამოსახვის ახალი პრინციპების სისტემა. ამიტომაც მოხდა, რომ გალაკტიონი არასოდეს შეზღუდულა ამ სკოლის ორთოდოქსული კანონებით, არ გაუზიარებია ამ სკოლის მრავალი უპირითადესი მოთხოვნილებანი. აქ ურიგო არ იქნება გავეცნოთ გალაკტიონის ერთ მსჯელობას წერილში «ლირიკა»: «იყო... მიმდინარეობანი, რომელთაც პოეზია პოეზიისათვის თვითმიზნად გამოაცხადეს, მისწრაფოდნენ განეშორებინათ ის საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, ავიწყდებოდათ რა. რომ პოეზია არის სწრაფვა, ამ საზოგადოებრივი ცხოვრების შემდეგი გამომახილი, რეზულტატი, ჯამი. «ხელოვნება — ხელოვნებისათვის», ამ ლოზუნგით იქმნეზოდნენ სიტყვიერი შედეგები ტეოფილ გოტიესი. ისინი გამონატყდნენ

<sup>3</sup> Краткая литературная энциклопедия, т. 1, Москва, 1962, с. 758.

მაქლარ წყურვილს სიამოვნებათა, ვნებათა და დახვეწილ, შნოიან, საუცხოოდ მორთული ცხოვრების, გამახვილებული განცდების, ცრძნობიერებით ტკბობებს.

თუ გოტიეს პოეზია თავისი წმინდა სილამაზის კულტივ განირჩეოდა ჩამოკვეთილი, გარკვეული კონცეპტით, მხედველობის სინათლით, — სიმბოლისტიკებისა და დეკადენტების პოეზია მიმართული იყო ეფექტებისა და ბურჟუასიკენ, გრძნობიერებათა ფორმებში ისინი ხედავდნენ უმაღლესი იდეალების გამოსახულებას — ჰარადისობის სიმბოლოებს. მათ გამაერთიანებელ ნიშანდობლივობად ითვლებოდა უმწიკვლო ერთგულება ფორმისადმი. არ შეიძლება უარყო მომაჯადოებელი სილამაზე ტეოფილ გოტიეს პლასტიკური ლექსების, არ შეიძლება უარყო ვერლენის ნაზი და მძლავრი მუსიკალური აკორდები, რომლებიც გადმოგვეყვან პოეტის ნისლიან, გაურკვეველ ემოციებს, და ბოლოს ბალმონტის პოეტური სიტყვის „გადაძლევების, მრისხანების სინაზის ჟღერა“... რაც უნდა საქმე გვეონდეს ამ სახის იდეურ უარყოფასთან, ტექნიკური კულტურისათვის მათ ძლიერ ბეერი გააკეთეს. მათი მისწრაფებათა საფუძველი იყო პოეტური ეფექტი, განსაზღვრული ზომიერების მკაცრი, მკაფიო გრძნობებით შეკრული, შეკონილი ვნის მელოდირობით... ჩვენ ესლა შორსა ვართ ყოველგვარი მისტიკური თავბრუდახვევებისაგან, სხვადასხვა სიმბოლისტიკების, დეკადენტების, პარნასელების თემატიკისაგან, შინც უსარგებლო არ იქნებოდა რომ მიიეჩვიოს სმენა კეთილზმოვანებას, შეიგნოს ტექნიკა ჩვენი პოეტური ღირებულობათა შესაქმნელად<sup>4</sup>. ამ პოეტისეული სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ სიმბოლიზში გალაკტიონისათვის წარმოდგენდა ლექსის სკოლას. აღსანიშნავია ისიც, რომ შემოქმედების გარკვეულ მონაკვეთზე იგი არაიშვიათად „დახეტიალობდა“ „სხვა სამყაროს“ ბუნდოვან ხვეულებში და ვერ ახერხებდა. როგორც აღექსანდრე ბლოკი, განყენებული, უსხეულო, ოცნებებით შექმნილი სახეების ტევრიდან თავის დაღწევას.

გ. ტაბიძის შემოქმედებაში წარმოსახული, ირეალური სამყარო 910-იანი წლებიდან პოულობს ასახვას, მაგრამ სიმბოლისტიკისაგან განსხვავებით იგი ირეალურ სამყაროს წარმოგვიდგენს მისტიკური ელემენტების გარეშე. რეალისტური და სიმბოლისტური ნაკადების

<sup>4</sup> გ. ტაბიძე, ტ. XII, გვ. 572—73 (დაყოფა ჩვენია — ო. ლ.).

ერთ მთლიანში შერწყმა გალაკტიონის ადრინდელი პოეზიის თავისებურებაა.

ქართულ სინამდვილეში ეპოქისეული მოდური მიმდინარეობის ნიშნებმა. მის ოფიციალურ ლიტერატურულ დაჯგუფებად გაფორმებამდე (1915 წლის ნოემბერი), ძირითადად რუსული გზით მომდინარე უცხოური დინების უშუალო გავლენით იჩინეს თავი 900-იანი წლების დასასრულისა და ათიანი წლების დასაწყისის ქართულ პოეზიაში (ალ. შანშიაშვილი, კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, ალ. აბაშელი). ყველაზე თვალსაჩინოდ ის გ. ტაბიძის პოეზიაში აისახა. გალაკტიონმა და მისი თაობის ზოგიერთმა პოეტმა („ცისფერყანწელებმა“) ქართული პოეტური კულტურის მოდუნებული მაჩვენებლის რეგულირების ერთ უმთავრეს პირობად ევროპულ-რუსული ახალი პოეზიის მიღწევების ათვისება და მის ქართულ ნიადაგზე გააოხიერება მიიჩნიეს.

გ. ტაბიძე გარკვეული მიზეზების გამო ჩამოშორდა „ცისფერყანწელებს“. რაზედაც საგანგებოდ მიუთითებს წერილის „ქართული მოდერნიზმი“ ავტორი: „ახლა ცნობილი ვახდა, რომ გალ. ტაბიძე ჩამოშორდა თავის მეგობრებს, ვფიქრობ ეს ჩამოშორება უაღრესად სუბიექტური ხასიათისაა“. ამ მიზეზის ახსნა დღემდე ვერ გაიხსნა.

ახალი მიმართულების ნიშნებზე წერდნენ და მიუთითებდნენ 910-იანი წლების ქართული კრიტიკოსები: კ. აბაშიძე<sup>5</sup>, ივ. გომართელი<sup>7</sup>, გ. ბარბელი<sup>8</sup> (ა. ჭაჭანაშვილი — ი. ლ.), გ. კუმბურთიძე<sup>9</sup>, ა. პაპაია<sup>10</sup>, კოკი აბაშიძე<sup>11</sup>, თ. კუმბურთიძე<sup>12</sup> და სხვები.

910-იანი წლების დამდეგიდან ახალი მიმდინარეობის ნიშნებმა ამჟამად იჩინეს თავი ჩვენს პოეზიაში.

ქართველმა სიმბოლისტებმა („ცისფერყანწელებმა“) თავიანთ მო-

<sup>5</sup> ეურნ. „ARS“, 1918, № 1, გვ. 51. (ავტორი გრ. რობაქიძე).

<sup>6</sup> გაზ. „დროება“, 1910, № 4.

<sup>7</sup> გ. ტაბიძე, ლექსები, 1914, გვ. 5—11 („სევდის მგოსანი“).

<sup>8</sup> „სახალხო გაზეთი“, 1911, № 278.

<sup>9</sup> გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 107.

<sup>10</sup> იქვე, 1911, № 76.

<sup>11</sup> იქვე, 1913, № 4.

<sup>12</sup> გაზ. „ეპიკლეაზი“, 1914, № 31.

ღვაწობის საფუძვლად უკრიტიკოდ მიიღეს ევროპულ-რუსული სიმბოლიზმის თითქმის ყველა ძირითადი დებულება<sup>13</sup>.

ქართული სიმბოლიზმი ვერ ავიდა ევროპულ-რუსული სიმბოლიზმის დონემდე, ეს გასაგებია, რამდენადაც ანტიბუერჟუაზიული და ანტიკაპიტალისტური ტენდენციები საქართველოში არ იყო ისე მძლავრი, როგორც ევროპასა და რუსეთში. აქედან გამომდინარე, სიმბოლისტური განწყობილებების და მოტივების დიდმა ნაწილმა ვერ პოვა გამოხატულება ქართველ სიმბოლისტთა ნააზრევში. „ცისფერ-ყანწულებმა“. უფრო თავისი ნიჭით, შინაური ინტიმით და უანგარო შეგობრობით განიმტკიცა პოზიცია, ვიდრე ჩამოყალიბებული იდეურ-ესთეტიკური სისტემით და მისი შესაბამისი პოეტური პროდუქციით.

ქართული სიმბოლიზმი სპეციალური შესწავლის საგნად გაიხადა წელი დუმიბაძემ („ქართული სიმბოლიზმი“, ბათუმი, 1973). ავტორი შეეცადა „დაედგინა ქართული სიმბოლიზმის სპეციფიკა. მისი ეროვნული თავისებურებანი“ (გვ. 4). ძნელდება ავტორის დასკვნების გაზიარება. რამდენადაც ნაშრომში მრავალი ფაქტობრივი შეცდომაა, შეცნირებისათვის შეუფერებელი მსჯელობანი, საკვებით იგნორირებულია ქართული სიმბოლიზმის დადგენის პროცესი. არჩილ ჭორჭაძის „ფილოსოფია“ გამოცხადებულია „ყანწულების“ მსოფლმხედველობის წყაროდ (?!).

გასაზიარებელი არ არის რევაზ თვარაძის მტკიცება, რომ გ. ტაბიძეს არაფერი აკავშირებდა სიმბოლიზმთან, რომ „ნაფიცო ფილოლოგიების მსჯელობანი ამ სფეროში არ სცილდება ჰიპოტეზათა ფარგლებს“ („გალაკტიონი“, 1972).

მტკიცება იმისა, რომ გ. ტაბიძის 1915—1920 წლების პოეზიაში არ შეინიშნება „ახალი პოეზიის“ ნიშნები, სხვა არაფერია. თუ არა: პირველი. გალაკტიონის ჩამოშორება მსოფლიო პოეზიის მიმდინარე

<sup>13</sup> 1910—1919 წლებში მოდერნისტულ მიმდინარეობებზე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიდან აღსანიშნავია: გ. ქიქოძე, დუბუროსტები, გაზ. „საქართველო“, 1916, № 202, დ. კასრაძე, რა არაა ფუტურისმი? გაზ. „საქართველო“, 1916, №№ 276, 278, 279, ა. ლ. წერეთელი, ნეორომანტიზმი ქართულ თანამედროვე სიუჟეტაჟზელ მწერლობაში, გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, № 246. სიმბოლიზმის სპეციალური შესწავლის საგნად 1916 წლიდან ხდება, პირველი წერილი ვეუთენის გიგოს (გრიგოლ ნათაძე, 1878—1951), კრებულ „სიხეში“, 1916, გვ. 147—161, ვ. ხუროძე, სიმბოლიზმი ქართულ ლიტერატურაში, გაზ. „ერთობა“ 1919, №№ 228, 229, 252, 253.

ცოცხალი პოცესის ძირითადი ტენდენციებისაგან, რომელიც ესოდენ თვალშისაცემი იყო იმ პერიოდის პოეზიისათვის. გ. ტაბიძე თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო და იგი არ ცხოვრობდა „დროისა და სივრცის გარეშე, იგი თავის სიხარულსა თუ განცდილს უზიარებდა მეგობარსა თუ მახლობელს. 1914 წელს იგი სწერდა პიათურაში მყოფ ოლაა ოკუჩავას, რომ „ქალაქის (ქუთაისის — ი. ლ.) ბიბლიოთეკამ მიიღო: დ. მეჩუეკოვსკის, ვ. ივანოვის, კ. ბალზონტის, ნ. მინაყის, ვ. ბრიუსოვის, ალ. ბლოკის წიგნები“ — ვინ არიან ეს ავტორები და რატომ დაინტერესდა მათი გალაკტიონი? ეს კითხვა თვითონვე იძლევა პასუხს — ახლის ძიება, ახალი კი იმ დროს დასახელებულ პოეტთა ორდენი იყო, მას ეპყრა ხელთ ახალი პოეზიის სკაპტრა. ეს კი შემთხვევითი ფაქტი არ არის. სიმბოლისტური პოეზიის კულტურის გავლენა ნიშანდობლივი ეპოქისეული ბეჭედი გალაკტიონის შემოქმედებით ბიოგრაფიაში და არა შეურაცხმყოფელი. მეორე, ეს ნიშნავს იმას, რომ გ. ტაბიძე შემოვფარგლოთ „ჩინური კედლით“, მაშინ, როდესაც მისი, როგორც პოეტი-ნოვატორის უპირველესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან მისი თანამედროვე ქართული პოეზია, თავისი გოლიათური პოეტური ძალით მსოფლიო პოეზიის დონეზე აიყვანა (აკი საგანგებოდ ჩერდება ამ მომენტზე გალაკტიონი თავის წერილში — „ლირიკა“).

ქართული პოეტური კულტურისათვის, კერძოდ გ. ტაბიძისათვის, სიმბოლიზმს, როგორც მიმდინარეობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ახალმა პოეტურმა მიღწევებმა, რომელთა პოლიფონიაში სიმბოლიზმს წარმართველი როლი ეკუთვნოდა; ქართული პოეტური აზროვნების წინაშე დააყენა არჩევის უფლება — მსოფლიო ლიტერატურის თვისობრივად ახალი შემოქმედებითი ათვისების საქმეში, მისი ახლებური, ღრმა გააზრების თვალსაზრისით. სიმბოლიზმით ერაგვარი მოდური გატაცება, მისი ურთულესი ბუნების ახლოს გაცნობა აღძრავდა წადილს მისი მხატვრული სისტემის მოდუნის ძიებისას. ასე შემოვიდა ქართული პოეზიის არეალში, ეროვნული ტრადიციების გააზრების პარალელურად, გლობალური მასშტაბების ათვისების აუცილებლობაც.

გალაკტიონის ლექსების მეორე კრებულს სიმბოლისტური პოეტის ბეჭედი აზის: ღვთისმშობელი, „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანე, მაცხოვარი, სამრეკლოს ზარები, გრაალის კოშკები და სხვა



მსგავსი სიმბოლოები არც თუ ისე იშვიათია ამ კრებულში, შესაბამის-  
ნევია სტილის ბუნდოვანებაც.

რუსული სიმბოლოზმის თავკაცებმა გარკვეული კვალი დატოვეს  
გალაკტიონის პოეზიაში. ამის დამადასტურებელია მისი ლექსები.  
აღ. ბლოკის<sup>14</sup>, ვ. ბრიუსოვისა<sup>15</sup> და კ. ბალმონტისადმი<sup>16</sup>. გ. ტაბიძის  
ეს პოეტური აღსარებანი მრავლის მთქმელია, ის ბევრს გვეუბნება,  
თუ ვინ და რანი იყვნენ მისთვის ბლოკი, ბრიუსოვი და ბალმონტი.  
ეს ურთიერთსწრაფვა ამ პოეტურმა შთაგონებამ წარმოშვა, რაც  
უშუალოდ რუსულმა სიმბოლოზმმა დაჰბადა. მშვენიერი ლირიკულ  
ლექსში — „რუს პოეტს“<sup>17</sup>, რომელიც აღ. ბლოკისადმი მიძღვნილია,  
ასეთი სტრიქონებიც ჟღერს:

ნიაღვარივით მოსკდა ზღაპარი  
შორულ ქალს, მომაცდევ გედია,  
ჩვენ სიერცეებში ვართ თანაბარი  
პალადინები ერთი იმედის...

აქ შემთხვევითი სიტყვა არ უნდა იყოს „თანაბარი პალადინები“ —  
ვ. ი. მეგობრები, თანამოაზრეები, თანაც „ერთი იმედის“.

ახლის ძიების „უეკლეს გზაზე“ გალაკტიონი მოუჩივებლად „ხში-  
რად იგონებს ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას.“ სათუთ სტრი-  
ქონებს უძღვნის თეოფილ გოტიეს. ყოველივე ეს თავისთავად შეტყ-  
ველებს ევროპულ-რუსულ ახალ პოეზიასთან გალაკტიონის ახლო  
დამოკიდებულებაზე. გალაკტიონის სული ეძებდა „რარემ ღრმას“,  
მას სურდა „რითმა-ნიუანსები, რიტმოული ლანდები“, ძიების პრო-  
ცესში იგი მარტო იყო „ვით მთის ეკლესია“. ახალი ფორმების და-  
უცხრომელმა ძიებამ, სწრაფვამ უსაზღვროებისაკენ წარმოშვა უც-  
ნობი სახეები, გადაყვრით ნათქვამი სიტყვები, მინიშნებები ირეა-  
ლურ სამყაროდან, ზღაპრებიდან მოტანილი მოტივები, ბუნდოვანი  
სულიერი განწყობილებანი — „ძვირფასი ლანდები ს“ სა-  
ხით. პოეტი გარკვევით მიუთითებდა:

<sup>14</sup> გ. ტაბიძე, თბ. ტ. II, 1966. გვ. 176, 276.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 86, 143.

<sup>16</sup> ტ. 7, 1972, გვ. 43.

<sup>17</sup> ტ. II, გვ. 176. ავტოგრაფში (არქივი, გვ. 4092) მეცხრე სტრიქონში იკითხე-  
ბა: „მე მივმართავ ბლოკს, მივმართავ ბელის“.

მკარამ მოვიდა უფრო სხვა მუხობადი:  
თა გვესმის ძველების მედგარი ძახილა:  
ახალი, ახალი, მოვეცით ახალი!

ახლის ძიების პროცესში გალაკტიონის მიერ გამოყენებული იყო სტილისტური და მხატვრული ფორმები ფრანგულ-რუსული ახალი პოეზიის არსენალიდან. ლექსების მეორე კრებულის სათაური მან ფრანგულად ააქლერა, ხოლო ეპიგრაფად წაუშმძღვარა თ. გოტიეს, პ. ვერლენისა და ანრი დე რენიეს ლექსების სტრიქონები<sup>18</sup>.

სიმბოლზმთან გალაკტიონს აკავშირებდა: გულგატეხილობა და სევდიანი განწყობილებანი, შტანჭველი ბორჯვა, სუბიექტურობა და პრინციპული ინდივიდუალიზმი, ნაწილობრივ რელიგიური მიდრეკილებანი, მიდრეკილება ხელოვნებისაგან შეექმნა ტაძარი, რომელშიაც ვერ შეაღწევდა ცხოვრების გამოძახილი, გაეპოეტურებინა თვით სიცარიელე. აპოკალიპსური ქროლვის იდეა, წინათგრძნობა ძველის ნგრევის მოახლოვებისა, ლტოლვა შუასაუკუნეების ლეგენდებისადმი, პოეტის კულტი, რაღაც უფრო ღრმა, მოუწვდომელი და მუსიკალური პრობლემა, რომლის დროსაც პოეტი შეგნებულად და მიზანდასახულად ესწრაფვის შექმნას სიტყვებისაგან შემდგარი მუსიკალური ქსოვილი, რომელიც მსმენელს ალაფრთოვანებს.

სიმბოლისტური პოეტიკის ხერხების გამოყენებით არის დაწერილი მეორე კრებულში შესული ლექსები: „შემოდგომა უმანკო ჩახახების“ მამათა სავანეში“, „ლურჯა ცხენები“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტები“, „საუბარი ედგართან“, „მარიამ ანტუანეტა“, „შერიგება“, „პოეტი ბრბოში“, „Voiles“, „გრადაცია“, „სილაჯ-ვარდე ანუ ვარდი სილაში“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „სამრეკლო უდაბნოში“. „ღრუბლები ოქროს ამურებით“, „ყორანი“, „კვიანურები“, „ვინ არის ეს ქალი?“, „სიკვდილი მთვარისაგან“. „ეულისა და ვოალის შესახებ“. „პარალელი“, „გობელინი“, „შიშველი“. „მიცვალეულის ხსოვნა“, „ორხიდეები“, „მგლოვიარე სერაფიმები“, „მას გახელილი დარჩა თვალები“, „შენ და დემონი“, „მზადება გასამგზავრებლად“, „სასწაულს“, „ლოცვისთვის“. „მწოლარე“, „წმინდა გიორგი“, „სროლის ხმა მთაში“, „გზაშა“, „შიში“, „დომინო“ (ეს

<sup>18</sup> გ. ტაბიძის მეორე წიგნის ს ხელწოდებაში აშკარად იგრძნობა მიზანძვა. მაგალითად: ვ. ბრიკის ოცის, „Terza vigilia“, მოსკოვი, 1901; „Urbieforbi“, მოსკოვი 1904; „Stepnos“, მოსკოვი, 1906 და ა. შ.

ლექსი, ჩვენი ღრმა რწმენით. ანდრეი ბელის „მაკარადის“ გავლენით. უნდა იყოს დაწერილი. ა. ბელის ლექსს ლეიტმოტივად გასდევს „Маска смерти — черное домино“, შდრ. გალაკტიონის — „ნიღბები წითელი, ნიღბები ათასი... დომინო! დომინო!“ და სხვ. ეს ლექსები, რომლებიც დახვეწილი ოსტატობითაა შესრულებული და მრავალი მათგანი დღემდე შეუწელებელ ზემოქმედებას ინარჩუნებს, თავისი თემებისა და მოტივების წარმოშობით, გამოხატვის საშუალებებით, შინაარსობრივი და ფორმალური თავისებურებებით სიმბოლისტური პოეტიკის მხატვრული პრინციპების რჯალში ექცევა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გ. ტაბიძემ იმთავითვე არ მიიღო და თავის შემოქმედებით პრაქტიკაში არასოდეს გამოიყენა სიმბოლიზმის მახინჯი, მანკიერი. დეკადანსის შხამით გაუღენთილი თემატიკა. ლექსში — „სილაქეარდე ანუ ვარდი სილაში“ პოეტური სურათები წარმოადგენენ სიმბოლოების გახსნის საშუალებას. მაგალითად, პოეტური სახეები: „და შორეული ცის სილაქეარდე“ და „როგორც ნაწი-ე-მარ სილაში ვარდი“ აკლენენ სიმბოლოს შინაგან შინაარსს — პოეტის ცხოვრებას. პოეტური სურათი: „სული ვედრებით განაოცები, შერს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა“ სიმბოლოა ადამიანის ბედისადმი დამორჩილებისა, ბედისა. რომელიც მოკლებულია. სული-რ ძალებს. ლექსთა ამ კრებულიდან გზას იკაფავს და გალაკტიონის პოეტურ ლექსიკაში მკვიდრდება: გეტერა, ლოვენგრინი, იზოლდა, ტრისტანი, ვალკირია, ქიმერა, ელიზიუმში, მოცარტი, ლირი, სფინქსი, ვანდუიკი. დიონისე, პრაქსიტელი, ელადა, ლენორა, ვილია დე ლილ ადანი, გრადაცია, ერატო, პასტორალი, ტორკვატო, სერაფიმი, ლეონარდო და ვინჩი, ჟოკონდა, ლაკემ, ვერლენი. გობელინი. კეისარი. უალდი, ცენტაურები, ვერონეზი, ტიციანი, დაფნისი, ქლოა, აქტონი, არისტეა, არტემიდა, პართენონი, ჯალალ ედინი, თემურ ლანგი, ვორფოლომეის ღამე, რუბიკონი, ფანტაზმა, ზახერ-მახერი, შოპენჰაუერი, შაკედონელი, რაშელი, ვოლტორნი. პალადინი, გრაალი, სკვითელი, ალიგიერი, ლიდია, კუბელსი, კამოენსი, კასტილია, ინფანტა. ცერერა, კაენი, ტრიანონი, შუაზელი, მარიამ ანტუანეტა, ესტერგევი, ფრაგონარი, პალაცო პიტი, პერუჯი ვენეტა, ვიქტორია. ლედი გოდივა, პანი, გოია, ბოტიჩელი, სეგანტინი, კართაგენი. პიმადონი, დე-ლაროში, ბრიუმელი, ლოზენი, ვატერლო, ვინიეტაკა, გილიოტინა. ეშეფოტი, ნერონი, განგი, იეგოვა და მრავალი მსგავსი უცხო სიტყ-

ვა, გეოგრაფიული თუ პირთა სახელები. უცხო წარმოშობის სიტყვათა ხმარების ეს კორიანტელი რუსულმა სიმბოლიზმმა დანერგა. ამ მხრივ ყველაზე მისაბაძი ვ. ბრიუსოვი იყო.

გ. ტაბიძემ თავისი მაღალი ნიჭიერებით „ეპოქის მთავარ პრობლემათა წუდომის საოცარი უნარით, ღრმა პოეტური ინტუიციით, თავის შემოქმედებაში გააერთიანა თავისი თანამედროვე დასავლეთისა და რუსულ პოეზიაში მიმდინარე პროცესები. მან, საუკუნის ღვიძლმა შვილმა, სათუთი პოეტური თრთოლვით გამოხატა თავისი ქვეყნის ცხოვრების განვითარების შესაბამისი ეტაპები, სხვადასხვა თაობის აღამიანთა სულიერი სამყარო.

გ. ტაბიძე ლექსის კეთილზმოვანების ნამდვილი სასწაულია. გ. ტაბიძემდე ქართულმა ლირიკამ არ იცოდა განცდათა უფაქიზეს ქაოვილთან მელოდის ისეთი შეთანხმება, როგორსაც მის პოეზიაში ვგვრძნობთ. გალაკტიონი, უწინარეს ყოვლისა, სიტყვის უბადლო მუსიკოსი იყო. ქართულ ლექსში ამ ახალი თვისების შემოტანა მისი ერთ-ერთი დამსახურებაა.

გალაკტიონი ქართული პოეზიის დიდ ნოვატორად გამოგვეცხადა, მისი პოეზია ნოვატორულია იმიტომ, რომ თავისი არსით პროგრესული და პერსპექტიულია, მისი პოეზია წინა ეპოქებთან შედარებით (ლაპარაკია ლირიკაზე) წინ გადადგმულ ნაბიჯად მოგვევლინა, ეპოქის მიერ იყო ნაკარნახევი და მის სულს გამოხატავდა. პოეზია, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული მოვლენაა (ესაა მისი უაღრესად დიდი თავისებურება) და მხოლოდ ამის შემდეგ მსოფლიო, კაცობრიული. რაც უფრო ღრმაა პოეზიის ეროვნული ფესვები, რაც უფრო ძლიერია მისი კონკრეტულ-ეროვნული ენერგია, მით უფრო დიდია მისი საერთო-საკაცობრიო დანიშნულება, საყოველთაო გავლენის ძალა.

გ. ტაბიძე ქართული ლირიკული პოეზიის ვირტუოზი და საოცრებაა.

ბგერათა პარმონიის ის ხერხები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვით გალაკტიონმა დაამკვიდრა ახალ ქართულ პოეზიაში, არ ხასიათდება არავითარი თავისთავადი გამომსახველობითი ესთეტიკური მნიშვნელობით, ისინი მხოლოდ გალაკტიონის პოეტური მადლის წყალობით აღწევენ არნახულ სიმაღლეს.

გ. ტაბიძე დაეძებდა ალიტერაციის, ბგერის, ბგერათა კომპლექსებისა და თვით სიტყვათა განმეორების ან თანაჟღერადობის (ემოციურ-მელოდიური) შესატყვისობის უსაზღვრო ვარიანტებს (მაგალითად „რტოებს ტირილით ამტრევედა ქარი“; „მთვარეში შავი შრიალებს ჩა-

ლა“, „ქარი ქანაობს ქარად“, „თივას თიბვენ მთიბველები“). იგი ეძებდა, როგორც თვითონ წერდა: „ნამდვილ რითმას ქართული მახვილებით, შეუდარებელი მუსიკალური რითმებით“ (არქივი, გვ. 8523). გალაქტიონს უყვარს კლასიკური რითმა. მან უახლეს ქართულ პოეზიაში განვითარების უმაღლეს წერტილზე აიყვანა სარიტმო კლავუზულების ზუსტი თანხვედრილობა, მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა ქართული რითმა, ფარდა ახადა მის მრავალ საიდუმლოს.

ქართული რითმა ემყარება ხმოვანი მარცვლების ან ერთმარცვლიანი სიტყვების ელიმინაციას ერთი მახვილის ქვეშ. ეს მოვლენა, გ. ტაბიძის აბსოლუტურ მუსიკალურ სმენას ერთი წამითაც არ გამოპარვია. „გალაქტიონ ტაბიძის დამსახურება. — წერს აკაკი გაწერელია, — ქართული ლექსის რიტმიული კონსტრუქციის გამდიდრების სფეროში ძირითადად გამოიხატა ზუსტი ვაეჟური რითმების დაკანონებაში, აგრეთვე ქართულ რითმაში კოლორიზმის შეტანით და დაქტლური საზომის დახვეწაში“ („ახ. კომუნისტი“, 1973, № 127).

უჩვეულო, მოულოდნელი ეპითეტებით არის აღსავსე გალაქტიონის ლექსი. ასეთი ეპითეტები სიტყვაში გამოხატულ საგანსა თუ მოვლენას დამატებით მნიშვნელობას ანიჭებენ. ძირითადად ასეთი დანიშნულებით იყენებს პოეტი მათ თავის პოეზიაში. ამ ეპითეტების სინტაქსური გარემოცვის, კონტექსტის გარეშე ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ დავინახოთ მათი ეს პოლისემანტიკური ფუნქცია („ზამთრის ბალები“, „სიფითრე ბარათის“, „ელვარე საღამო“, „მთვლემარე ზარი“, „მწუხრის გედები“, „საგანთა უარი“ და ა. შ.). ასეთი გაბედული, უჩვეულო ეპითეტების შემოტანა ქართულ პოეზიაში თავისთავად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა მხატვრული მეტყველების განვითარების თვალსაზრისით.

ასევე გაბედული და უჩვეულოა მეტაფორა მის პოეზიაში. გალაქტიონის მეტაფორული არსენალი სრულიად ახლებურია, ის სავსეა მოულოდნელი და უცნაური თქმებით, პოეტი ორ სიტყვას ხშირად უკავშირებს არა ლიგიკური, არამედ წმინდა ევფონიური ეფექტისათვის: ყრუ ფოთოლი, თმაგაწეწილი ქარი, ქარის ფაფარი, შვის ამოთავთაეება, შიშველი შუქი, ტოტებგაშლილი მთები, დაქვრივებული ოთახები, ოქროსთმიანი დღე, ბებერი ქარი, მუნჯი ბორკილები, შემოლამების ცელი, სისხლის ჩრდილი, ქეჭნის კალთები, მეათე მკუფრე და მრავალი ასეთი სხვა.

გალაკტიონი, მართლაც, შეუდარებელია ამ თვალსაზრისით. ის მხატვრული სიტყვის ახლებური გააზრების შედეგი იყო, გალაკტიონის ფრაზეოლოგიის თვისებრივი სიახლე, საოცარი მომხიბვლელობის მქონე მეტაფორები, რომელთაც, როგორც წესი, ემოციათა ანალოგია უძევს საფუძვლად. „აყეფდებიან მთვარის ტყუპები“ — მართლაც რთული, გასაიდუმლოებული მეტაფორაა. რთული სიმბოლიკური მეტაფორები („ლურჯა ცხენები“, „ეფემერა“ და სხვა ლექსები). „ეფემერას“ ერთ სტრიქონში: „ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება“ ორი მეტაფორაა: „ქაოსი“ — ცხოვრება და „ქარი“ — ცხოვრების დაბრკოლება, წინააღმდეგობა, „ეფემერის“ ბოლო სტრიქონები მთლიანად მეტაფორულია. აქ არა მარტო სიტყვა, არამედ ცალკეული გამოთქმებიც კი მეტაფორებს წარმოშობს. მეტაფორების ასეთი მიჯრა ერთ ლექსში ქართული პოეზიისათვის წარმოუდგენელი იყო, ამით კი გალაკტიონმა მხატვრული მეტყველების შემდგომი განვითარებისათვის ახალი გზები დასახა, აქცია რა მეტაფორა მარტო საგანთა და მოვლენათა შინაარსის, იღუმალებათა გამოსახვის მკვეთრ საშუალებად. მეტაფორამ ერთი საგნის მეორესთან შედარებით უნდა წარმოშვას მისი არაჩვეულებრივი მნიშვნელობის განცდა და თვით ამ საგანთა სიმბოლური, მისტიკური კავშირის შეგრძნება. ლექსების მეორე კრებულში უხვად ვხვდებით აგრეთვე სიმბოლისტური პოეტისათვის დამახასიათებელ სხვა მეტაფორულ ფორმებსაც (მაგალითად, სინკრეტიზმის ე. ი. სხვადასხვა გვარის მოვლენათა დაკავშირების ნიმუშებს: „დაღლილი ფიქრი“, „რეკდენ ცისარტყელები“ და სხვ. ოქსიუმორონის ფორმებს: „უდაბნო ლურჯი“, „გულცივი ბაღი“. რთული მეტაფორები, კატაქრიზები, სიმბოლიკა, შორეთი, ხანძარი, მზის ჩასვლა, ქარი). მისი სიმბოლისტური ლექსების უმრავლესობა მხატვრულ ეფექტს იმ იდუმალ საგანზე მითითება განსაზღვრავს, რაც მათში ყოველთვის იგრძნობა. მუსიკა მის ლირიკაში არ ჩრდილავს პოეტური ხელოვნების სხვა კომპონენტებს.

გ. ტაბიძე უხვად იყენებს მეტონომიებსა და სინეკდოქებსაც (მაგალითად, „შეშლილი სახით კიოდა ქუჩა“, „შემოიღამებს მთის ნაპრალები“, „ბედი კლავს სხეულს“, „ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს გადირეკს ნოემბრის ბაღები“, „სადამო კანკალებს შიშით და რიდობით“, „თებერვალს უხმობენ, თებერვალს სამრეკლოს ჭვარიდან ყვავები“ და მრავალი სხვა).

ტროპების არსენალიდან გ. ტაბიძე უფრო მეტად სიმფორებს იყენებს („ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ“).

ფერს გალაკტიონის პოეზიაში ემოციური დანიშნულება აკისრია.

გ. ტაბიძემ, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატმა, წარმოსახვის მრავალ საშუალებებთან ერთად ტროპების მდიდრული, უხვი ორიგინალური გამოყენებით, მათი ახლებური მომარჯვებით განვითარების ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ქართული ლექსი და საერთოდ ქართული პოეტური მეტყველება. პოეტი ფერების გამოთვლით გადმოგვცემს თავის დიადი და ძლიერი სულის მოძრაობას. პოეტის ენობრივი სამყარო თავისი ხასიათით გამოირჩევა არქაიზმების არსებობას. წარმტაცი და უხვია მისი ნეოლოგიზმები. პოეტი არ ეძებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს, საგანგებოდ არ ქმნის სიტყვებს, მაგრამ სპირიტუების შემთხვევაში მიმართავს სახელების ზნაღ ქცევას („ეალებლება“, „აიადონებს“ და ა. შ.). მისი სალექსო ფორმა ფაროო და ტევადია. მისთვის საგანგებო დანიშნულების ხერხია ინვერსია. მუსიკა მის პოეზიაში ისეთივე თავისთავადი მოვლენაა, როგორც საგნების მეტაფორული ხილვა, რადგან სმენა იყო პოეტის შთაგონების უმთავრესი დამახასიათებელი თვისება, პოეტური წვდომის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება.

ალსანიშნავია ხშირი მიმართვა ვერლიბრთან (თავისუფალ ლექსთან) მაგალითად, „ქალაქი სიბნელეში“.

ლექსების მეორე კრებულში თავი იჩინა აგრეთვე ანტიკლასიკურმა განწყობილებებმა. დიდი ქალაქის უარყოფა სიმბოლისტური მანერის აშკარა გამოქვდავანება იყო: „მოკლული ვიყავ უცხო ზმანებით, დამწვარი ვიყავ ქალაქის ქაფით“ გოდებდა პოეტი. ასეთ ვითარებაში გალაკტიონი თავისი რუსი თანამოძმეების: ვ. ბრიუსოვის, ალ. ბლოკის, ა. ბელის, ვ. ივანოვის და სხვების თანამოაზრედ გვევლინება.

ქალაქური ცხოვრებისაგან მოღლილ-მოქანცული პოეტი აცხადებდა:

სადმე ყრუ ადგილს დავსახლებო  
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანო,  
სადაც იქნება ცოფი ნაკლები  
და უფრო ნაკლებ ადამიანო...

მის პოეზიაში იელვებს სამშობლოს უქონლობის ფიქრი: „რადგან არა მაქვს სამშობლო“... მის ამ ეფემერულ გატაცებას მშობლიურის სიყვარული სძლევს, „შფოთიანი ტფილისი, პოეტების სამეფო“ მის

სათაყვანებლად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. თბილისის სიცოცხლისუნარიანობა, ხალისი მის პოეტურ მუზას მოსვენებას არ აძლევდა, იგი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შესვამდა „ბებერი ტფილისისაგან“ გამოწვდილ შხამს, აღფრთოვანებით წარმოსთქვამდა მის საღიღებელს:

საღლეგრძელო იყოს მისი  
ვინც შიშმა ვერ დაჰხარა,  
აღგეთ ფეხზე ჩვენ ტფილისი  
ვაღლეგრძელოთ ჭადრა.

აქ სიცოცხლე და ხალისი  
ვის სხვად არ ესვენება  
საღლეგრძელო იყოს მისი  
და დიდებით ხსენება!..

თბილისისადმი ღრმა სიყვარულით გამსჭვალული პოეტი დაღადებდა:

თბილისი ჩემთვის არის შალაღ  
გოლოტინა და ეშაფოტი.

სულის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, როდესაც იგი იკაროსივით ენარცხებოდა თბილისის მიწას, მას არ მოშორებია უსაყვარლესი ქალაქის შემოხედვა „საცეც ქართული პატიოსნებით“.

ბოლ ვერლენმა ფრანგულ პოეზიაში სამიკიტნოების ჰანგს თავისი ადგილი მიუჩინა. მისი მიზაძვით რუსმა სიმბოლისტებმა „ტრაქტირისა“ და „ზაბიგალოვკას“ კულტი დაამკვიდრეს. გალაკტიონი ამ მოტივსაც მოხდენილად იყენებს. მისი „თეთრი პელიკანი“ (პირველად ის „შავი პელიკანის“ სათაურით გამოქვეყნდა ჟურნ. „აისი“, 1920, № 2), ძველი თბილისური ყოფისა და ჰანგის აულერებას ისახავდა მიზნად: „რომ ისმოდეს საიათნოვას დაეანგული ჰანგები... რომ რეკავდეს საზანდარი უქმი, შემაქცევარი“... ეს ვერლენისებური მოტივი იყო.

სიმბოლისტების ლირიკაში დიდ მნიშვნელობას იძენდა ექსტაზის მოტივი. ალტყინების პროცესში ადამიანს თვალწინ ეშლება ცხოვრების სიღამაზე და ჰარმონია, თანაზიარობა „სამყაროს სულთან“, განმარტოებულობის გრძნობის დაძლევა. ყველაფერი, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ექსტაზი, დიდებითაა შემოსილი მათ მიერ, იქნება ეს ლირიკა, პროზა თუ დრამატურგია.

ექსტაზის მოტივი უცხო არ არის გალაკტიონისათვისაც, მისი „რომელი საათია“ ამის ნათელი დადასტურებაა. ის წმინდა სიმბოლისტური ლექსია. ეს ლექსი პირველად ყოველგვარი თარიღის გარეშე გამოქვეყნდა 1927 წლის კრებულში (გვ. 195). 1937 წელს დაათარიღა 1914 წლით. შეუძლებელია პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის ეს მრავლისმთქმელი ლექსი მას 1927 წლამდე არ გამოექვეყნებო-



ნა, მითუმეტეს 1919 წლის კრებულში, რომელშიც ბოდლერი, ვერლენი, რემბო და სხვები მოწიწებით არიან მოხსენებულნი. გალაკტიონის შემოქმედებით ბიოგრაფიას მრავალი თვალყურის მდევნელი ჰყავდა, განსაკუთრებით „ციხფერყანწლები“. ამიტომაც სამართლიანი იყო მათი გულისწყრომა ამ ლექსის 1914 წლით დათარიღების გამო. პირველად ჩვენ პოეზიაში ბოდლერის სახელმა გაიგვრა უფრონალში — „მებრძოლთა ხმა“, 1917, № 8, გვ. 10, აქ დაისტამბა გიორგი ლეონიძის მიერ თარგმნილი შარლ ბოდლერის ლექსი — „ეითვრებოდეთ“, მთარგმნელს თარგმანი შესრულებული აქვს რუსული ენიდან, რევოლუციამდე არსებობდა შ. ბოდლერის მერევეკოვსკისეული (1889), ალიაბისეული (1889), ვოლკოვისეული (1909), გურგეიჩისეული (1909) და ელისისეული (1910) თარგმანები, რომლით იხელმძღვანელა და ისარგებლა გ. ლეონიძემ, დასადგენია. ასე რომ, გალაკტიონის ლექსი გაცილებით გვიან, დაახლოებით ოციანი წლების დასაწყისშია დაწერილი.<sup>19</sup>

რუსი კრიტიკოსები არა ერთხელ მიუთითებდნენ იმ სულერ სიასლოვეზე, რომელიც, მათი დაკვირვებით, შეინიშნებოდა გალაკტიონსა და ლ. ბლოკსა და ვ. ბრიუსოვს შორის.<sup>20</sup>

გალაკტიონი არ ეკუთვნოდა იმ პოეტებს, რომელნიც ეროვნული გრძნობებით თავმომწონობდნენ და დღენიადგ ქართველურ ბუქს ჩასძახოდნენ. საშობლოზე მან მრავალი შესანიშნავი ლექსი დაწერა, მაგრამ შემოქმედების იმ ეტაპზე, რომელსაც მისი ლექსების მეორე კრებული ასახავს, ამ თემაზე ბევრი არ დაუწერია. ამ თვალსაზრისით, გაცილებით მეტი აქვს ნათქვამი სხვა თემაზე შექმნილ უამრავ ლექსში. გალაკტიონისათვის, როგორც პოეტისათვის, ეროვნული და პოეტური საერთოდ ერთი და იგივეა. აქი ამბობდა პოეტი:

წვეთი სისხლი არ არის ჩემში არა ქართული,  
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის.

<sup>19</sup> ჩვენი ვარაუდი გაამართლა პოეტის ჩანაწერმა (იბ. ნ. ტაბიძე, გალაკტიონის ლექსთა დაბადება, უფრ. „განთიადი“, 1975, № 3).

<sup>20</sup> К. З е л и н с к и й. Г. Табидзе. «Литературное обозрение», 1936, № 120, 1937, № 14, журн. «Красная новь», 1940, № 11—12, Г. З е н к о в и ч. Г. Табидзе, «Красная новь», 1940, № 11—12, А. К и п р е н с к и й. Путь Г. Табидзе, журн. «Октябрь», 1940, № 11, А. М е д и н к о в. Стихи Г. Табидзе, «Литературное обозрение», 1940, № 15, Б. Л и н ъ ш и ц. Картвельско оды, Тбилиси, 1964, с. 72.

სიმბოლისტური პოეტიკით გატაცებას არ მოუდუნებია გალაკტიონის ერთგულება მშობლიური პოეზიისადმი, მისი დიდებული, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისადმი, სადაც პატრიოტულ თემას წარმმართველი ადგილი ეკავა (ამ თემის უბაღლო მომარჯვებამ გახადა, აკაკი გალაკტიონის ღვთაებად). გალაკტიონის პოეზიაში ამ პერიოდშიც კარბად იგრძნობა სუნთქვა „მშობლიური სიოთი“. პატრიოტიზმის თემა მის პოეზიაში არასოდეს შესუსტებულა, გავიხსენოთ თუნდაც მისი „მამული“:

კერძან ბალახე თუ ფეხშიშველა  
არ გაიარე — რა მამული?..

ქართულ პატრიოტულ ლირიკაში ეს იყო ახალი კუთხით თქმული სიტყვა, დაწერილი თავისებური მანერით და გრძნობით.

სამშობლოს მომავალი მას კითხვის ნიშნის ქვეშ აქვს დასმული. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი — „შენ რაღას იტყვი?“ (ტ. II, გვ. 325—26), სადაც პოეტის დამისეული ფიქრი სამშობლოს სივრცეებშია გადახვეული, მის ავკარგთან, მის მომავალთანაა დაკავშირებული. განთიადისას ფიქრი, განსჯა უძღურდება და მიმოიფანტება, მისი კითხვა: „შენ მაინც მითხარ რამე?“ უპასუხოდ რჩება. „მოგონება... მეთორმეტე საუკუნიდან ვალერსება „მოკანკალე ჩრდილებს“ — თანამედროვეობას („წარსულის ჩრდილები“, ტ. II, გვ. 50). პატრიოტიზმის ამაღლეებელი გრძნობები გალაკტიონის პოეზიაში ცხოვრების ლელამ დაბადა და პოეზიამ შეიწოვა როგორც ხელოვანის მთელი შინაგანი სამყარო. ამ შინაგანი სამყაროს მადლის მომცემი წყარო მშობლიური პოეზიის დიდებული ტრადიციები იყო და ისინი გალაკტიონმა ძლიერად განავითარა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. ამიტომაც მოხდა, რომ თავისი შემოქმედებითი სფეროდან მან ადვილად დასძლია სიმბოლიზმის მანკიერი თემატიკა. მან ახალი ლიტერატურული სკოლის იმ სიახლეს მიაქცია ყურადღება, რაც ლექსის სრულყოფის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა.

გ. ტაბიძეს ჰყავდა თავისი მასწავლებლები ევროპულ და რუსულ პოეზიაში, „Crahe aux fleurs artistiques“-ში, როგორც ზემოთაღნიშნულთა, გვხვდება სახელები შ. ბოლდერისა, პ. ვერლენისა, თ. გოტიესი და სხვების. უფრო ადრეული თუ მომდევნო წლების ლექსებში: ნოვალისის, შელის, ბაირონის, დანტეს; ბლოკის და ა. შ. მაგრამ, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი აკაკი გაწერე-

ლია: „არც ერთი ამათგანის პირდაპირი მიმბაძე-  
ლი გალაკტიონ ტაბიძე არ ყოფილა. მან იცოდა, რა  
შიელო თავისი უცხოელი წინაპრისაგან. სწორედ  
ამიტომ შესძლო გ. ტაბიძემ მოენახა სინთეტური  
ხაზი ევროპულ და ქართულ პოეზიას შორის“<sup>21</sup>.  
შემთხვევითი არ არის პოეტის საგულდაგულო რწმუნება იმის თაობა-  
ზე, რომ „ჩემი ლექსების პოეტის ძირები ღრმად და მტკიცედ ჩაე-  
ზარდა ეროვნულ ნიადაგს. და მთელი შემოქმედების მანძილზე მას  
ასაზრდოვებდა მშობლიური მიწის წვენი. ჩემს ლექსებში გამომქლავნ-  
და მტკიცე კავშირი ეროვნულ-პოეტურ კულტურასთან, ძის ხალხურ  
და კლასიკურ ფორმებთან“.

ესაფლიო პოეზიის ისტორიაში პოეტური დიდებისაკენ ყველა თა-  
ვისი გზით მიდიოდა და მიღის დღესაც, დაუცხრომელი შემოქმედები-  
თი ძიების გზაზე ყველა მათგანი საკუთარ პოეტურ სამყაროს ქმნი-  
და და ქმნის, მაგრამ ეს პროცესი არ მიმდინაერობს იზოლირებულად,  
რამდენადაც წინსვლა, განვითარება, სრულყოფა და დაოსტატება იმ  
მიღწევათა გათვალისწინების გარეშე, რასაც შემოქმედის თანამედ-  
როვე პოეზია აღწევს, შეუძლებელია.

გალაკტიონის ლექსების მეორე კრებულის საეტაპო მნიშვნელობა  
სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მასში პირველად გახშიანდა ახა-  
ლი პოეტური კულტურა; მისი სახით მშობლიურმა პოეტურმა აზროვ-  
ნებამ სრულყოფილი სახით გაითავისა მხატვრული აზროვნებისა და  
ფორმისებური ძიების, ერთის შეხედვით, არატრადიციული და მისთ-  
ვის უცხო და შორეული მიღწევები, რაც დიდი ტალანტის მეშვეობით  
ქართული ლექსის ბუნებრივ თვისებად იქცა.

გალაკტიონის, ლექსების მეორე კრებულს დიდი აღფრთოვანებით  
შეეგება ქართული სალიტერატურო კრიტიკა: „მეორე წიგნში გალაკ-  
ტიონი იმდენად გაიზარდა, რომ ასეთი დიდი ნაბიჯი ჩვენს მწერლო-  
ბაში მეტად იშვიათი მოვლენაა, — წერდა ივანე გომართელი. — გძო-  
ბათა სიმდიდრე და სისწრფე, განცდათა სიოხვე და სილაბაზე, ფორ-  
მის მრავალფეროვნება და სისრულე, მუსიკისა და რითმების სინაზე  
და კეთილშობილება, მოცეკვავე, მომღერალ რითმების ნარანრო-  
ბა და სილაბაზე ერთმანეთს ეჭიბრებიან და ასეთი ყოველმხრივი სიმ-  
დიდრე ხელოვნებისა მკითხველს ათრობს, აბრუნებს... გალაკტიონის

<sup>21</sup> აკაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1962, გვ. 271 (დაყოფა ჩენია —  
ა. ლ.).

ახალი წიგნი სარკეა პოეტის სულისა, აქ მან ჩაგვახედა იშვიათი ლირიზმით გაღღნითილ პოეზიაში... გადაგვიშალა დიდი ესთეტიკური ნიჭი, რომელიც ყველაფერს ზომავს და აფასებს“<sup>22</sup>.

იოსებ იმედაშვილმა გ. ტაბიძეს ლექსების მეორე წიგნის გამო „ჩვენი გრძნობათა თეთრი მეფე“ უწოდა<sup>23</sup>.

„მე მეთავერ წავიკითხე ეს თეთრყდიანი წიგნი და ვიცი: კიდევ მრავალჯერ დაუბრუნდება მას. ახალი ქართული პოეზია ზეიმობს თავის ფერიცვალებას და ამ განახლების პირველი ჩუმი და წრფელი აღსარება ეს წიგნია... საქართველოში მოდის დიდი მწერალი, ახალი პოეზია... ჩვენ მოწმენი ვართ ამ მიმართულების პირველი თამამი ნაბიჯებისა, — წერდა ი. იანი, — აქ... ცხადდება ცხოველი შემოქმედებითი ძიება... ვალ. ტაბიძის გზა რჩეულთა ხვედრია, იგი მთელი თავისი ტემპერამენტით ახალი დიდი კულტურის წინამორბედი“<sup>24</sup>.

„მალალი ბუნების ხელოვანია გალაკტიონ ტაბიძე. მასში უნდა გაცოცხლდეს ახალი ესთეტიკური საქართველო, — წერდა ვახტანგ გარიკი, — იგი ქართული პოეზიის ამაყი რაინდია. ის მოდის ცისფერი ზეცნებით და „არწივის ფრთებით“, მისი არის „ვარდთა ნელი სურნელი“ აფეთქებული და მოცახცახე. იშვიათია პოეტი, ჰქონდეს ისეთი შინაგანი განათება და ხმაური, როგორც ეს გ. ტაბიძეს. გალაკტიონ ტაბიძე მუსიკალური რითმის ჯადოსანია... თანამედროვე ხელოვნებას აქვს მეორე უარყოფითი მხარე — ეს არის დეკადანსი, რომელიც სწრაფი სვლით უფსკრულისაკენ მიდის. გრძნობისა და ფანტაზიის დაქუცმაცება, გემოვნების გახრწნა, კომმარულ ვნებათა განცდანი. ვალ. ტაბიძე ამთავან შორს დგას“<sup>25</sup>.

ე. ჩ. (ვასილ ჩხენკელი — ი. ლ.) შეფასებით: „ტაბიძე წმინდა წყლის რომანტიკოსია. მის პოეზიაში მოდერნიზმი და მისი უკანასკნელი ზედნაქსოვები ახალი რომანტიზმის საღებავშია გავლებული... მისი სტიქია არის გაღრმავებული პირადი გრძნობა და პიროვნებაში ჩა-

<sup>22</sup> გ. მ. ა. რ. თ. ლ. ი, ჩვენი სიტყვაჯამული მწერლობა, გ.ზ. „ერთობა“, 1920, № 2.

<sup>23</sup> ი. ი. ს. ე. ბ. ა. რ. მ. თ. ე. ლ. ი (იმედაშვილი), „თეთრი მეფე“ ძურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920, № 8.

<sup>24</sup> ი. ი. ა. ნ. ი (ივანე იოსელიანი — ი. ლ.), გენიალური გალაკტიონი, ძურნ. „ტფილისი“, 1920, № 1.

<sup>25</sup> ე. გ. ა. რ. ი. ე. (ვინაძე — ი. ლ.), გალაკტიონ ტაბიძე, გ.ზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, № 49.

კეტილი ქვეყნის ქაპანწყვეტა“. რეცენზიის დასკვნით ნაწილში ავტორი სერიოზული ტონით წერდა, რომ გ. ტაბიძის მეორე წიგნში: „არ სჩანს ჩანასახიც კი თანამედროვე ცხოვრებისა, თქვენ წინ დგას „ობივატელი“, მისთვის რევოლუცია და მისი ეტაპები უბრალო შემთხვევაა, რომელმაც ავტორს ფიზიკურად შეუშალა ცხოვრების გე-ზი“<sup>28</sup>.

გალაკტიონის ამ კრებულს გამოეხმაურნენ: მარუთა შუამდინარე-ლი (ი. გრიშაშვილი<sup>27</sup>, ვარლამ ხუროძე<sup>28</sup>, კოლაუ ნადირაძე<sup>29</sup>, ხომ-ლელო (რ. ფანცხავა<sup>30</sup>) და ლ. ქიაჩელი<sup>31</sup>.

გალაკტიონი სიყვარულის დიდი მეხოტბე იყო:

უსიყვარულოდ

მზე არ სუფევს ცის კაპარაზე,  
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება  
სასიხარულოდ...

უსიყვარულოდ არ არსებობს

არც სილამაზე,  
არც უკვდავება არ არსებობს  
უსიყვარულოდ....

სასიყვარულო განცდების გადმოსაცემად პოეტი ნახულობდა მისთვის უჩვეულო მდიდარსა და ნაირნაირ ინტონაციებს. გალაკტიონისათვის სიყვარული იყო დიდი ადამიანური სიკეთის გამოქვადენების საშუალება. მისი აზრით, სიყვარულის წინაშე მკრთალდება ყოველივე, რაც სიკეთის არსს უარყოფს. სიყვარულის ამღერებაში იგი სახელოვანი წინაპრების ტრადიციების გამგრძელებელია, მისი პოეტური სული რომანტიზმის შექმნით არის განათებული და ამაღლებული. სიყვარული არის არა გრძნობის უბრალო ლელვა, არამედ კეთილშობილური ძალა, რომლის საშუალებით ადამიანი შეიცნობს ყოფის საიდუმლოს. სიყვარული ცხოვრების ქეშმარიტ აზრს წარმოსახავს.

გალაკტიონმა შეჰქმნა თავისი სატრფიალო ლირიკის გმირი—მერი, რომლისადმი შორით ტრფობა, შორით ოცნება მიუწვდომელა, ხორცშესხმულ სინამდვილედ განიცადა, და რომელიც მკითხველმა აიტაცა და შეისისხლხორცა. ლექსებში: „მესაფლავე“, „დიდი ხანია“, „სანამ შორს იყავ“, „სინანული“, „ვეწყველი სიყვარულს“, „მომაკვდავი“, „მარტო არა ხარ“, „ათი წლის წინათ“, „გახსოვს“, „ჟამს სედილი-

<sup>28</sup> ჟურნ. „შვიდი მთიები“, 1919, № 2 (დაყოფა ზენია—ი.ლ.).

<sup>27</sup> ჟურნ. „ლეილა“, 1920, № 3, გვ. 16.

<sup>28</sup> ჟურნ. „ცისარტყელა“, 1920, № 2.

<sup>29</sup> ჟურნ. „შვილდოსანი“, 1920, № 1.

<sup>30</sup> გაზ. „ტრიბუნა“, 1922, № 229.

<sup>31</sup> გაზ. „ლომისი“, 1923, № 18.

სასა“, „უსიყვარულოდ“, „თოვლი“ და მრავალი სხვა გალაკტიონმა სულიერი ინტონაციებით გადმოსცა სიყვარულით გამოწვეული სევდა და ვარაში. პოეტის ღრმა რწმენით, სიყვარულის ძლიერი გრძნობა, რომელიც „სიცოცხლეში... ერთხელ მღერის“ მაგიური ძალით იმორჩილებს პიროვნებას, რამდენადაც:

ზორეული ქალის ეშხი  
მოვა... მაგრამ როდის?  
სიყვარული სიცოცხლეში  
მხოლოდ ერთხელ მოდის!

1919 წლის მარტში გამოვიდა ეურნალი „თეატრი და მუსიკა“, მასში დაიბეჭდა გ. ტაბიძის წერილი — „თეატრები“, რომელშიც კარგადაა გამოხატული იმდროინდელი ქართული თეატრის სატყვიარი. წერილი სინთეტიკური თეატრის პრინციპებს ეხება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გალაკტიონის პოეზიაში თეატრალურ სამყაროს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მის ლექსებში მრავლად ვხვდებით თეატრალურ სახეებს, თემებს, პარალელებს. სიქაბუჯიდანვე თეატრს ხშირად იყო მისი შთაგონების წყარო. თეატრის სუნთქვით „უებრად“ დამტკბარმა, ჭერ კიდეც 1910 წელს, ეურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ლექსები: „მსახიობ ქალს“ (№ 1) და „მსახიობის დღიურიდან“ (№ 6). გალაკტიონი მზად იყო უკვდავების ძეგლი აეგო მსახიობისათვის, რამდენადაც იგი (მსახიობი) „ერთის სიყვარულს, ხელოვნების ტაძარს“ სწირავს სიცოცხლეს.

სამყაროს პოეტისეული განცდა დიდი არტისტიზმითაა გამოხატული (ეს არტისტიზმი დამახასიათებელი თვისება იყო მე-20 საუკუნის დასაწყისისა და ოციანი წლების პოეტების ლექსებში, რომელთა პოეტურ ხილვებში თეატრალურ სახეებს, არტისტულ ყვავილებს დიდი ადგილი ეკავათ). გალაკტიონის ლექსებში თეატრალური აქსესუარები განსაყუთრებულ ინტიმს იძენენ, მისი პოეტური განცდა და თეატრალური ილუზია აღთქმულია როგორც მთლიანი პროცესი. „ანთებული“ არტისტული ცხოვრება (იქნება ეს ვ. აბაშიძე, ნ. ჩხეიძე, სარა ბერნარი, ვლ. მენსხიშვილი, ალ. იმედაშვილი, უშანგი ჩხეიძე, ვანო სარაჯიშვილი თუ სხვა) ყოველთვის დიდი იმპულსის მატარებელი იყო გალაკტიონის პოეტური შთაგონებისა. თეატრი მისი განუმეორებელი ფიქრი იყო მთელი ცხოვრების მანძილზე.

1919 წლის 24 მარტიდან 18 ოქტომბრამდე გ. ტაბიძემ მონაწილეობა მიიღო მრავალ სალიტერატურო საღამოში თბილისში, ხაშურში, ქუთაისში, ზონში, სამტრედიაში, ახალსენაკში და ოზურგეთში<sup>32</sup>. სიმონ წეველთან (გაჩეჩილაძე) და რაულ გოგობიასთან<sup>33</sup> ერთად გალაკტიონი ხელმძღვანელობას უწევდა „პოეტების კარავს“, რომელიც ჟოველგვარი სკოლის გარეშე იღვა<sup>34</sup>.

იმავლე წლის დეკემბერში ნიჟიერმა ახალგაზრდა მომღერალმა ვალერი ჯვარაცხე (ჯვარშიევილი, 1890—1971) კომპოზიტორ მასნეს „ელეგის“ მუსიკაზე იმღერა გალაკტიონის ცნობილი ლექსი „მერი“, რითაც დასაბამი მიეცა პოეტის ტექსტებზე დაწერილი სიმღერების საკონცერტო შესრულებას<sup>35</sup>.

დაეიო კაკაბაძემ დახატა პოეტის მშვენიერი სურათი, რომელშიც მხატვარმა შესანიშნავად გამოხატა პოეტის იმ პერიოდის სულიერი მღელვარება<sup>36</sup>. იმავე წელს (1919) გალაკტიონის პორტრეტი დახატა მხატვარმა დ. წერეთელმა<sup>37</sup>.

გალაკტიონი თანამშრომლობდა: „სახალხო საქმეში“, „ერთობაში“, „თოლბაბულისის სარტყელში“, „კრანოსის სარკვეში“, „სმარაგდაში“, კრებულში — „ახალი პოეზიის ანთოლოგია“. აქ მან გამოაქვეყნა: „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, „ანგელოზს ეპირა გრძელი პერგამენტი“, „ქარი არხედა იტალიურ შობის ხეს ტრიპოლისში“. სალიტერატურო კრიტიკამ საგანგებო ყურადღება დაუთმო ლექსს „შემოდგომა“ „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში<sup>38</sup>. ვინმე „მარინეტმა“ (?) გამოსთქვა ექვი ლექსის თარიღის გამო. იგი წერდა: „ლექსის დატა აღნიშნულია 1917 წლით, რაც ჩვენ საფუძვლიანად გვაეჭვებს. ლექსი უფრო ორი თვისაა (ე. ი. 1919 წელშია დაწერილი — ი. ლ.) ვიდრე ორიოდ წლისა<sup>39</sup>“.

<sup>32</sup> იხ. გაზეთები: „სახალხო საქმე“, 1919, №№ 431, 490, 546, 561, 716; ერთობა, 1919, №№ 214, 216; „ივერია“, 1919, № 38. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი. პროგრამები, გვ. 171. 177.

<sup>33</sup> რ. გოგობიაზე იხ. „სოფლის ცხოვრება“ 1973, 25 აპრილი (რ. გოგობია გარ. 1984 წ. 20. I).

<sup>34</sup> ქურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, № 12, გვ. 8.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> „სახალხო საქმე“, 1919, №№ 785, 788, 789, 793, 797.

<sup>37</sup> ქურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1965. № 9 (ო. ეგაძის წერილი).

<sup>38</sup> გაზ. „ჩემი ქვეყანა“, 1919, № 62 და 63.

<sup>39</sup> იქვე, № 63.

პირველმა მსოფლიო ომმა გამოძახილი ჰპოვა გალაკტიონის პოეზიაში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ჟურნ. „სმარაგდაში“ (1919, № 7) გამოქვეყნებული ლექსი — „ქარი არხვედა იტალიურ შობის ხეს ტრიპოლისში.“ ამ სიმბოლისტური მანერით დაწერილ ლექსში პოეტს ეზმანება პალმა „შობის ხეებში რგული“, რომელზედაც „ბოროტმა რკალმა“ (ომმა), „დაჰკიდა გულ“ პოეტისა. რთული სიმბოლოებით პოეტი საშინელ ომს ქრისტიანული ეკლესიის პოზიციიდან უდგება. მისთვის შობის ხე ქრისტიანული მორალის სიმბოლოა, რომელიც ქადაგებს მშვიდობასა და ზავს. ომს, სხვა საშინელებებთან ერთად, ადამიანისათვის მოაქვს ისეთი უბედურება, როგორც არის ეპიდემია, კერძოდ ხოლერა, ხოლერა კი ადამიანური ტანჯვის სიმბოლოა. პოეტის თვალთახედვას არც ეს გამორჩენია მხედველობიდან და ის გადმოსცა ლექსში „შიში“. განადგურების შიში ეუფლება ქალაქს: „ქალაქში შიშია, ქუჩებს და მოედნებს ბურჟედ და მოლიერად მოედო ხოლერა. და თეთრი ეტლები მიჰქრიან, სკდებიან კედლები... შე მიფიქრია ამნაირ დღეებზე ჩუმად და ცბიერად. ცხედრები, ცხედრები... ხოლერა, ხოლერა“<sup>40</sup>.

რთული მეტაფორა-სიმბოლოებით ჰქმნის პოეტი „დედამიწის საზარი ომის“ პოეტურ სურათს, გამოცხადების — აპოკალიპსის, სიმბოლიკის, წითელი ცხენის გამოყენებით:

ორად გაიპო წითელი კლდე, ავარდა რაში,  
წითელი რაში წითელი გზით წითელ უნაგირით, წითელი კაცო  
მოახტა მერანს, გაიარა წითელი შარხ...  
აჰა, გამოჩნდა ზღვა წითელი, როგორც მარჯანი —  
შუა გააპო წითელი ზღვა.  
ჩაპო მის გულში სისხლიანი ხის ყავარჩენი,  
ზევიდან სიცილით ამოიღო წითელი გველი  
და წითელ გზაზე გადაადლო უზარმაზარი.  
ციდან წვეთწვეთად მოდიოდა ცეცხლები მწველი  
და მძლავრდებოდა დედამიწის ომი საზარი.<sup>41</sup>

1920 წლის 1 თებერვალს დაწერილ ლექსში — „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“<sup>42</sup> პოეტის მიერ ხაზგასმულია, რომ მეოცე საუკუნის

<sup>40</sup> „ლექსები“, 1919, გვ. 117 (აქ დაბეჭდილია ამ ლექსის პირვანდელი რედაქცია); ტ. II, 1966, გვ. 58. ამ ლექსში იგრძნობა ვ. ბრუსსოვის გავლენა.

<sup>41</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. II, 1966, გვ. 165—66.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 74.



ქართულ პოეზიაში დაიწყო ახალი ხანა, არა მარტო იდეების თვალსაზრისით, არამედ ფორმის სფეროშიც. ახალი ეტაპის დამწყებად იგი თავის თავს აცხადებს, რომლისთვისაც ახალი პოეზიის ასოციაციებია: „ფანტასტიური ხიდი“, „ახალი წვიმა“, „ქარი“, „დალანდი“. ეს არის „არტიტული ყვავილების ხანა“, რომელიც, მართალია, რომანტიზმის ეპოქის მზის ჩასვენებას გვაუწყებს, მაგრამ მაინც ენათესავება სიმბოლიზმის მწუხრს. პოეტი ახალმა გაიტაცა, მაგრამ მოდერნიზმით გატაცების წლებში გალაკტიონი არ შეზღუდულა, როგორც მისი რუსი თანამოძმეები, სიმბოლიზმის ორთოდოქსალური კანონებით, რამდენადაც მისი პოეზია მკიდროდ იყო დაკავშირებული სამშობლო ქვეყანასთან, მის დიდ ტრადიციებთან, მისთვის ნათელი და გასაგებ იყო ქართული ეროვნული კულტურა. იგი ეზიარა ევროპულ კულტურას, სულთ და მისწრაფებით თითქო დასავლეთისკენ იყო, მაგრამ ტემპერამენტით აღმოსავლეთის შვილად დარჩა. ამიტომაც ამბობდა სიამაყით:

სიონი ჩემი ნათელს დამთოვს,  
მტკვარიც დაანთებს ნათელ ხარებას...

პოეტს არ შორდებოდა „ღვთისმშობლის ცქერა სავეს ქართული პატრიონებით“, არსენალი და მთა სავანე აღიმართებოდა მის წინაშე „ვით უჩირაფები“. იგი ხშირად იგონებდა „დაწყველილ ყრმა“ ნიკოლოზ ბარათაშვილს და მოხუც აკაკის ლანდს, რომლის მიმართ პოეტი სიყვარულით და სიამაყით ამბობდა:

იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,  
იქნება ჩვენთან შარად, და შარად!..

მიუხედავად იმისა, რომ „მძლავრად ქუხდა შათი სახელი... დიდი იყო მათი დიდება“ დადგა: „მთელი ხანა წიგნისა: „Crane aux fleurs“

1920 წლის 3 და 28 მარტს თბილისში გაიმართა მისი დიდი საღამოები<sup>43</sup>. ხოლო 7 აპრილს ოპერის თეატრში ჩატარდა პოეტის შემოქმედებითი საღამო<sup>44</sup>. საღამომდე საში დღით ადრე ტერენტი გრანელი წერდა: „საქართველოს პოეზიის რენესანსში გალაკტიონმა თა-

<sup>43</sup> „სახალხო საქმე“, 1920, № 788; „თეატრი და ცხოვრება“, 1920, № 20.

<sup>44</sup> „სახალხო საქმე“, 1920, №№ 788, 789, 793; „ერთობა“, 1920, №№ 44, 46, 47, 48,

ვისი წვლილი შეიტანა... გალაკტიონი მიმართულებით სიმბოლისტია, იგი ყოველთვის თავის განცდებს სიმბოლიურად გვიხატავს. მისი ლექსები უმთავრესად სიფაქიზის და სინაზის მისტიციზმით გამო-სტყვივის. გალაკტიონი ინდუვიდუალიზმის ცეცხლით არის გამსჭვალუ-ლი, მას სწამს მხოლოდ „მე“, როგორც მსოფლიოს განუსაზღვრელი და განუყრელი ნაწილი. გალაკტიონის შემოქმედებაში არის თავისე-ბური სამყარო, რომელიც ხილულ ქვეყნის ანარეკლია. იგი ყოველთ-ვის საგნებს გადაღმა ეძებს მსოფლიოში გაბნეულ ფერებს, მას უყვარს მუსიკის და განცდის ერთმანეთთან შეხამება, რომლის სინ-თეზში ადამიანს ძალუმს ემოციანალური და ესთეტიკური გრძობების დაკმაყოფილება. გალაკტიონმა ნახა თავისი სახე, სახე მეტად ძლიერი და პოეტური, ბუნებით აღჭურვილი... გალაკტიონმა დაიმსახურა პო-ეტის წმინდა სახელი, მან იცოდა თავის დანიშნულება<sup>45</sup>... ეს გულწრფე-ლი სიტყვები მართო ერთი ადამიანის სიტყვები კი არ იყო, არამედ იმ თაობის პოეტებისა, რომელიც გალაკტიონის მომდევნო იყო. ამიტო-მაც წარმოუდგენელი მიშხიდველობით, სრული ანშლანგით იმართე-ბოდა მისი საღამოები. 7 აპრილის საღამომ წარუშლელი შთაბეჭდი-ლება მოახდინა პოეზიის მოყვარულებზე<sup>46</sup>.

3 და 15 ივლისს გ. ტაბიძემ მონაწილეობა მიიღო ნოე ჩხიკვაძისა და ლადო მაჭავარიანის საღამოებში<sup>47</sup>.

მეტად ნაყოფიერი იყო მისი თანამშრომლობა: „სახალხო საქმე-ში“, „ერთობაში“, „ტფილისში“, „მზიურ საქართველოში“, „აისში“; დაიბეჭდა მისი ლექსები: „ქალის ქანდაკება“, „გოტიეს“, „შენ და შემოდგომა“, „დგება შემოდგომა“, „პირველ თაველებს“, „თვალს ნაზი და მთვარეული“, „პოეზია უპირველეს ყოვ-ლისა“ (უკანასკნელი სამი ლექსი დაიბეჭდა ერთ დღეს, 12 დე-კემბერს, გაზ. „ერთობაში“, № 284, ყოველი ლექსის სათაური იყო — „გვარდია“, სტრიქონების „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ მაგივრად იკითხებოდა: „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“), „თბილისი“, „თეთრი პელიკანი“, „ლადო მესხიშვილი“ („1918“).

1920 წლის 1 დეკემბერს გალაკტიონი მოგვევლინა ლიტერატურუ-

<sup>45</sup> გაზ. „ახალი ნაკადი“, 1920, № 4.

<sup>46</sup> გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, № 801.

<sup>47</sup> გაზ. „ერთობა“, 1920, №№ 147, 156, 157.

ლი ექსპერტის როლში, სხვა მწერლებთან ერთად, საქმე ეხებოდა მოთხრობა „შავგულას“ ავტორობის საკითხს<sup>48</sup>.

მეორე კრებულში გამოქვეყნებული ლექსი — „მივარდნილი აივანი“ (გვ. 65), პოეტის მტკიცებით: „სატირაა იმდროინდელ ვითარებისა... ძალიან ირყეოდა თბილისი იმ ხანებში უცხოელებით... კარგად გაიგო თბილისმა ღირსება უცხოელების... სასტუმროზე, თბილისში, ინგლისელებმა გადმოკიდეს თავიანთი ხარახურა... ეს აშკარა დაცინვა იყო... ამ ამბავზეა ნათქვამი „კარგად გაიგო თბილისმა ჩინებულება ჩინელის“<sup>49</sup>...“

1918—1921 წლები რთული პერიოდი იყო ქართულ ცხოვრებაში.

რთულ ვითარებაში გასაკვირი არ უნდა იყოს პოეტის რეაგირება მშობელი ქვეყნის ბედზე. მის მომავალზე:

ახალ მერნების მსუბუქი წყება..  
დგას ჩვენი დროის კართან ვედრებით.  
მათ ენატრებათ თავდავიწყება  
და გაბედული უნდათ მხედრები...

წარმოსთქვამდა პოეტი 1921 წელს დაწერილ ლექსში — „ახალ მერნების წყება“. კითხვას, რომელსაც ვერსალის კონფერენცია არჩევდა, გალაკტიონის სიტყვით იყო „სამკვედრო და სასიცოცხლო“, საქართველოს ბედ-იღბალი პოეტის წინაშე პირველ საკითხად იდგა. მისთვის აშკარა იყო, რომ ქართველი ხალხის ცხოვრება აუცილებელი დიდი ისტორიული გარდატეხის წინაშე იდგა:

ავარდა ალი, მთები იწვიან,  
აღმა შფოთიან ზღვას მიუწია,  
ქუეყანა ცეცხლში შორს გაიწვია,  
ამ დროს დაერქვა რევოლუცია...

ქვეყნის გადარჩენის იმედს იგი დიდი რევოლუციის ძლევამოსილ მსველელობაში ხედავდა. იგონებდა რა განვლილ გზას, ამ გზაზე ნახულსა და განცდილს, 1925 წელს გამოქვეყნებულ ლექსში იგი აღნიშნავდა:

რა საოცარი დასრულდა წლები  
ეკლიან... გზაზე დაეცა ბევრი,

<sup>48</sup> გაზ. „საქართველო“, 1920, № 163.

<sup>49</sup> გ. ტაბიძე, ტ. II, 1966, გვ. 319.

მხოლოდ მე ერთი გადავჩი მგზავრი,  
რომ გამოშველო ჟერ არსმენილა  
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა  
და მომეტანა საქართველოში  
ხომლერა ქვეყნის გადარჩენისა<sup>50</sup>

„საოცარი წლები“ წარსულის კუთვნილება გახდა, ახალი, რევოლუციური გზებით განახლებული საქართველო, საბჭოთა საქართველო, ოქტომბრის იდეებით აღჭურვილი საქართველო გახდა მისი პოეტური მუზის მასაზრდოებელი, რომელმაც მას თამამად ათქმევინა: „წარსული ამბობს, წარსული ფიქრობს — ახალ ეპოქის ვარ მე მხედარი“-ო.

გალაკტიონის დიდი წარმატება აღიარებული ფაქტი გახდა, მაგრამ მას თავისი საბოლოო სიტყვა ნათქვამი არ ჰქონდა, რაც კარგად შენიშნა სალიტერატურო კრიტიკამ: „გალაკტიონი ჟერ კიდევ საუკეთესო ყურანის წვენილებურ დუღილშია, მას თავისი საბოლოო სიტყვა არ უთქვამს, გალაკტიონი უკვე სახელმძღვანელო მგოსანია“<sup>51</sup>. ეს სახელმძღვანელო მგოსანი საბჭოთა საქართველოს პირველი მესიტყვე გახდა.

## თ ა ვ ი მ ა თ ე

### ახალი საქართველოს პირველი მესიტყვე

„თქვენ, პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს, ისე როგორც მოითხოვს თანამედროვეობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენ ეპოქას უნდა ამშვენებდეს, ანათებდეს შესაფერი ხელოვნება... მე გეძახით თქვენ! გმირებო, შემოქმედების ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა. განახლება ან სიკვდილი! გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას! მომავალი საქართველოს წინაშე ჩვენ წარვსდგებით ამაყნი იმით, რომ პლანეტების კივილში და ქვეყანათა მსხვერვის გრიალში ჩვენი ძახილია: სიკვდილი ან გამარჯვება!“ —

<sup>50</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1925. № 10, გვ. 79; ტ. II, 1966, გვ. 156.

<sup>51</sup> ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920, № 8.

ასე მოუწოდებდა საბჭოთა საქართველოს გარიყრაჟზე გალაკტიონ ტაბიძე ხელოვნების მუშაებს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ ფურცლებიდან<sup>1</sup>.

საბჭოთა საქართველოს პირველ დღეებში დაწერილი ლექსის ადრინდელ რედაქციაში პოეტის უაღრესად პირადულ განცდათა გაზიარებასთან გვაქვს საქმე:

მსუბუქი ვარ როგორც შორი ალასფერი ღრუბელი,  
მე მესმის მუსიკა, ქართული მუსიკა,  
ქართული მუსიკის ახალი ნაკადი,  
ანკარა ნაკადი, ჩუხჩუხა ნაკადი  
ქეებიდან ქეებზე რომ გადადის მუსიკა...  
მე ვპოვე მუსიკის ახალი შედეგრი,  
ეს არის დღეს ჩემთვის ნაბიჯი წინ —  
ახალი, მტკიცე და სწორი ნაბიჯი.  
ეარ თავისუფალი, როდესაც ვიშორებ  
საზინელ ბორკილებს, რომელიც მე თვითონ  
დავიდე ფეხებზე ოდესღაც სულელმა!  
შაგრამ მე დავსძლიე თავის თავი,  
მე გავიმარჩვე საკუთარ თავზე,  
ეს არის დღეს ჩემთვის ნაბიჯი წინ  
ახალზე ახალი და მტკიცე ნაბიჯი,  
რევოლუციური ნაბიჯი წინ!<sup>2</sup>

20-იან წლებში გალაკტიონი არაერთხელ უწოდებდა თავის თავს „მსოფლიო რევოლუციის გულსა და მონათესავეს“, სწორედ ამის გამოც მოხდა, რომ მან ჯერ კიდევ ოციანი წლების დასასრულს სავსებით დამსახურებულად დაიმკვიდრა რევოლუციის მგოსნის სახელი.

დიდი გაქანების შემოქმედი ახლებური აღქმით ეძებდა ახალ ფორმებს და პოულობდა კიდევ მათ. „არ ა ვ ი ნ ა რ უ ა რ ყ ო ფ ს, რ ო მ მ ო ვ ი დ ა ა ხ ა ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა, — წერდა პოეტი, — ა ხ ა ლ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს ს კ ი რ დ ე ბ ა ა ხ ა ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი, ა ხ ა ლ ფ ო რ მ ე ბ ს კ ი ა ხ ა ლ ი ს ი ტ ყ ვ ა“<sup>3</sup>. ამ ახალი სიტყვის და ფორმის პირველი მე-

<sup>1</sup> „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 1. ეს „წინათქმა“ გალექსილიცაა. ტ. II, 1966, გვ. 269 — „უკანასკნელი საზღვარი“.

<sup>2</sup> ტ. II, 1966, გვ. 387.

<sup>3</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. III, გვ. 9.

<sup>4</sup> გაზ. „პოეზიის დღე“, 1922, № 3 (დაყოფა ზენია — ი. ლ.).

სიტყვებობა ქართულ საბჭოთა პოეზიაში ისტორიამ გალაკტიონ ტაბი-  
დეს არგუნა ბედად.

1921 წლის აპრილის თვის ჩანაწერში ვკითხულობთ: „25 მარ-  
ტიდან 2 აპრილამდე ტფილისი ცოტათი გამოიცვალა, კომუნისტები  
რეპრესიებს არ ხმარობენ, ჩვენთვის (მწერლებისათვის — ი. ლ.) მოუ-  
ციათ დიდებული „ხელოვნების სასახლე“. შოლოდ ძლიერ მათეჭ-  
რებს, რომ ამ სახლის № არის 13. მე დროებით აქ ვცხოვრობ. მი-  
მიღეს სიმპატიურად, ვერ ვნახე პოლიო კაჟაბაძე, მაგრამ სხვები აქ  
არიან, ბარონი (ბიბინიშვილი.— ი. ლ.) გამგეა მთავრობის საქმეთა,  
მიშა (ოქუჯავა — ი. ლ.) სურსათის კომისარია, არჩილი (მიქაძე — ი. ლ.)  
შრომის კომისარის ამხანაგად არის... დ. პაიჭაძე საზღვაო „სვიაზის“  
უფროსია... იყო აქ ტფილისის რევკომის თავმჯდომარის ამხანაგი,  
იყვნენ სხვებიც. ყველა ესენი ძალიან სიმპატიური პირებია. მომავალ-  
ში უნდა გავმართო საღამო სახელმწიფო თეატრში, რომელიც ცოტა-  
თი გამოაკეთებს ჩემს საქმეს. ამბობენ შესაძლებელია წიგნის გამო-  
ცემაო. ვნახოთ, კვ-რას არის არჩევნები ხელოვნებათა კომიტეტისა.  
მთავრობა დიდი ყურადღებით ექცევა. უთუოდ არც მე დავჩინარები.  
რანაირი იქნება ჩემი მომავალი შუშაობა, ჭერჯერობით არ ვიცი. სა-  
ლაპი ჩემს ბრწყინვალე მომავალს. მე მასში ოდნავი ეჭვი არ მეპა-  
რება“.

მწერალთა კავშირის შენობაში პოეტი დროგამოშვებით ცხოვ-  
რობდა 1925 წლის ჩათვლით. 1927 წელს მან მიიღო ერთთახიანი  
ბინა კრილოვის ქ. № 10-ში, სადაც იგი ცხოვრობდა 1936 წლის  
დასაწყისამდე. ამ ბინის მისამართითაა თქმული მისი სტრიქონები:  
„კრილოვის ქუჩა 10... მთვარე ანათებს ღამით, გათენებამდე ვწუხ-  
ვარ ლიტერატურულ შხამით“. 1936 წლიდან გარდაცვალებამდე პოე-  
ტი ცხოვრობდა მარჯანიშვილს ქ. № 4-ში.

„თბილისში დაარსდა ქართველ ხელოვანთა სასახლე, — წერდა იმ  
დღეებში გაზ. „კომუნისტი“, — ხელოვანთა სასახლეს დიდი მნიშვნე-  
ლობა უნდა ჰქონდეს. მის გარშემო უნდა შემოიკრიბოს ყველა ქარ-

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. XII, გვ. 299.

ქართული ხელოვნების მოღვაწეთა კომიტეტი არჩეული იქნა 1921 წლის 8  
აპრილს კ. მაყაშვილის, მ. ფირცხალავას, პ. იაშვილისა და ვ. რუხაძის შემადგენ-  
ლობით (გაზ. კომუნისტი“, 1921, № 36).

თველი ხელოვანი... ყოველ დროს, ყოველ ეპოქას თავისი სახე აქვს და ეს სახე ყოველთვის აღიბატება ხელოვნებაში. დღეს შთელ მსოფლიოში დიდი ქართველია. ძნელა იმ-ს თქმა, თუ რევოლუციის დანთებული ცეცხლი როდ-ს ჩაქრება და ჩაეარდება მწყობრს კლავოტში ცხოვრება, რომელიც ყოველთვის განცდის რევოლუციას. ხელოვნება კი ევოლუციას. ცხოვრება რომ გაჩერდეს ერთ წერტილზე, გაჩერება მომასწავებელია სიკვდილისა, ცხოვრება, როგორც ცვლილებითი პროცესი, უკვდავია და მას თან დასდევს უკვდავი მშვენიერება — ხელოვნება... საქართველოს კულტურაც უნდა დავფასოთ ხელოვნებით. ქართულ ხელოვნებას თავისი ისტორია აქვს. ქართულ ისტორიას კი ვერა-ნ უარყოფს. შეუქმებელია უარყოფა იმ-სა, რაც არსებობს და რომელსაც შეუქმნია დიდი კულტურა, ტრადიცია და ღირებულება... არც ერთ ნაბიჯი არ უნდა განხორციელდეს ეროვნული ნიადაგის გარეშე.. შემოკრბეთ ყველანი მშობლური ერის გარშემო და დაანთეთ ღვთაებრივი ალი... საქართველო აღსდგება ახალი ცხოვრებისათვის. ჩვენ ეს გვწამს და ამ რწმენ-თ შევუდექით მუშაობას... მაშ გაგიმარჯოთ თქვენ და გაუპარჯოს ახალ საქართველოსაც<sup>6</sup>. ასე მიმართავდა მთავრობა ხელოვნების მუშაებს, მათ შორის მწერლებსაც. საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველივე დღეებიდან გალაკტიონს მწვავედ აფიქრებდა შემოქმედის ბედი ახალ ისტორიულ ეტაპზე. გაზეთ „კომუნისტის“ მიერ გამოქვეყნებული წერილები (ერთი მათგანი ზემოთ დავამოწმეთ) არწმუნებდა პოეტს მისი ვარაუდის უმართებულობაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ გულლია მიდგომამ გახანდა გალაკტიონი იმ შემოქმედად, რომელმაც თავისი პოეზიის წაწყვიან თემად საბჭოთა საქართველო, რევოლუციური საქართველო, სოციალიზმის მშენებლობის იდეა გაიხანდა. მან განცდის უშუალოდ-თ მხატვრულ სახეებში განაზოგადა „გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა“.

1921 წლის ბოლოს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ გ. ტაბიძის წინადადებით დააარსა ეურნალი „ლომისი“, რომლ-ს გარშემო თავი მოიყარა თითქმის ყველა ქართველმა მწერალმა.<sup>7</sup>

<sup>6</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1921, № 12.

<sup>7</sup> „გალაკტიონ ტაბიძის ეურნალი“ (1922 № 5, გვ. 14—15) ქრონიკაში იუწყებოდა: „1922 წლის პირველი დღე ხელოვნების სასახლემ გახსნა ეურნალ „ლომისით“, რომელიც გ. ტაბიძის ხელმძღვანელობით გამოდიოდა... 1 სექტემბრიდან „ლომისი“ გაზეთის სახ-ით გამოდიოდა“.

„ლომისის“ საორგანიზაციო სხდომაზე გალაკტიონმა წაიკითხა ჟურნალის სარედაქციო წერილი — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, რომელიც მოწონებული იქნა და დაიბეჭდა კიდევ ჟურნალის პირველი ნომრის მოწინავედ 1922 წელს. ამ წერილში გ. ტაბიძემ წამოაყენა ხალხში უფრო თამამად გასვლის, თანამედროვეობისადმი სამსახურის, დღევანდლობის იდეებით გამსჭვალული ადამიანების გამოქანდაკების იდეა. წერილში აღნიშნული იყო: „გავიარეთ 1921 წელი, ეს ფანტასტიკური კიბე მრავალი საბედისწერო და საშიშარი საფეხურებით. ქართველმა პოეტებმა იგრძნეს მაინც ფონი, რომელზედაც უნდა ჩატარებულყო ჩვენი ახალი ხელოვნების დიდი მისტერია. მივიღოდით რა მომავალ საუკუნეთა დღესასწაულზე, გვევალებოდა ცყოფილიყავით მათი პლანეტარული ქაოსის ნამდვილი გამომხატველნი ერთი მხრით, და ნაციონალური სახეებს მამძიებელნი, მეორე მხრით... მერნები დგანან ახალი ეპოქის კარებთან და უცდიან გაბედულ მხედრებს. საქართველოში მხოლოდ ესლა გვიახლოვდება სივრცე... რადიო, უმავთულო ტელეგრაფი, აერო, ავტო... იგია ფონი, რომელზედაც საქართველოს ახალი პოეტი და ახალი გმირი შექმნიან ახალ სიმღერებს, ახალ პოეზიას. ჩვენ ყოველთვის ცყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში. ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარვეყოთ კაფე-შანტანის პოეზია, ის დამახასიათებელია... დეკადანისა... უნდა გავთავისუფლდეთ იმ კონსერვატიზმისაგან, რომლითაც ნაწილობრივ შებოჭილია თანამედროვე შეგნება პოეტისა. უნდა ახალი მოინახოს რიტმი სიტყვის მოძრაობისათვის და ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართულ პოეზიას აქვს თავისი ცხოვრება, თავისი ისტორიული პროცესი“. ჟურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნდა მისი ლექსი „ზამთარი“, რომელიც მან 1927 წლის კრებულში სამ დამოუკიდებელ ლექსად დაჰყო: „დგება თეთრი დღეები“, „მეოცნებე აფრებით“ და „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“.

1921 წლის იანვარში ქართველი პოეტების ჯგუფმა გადაწყვიტა „პოეტების მეფის“ მოსაპოვებლად გაემართა კონკურსი. ყოველ მონაწილეს უნდა წარმოედგინა სპეციალურად კონკურსისათვის დაწერილი ლექსი.

ამის მკაფიო მაგალითია გაზეთ „ლაშარში“ (1923, № 1) გამოქვეყნებული ტიციან ტაბიძის ლექსი „ცხენი ანგელოსით“ და მასზე დართული შენიშვნა: „პოეტების მეფის სახელის მოსაპოვებლად წარ-



დგენილი ლექსი, დაწერილი 1921 წელს. ტ. ტაბიძე თავის ავტობიოგრაფიაში (ტ. I, 1966 გვ. 4) სპეციალურად ეხება ამ საკითხს. ტიცოან ტაბიძეს არასოდეს მოუპოვებია ეს ტიტული, როგორც ამას გ. ცუარიკოვა აღნიშნავს თავის წიგნში: «Тишан Табидзе. Жизнь и поэзия». Советский писатель, Ленинград, 1971, с. 108,

ჯერ კიდევ 1916 წლის 28 თებერვალს ჟურნალ „ახალი ც-სკრის“ რედაქციამ გამოაქვეყნა ტიცოან ტაბიძის მიერ გაზ. „საქართველოში“ დაბეჭდილი წერილის „უმეფობა-ლიტერატურული ტრაურია“-ს საპასუხოდ განცხადება — „მგოსანთა მეფე“, რომელშიც აღნიშნული იყო: „ინიციატივას მგოსანთა მეფის არჩევისას კისრულობს ჩვენი აღმანახის რედაქცია, რომელიც შეეკითხება 900 გამოჩენილ კაცს მგოსნებს, ბელეტრისტებს, კრიტიკოსებს, ჟურნალისტებს, დრამატურგებს, სცენის ოსტატებს, თუ რომელი ახალგაზრდა მგოსანი არის ღირსი მეფობისა, ის ვინც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, გამოცხადებული იქნება მგოსანთა მეფედ“.<sup>8</sup> სამწუხაროდ, ეს რიტუალი მაშინ ვერ განხორციელდა და, აი, 1921 წლის იანვარში პირველად ელირსა ამ წინადადებას განხორციელება. ვისი, რამდენი და რა ხასიათის ლექსები იყო წარმოდგენილი კონკურსზე (ტ. ტაბიძის გარდა), ცნობილი არ არის. ერთი ცნობის მიხედვით, გ. ტაბიძეს კონკურსზე წარუდგენია ლექსი „პოეზია უბირველეს ყოვლისა“<sup>9</sup>, რომელსაც გაუმარჯვნია, ხოლო მისი ავტორი 1921 წლის 27 იანვარს გამოუცხადებიათ „პოეტების მეფედ“. „პოეტების მეფედ“ არჩევას პოეტში გარკვეული რეაქცია გამოუწვევია, რასაც არა ერთი ლექსი ადასტურებს მისი არქივიდან:

უპირველესი მომანიქეს დაფნა მეფეთა,  
იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტობა...

გალაკტიონის „პოეტების მეფედ“ გამოცხადებას ზოგიერთები გაუღიზიანებია. პოეტს განუზრახავს 1922 წლის 25 ივნისს ოპერის თეატრში მოეწყო თავისი საღამო. დაუბეჭდიათ აფიშებიც: „25 ივნისს შედგება საქართველოს პოეტების მეფის გალაკტიონ ტაბიძის საღამო“ ტიტულის აფიშირებამ გამოიწვია გაზეთში გამოქვეყნებულ მემდეგი რეპლიკა: „გაზეთებში გამოქვეყნებული ქრონიკის საშუა-

<sup>8</sup> აღმანახი „ახალი ცისკარი“, 1916, № გვ. 3.

<sup>9</sup> ა. ბ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი. პოეზიის უკვირგვინო მეფე. გაზ. „თბილასი“. 1959. № 67.

ლებით გაგებული გეჟონდა, რომ 25 ივნისს... მწერალი გალაკტიონ ტაბიძე მართავს საღამოს... რასაკვირველია, მას აქვს უფლება გამართოს ასეთი საღამო... მაგრამ მე მინდა მიგითითოთ იმ სკანდალზე, რომელიც მოახდინა ამ საღამოს შესახებ გამოკრულმა აფიშამ, ქართულ და რუსულ ენებზე, სადაც არშინიანი ასოებით გამოცხადებულია, რომ იმართება „საქართველოს პოეტების მეფის გალაკტიონ ტაბიძის საღამო“. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი მართავს ოფიციალურ საზეიმო საღამოს, რომელზედაც აწესებს „დინასტიას“ და მეფობის ტიტულს აძლევს „რამდენიმე კარგი ლექსის ავტორს“, ეს მაშინ, როდესაც ქართულ მწერლობას და განსაკუთრებით პოეზიას ახსოვს თავის მნათობთა მაღალი სახელები, რომელნიც უგვირგვინოდ ჩასულან საფლავს და ისტორიასაც არ მოწყვლია აზრად ასეთი აბსურდი, რომ მათთვის მეფობის მარკა „მეცა“.<sup>10</sup> გაზეთ „კომუნისტის“ იმავე ნომერში გამოქვეყნდა „წერილ-რედაქციის მიმართ“, რომელშიც სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ გამოაცხადა, რომ „მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს გ. ტაბიძის საღამოსთან“. ყოველივე ამან შედეგი გამოიღო, საღამო არ შედგა, ხოლო ამბავი ფელეტონის თემა გახდა: „ტაბიძიანთ გვარში აღმოჩნდა რაინდი, რომელმაც განაცხადა სურვილი სამეფო ტახტზე ასვლისა გალაკტიონ პირველის სახელით. და აი, 25 ივნისს საქართველოს სატახტო ქალაქი თბილისი დიდრ ამბით შეუდგა საგვირგვინო მზადებას. სიონის ტაძრის ავეჯეულობათა შორის გამოჩახეს საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი ზაქიქაშვიას ტახტი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გიორგის საჭდომი ტახტი სრულებით არ ჰქონებოდა... გვირგვინისა და კვერთხის საკითხი გართულდა... ამ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსავალი თვით ტახტის შემკვიდრემ გამოჩახა: სამეფო ტახტი შესცვალა თეატრის ბუტაფორული ტახტით, გვირგვინი — დაფნის გვირგვინით და კვერთხი ბატის ფრთის კალმით... მაგრამ მოულოდნელად თავი იჩინა საქართველოს მეფეთა სასახლეში ჩვეულებრივმა მოვლენამ — დალატმა. გალაკტიონის უმცროს „ძმას“ ტიციანს შეშურდა თავისი უფროსი „ძმის“ ბედნიერება და მოიწადინა მისი განადგურება. ვადაიბირა თავისაკენ მეფეთა-ქარსკაცის ხ. ფაშალიშვილი და მისი დახმარებით მოაწყო აჯანყება

<sup>10</sup> ს. ფაშალიშვილი. ღია ბარათი, გაზ. „კომუნისტი“, 1922, № 142.

გალაქტიონის წინააღმდეგ. ამ-ტომ ვერ შეღვა სახელმწიფო თეატრში 25 ივნისს ყველასათვის მოულოდნელად საქართველოს სამეფო ტახტზე გალაქტიონ ტაბიძის აბრძანება, რომელიც გადაიღო განუსაზღვრელი დროით. დარჩა საქართველო კიდევ უშეფოდი“.<sup>11</sup>

1921—1922 წლებში გალაქტიონმა მონაწილეობა მიიღო ლიტერატურულ საღამოებში.<sup>12</sup>

1921 წლის 7 აგვისტოს გარდაიცვალა ალექსანდრე ბლოკი, რომლის ნათელ ხსოვნას გალაქტიონმა მიუძღვნა ლექსები: „აღარ არის მენესტრელი“ და „მან მოიტაცა ველები თოვლის“.<sup>13</sup>

1922 წლის გაზეთში „პოეზიის დღე“ გალაქტიონმა გამოაქვეყნა შეთაური წერილი, იგი წერდა: „ჩვენი სამშობლო სამშობლოა ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების, მაგრამ პოეტი გრძნობს, არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით. ცხოვრება წინ მიდის და პოეტი გრძნობს, რომ არ შეიძლება ჩამორჩე მას... არავითარი უფლება არა აქვს უარყოს თავისი ღირსება და აღიაროს მხოლოდ წარსული, მეხუთე საუკუნის სტილი შევინს თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისთვის იგი მარტოოდენ ძონძებია. ჩვენი პოეტ-სათვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ გვყავს ახლებიც, ისეთებიც, რომლებიც შეეფერებიან ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენ კულტურულ დონეს, ჩვენ ტექნიკურ მიღწევებს. ჩვენ განვიცადეთ მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია. არაეინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა. ქართველმა პოეტმა იცის, რა არის ზოზლი, მაგრამ იცის სიყვარულიც, იცის შურისძიება და იცის თავგანწირვა. ახლა მას სწყურია ახალი ცხოვრება, ახალი ბუნება, უნდა მოიცილოს შემბოქველი სიცივე გარდასავალი ლანდებისა“.<sup>14</sup> კეშნარიტად ეს იყო პირველი მანიფესტი ქართული საბჭოთა პოეზიისა, ეს იყო პოეტის მიერ ახალი საქართველოს მიღება.

<sup>11</sup> ს. თ. - ი ა (სილიბისტრო თოდრაა-ი. ლ.), ლაღატი. გაზ. „კომუნისტი“, 1922, № 145.

<sup>12</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1921, № 81, ეურნ. „ლომისი“, 1922, № 18, გაზ. „ტრიბუნა“, 1922, № 107, 316, „გალაქტიონ ტაბიძის ეურნალი“, 1922, № 3 გვ. 14, ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 7, გვ. 70.

<sup>13</sup> გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზ. ტ. II, 1966. გვ. 86, 276.

<sup>14</sup> „პოეზიის დღე“, 1922, № 3; ტ. XII, გვ. 16—18.

1922 წელს პოეტმა დააარსა საკუთარი ორგანო — „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი“, რომლის ცხრა ნომერი გამოვიდა (1922 №№ 1—5, 1923 №№ 6—9). პირველი ნომრის მოწინავე წერილში გალაქტიონმა უფრო გაბედულად გაიმეორა წერილში „პოეზიის დღე“ გამოთქმული აზრი, რომელაც შთაგონებული იყო ახალი საქართველოს მგზნებარე სიყვარულით. ეს ორგანო ერთადერთი მხატვრული ჟურნალი იყო ქართულ მწერლობაში იმ დროს („თეატრისა და ცხოვრების“ გვერდით). აქ გამოაქვეყნა მან ლექსები: „ეს მშობლიური ქარია“ (№ 1), „ეფემერა“ (№ 3), „ისევე ეფემერა“ (№ 4), „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“ (№ 5), „ზღვის ეფემერა“ (№ 5) „საახალწლო ეფემერა“ (იქვე), „ეფემერა“ (№ 6), „ქალაქში“ (№ 7), „გრძობი“, „ცისფერი“ (№ 9, უკანასკნელი გამოქვეყნდა ხელმოწერით „№. №.“), წერილები: „წინათქმა“ (№ 1), „იაკობ ნიკოლაძის იუბილის გამო“ (№ 2), „სახელმწიფო გამომცემლობა“ (№ 9).

ზაქარია ჭიჭინაძის (1854—1931) საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობის 50 წლისთავისათვის გ. ტაბიძემ №. №. (ნომენ ნესციო — სახელი უცნობია) გამოაქვეყნა მონოგრაფია „ზაქარია ჭიჭინაძე“, რომელშიც მიმოხილულია ამ უანგარო მამულიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.<sup>15</sup>

1922—1923 წლებში გალაქტიონმა შექმნა ეფემერული განწყობილებებით აღსავსე ლირიკული შედეგები, რომელთათვის უცხო არ არის ფილოსოფიური განსჯანი, მათში ავტორი არ ღალატობს მეტაფორულ აზროვნებას, რეალისტურ ტენდენციებს. პოეტისათვის ბედი „ქროლვის გარეშე“ არაფერია:

ო, რაღენი დაცხრება შურიანი თვალები,  
რომ მარად იმარჯებენ იღუმალი მშენებით,  
ლექსთა შეჭიბრებაზე — მხოლოდ ინტეგრატები.  
ცხენთა შეჭიბრებაზე — ისევე ლურჯა ცხენები!

პოეტი სწუხს, რომ „ერთადერთია“, რომ „ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება ძახილით: გალაქტიონ!“ პოეტის სულს „სწყურთი საზღვარი ისევე ეფემერული“, სადაც იგი „უსაზღვროებაში მწუხარებას“ აიჭანს და მიესალმება მისებრ „დიდ საიდუმლოს“, მაგრამ:

<sup>15</sup> ტ. XII, გვ. 21—51.

დაისერა მსოფლო გამოეცნობ წყლულებით.  
ყოშებს სიზმარეთსას ნსლი გამოეცალა  
და იქ მიეჭანება სული განწირულებით...

მისი სურვილია „იყოს მზეთა ორგია და მაგია მთვარისა“ და ამ ორომტრიალში იგი მარად „ხელაღმართულა იყოს“ და ყოველ შეჭიბრებებზე მარად დაუმარცხებელნა იყვნენ მისი ლურჯა ცხენები. პოეტის ღრმა რწმენით:

წვეთი სისხლა არ არის ჩემში არა ქართული,  
ძაფი ნერვს არ არის ჩემში არა პოეტის.

იგი იმაშიცაა დარწმუნებული, რომ „ძეგლა ცისფერი... ამართება მშობლიურ მთებზე“, რამდენადაც მას „ბედმა დღეება“ გაჰოატ:ნა და „იშვიათად თუ მობრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის“.

პოეტი გაკვირვებული კითხულობს, თუ რა ამოძრავებს „კიპარისის ტანს, ჩემი შრიალი საიდან არა?":

ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს:  
მაინც მწვერვალებს ეღება ქარი.  
დუმილი გახდა ვიწრო გალია,  
დაუძინარი და უჩინარი...

პოეტისათვის სიმაღლე (ნამდვილი გაგებით დღეება) არის წამება, რომლისთვისაც „მოისპის ზარების ზარი“ და დგება დრო „ქართუ-ხილივით მის ცხოვრებაში შეიკრა ქალი“. „ისევე ეფემერა“ ხასიათდება რთული და მოულოდნელი გადასვლებით. ასოციაციებით, ლექსის ეპიზოდებს შორის ძნელი შეამჩნიო ლოგიკური კავშირი, მაგრამ გამაერთიანებელი ფრაზა — „ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს, მაინც მწვერვალებს ეღება ქარი“ — ყოველ ნაწყვეტს აძლევს მას-შტაბურ მნიშვნელობას და წარმოადგენს შინაგან საყრდენს.

„ზღვის ეფემერაში“ გვიჩვენებს „იშვიათი“ გაბედული სრბოლა უსასრულო ოკეანეში ტრაგიკულად მთავრდება, გვიჩვენებს იძირება. მეზღვაურები უშიშრად შეებმებიან მრისხანე სტიქიას, გადარჩენისათვის თავგანწირულად იბრძვიან, მაგრამ იღუპებიან. მათი ცხოვრება „იყო მარად გროვალთან ბრძოლა“, ისინი უშიშრად მიეშურებოდნენ მამაცი კაპიტანის დე ლონგის (1844—1881), პოლიარეთის ამერიკელი მკვლევარის, იახტა „უანეტას“ მეთაურის, დაკარგული კვალის საძებრად. იბადება კითხვა: ხომ არ არის აქ დაპირისპირება გალაკტიონის გე-

მი „იმედისა“ და არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდისა“?! ჩვენ ეს საესებით დასაშვებად მიგვაჩნია. გამორიცხული არ არის, რომ „ზღვის ეფემერა“ გამოძახრი იყოს იმ თემისა, რომელსაც სიმბოლისტურ პოეზიაში „მტრინაეი პოლანდიელის“ სახე-სიმბოლო ჰქმნის. დიდი გეოგრაფ-ული აღმოჩენების ხანაში ფათერაკებთ აღსავეს მოგზაურები მაისწრაფოდნენ ინდოეთისაკენ მიმავალი უპოკლესი გზის აღმოსაჩენად, პირველი მათ შორის იყო პორტუგალიელი ბარტლომე დიოშა (1487 წ.), რომლის ურბლო რეისი ლეგენდის საფუძველი გახდა (მ-სი გეპი უკვალოდ გაჰქრა). ლეგენდა სწრაფად გავრცელდა. გამოჩენდნენ დიაშის მიმდევრები ინგლისში — ბერნარდ ფოკი, ნიდერლანდებში — ფალკენბერგი, პოლანდიაში — ვან სტრანტენი. ლეგენდის მიხედვით ვან სტრანტენს მისჯილი ჰქონდა ზღვებზე მუდმივი ხეტიალი, რომელიც საზღვაო კოსტუმში გამოწყობილი, საკუთარი გემის ანძანე მიყრდნობილი, ყოველგვარი მიმართულებასა და მიზნის გარეშე მიმოჰქრის ზღვებზე. მასთან ნებხედრა წინასწარმეტყველებდა შემხედრ მეზღვაურების გარდაუვალ დაღუპვას. ეს ლეგენდა დაუდო საფუძვლად თავის ოპერას რიპარდ ვაგნერმა 1843 წელს, აქედან დაიღო მან სათავე სიმბოლისტების პოეზიაში. მართლაც, ვაგნერის ოპერებმა „ლოენგრინი“, „ნიბელუნგთა ბეჰედი“ (ამ უკანასკნელში შედიოდა „რეინის ოქრო“, „ვალკირია“, ვაიხსენოთ გალაკტიონის — „ვალკირიას თვლები“), „ზიგფრიდი“, „ლმერთების დამხობა“, „ტრისტანი და იზოლდა“, „ნიურენბერგელი მაისტერ-ზინგერები“ და „პარსიფალი“ — უხვი საზრდო მისცეს სიმბოლისტი პოეტების მუზას, მათ შორის გალაკტიონსაც.

„საბალწლო ეფემერაში“ — „პოეზიის ნათელი დროშით იხავერდება ოცნება ძველი“.

პოეტის სამყარო, მისი სულიერი განწყობილება აღსავეს იყო რეალისტური ასოციაციებით. „ეფემერების“ შექმნის პერიოდში მისთვის უცხო არ იყო ტყუთა გუგუნე, ექოთა გამოძახილი. პოეტის ყურადღებას იპყრობს ვილაცის კენესა, კლდეთა ქარაფებს რომ შეხავესებია. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა „მშობლიური ეფემერა“:

ველარ ვენობილომ მშობლიერ ხეებს —  
 ზამთარს ბილიყ დაუტანია...  
 „დიდი ხანია?“ — მიმართავ ტყეებს,  
 და ტყე გუგუნებს დიდი ხანია...

შეხავესებო კლდეები კლდეებს,  
 იქ ვილაც კენესის დიდი ხანია.  
 „ამირანია?“ კვლავ ვკითხავ ტყეებს,  
 და ტყე გუგუნებს: ამირანია!..

ამ ლექსით იბმება თავისებური კავშირი წარსულთან, მითოლო-  
გიასთან, ეროვნულობასა და თანადროულობასთან შერწყმაში. „ეფე-  
მერებს“ ეინმა პოეტში ვერ ჩაკლა თანადროულობის ასახე-ს აუცი-  
ლებლობის შეგრძნება, მისი ცხოვრება თანამედროვეობ-ს გარეშე  
წარმოუდგენელი იყო, პოეტის თქმით:

...მე მაგონდება გზა ცხოვრების,  
ბედის მშვილდები—  
დროის წერათა ამთოვრებას  
რომ ასკოდები;  
იქ ქარის გზაა. უცნობ მხარეს  
რომ მოუწია,

ესაა მძაფრი და მშფოთვარე  
რევოლუცია—  
ადამიანურ ძლიერებას აღარბ...  
ესაა თამამ ქვეყნიერებას  
გულში ტარება...  
ადამიანურ ძლიერებით  
მომოვებული...

როგორც პოეტა იგა სისტემატურად ადევნებდა თვალს ქართული  
პოეზი-ის წარმატებასა თუ წარუმატებლობას. იგი პ:ტარა რეცენზი-  
ბ-თ ეხმიანებოდა თანამოკალქეთა ახალ პოეტურ კრებულებს. ნიკო-  
ლოზ მიწიშვილის „წმინდანებზე“ დაწერილ რეცენზიაში ვკითხუ-  
ლობთ: „დღეს პოეტისათვის წიგნის გამოცემა სააუდისწეროა, რად-  
განაც წიგნის თანამედროვე კულტურის გაგებით საჭიროა დ-დი პოე-  
ტური პოტენცია და შემეცნება საკუთარი თავის. მარტო ერუდ-ციით  
არ შეიძლება პოეზიის ხელოვნურად შექმნა“. რეცენზენტმა უარყო-  
ფითად შეაფასა სარეცენზიო კრებული. მისი აზრით, „წიგნს უშუა-  
ლო ინტუიციის გარდა ლექსის ტექნიკური გამართვაც აკლია. წიგნში  
არ მოიპოვება არც ერთი ორიგინალური რიტმა და არც ასონანსების  
ფანტასტიკური მშვერვალება“.<sup>16</sup> ასევე გამოეხმაურა იგი კონსტანტ-  
სე კვიციანიძის „რჩეულ ლექსებს“, რეცენზენტის დასკვნით „რჩეულში“  
ავტორი უმთავრესად ისევ ორიგინალური შემოქმედებით იმარჩევებს“.<sup>17</sup>

„ხელოვნების სასახლის“ დაარსებისთანავე შეიქმნა ე. წ. „პოეზიის  
აკადემია“, რომლის დანიშნულების შესახებ გაზეთში „კომუნისტი“  
გვამცნობდა: „უკანასკნელ დროს პოეზიაში ისეთი გზები გახსნა. იმ-  
დენი ტექნიკური მიღწევები დაიმკვიდრა, რომ პოეზიის ახალ მშვერ-  
ვალებაში მისელამდეც საჭიროა ცოდნა და მეტა ანალიზი... პოე-  
ზიის აკადემიას მიზნად აქვს, რომ პოეტებისათვის შექმნას ამგვარი  
სკოლა, სადაც გარჩეული იქნება ლექსის პრობლემები და მასთან

<sup>16</sup> გაზ. „ლომისი“, 1922, № 3. წერილი გამოქვეყნდა „გ. ტ.“-ს ხელმოწერით.

<sup>17</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1924, № 9 გვ. 7—9. რეცენზია ხელმოწერილია კროპო-  
ნიმით „ნ. ნ.“

დაკავშირებული ლიტერატურა. აქ ახალგაზრდა პოეტები შეისწავლიან პოეზიის ნამდვილ ისტორიას<sup>18</sup>.

პოეზიის აკადემიის შეკრებებს ესწრებოდნენ გალ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე, ალ. აბაშელი, ვალ. გაფრინდაშვილი, კ. გამსახურდია და სხვები. აქ იკითხებოდა ლექციები პოეზიის ისტორიიდან, პოეტიკის სფეროდან, იმართებოდა კამათი ლექსის რითმის, რიტმის და მუსიკალურობის საკითხებზე. ერთი ასეთი მორთვი შეხვედრის შემდეგ გალაკტიონს ჩაუწერია: „პოეზიაში არის მუსიკა არა ქვების, არა ნიუანსების (ვერლენი), არა არტიკლების (გერმანელი პოეტები), არამედ ნიჭის, ნიჭის და კიდევ ნიჭის... სიტყვა არც რომანსია, არც სუიტა, არც ოპერა, სიტყვას ჰყავს თავისი კომპოზიტორები. სიტყვა გამოძახილია მხოლოდ სხვა დიდი მუსიკისა, რომლის სახელი უნდა მონახოს. ერთი რამ აღმოჩნდა აქ (პოეზიის აკადემიის შეკრებაზე — ი. ლ.) სხვადასხვანაირათ ესმით — ერთი როგორც გამოსახულება და მეორე, როგორც მუსიკა... დამაფიქრებელი ბევრია<sup>19</sup>“.

1922 თუ 1923 წლის დასაწყისში გალაკტიონს გაუნდგურებია თავისი ლექსების ხელნაწერები: „რა უბოლოო, რა დიდ და ღრმა მწუხარებას და მარტოობას განვიციდი. დავკარგე, გავანადგურე ყველაფერი რაც მიწერია ბავშვობიდანვე: სუყველაფერი. არასოდეს არ მიგვრჩენია რაიმე მსგავსი... თითქო მომკვდარიყო ჩემი სიყმაწვილე, მრავალი გათენებული - ღაჟე, მრავალი გრძნობა სიხარულისა მუყაითი შრომისა, ენერგიული თავგამოდების... ჩემი დღიურები, ჩემი ლექსები... ვერასდროს მათ მე ვერ ვნახავ დაჰერილებს მსუბუქი ხელით. ახალგაზრდული სიმსუბუქით და გატაცებით... რა სასოებით, რა იღუმალი სიამაყით გინახავდით თქვენ, რა თავდადებულის წარსულის შუქი გამიშუქდებოდა თქვენ გადაფურცვლაზე, ეხლა ყოველივე მკვდარია. თქვენ, იღუმალებით საესე ნაწყვეტებო, რომელთაც მოწიწებით განახავდით მომავალში დასაპუშავებლად, თქვენ ჩემო ძვირფასო წიგნებო, გოტიე, ვერლენ, რემბო! თქვენც, ჩემო მშვენიერო სურათებო, არც ერთი თქვენთაგანი არ დამიბრუნდებდა, არ გამიღამებს. ვარ მარტო, სრულიად მარტო, რა დამიბრუნებს მას, რაც

<sup>18</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1921, № 36.

<sup>19</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 540. გვ. 6—18.



ლაიკარგა, მომავალი?!<sup>20</sup> რა იყო მიზეზი ასეთი მოქმედებისა, უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ღაიკარგა პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამსახველი ძვირფასი მასალა. განცდილი იმავე ხანებში პოეტმა ლექსადაც გამოთქვა:

ის რითმები, ის ცეცხლი, ის წიგნბუდე დაეკარგა,  
დავწვი ხელნაწერებში სუსხი და ჟრუანტელო...

(„ღღეს ღღეები ეცლება“)

1922 წელს გალაკტიონმა ქართულ პოეზიაში შემოიტანა მანამდე არ ხმარებული კომპოზიციური ფორმა ე რ ა ნ ე ლ ი<sup>21</sup> და ქართული ტერცინის ერთი უნიკალური ნიმუშთაგანი „ი ე ა ნ ზ ე“, რომლის ავტოგრაფმა ზუსტად მიუთითა ლექსის დაწერის ადგილი და თარიღი: „ხელოვნების სასახლე, 1922“.<sup>22</sup>

ქართული ტერცინის პირველი ნიმუში ეკუთვნის ალ. აბაშელს — „მკვნარი ფოთლები“, გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1916, № 239 (ქართული ტერცინის პირველ ნიმუშზე მიგვათითა როლანდ ბერიძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ).

1922 წლის ზაფხულში მწერალთა კავშირში გალაკტიონმა დააარსა ლიტერატურული წრე, რომელიც იკრიბებოდა ხუთშაბათობით. წრის მუშაობას უფრო საუბრების ხასიათი ჰქონდა. ამ წრის წევრები იყვნენ: ნიკო გერგესელი, იროდიონ ქავეყარაძე, ალექსანდრე ქყონა, იოსებ ჰარელიშვილი — თუში, სეზმან ერთაწმინდელი, ირაკლ ყანელი და გობრონ აგარელი.

4 ივნისს გალაკტიონმა მონაწილეობა მიიღო ი. გრაშაშვილის დიდ საღამოში, რომლის მონაწილეებმა ავტოგრაფებით დაამშვენეს პოეტის რამები (ერთი ეგზემპლარი ამ აფრმა-პოეტისა გამოფენილია ი. გრაშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში).

ავგისტოში პოეტმა იმოგზაურა კახეთში; მგზავრობით მოხიბლულმა პოეტმა შექმნა ლექსების ციკლი „ა ლ ზ ა ო რ ა“, რომელშიც შევიდა ლექსები: „ეს მშობლიური ქარია“, „წინანდალელი ნათელა“, „ალაზანი“, „გახედე, კახეთი!“, „მივდივდი ალაზნის ველად“, „მხოლოდ გული“ და „შავით შემოსილხარ როგორც ელეგია“. ციკლი შეკ-

<sup>20</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 540, გვ. 10—13.

<sup>21</sup> ჟურნ. „კანდელი“, 1922, № 1, გვ. 3; ტ. II, 1966, გვ. 90.

<sup>22</sup> ტ. II, 1966, გვ. 104.

რელია საერთო განწყობილებით: მშობლიური ქვეყნის მომხიბვლელობით, მისი წარმტაცი ბუნებ-თ და პირადი მოგონებების მოულოდნელი ასოციაციების გამოქვლავნებით:

გახსოვს? ტოტი ქარისა	ეს მშობლიური ქარია.
აქანებდა შთვარესა...	ეს სოფელია შიინარე.
ნეტა ესლა სადა ხარ	არ ვიცი რად მიხარია:
და რომელსა მხარესა...	ვაზი, ყანები, მდინარე.

ამ წელს დაწერა პოეტმა: „ვისმენ დანატრულ ხმას“, „სამშობლო შავი ლუციფერის“, „მარტოობა“, „ეს გრიგალია სიხალის“, „როგორც სიზმარი“, „მაისჰა ისევ მოიტანა ლაქვარდი ზღვები“, „ბინდი ღამისა გაქრა“, „რევოლუციონერის ხსოვნა“, „ცხოვრება ჩემი“, „ძველი ხელები წყდება კალიპსოს“ და „ეს იყო ოქტომბრის დაპლევს“. ეს ლექსები შესრულებულია ორიგინალური მხატვრული ხელწერით, რომანტიკულ-სიმბოლისტური მანერით, ზოგიერთ მათგანში იგრძნობა რელიგიური ელფერ („სამშობლო შავი ლუციფერი“, „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“, „შავით შემოსილხარ როგორც ელეგია“). 1922 წელს. ზაფხულში, სოფელ ლელობანთან მონადირეებმა მოჰკლეს ლენქორანიდან გადმოხვეწილი ვეფხვი, რომლის ფიტული დაცულია აკად. ს. ჭანაშვიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ამ ფაქტმა მისცა ბიძგი პოეტს დაეწერა ლექსი „ვეფხვი კასპიის პირად“, რომელიც „იღუმალი რისხვით“ უახლოვდებოდა თბილისს.

1923 წლის 17 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართა გლ. ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 15 წლის საიუბილეო საღამო. საღამოს მომწყობმა კომისიამ სპეციალური მოწოდებაც კი გამოაქვეყნა, რომლითაც ის საზოგადოებას აუწყებდა: „არავისთვის დღეს არ არის საექვო, რომ ვალაქტიონ ტაბიძე, როგორც პოეტი, ეპოქალური მოვლენაა საქართველოში... თხუთმეტი წლის წინათ მკითხველმა საზოგადოებამ აღიარა მასში შეუდარებელი პოეტური ნიჭი. 15 წლის განმავლობაში თითოეული მისი ლექსი იწვევდა არაჩვეულებრივ გამომხატურებას... უდიდესი პოეტი აკაკი წერეთელი აღელვებული მიესალმა მისი პირველი წიგნის გამოსვლას... გ. ტაბიძემ შექმნა თავისი საკუთარი სკოლა... ასეთი პოეტი საუკუნეში მხოლოდ ერთხელ იბადება“.<sup>23</sup> საიუბილეო საღამოზე მომღერალთა გუნდს

<sup>23</sup> გაზ. „ტრიბუნა“, 1923, № 492.

შეუსრულებია დემიტრი არაყიშვილის — „პოეზიის პრინცი“, დაწერილი გალაკტიონის ლექსის სიტყვებზე, რომლის შესახებ პოეტს ასეთი ჩანაწერი გაუქვებია: „მშვენიერი სიმღერა გამოვიდა... მე მხოლოდ არ მომწონდა ის გარემოება, რომ სიმღერაში მახვილი ეცემოდა ანბანის ი-ს (პოეზია), მაგრამ ეს ადვილი გამოსასწორებელია... ძალიან კარგი იქნება თუ საზოგადოდ მუსიკალური მახვილი შეთანხმებული იქნება ქართული გამოთქმის მახვილთან“.<sup>24</sup>

პოეტმა დაწერა და გამოაქვეყნა: „ეს ლექსი“, „ჩვენ აზია ვართ“, „ოქტომბრის გამარჯვებისათვის“, რომლებშიც საგნებზე, მოვლენებზე, ფაქტებზე მითითებით ამტყუებლებულია მისი თანამედროვეობა. ამავე ხანებში დაწერა ლექსები: „შენ ემართლები მოქალაქეებს“, „რა დროს რომანსეროა“, „ელეგია“, „იყო“, „უხლა კა მშვიდობით“, „სარა ბერნარი“, „სულ მალე“ და „მე ერთადერთი მქონდა წუხილი“, რომლის პირვანდელი რედაქციის სათაური იყო „გალაკტიონ“.<sup>25</sup>

„რევოლუცია და მშვიდობა“ ასეთია მისი ლექსების თემატური რკალი, პოეტის პოლიტიკური სიმახვილე უფრო ბასრი და მიზანშეწონილი გახდა (მაგალითად, „სულ მალე“).<sup>26</sup>

1923 წლის 10 ივნისს გალაკტიონის სალიტერატურო მოღვაწეობის 15 წლის აღსანიშნავი საღამო გაიმართა ქუთაისში. თავისი გამოსვლა პოეტმა ასე დაამთავრა: „მეც მტკიცედ ჩავთვალე თავი აბობოქრებულ დღეების თანაზიარად, ხელოვნების ყოველ მუშაყს რევოლუცია უნდა კმატებდეს განბედაობას, მას თავისი წელილი უნდა შექმონდეს რევოლუციაში“.<sup>27</sup> პოეტის ერთ იმდროინდელ ჩანაწერში იკითხება: „მე თანდათან ვრწმუნდები, რომ არც ერთს არა აქვს ჩემდენი დაფარული ენერგია. ეს ენერგია თავისთავად იკვლევს გზას და სადმე დაგუბებული ვულკანისტური ცეცხლით ამოხეთქავს. ის გაანადგურებს, დასწავს, დაანგრევს! გაუმარჯოს მომავალ ბრწყინვალეობას და მეფეს ქართველი პოეტებისას! შორს არაა ის დრო, როცა კიდევ იგრიალებენ გაზეთები... რამდენ ძალასა ვერძნობ... ჩემში, რამდენ ღირსებას, არისტოკრატიულს, მშვენიერს. მახალისებს ყოველივე“.

<sup>24</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 638.

<sup>25</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. II. 1966, გვ. 362—363.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 131/368.

<sup>27</sup> „განაჯლების მუსიკა“ (ქუთაისი), 1923, № 1.

მე გაეიმარჯვებ, ჩემი დიდება აუცილებელია... ეს ყველაფერი იქნება ჯალე. ძალიან მალე!"<sup>28</sup> ქართული პოეზიის ისტორიამ სავსებით გამართლა პოეტის მიერ ღრმა განცდით დაწერილი ეს სიტყვები.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეცხრე ნომრის ბეჭდვასთან დაკავშირებით (ჟურნალის ეს ნომერი ქ. ბათუმში დაისტამბა) გალაკტიონი 15—27 ივლისს შავი ზღვის ამ უმშვენიერეს ქალაქში იყო, სადაც გაიმართა მისი ორი საღამო.<sup>29</sup>

1924 წელს დაარსდა ქართული საბჭოთა მწერლების ორგანო ჟურნალი „მნათობი“, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და წლების განმავლობაში სარედაქციო კოლეგიის წევრი და მისი მუდმივი თანამშრომელი იყო გალ. ტაბიძე. ამ ჟურნალის რედაქციაში მუშაობდა იგი 1924 წელს: „ჩვენს რედაქციაში ცოტაოდენი ცვლილებებია მოსალოდნელი ენკენისთვის, — წერდა პოეტი მეუღლეს, — სარედაქციო კოლეგიაში ვალია ბახტაძემ მოიწვია რამდენიმე ფუტურისტი, თუ იმათმა საქმე არ აწეწის... ჩემთვის არაფერი საფრთხე არ არის“.<sup>30</sup> „მნათობში“ გალაკტიონის მრავალი ნაწარმოები დაიბეჭდა<sup>31</sup>. 1924 წელს „მნათობის“ № 2-ში მან გამოაქვეყნა ლექსების ციკლი „ქარი“. თემატური მინიშნების მიზნით პოეტმა ყველა ლექსს თავში მიაწერა ესა თუ ის წელი (1908, 1917 და ა. შ.). ეს მინიშნებანი არ უნდა იქნას გაიგივებული ლექსის თარიღთან. ციკლში შედიოდა ლექსები: „მღვრიე ქარი“, „ქარი მოგონებათა ქარი ჰქრის“, „ქარი არხევდა იტალიურ შობის ხეს ტროპოლისში“ (ეს ლექსი პირველად 1919 წელს დაიბეჭდა), „ქარი ამწევი ფარდის“, „ქიმიურ სანგრებთან“, „არა ერთი და ორი“, „ქარი მსოფლიო ომის მაუწყებელი“. ქარი გალაკტიონის პოეზიაში ცხოვრების განახლების სიმბოლოა, ამიტომაც ასე შესამჩნევია დაუოკებელი ლტოლვა ქარის სიმბოლიკისაკენ. „მნათობის“ მესამე ნომერში გალაკტიონმა გამოაქვეყნა ლექსი „აღმოსავლეთი“, რომლის შიგთქმულია ზიზღი კოლონიალური პოლიტიკის მიმართ. „მნათობის“ № 4-ში გამოქვეყნდა მისი პოემა „ჯონ რიდი“, რომელიც იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა. როგორც ჟურნალში, ისე ცალკე წიგნად გამოცემულ პოემას წამძღვარებული ჰქონდა შემდეგი

<sup>28</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 2455:—330.

<sup>29</sup> გაზ. „ლუხაია“, 1923, № 27.

<sup>30</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021372—III—32; ტ. XII, გვ. 528.

<sup>31</sup> ვ. ჯოჯუა, „მნათობის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, 1956; „მნათობის“ ბიბლიოგრაფია, 1954—1975. წწ.

მიძღვნა: „უძღვნი ამ წიგნს რიგს ძვირფას პოეტებისას, რომელთაც გამომაცხადეს პოეტების მეფედ 25 იანვარს 1921 წელს რევოლუციოდან დაბრუნების შემდეგ“. „ჯონ რიდი“ პოეტური ქრონიკა რევოლუციის მიერ ამოძრავებული რუსეთისა, რომელიც ახალი ეპოქის მიჯნაზე თავისი ისტორიის უძვირფასეს წამებს განიცდიდა. პოეტი ამ მოვლენების რეპორტაჟს იძლევა. „ჯონ რიდი“ არის მოგონება მესამე ინტერნაციონალის კეთილშობილ რაინდზე. პოემა წარმოადგენს რიდის წიგნის — „ათი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“ ერთგვარ პოეტურ გამოძახილს. პოემის მთელ მანძილზე ცოცხლობს ჯონ რიდის სული, მასში ეპოქის მხატვარი ჩანს. ავტორი სიამოვნებით აცნობებდა თავის მეუღლეს, რომ „ჯონ რიდი“ ახდენს პირდაპირ სენსაციას“.<sup>32</sup>

1924 წლის „მნათობის“ მეხუთე ნომერში გალაკტიონმა გამოაქვეყნა პოემა „მოგონებები იმ დღეებისა“, როცა იელვა“, რომლის ზოგიერთი ადგილი მიჩნეული იყო 1924 წლის ზაფხულში საქართველოში შეწვევიკური მთავრობის მიერ პროვაცირებული შეიარაღებული გამოსვლების მხატვრულ გამოძახილად, რის გამოც პოემის ავტორი რამდენიმე დღით მეტეხის ციხის ბინადარი გახდა, დროულმა და ენერგიულმა ჩარევამ ყველაფერი კეთილად დააბოლოვა.

„მნათობის“ № 7—8 გალაკტიონმა გამოაქვეყნა ლექსი „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, რომელშიც გაისმა თანამედროვეობის შეცნობის შინაგანი მძაფრი ხმა. პოეტი მხატვრული სიტყვის ოსტატებს, ხელოვანთა არმიას მოუწოდებდა ახალი ქვეყნის სამსახურისკენ:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია  
და სისხლიანი დგას ანგელოსი,  
ახალ გრივალებს ეწირავთ სიციცხლეს  
ჩვენ, პოეტებო საქართველოსი!..

სალიტერატურო კრიტიკამ იმთავითვე შენიშნა, რომ 1924 წელს „გალ. ტაბიძისათვის აღმოჩნდა ახალი თემა-რევოლუცია“, რომ მან „გაარღვია ძველი შემოსალტული წრე და სხვა შესაძლებლობათა წინაშე დადგა“. კრიტიკოსი საყვედურს გაროსთქვამდა იმის გამო, რომ პოეტის იმდროინდელ პოეზიაში არ ჩანდა „ირსებოთი და მთავარი — რევოლუციის იმანენტური აზრი“ (გალაკტიონი, ისე როგორც ბლოკი, იძლევა რევოლუციის აღწერილობით ქრონიკას).<sup>33</sup> ეს

<sup>32</sup> ტ. XII, გვ. 528.

<sup>33</sup> ურ. „მნათობი“, 1925, № 1 და 2 (ბ. ქლენტის წერილი).

შენიშვნა იმსახურებს კომენტარს. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ 20-იანი წლების დასაწყისში ქართველი მწერლების გარკვეული ნაწილის მსოფლმხედველობრივი და ლიტერატურული ფორმაცია უკვე დასრულებული იყო, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ცხოვრების იმ მიმართულებას, რომლის ზეგავლენითაც მოხდა მათი აზროვნების ჩამოყალიბება რევოლუცია თანდათან სცვლიდა. თავისთავად ცხადია, რომ ახალი მსოფლგაგება მოითხოვდა ხანგრძლივ დროს, მწერლის გარდაქმნას. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი თუმცა იდეურად პროლეტარიატთან იყო, მხატვრული მეთოდის თვალსაზრისით მისგან შორს იდგა. ეს იმიტომ, რომ შემოქმედებით მეთოდში გარდატეხის შეტანა გაცილებით უფრო მეტ დროს მოითხოვდა, ვიდრე იდეების შეცვლა. შემოქმედს შეიძლება პიელო რევოლუცია, ყოფილიყო მისი ერთგული ჭარისკაცი, მაგრამ მის შემოქმედებით მეთოდში ეს იდეური ცვლილება ერთბაშად არ მოხდებოდა. შემოქმედებითი მეთოდი არ წარმოადგენს გაქვავებულ პრინციპთა ერთობას. დიდი ნიჟის პოეტები მას ახალი შინაარსით ავლიდრებდნენ ძიების პროცესში. ლიტერატურის ისტორიაში მრავალი შემთხვევაა, როდესაც მწერლები ერთი მიმდინარეობიდან მეორე მიმდინარეობის შემოქმედებით პოზიციაზე გადასულან. ეს პროცესი ყოველთვის გარდამავალია, არა სტაბილურია.

გალაკტიონმა 20-იანი წლების დასაწყისის პოეზიაში ბევრი რამ გადმოიტანა რომანტიკულ-სიმბოლისტური ესთეტიკის არსენალიდან, რაც რევოლუციამდე დამახასიათებელი იყო მისთვის.

ჭიდილი ძველს შემოქმედებით გზასა და გარდაწავალი ხანით გამოწვეულ ძიებათა შორის კარგად არის გადმოცემული ლექსში „თუ ბრძოლა არ არის“:

თუ ბრძოლა არ არის... ამაოებით,  
მათ ენატრებათ ისევე ძველი  
ფანტასტიური საღამოები...  
„ვიგონებ, ველო“.  
მრავალ სახეზე არის ობლობა,  
მრავალს აწვთობს, რაღაც მონობა:  
როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა?  
ვით ავიტანოთ უმადონობა?  
გაქპრა ზმანება, გაქპრა ფერია,

ნუთუ ბოდღერცი არაფერია?  
შეღლიც კიუგან დაეგვანება?  
მიუსე? ვერლენ? ღმერთი? კანა?  
აჰა, ქალაქთა გვიანი ნებით  
ბურუსებში სჩანს აინშტაინი.

მეცნიერებისა და ტექნიკის საუკუნეში, როდესაც განსაკვიფრებელმა მიღწევებმა და გამოგონებებმა თითქოს დაჩრდ-ღლეს პოვნის ზემოქმედება, მაინც ნათელი გახდა, რომ ტექნიკური მიღწევები ვერა და ვერ შეცვლიდა ადამიანს, ის ვერ აღიჭურვებოდა ისეთი სულიერი კატეგორიებით, როგორცაა ემოციები და განწყობილებები, რაც, თავის მხრივ, მხატვრული შემოქმედების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. სულიერი საზრდოს გარეშე საზოგადოებას არსებობა არ შეუძლიან. ეს მწვავე კითხვა, ჩანს, საკმაოდ მძაფრად აწუხებდა გალაკტიონსაც. აინშტაინზე მინიშნებით, ოგი ლალაღებდა, რომ დგებოდა მეცნიერების ჰეგემონიის პერიოდი და ერთგვარ შიშს გამოატავდა ახალ დროში პოეზიის ბედის გამო.

1924 წელს პოეტი მიეკედლა იმ ლიტერატურულ დაჯგუფებას, რომელიც 20-იანი წლების ქართულ მწერლობაში „აკადემიური ჯგუფის“ სახელით იყო ცნობილი. გალაკტიონი წერდა: „ჩემი როლი ამ მუშაობაში, როგორც ჩანს, მხოლოდ ლექსებით უნდა გამოხატულიყო, მე კი ასე არ მსურდა, რადგან კოლეგიის წევრი ვიყავი. მინდოდა მეძუშავნა ურუნალის შინაგან და გარეგან სახეზე. როდესაც პასუხისმგებლობა მეკისრება, მე ავიღებ ამ პასუხისმგებლობას, პირნათლად შევასრულებ, როდესაც ამის საშუალებას ამხანაგი არ მომცემს, მეც ჩამოვშორდები. არ მომწონდა თავმჯდომარისეული (პ. ინგოროყვა—რ. ლ.) სახელწოდება— „სულ ვართ ორი მილიონი“... ვერ შევიწყნებ და მეც ჩამოვშორდი“.<sup>34</sup>

გალაკტიონმა გამოაქვეყნა ლექსი— „1917“ (შემდეგში ეს ლექსი იბეჭდებოდა სათაურებით: „მსოფლიო ორკესტრი“. და „ეს ლექსი“), რომელშიც იგი წერდა:

...ო. ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს!  
ჩვენ თან წამოგყვა მშფოთარება და მზეთა დნობა,  
რადგან ვაგრძენით ჩვენ ქარიშხალი...  
ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს,  
მათ მოსაგონრად შევიკრბოთ დღეს,

<sup>34</sup> გ. ცაბაძის არქივი, დღ. 139, გვ. 29.

ვინც ნამდვილად გასწირა თავი,  
ვინც განიცადა წელი, —  
საესე ისტორიის აპბებით.  
ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს!

ქართულ პოეზიაში ეს იყო ლექსის „დროშები ჩქარა!“-ს ახლებური აქლერება:

დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,  
ვინც თავი გასწირა, ვინც სისსლი დაღვარა...

ეს ლექსი დაწერილია მ ოქტომბერს, ოქტომბრის რევოლუციის მეშვიდე წლისთავზე, მას არ აკლდა პუბლიცისტური სიმკვეთრე.

1924 წლის 9 ოქტომბერს გარდაიცვალა ვალერი ბრიუსოვი, ჩვენი პოეტის დიდი სულიერი მეგობარი, მის ხსოვნას გალაკტიონმა ორი ლექსი უძღვნა.

ამავე ხანაში დასწერა მან „კავკასიონის მთების ბალადა“, რომელიც ავტორმა შემდეგ ორ დამოუკიდებელ ლექსად გამოაქვეყნა: „დამშვიდდი ქარო“ და „ქალავ“, უკანასკნელი სასიყვარულო პოეზიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშთაგანია.

გალაკტიონისათვის უცხო არ იყო ყოველგვარი განცდილის, შეზღუდუბუბელისა თუ გამამხიარულებუბელის პოეტური სტრიქონებით გაღწოცემა, ასეთი ჩანაწერები მრავლადაა მის არქივში. მოკლე და განცდიტ ჩაუნიშნავს მას თავის უბის წიგნაკში მეგობრების გ. ქუჩიშვილისა და დ. თურდოსპირელის დედის ტრაგიკული აღსასრული:

მოხუცი ქალი წვიმაში, ქარში  
ვერის ხიდიდან გაღეშეა მტკვარში;  
ო. საშინელი ზვირთების რკალი...  
ფეო... ირ არის მოხუცი ქალი,  
ე.კ. ჩენი ბრალი.<sup>35</sup>

დიდი ზომალდი-ქართული საბჭოთა მწერლობა ფრთებს შლიდა. ამ ზომალდის საქესთან დადგა გალაკტიონი, რომელმაც თან გაიყოლა თანამოკალმეთა მთელი შექადგენლობა ჭერარანახული, ჭერარგაგონილი საქართველოს საღრიდებლად.

<sup>35</sup> არქივი, გვ. 4786; ტ. VII. გვ. 128.



წინამორბედი და ახლოგენი

გალაკტიონი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის დეიდა შვილია. მის არქივში არაერთი ჩანაწერია მშობლიურ მწერლობაზე, მის სახელოვან წარმომადგენლებზე, მისი პოეზია მრავალ ხელნაწილად მასალას გვაწვდის კლასიკურ მემკვიდრეობასთან შემოქმედებითი ურთიერთობისას.

მისი თქმით, „თანამედროვე პოეზიას დიდი კავშირი აქვს ძველ საქართველოსთან. ახალი ლიტერატურა შეეცადა წარსულისაგან შესრულებული იდეების გატარებას, შემოიტანა რა თანამედროვე პოეზიაში ახალი სტილი, სტილი უფრო ღრმა, რთული, ხელოვნური ნიუანსებით და ძიებებით საკესე“.¹ „ახალი დროის“ პირველი მესიტყვე დიდი თაყვანისცემელი იყო მდიდარი ქართული მწერლობისა და მისი თვალსაჩინო წარმომადგენლებისა.

გალაკტიონი ძველი ქართული მწერლობის დიდი დამფასებელი იყო. მშობლიური მწერლობის სათავეებს მის ფიქრთა საეანეში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მას დიდად აინტერესებდა ქართული დამწერლობის — ქართული ანბანის წარმოშობისა და საერთოდ ქართული მწერლობის ისტორიის საკითხები. ლექსში „პიმნი ქართულ ანბანს“ იგი გვთავაზობს მოსაზრებას, რომ ქართულ ანბანს „სიძველის გამოსავს ნელი ხავსი“, რომ „ქვაზე კრილი“ და „ჩუქურთმის მსგავსი“:

არა გუშინ გაჩნდი თვალის ჩინად,  
 არამედ მზით  
 ამოუნთე ბრწყინვად —  
 ოცდაქვესი საუკუნის წინად...

დიდი სიყვარული მშობლიური ენისადმი თავის გამოხატულებას პოელობს პოეტის მრავალ კმნილებაში. მისთვის ქართული დამწერლობის აღმოცენება როდი უდრის მწერლობის წარმოშობას. მას მიაჩნდა, რომ დიდი და წარმტაცი ლიტერატურა არსებობდა ანბანის წარმოშობამდე; ის თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირსიტყვიერების სახით: „უძველეს ხნიდან პოეზია სდევდა ზეპირი... უძველეს“

¹ გ. ა. ბ. ი. ძე, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 70.

ხნიდან დაწყებული რუსთაველამდე, რუსთაველიდან ჩვენამდე რეკავ ივერთა ჩანგი“, რომლის მიმართ „უძლეური იყო ცეცხლი ასული ცამდე“.

იგი ალტაცებული იყო ქართული ეროვნული სიამაყეს „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადით. ამ პოემას მან არაერთი ღირსეული შედევრი მიუძღვნა. რუსთაველის პოემა მას მეტად მაღალმხატვრულ ნაწარმოებად მიიჩნდა, რომლის ღირებულება ეროვნული კულტურის საგანძურში ფასდაუდებელი იყო: „პოემა ვეფხვის პოემაა გრძნობის, მზიურის სიყვარულის და თავდადების, გმირობის, სიბრძნის“. რუსთაველის პოემის საერთო შეფასებასთან ერთად გ. ტაბიძის პოეტურ-პალიტრაში თავისებურად აქლერდა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებიც: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, გალაკტიონის მტკიცებით რუსთაველი ერთადერთი და განუყოვრებელია, რომ არსად არ არის „სხვა გამოხედვა მესხისებური“. შოთა რუსთაველი მას ჩვენი ეროვნული მწერლობის დიდ მამამთავრად მიაჩნდა და საქვეყნოდ არაერთხელ განუცხადებია: „ვადღეგრძელოთ რუსთაველი ჩვენი მამამთავარი“-ო. მისი შეფასებით:

გამბედაობა მხოლოდ სულის თავისუფლების  
მეგობრობაში, სიყვარულში მუდამ ერთგული.  
სტუმართოყოყვარე და სიმატლის მკაცრი დარაჯი,  
აი რა იყო რუსთაველის დიდი სული...

პოეტმა გულში ჩამწვდომი მრავალი სტრიქონი მიუძღვნა სათაყვანო წინაპარს. ამის ნათელი დადასტურებაა მისი ლექსები: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „რუსთაველი პარიზში“, „ვეფხისტყაოსნის აფხაზურ ენაზე თარგმანის გამო“, „მესხის გამოხედვა“, „ისევ მესხის გამოხედვა“, „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“, „მესხის დაბრუნება“, „პოემა ვეფხვისა“. სახელოვანი წინაპრის გენიით შთაგონებული გალაკტიონი დარწმუნებული იყო, რომ თანამედროვეობასაც უნდა მოვლენოდა დიდი წინამორბედის ღირსეული შთამომავალი. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მან თავის ერთ ღირსეულ შედევრს სათაურად მისცა: „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“. პოეტი წერდა: „რუსთაველი ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორია“-ო.<sup>2</sup>

<sup>2</sup>. ტ. XII, გვ. 16.

გალაკტიონს ალაფრთოვანებდა ქვაში გამოკვეთილი ერის უკე-  
დავი სული: „რა განძა გვექონია, რა მხნე, რა მდიდარი, ჟღერს ქვის  
პარპონია-დარობს რამღი დარი“, იგი სიამაყით აცხადებდა: „ეს ის  
სიმკვეთრეა, ეს ის სიმდიდრეა, რაითაც მკვიდრია“ ერის არაერთი  
შევდავ ძეგლი.

1919 წელს გაკეთებულ ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავდა:  
„წელი წელს მისდევს, საუკუნე საუკუნეებს და ძვირფასი საფლავებ-  
თ მუდამ იფინება ჩვენი სასაფლაოები. ახვევიათ ამ საფლავებს სამა-  
რადისო ძილი და არავინაა, რომ ისევ აღადგინოს მათი სხეუმოს-  
ლი და მშვენიერი დიდება... ისინი წავიდნენ და არასოდეს დაბრუნდე-  
ბიან... კურთხეულ იყოს მათი სახსენებელი“<sup>3</sup>. ეს ლაღადისი ჩვენი ერის  
იმ სასახლო შვილებისადმი მიძღვნილი, რომლებმაც მშობელ ქვეყა-  
ნას თავიანთი გულწმინდა შრომით, ფიქრით და ზრნვით წარუშლელი  
ამაგი დასდეს. ამ ამავდართა შორის, რა თქმა უნდა, უპირველესი ად-  
გილი დათმობილი აქვთ იმათ, ვინც თავისი მხატვრული სიტყვით  
მშობლიურ სიტყვაკაზმულ მწერლობას ფასდაუდებელი ამაგი დას-  
დეს. გალაკტიონის თქმით „ჩვენი პოეზია დღეს არ იქნებოდა ის,  
რაც არის, რომ ამ ყოლოდა ისეთი სახელები, როგორიცაა რუს-  
თაველი, გურამიწვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა. მაგრამ მე  
მტკაცედ მჯეროდა: პოეზიაში რომ თქვა ახალი და დიდი სიტყვა,  
ამის აუცილებელი პირობაა — გქონდეს ბუნებისაგან მინიჭებული გან-  
საკუთრებული ტალანტი, დაუფლებელი იყო მაღალ პოეტურ კულ-  
ტურას, გახასიათებდეს ლექსის გრძობა, ძიების უნარი, სიახლისად-  
მი მისწრაფება. კემშარიტი პოეტი უნდა ზრუნავდეს ორიგინალურ  
სახეებზე, რითმზე, რიტმზე. პოეზიის ყველაზე დიდი მტერია სტან-  
დარტი და ეპიგონობა. ჩემი ლექსები ჩემი სულის ანაბეჭდია — შთა-  
გონებული ქართული პოეზიის დიდი ტრადიციებით“<sup>4</sup>. ქართველ  
კრიტიკოსებსა და ლიტერატურათმცოდნეებს თავიანთ წერილებსა  
და ნაშრომებში არაერთხელ აქვთ მინიშნებული ნ. ბარათაშვილისეუ-

<sup>3</sup> ტ. XII. გვ. 60—61.

<sup>4</sup> ჟურნ. „სიკვარი“, 1967, № 1, გვ. 139.

ლი პოეტური სულისა და მუხის ნიშნები გალაკტიონის პოეზიაში.<sup>5</sup> გალაკტიონის სურვილი იყო ყოფილიყო სახელოვანი წინაპრების ღირსეული მემკვიდრე და თანატოლი. იგი გრძნობდა კიდევ ამ სურვილის სიახლოვეს სინამდვილესთან, რასაც მისი არაერთი ჩანაწერი ადასტურებს. მაგალითად, ნ. ბარათაშვილის შესახებ იგი წერდა: „ბარათაშვილმა, როგორც ბუნებით დაჯილდოებულმა ყველა მგოსანმა, იმთავითვე დაიმონა ფორმის სიძნელე და გახდა ბატონი თავისი სტილისა... მოიგონეთ ის ბოროტი სული, რომელიც შეჭრილია ბარათაშვილის არსებაში. ეს ისეთი ლექსია, რომ თვით დოქტორი ფაუსტი შეიყვარებს მის ავტორს ბარათაშვილს როგორც თავისი სიყვარულის მეგობარს... წაიკითხეთ ლექსი — “რად ჰყვედრი კაცსა”... რომელშიაც ბარათაშვილის სული ოცნებობს ქალის მშვენიერ სულზე... მშვენიერი სული ელანდება ბარათაშვილს მეორე ლექსშიც — “მადლი შენს გამჩენს, ლამაზო”... ამ ლექსებში, ამ შავ ლაბირინტში, შორს, დაუსრულებელ სილაყვარდეში, მოსჩანს სათაყვანებელი ლანდი ბეატრიჩესი, მუღმივად სასურველი და მუდამ მიუღწეველი იდეალი, ციური, ღვთაებრივი სილამაზე, ჰაეროვანი, უსხეულო ლანდი შორეული ქალისა... ამ ქალს ბარათაშვილის ლექსში არა აქვს სახელი, მაგრამ შეიძლება განა ამ ბეატრიჩეში, ამ ლაურაში დაეინახოთ რომელიმე ქალწული, რომელაც მხურვალე გრძნობით უყვარდა მგოსანს... ბარათაშვილის ფილოსოფიურ და ლიტერატურულ შეხედულებებს ძლიერ ბევრი საერთო ჰქონდა ედგარ პოსთან”.<sup>6</sup>

აი, როგორ წარმოგვიდგება ილია გალაკტიონის დახასიათებით:

<sup>5</sup> ი. გომართელი, სედიის მგოსანი გ. ტაბიძე (კრებ. გ. ტაბიძე, ლექსები, ქუთაისი, 1914, გვ. 5—11); ვახუთები: „ერი“, 1913, № 47, „სახალხო ფურცელი“, 1916, №№ 470, 499, 1917, № 768, „სახალხო საქმე“, 1920, №№ 729, 730, 735, (აკ. პაპავას წერილები), ვახ. „შადრევანი“, 1915, №№ 3 და 5 (ალ. აბაშიელისა და მ. წულუკიძის წერილები), ვახ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, № 246 (ალ. წერეთლის წერილი), ვახ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, № 49 (ვ. გარიკის წერილი) ვახ. ტრიბუნა“, 1922, № 299 (სომხელი წერილი), „გალაკტიონ ტაბიძის ეურნალი“, 1922, № 1, (სომხელის) და 1923, № 8 (ვ. გარიკის წერილები).

<sup>6</sup> შ. რადიანი. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა, 1951; ს. ჭილაია, გალაკტიონ ტაბიძე, 1953, ე. შუშანიას, გალაკტიონ ტაბიძე, 1956, გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, I, 1958, III. 1959, დ. ბენაშვილი გ. ტაბიძე. კნაღირაძე 1961, ი. ლორთქიფანიძე გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების კრონიკა 1968, რ. თვარაძე გალაკტიონი. 1972 და ა. შ.

<sup>7</sup> ტ. XII, გვ. 62—64.

„მისი გონების ძალა არაა მარტო სიტყვებში. იგი ზომავდა საგნებს თავისი განსაკუთრებული თვალთახედვის ისრით. ეს... ისარი ხშირად ცვლიდა საგნების ნამდვილ სახეს, როგორც იცვლება ყოველგვარი საგანი იმისდა მიხედვით, რომ საიდან უცქერი მას. სხვაებისათვის შეუნიშნავი რამ მისთვის ადვილი გასაგები იყო. მისი უესტა იყო ნელი, იშვიათი და თავდაპირველი, მაგრამ გონიერი. ეს უმთავრესი დამახასიათებელი თვისებაა იმ დიდი ცხოვრების. არ უყვარდა მას არც ცხოველი და მკვეთრი გაფრენილი სიტყვა. ბრიტანული სიცივე კარგი ზრდილობის მაჩვენებელია მისი აზრით.“<sup>7</sup> ილიას გოლიათური პიროვნება, მისი პოეტური გამოწვევა თავიდან ბოლომდე გასდევს გალაკტიონის შემოქმედებას.

აკაკი წერეთელი, რომლის „პიროვნება ქართველებს ბედის ნატეხად იცნეს“, გალაკტიონის იდეალი იყო. აკაკის თემა მის პოეზიაში მეტად ორიგინალური და ტევადია. აკაკი მას ქართული პარნასის შეუფუძელ მიაჩნდა. იგი წერდა: „არავისზე საქართველოში იმდენი არ ულაპარაკნიათ, რამდენიც აკაკიზე... საკმაოდ არის დახასიათებული მისი ბუნება, თვით აკაკის პიროვნება ქართველების ბედის ნატეხად იცნეს... ქეშმარიტად აკაკი ძველი საქართველოს მოლანდებია... მთელი თავისი ხანგრძლივი და სახელგანთქმული სიცოცხლის მანძილზე აკაკი იქერდა ადამიანებს მათ პირფერობაში, გაიძვერობაში... აკაკი ნამდვილი სერკანტესი იყო ხუმრობაში, ნამდვილი ბაირონი მწუხარებაში, ნამდვილი ჰანე ეროტიზმში და შეუდარებელი მამულის სიყვარულში“.<sup>8</sup>

გალაკტიონი წერდა: „ჩვენს წინ ცოცხლად სდგას ერთი მხრით, დაუღალავი მშრომელი და ძლიერი სულის ნების პატრონი ილია ჭავჭავაძე, მეორე მხრივ, დაუმონებლად ამაყი და ციური ნიჭით დაჭილდოვებული ნამდვილი პოეტი აკაკი“,<sup>9</sup> რომელთა „ძვალბრძოლაში გამჭადარი იყო ის განსხვავებული, განუმეორებელი და უდიდესი საზოგადოებრივობის გრძნობა, რომელსაც თავდადებამდე მიჰყავდა ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ეს ორი ძლიერი ადამიანი“.<sup>10</sup>

დანიელ ჭონქაძე მის მიერ დახასიათებულია, როგორც:

<sup>7</sup> ტ. XII გვ. 64.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 56—66.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 163.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 142.

ჯანთლებული, მოწინავე,  
რწმენით გზნებული,  
სამოციანი წლების კაცი  
დაკვირვებული...<sup>11</sup>

ვაჟა-ფშაველა „მთიდან მოვარდნილი დიდება“ გალაკტიონის უსაყვარლესი მგოსანი იყო, მისი აზრით, „ვაჟას სიმღერებიდან გამოკრთის უმადლესი სული როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გმირებში... არავის არ შეეძლო ლიტერატურული მასწავლებლების პატივისცემა და მათი შეყვარება ისე როგორც ვაჟას; ის ყოველთვის მზად იყო მუხლი მოეყარა მათ წინ, მაგრამ როგორც არა მონას. ის ხომ თვითონ იყო მეფე, ჰქონდა თავისი სამეფო და ჰყავდა თავისი ხალხი, ოქროს სკრიდა საკუთარი შტამპით. ყველასათვის ცნობილია აკაკისა და ვაჟას ერთმანეთში დამოკიდებულება. ვაჟა მუხლს იდრეკდა აკაკის წინ და სრულიად არ აწუხებდა მას აკაკის შეხედულება. ასეთია დიდებუნიბოვან ადამიანთა ცხოვრება.“<sup>12</sup>

იგონებდა რა „ძვირფასი სამების“ აჩრდილებს, პოეტი თავისი ლექსის ერთ ადრინდელ რედაქციაში ამბობდა:

მგონებო, შელამდა და ძვირფას საფლავებს,  
პანთონს მუეციოთ ძვირფასი სამება;  
იღის ცრემლები, აკაკის ხანჯალი  
და ვაჟას გარდასულ დღეებზე წამება.  
მოოქრულ ვარდებით ის სიკვდილს აზღაპრებს,  
ჩვენ თვალწინ დასრულდა იმათი წამება  
და მაშომ ვიგონებ წუხილით წინაპრებს...

შემოქმედებითი კავშირითა დაკავშირებული გალაკტიონი ქართულა რომანტიზმის წარმომადგენლებთან გრ. ორბელიანთან და ალ. ჭავჭავაძესთან.

ალ. ჭავჭავაძის ლექსმა — „ღიმილმან კარი ლალისა“ შთააგონა გალ. ტაბიჯის ლექსი „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“. გამორიცხული არ არის, რომ ორივე პოეტისათვის ამ ლექსების შთაგონების წყარო იყოს „სახარება“ (იხ. სახარება მათესი 6, 34. ახალი აღთქმა, თბილისი, 1963 წ.). ალ. ჭავჭავაძის მოტივის განმეორება იგრძნობა გალაკტიონის უსათაურო ლექსში (ტ. II, 298. „აქ მარმაროლოს მაღალი

<sup>11</sup> ტ. X, 1972, გვ. 306.

<sup>12</sup> ტ. XII, გვ. 66--67.

სვეტი“), რეფრენისებური „ვაჟ, დრონი დრონი“, რომელიც ოთხჯერ შეორდება ლექსში, ძალაუნებურად გვახსენებს ლექსის შთაგონების წყაროს.

„იარალის“ დაწერიდან 80 წლის შემდეგ ჩვენი ეპოქის შვილი „დამთვრალი ახალ სანახაიოთა“ ეხმაურება გრ. ორბელიანის ზოგიერთ პოეტურ სახეს და სინანულს გამოსთქვამს, რომ „ყაბახის გმირის შზგავსება ლომის“ დრო წარსულს ჩაბარდა.

„მამია გურიელს ჰქონდა თავისი საათი უმაღლესი სილამაზისა და აყვავების, — წერს გალაკტიონი, — მამიას სულს სჭირდებოდა ძლიერი და არაჩვეულებრივი განცდა... მამიას აქვს ტრფილური ძლიერი სენტიმენტალური ლექსი... ყველაში უსათუოდ არის სიცოცხლე, გონება. ამბობენ, რომ ორფეოსის სულის ძალას შეეძლო აღფრთოვანებული რიტმით მოძრაობაში მოეყვანა ხეები და ქვეები... ასეთი იყო თურმე მამია გურიელის მიერ წაითხული ლექსების რიტმი“.<sup>13</sup> ჰაბუკობაში გალაკტიონმა დაწერა ლექსი „მამია გურიელის საფლავზე“,<sup>14</sup> ხოლო 1945 წელს მის მიერ დაწერილ ლექსს „ადამიანი“<sup>15</sup> აშკარად ეტყობა მ. გურაელის ამავე სახელწოდების ლექსის ზეგავლენა.

დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გალაკტიონზე ალ. ყაზბეგის მოთხრობებსა და რომანებს, პოეტი წერდა: „ალექსანდრე ყაზბეგი „დროებისათვის“ ფელეტონებად წერდა თავის რომანებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად... ამასთანავე იგი სრულიად არაფერს არ ასწორებდა, ერთ სიტყვასაც არ სცვლიდა, მაგრამ ეხლა, როცა ამ რომანებს კითხულობ და ამასთანავე გახსოვს მისი წერის ამბავი, გაკვირს რომ მთელ რომანში წითელი ზოლივითაა გატარებული ერთი დაყინებული იდეა. ამ იდეიდან ვერავითარ გზის გადახვევას. გზის აცდენას ვერ შეამჩნევთ... ედგარ პო ამბობდა: „ნაწარმოებში ყველაფერი უნდა ისწრაფოდეს კარგი დასკვნებისკენო. კარგმა მწერალმა დასაწყისშივე იცის თავის ნაწერის უკანასკნელი სტრიქონი“. ეს აქსიომა არავისზე არ ითქმის ისე, როგორც ყაზბეგზე“...<sup>16</sup>

„ივანე მაჩაბელი, — წერს პოეტი, — უკეთესობილესი ქართვე-

<sup>13</sup> ტ. XII გვ. 68—69.

<sup>14</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 8728.

<sup>15</sup> გ. ტაბიძე, ტ. V, 1967. გვ. 256—258.

<sup>16</sup> ტ. XII, გვ. 67—68.

ლი, შექსპირის უბადლო მთარგმნელი, ქართული მწერლობისათვის ეწამა“.<sup>17</sup>

„წინოშვილი ხედავდა, როგორ მიდიოდა ქალაქის ქუჩებში ქრისტიანე. ამ მწუხარე მოსიარულე ქალს იგი ფხზდაფხზ მისდევდა როგორც ლამაზ ქალს. — ჩაუწერია გალაკტიონს, — ქრისტიანეს ძველს, ნახმარს, გატრეცილ, ალაგ-ალაგ დაკერებულს, ფერგამოცვილილ ტანისამოსში იგი კიდევ ხედავდა ამ ქალის წარსულს; ხანჯლის დაკვრისაგან გაფუჭებულ სახეში მაინც ამჩნევდა ამ ქალის წარსული სილამაზის კვალს. მწერალი აძლევს ამ ქალს სიცოცხლეს, რომლის მსგავსი არც მანამდე და არც შემდეგი დროის ქართულ მწერლობაში არ შემხვედრია“.<sup>18</sup>

„დიდებული და სახელოვანი გვარდია“ — ასე უწოდებდა გალაკტიონი თავისი დროის ქართული მწერლობის უფროსი თაობის წარმომადგენლებს ვ. ბარნოვს, დ. კლდიაშვილს, ი. ევდოშვილსა და სხვებს.

„ვასილ ბარნოვი ძველი ქართული ფრესკაა, არც მეტი და არც ნაკლები. ისტორიული რომანების ავტორი, უკეთილშობილესი ადამიანი, თავისებური მანერა და სტილი... მართლაც რა შესანიშნავი თანამედროვე ადამიანია იგი, — ჩაუწერია გალაკტიონს უბის წიგნაკში, — უჭეულესი ამბების ავტორი. არც ერთი ადამიანი ჩემში პატივისცემის გრძნობას არ იწვევს, თუ მის ნაწარმოებს თავდადებული, ძლიერა, ხალისიანი, აქტიური შრომის ბეჭედი არ აზის, რა იქმა უნდა, პროფესიონალისა, ისეთი როგორც ვასილ ბარნოვია“.<sup>19</sup>

პოეტი აღტაცებული იყო დავით კლდიაშვილის განუმეორებელი ნიჭით: „როდესაც ხელთ ვიღებთ მის წიგნს, არ შეიძლება არ გაიფიქრო: აი, კლდიაშვილი, განუმეორებლად მეტყველი, თავისებური კოლორიტის მწერალი (არ დაგავიწყდეთ პირველი სახალხო მწერალი). არ შეიძლება არ გაგახსენდეს პაოლო იაშვილის სტრიქონები: „გვეჩვენებოდა ეს იმერეთი არაბულ ზღაპრის დაბოლოვებად“... დავით კლდიაშვილი რომ არა, მსოფლიო ლიტერატურაში დაუხატავი დარჩებოდა სოლომან მორბელაძე, ვერც ერთი მწერალი ვერ მოისაზრებდა გამოესახა ბეკინა სამანიშვილი და ერთადერთი დარისპანი, რო-

<sup>17</sup> ტ. XII. გვ. 67—68.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 178. გ. ტაბიძეს უნდა ეკუთვნოდეს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ (1920 წ.) გამოქვეყნებული წერალი: „ვასილ ბარნოვი“.



მელიც მოგზაურობს თავისი ურყევი მიზნით, მოგზაურობს თავისი ლაფჩებით და „იმ-იმე“-ით, რომ კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა მშვენიერი კაროენა“.<sup>20</sup>

ი. ევდოშვილს გალაკტიონი პირადად ქუთაისში გაეცნო 1914 წელს, ივნისში. ამ თვის 5 და 7 ივნისს ჩატარდა იროდიონის საღამოები. იროდიონმა პირადად სთხოვა გალაკტიონს მონაწილეობა მიეღო მის საღამოში. 8 ივნისს იროდიონმა სურათი გადაიღო ქუთაისში მოღვაწე ქართველ მწერლებთან, რომელთა შორის არის გალაკტიონც. უბის წიგნაკში გალაკტიონს გაკეთებული აქვს ჩანაწერი ამ შეხვედრის თაობაზე.<sup>21</sup>

გალაკტიონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მომღერალ ვანო სარაჯიშვილთან. პოეტმა მას ორი ლექსი უძღვნა: „ოპერის თეატრთან“ და „ოპერიდან გამოვიდა გვიან“. მომღერლის უღრმო გარდაცვალებაზე გული დასწყვიტა პოეტს, რაზედაც შეტყველებს დაუთავრებელი ლექსი „მწუხარება“.<sup>22</sup>

გალაკტიონს დიდად მეგობრობდა დავით პავლიაშვილი (1879—1925), რომელიც 910-იანი წლებიდან ქართული პერიოდული გამოცემების ერთ-ერთი პროფესიონალური რეპორტიორი იყო, ეროვნული საქმის ჩუმი და დაუზარელი მუშაკი. დ. პავლიაშვილი იყო უანგარო ინტელიგენტი, ქართველი მსახიობების, მწერლების, კომპოზიტორების დამფასებელი და თაყვანისმცემელი. ქართველი საზოგადოება მას იცნობდა „ნაპოლეონის“ ფსევდონიმით (ეს ზედმეტი სახელი მას ვაჟა-ფშაველამ შეარქვა). დ. პავლიაშვილი თანამშრომლობდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“. აი, ამ კეთილ დადამიანზე გალაკტიონს ჩაუწერია მოგონება 1940 წლის 22 თებერვალს: „მართლაც ნაპოლეონი იყო გარეგნულად, ისეთივე შუბლი, სახე, განსაკუთრებით ცხვირი, გულზე ხელების დაკრეფა, თავის მოხვრა, გამოხედვა, მოკუმული ბაგეები, მაგრამ, ეს ზედმეტი სახელი იყო, ამხანაგური. ნამდვილად ის ჟურნალისტი. რეპორტიორი „ივერიის“, „ცნობის ფურცლის“ და სხვათა თანამშრომელი, უზომოდ ხუმარა ვინმე, გულწრფელი კაცი იყო. ჰქონდა კუზი, უზარმაზარი კუზი... ატარებდა გახუნებულ ფრაკს. 1921 წელს, როდესაც მე იგი გავიცა-

<sup>20</sup> ტ. III, გვ. 157.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 241

<sup>22</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. VII, 1972, გვ. 123—124.

ნი, ჩემთან მოვიდა მწერალთა კავშირში (სწორედ ამ ფრაკით მოვიდა ჩემთან... მაგრამ ამ სამოსელს ამშვენებდა არა მ-სი შესაფერი თავსამკაული. იგი ატარებდა ყოვეს, ოო!), ერთხელ მიაძბო, თუ როგორ შეუყვრა მას ეს ფრაკი „ივერიის“ რედაქციამ (ეს გაზეთი გამოდიოდა 1919 წელს — ი. ლ.), რომელიდაც ცნობილი უცხოელი ჩამოსულიყო, რომლისგანაც რედაქციას სურდა გაეგო ბევრი რამ. ამ შემთხვევაში საქმე მაინდეს დ. პავლიაშვილს და ის შესაფერისადაც შორთეს. მან, რა თქმა უნდა, პირნათლად შეასრულა საქმე. ფრაკი შეინარჩუნა. ერთხელ მან მომიტანა თავისი ახალგაზრდობის სურათი, დავხედე, შეუცხოვა. მან მიპასუხა, რომ, კუზიანი ის არ იყო, კუზი უკანასკნელ ხანებში გაუჩნდა და დაამახინჯა, ისე შეივჩვიეთ ერთმანეთს, როდესაც შარტო მხედებოდნენ, მეკითხებოდნენ: „Где же Квазимодо?“ მასთან ერთად იყვნენ მუდამ: ვ. გუნია, შ. დადიანი, ფარესაშვილები, ჭაფარიძეები. მუშაობდა იუსტიციის კომისარიატში რედაქტორად“...<sup>23</sup> თავ-სი თანამედროვე პოეტებიდან გ. ტაბიძეს ყველაზე ახლო ურთიერთობა გიორგი ქუჩიშვილთან ჰქონდა, მათი მეგობრობა 10-იანი წლებიდან დაიწყო და არასოდეს შეწყვეტილა. მეგობრის დაშორებას გიორგი ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა, მას არა ერთხელ წარმოუთქვამს. „ვაჰ, გულსა და თვალს აკლია გალაკტიონ ტაბიძე“. გალაკტიონმა გ. ქუჩიშვილს რამდენიმე ლექსი უძღვნა.<sup>24</sup> 20-იან წლებში გ. ტაბიძე დაუმეგობრდა პოეტ ალექსანდრე აბაშელს, რომელმაც 1915—1916 წლებში გალაკტიონის შემოქმედების განხილვას საყურადღებო წერილები მიუძღვნა: „ყვითელი ფოთოლი“ და „პოეტიკა“. ალ. აბაშელს უძღვნა მან ლექსი.<sup>25</sup> მოკლედ და ლაკონურად დაახასიათა გალაკტიონმა მეგობარი: „ხმა ვაჟასი, განცდა შურლის — იყო გრძნობა აბაშელის“.<sup>26</sup> პოეტის ახლობელთა შორის გამოსაყოფია ვანო (ივანე) იოსელიანი (1893—1945). მათ დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ, განსაკუთრებით ვანო იოსელიანის წერილის „გენიალური გალაკტიონი“ (ქუთნ. „ტფილისი“, 1920, № 1) გამოქვეყნების შემდეგ. ეს მეგობრობა არ შეწყვეტილა ვ. იოსელიანის გარდაცვალებამდე, რომლის ნეკროლოგს, სხვებთან ერთად ხელს აწერდა ვალ. ტაბიძე.

<sup>23</sup> ტ. XI, გვ. 211—213. 1949 წელს დაწერილ ლექსში — „ძველი რედაქტორი“ მოხსენებულია დ. პავლიაშვილი (ტ. VI, 1969, გვ. 151).

<sup>24</sup> ტ. VI. გვ. 23.

<sup>25</sup> ტ. II. გვ. 344.

<sup>26</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 4215.

გალაკტიონი გვამცნობს: „ჩამოსულა ვანო იოსელიანი. ამბობენ სოფელი ძალიან მოხდენიაო. საინტერესოა, რას იზამს იგი ეხლა?.. ბევრჯერ დავრწმუნდი, თუ როგორი შესანიშნავი ადამიანია იგი და როგორა გაუტანელი ზოგჯერ. საერთოდ მე ვერასოდეს ვერ გადავიხდი მის ამაგს. მაგრამ მაპატიებს ალბათ. უკანასკნელად მისი ავადმყოფობის დროს მე მსურდა მენახა იგი და ვერ ვნახე... სოფელში ხშირად ვფიქრობდი მასზე. კარგია, რომ ამ ორომტრიალში უბედურებას გადაარჩა. იგი ძალიან ამაყია... საერთოდ ვანო ტაბია ძველი სტუდენტისა და ახალი ბოგემისა უძველესა ქართული უღარდებლობის და უახლესი ევროპიული მელანქოლიის სპლინამდე ჯერ არ მისული და შეიძლება არასოდეს მივიდეს, საამისოდ მას დრო არ ჰქონია... უყვარს ომი და რევოლუცია — ესეც კარგია, უყვარს ლიტერატურა: ჩეხოვი, ტურგენიევი და აკაკი მისი ღმერთებია. ამ სიყვარულშიც იგი დასრულებულია როგორც ტიპი. ძალიან გამჭრიახი გონების და მოსწრებული სიტყვის კაცია. ყველგან ახდენს თავისებურ გავლენას.“<sup>27</sup>

კარგ ურთიერთობაში იყო გალაკტიონი მწერალ ილია ზურაბიშვილთან (1872—1955), განსაკუთრებით მოსწონდა მისი დაბადების ქართული მეტყველება, „ძველი ივერიელი“ მას ქართული ენის დიდ მოჭირანებულედ მიაჩნდა. ილია ზურაბიშვილის დასაფლავებიდან დაბრუნებულმა გალაკტიონმა დაწერა მისი მოსაგონარი ლექსი.<sup>28</sup>

20-იან წლებში გალაკტიონთან დიდად იყო დაახლოებული ტერენტი გრანელი. ისინი სულ სხვადასხვა ტიპის, გაქანების და სიდიდის პოეტები იყვნენ. ტერენტიმ მისი დიდა გავლენა განიცადა, იმთავითვე იგრძნო გალაკტიონის სიდიადე, მისი ლექსების ხალასი სიახლე და ამიტომაც მიიჩნია გ. ტაბიძის პოეზია განახლებას გზად და მას გაჰყვა კიდეც. ტერენტის ძალიან უყვარდა გალაკტიონი, მიწი დადი რიდი და მოკრძალება ჰქონდა, ისევე როგორც გალაკტიონს ტერენტისა. თუ რა დიდი იყო გალაკტიონის სიყვარული და პატივისცემა ტერენტისადმი, მშვენივრად არის გადმოცემული ბ. ქელბაქიანისა და დ. კობიძის „მოგონებებში“<sup>29</sup> ტერენტი გრანელის ერთ ჩანა-

<sup>27</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 75, გვ. 8—9.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 3429, 3522, 8198. გ. ტაბაძე, თბ. ტ. VI, 1968, გვ. 230.

<sup>29</sup> ბ. ქელბაქიანი, ის პოეზიით ცოცხლობდა, ჟურნ. „სოსიკარში“, 1967, № 1, გვ. 127; დ. კობიძე, როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა, 1977.

წერში ვკითხულობთ: „შემხვდა ჩემი მარადიული მეგობარი და ძვირფასი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. ექვსი თვე არ მენახა. შევხვდი დღეს, უცებ ვიგრძენით ერთმანეთი. ბევრი ვისაუბრეთ ალექსანდროვის ბაღში... მივდივართ და ქვეყანას იპყრობს საღამოს ცისფერი ბინდი“.<sup>30</sup> ტერენტი გრანელის ცხედარს რამდენიმე კაცისაგან შემდგარი პროცესია მიჰყვებოდა, მათ შორის იყო გალაკტიონიც.

სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში ახალგაზრდა პოეტებიდან გალაკტიონის ყურადღება დაუქსახურებია კიკნა-ფშაველას (სიკო ბაღურაშვილს, 1891—1916), რომელიც გალაკტიონის დახასიათებით „ტრადიციული იყო თავის შემოქმედებით, მაგრამ მაინც მაძიებელი პოეტი. მან ადრე, ტრაგიკულად დაამთავრა თავისი ცხოვრება, რომ დასცლოდა იგი უეჭველად ახალ სიტყვას იტყოდა ქართულ პოეზიაში“-ო<sup>31</sup>

გალაკტიონი განსაკუთრებით მეგობრობდა მუშა პოეტებს, რომელთა ძირითადი საქმიანობა ხელოსნობა იყო, ესენი იყვნენ: გიგო ხეჩუაშვილი (1879—1970), გიორგი შინატეხილი (1868—1941), ბეგლარ ახოსპარელი (1880—1921) ქართული თეატრის მთავარი სუფლიორი და პოეტი და ძველი თბილისის სახელგანთქმული სახალხო პოეტი იეთიმ გურჯი (1875—1940).

გ. შინატეხილი (მანთაშოვი) თბილისელი ხელოსანი იყო, მეწუღე, ადრიდანვე გატაცებული მელექსეობით, წერდა ლექსებს და აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში. იყო კარგი მოქალაქე, ქართული ლიტერატურის ღრმა პატივისმცემელი, განსაკუთრებით პოეზიისა. მეგობრობდა ი. ვედროშვილს, ბ. ახოსპირელს, შ. მღვიმელს და სხვ. მშვენიერი მასპინძელი და მოქეიფე იყო. მისი სახელოსნო მდებარეობდა დღევანდელი ტელმანის ქუჩაზე, ტრამვაის პარკის გვერდით. გალაკტიონი მას დ. პავლიაშვილის მეშვეობით გაეცნო და გიორგის სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ხალასი შეგობრობა. გალაკტიონი მისი სახელოსნოს ხშირი სტუმარი იყო. გალაკტიონმა გიორგის ორი ლექსი მიუძღვნა, მათში მეტად გულთბილად არის დახასიათებული ამ თბილისელი მკვიდრის ხასიათი, „რკინის მკვნეტელი, რკინის მტეხელი“ კაცური კაცი.<sup>32</sup>

<sup>30</sup> ლ. ალიშონაკი, ორი პოეტის მეგობრობა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1972, № 12.

<sup>31</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 411, გვ. 7.

<sup>32</sup> გ. ტაბიძე, თხზ., ტ. IV, 1966, გვ. 250.

ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის ერთ-ერთი ბოლო მოჰიკანი იეთიმ გურჯი უახლესი ქართული მწერლობის წარმომადგენლებიდან ყველაზე ახლო ი. გრიშაშვილთან და გ. ტაბიძესთან იყო. ამ შეგობრობის და პატივისცემის ამსახველია იეთიმას ორი ლექსი, რომლის ავტოგრაფები ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში შემოგვინახა, ისინი პირველად ალექსი ბარნოვმა გამოაქვეყნა. აი ერთი მათგანი:

ვფიკავ	გელათს,	მიყვარს ჩემი
ვფიკავ	სიონს,	საქართველო,
ვუმღერ	მტკვარს და	გეფიცები
ვუმღერ	რიონს,	გალაქტიონს. <sup>33</sup>

გალაქტიონის ინტერესი არ იფარგლებოდა მარტო ქართველი მწერლებით. მაგალითად, იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ჰაინეზე — „ყოჩაღ ჯარისკაცზე“, რომლის „ეროტიზმი“ ხიბლავდა მას, იგი არაერთხელ იმეორებდა ჰაინეს თქმულს, რომ „სული პოეტისა არის ცენტრი მსოფლიოსი“.<sup>34</sup> მას ჰაინეზე უთქვამს: „ევროპელი პოეტებიდან იგი ყველაზე ახლოა ჩემთანო; იგი უადრესად წმინდა, კეთილშობილი და თვითმყოზადია, იშვიათია მისი პოეზიის მომხიბლაობა. პირველად ჰაინეს ლექსებს ჰ. ლომთათიძის თარგმანებში გავეცანი, ვგრძნობდი, რომ ჰაინე უფრო დიდი პოეტი იყო, ვიდრე ეს თარგმანებში იყო წარმოდგენილი“.<sup>35</sup>

პოეტის „პარიზულ ჩანაწერებში“, წერილში „ლირიკა“ და ცალკეულ შენიშვნა-გამონათქვამებში მრავლადაა მიმოხილული საინტერესო დაკვირვებანი საზღვარგარეთელ მწერლებზე, მათ შემოქმედებით თავისებურებებზე.<sup>36</sup>

ბევრი რამ ანათქავეებს გალაქტიონს ვლადიმერ მაიაკოვსკისთან. ისინი სულისკვეთებით ძალიან ახლო არიან ერთმანეთთან. თანადროულობის მსოფლშეგრძნება არასოდეს სტოვებდა მათ. როგორც გალაქტიონი, ისე მაიაკოვსკი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი ახლის, სო-

<sup>33</sup> იეთიმ გურჯი, ლექსები, „მერანი“, 1969, გვ. 161 და 162.

<sup>34</sup> ტ. XII, გვ. 66, 571, 574.

<sup>35</sup> შ. რაღიანი, ჩვენი გალაქტიონი, ქურონ. „ცისკარი“, 1967, № 1, გვ. 139.

<sup>36</sup> ტ. XII, გვ. 21, 81, 90—231, 182, 185, 556—574 და ა. შ.; არქივი დღ. 129, გვ. 3.

ცილისტურის გამარჯვებაში. მაიაკოვსკის მის ჩანაწერებში არაერთ-ხელ ვხვდებით: „მაიაკოვსკი და ქართული შკოლა“, „მაიაკოვსკის მშობლები“ და ა. შ.<sup>37</sup> ერთ ჩანაწერში გალაკტიონი წერდა: „ყოველი პოეტის ცხოვრებაში არის პერიოდი, რომელიც „ცხოვლად სულს დაიხსნება“, არასოდეს მეხსიერებიდან არ ამოიშლება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში წათელი ზოლივით თან მიჰყვება. „В долгу я перед вами багдадские небеса“ იგულისხმება აქ არა მარტო ბაღდადის ზეცა, როგორც ჩვეულებრივად ხსნიან, არამედ აქ იგულისხმება მთელი მისი ყრმობის დღეები, მთელი ის პერიოდი. მაიაკოვსკი დავალებულია მთლიანად იმერეთის ბუნებით, მაიაკოვსკის ტემპერამენტი — იმერის ტემპერამენტი. მთელი შემოქმედება მაიაკოვსკისა — ტემპერამენტი“.<sup>38</sup> რუს თანამომძებს მან ლექსიც მიუძღვნა“.<sup>39</sup>

ს. ესენინი გალაკტიონს მიაჩნდა „დიდ პოეტად, რომელიც ნამდვილად ტრაგედია... ეს გარემოება მას ხდის მასის საყვარელ პოეტად“ — წერდა იგი.<sup>40</sup>

უკრაინაში გამოცემული „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ შესავალი წერილის ერთი დებულების გამო გალაკტიონი მ. ბაჟანისადმი გაგზავნილ წერილში შენიშნავდა: «Я высоко ставлю заслуги Маяковского в области поэзии, но его достижениями я никогда не пользовался. Как и Маяковский, я своим словом служу народу и революции, но между нашими художественными приемами или поэтическими средствами есть глубокое различие»“...

მოკლე ხანს გასტანა გალაკტიონის ნაცნობობამ და ურთიერთობამ ნიკიერ პოეტსა და მთარგმნელთან პანტელეიმონ პეტრენკოსთან (1908—1936), რომელიც საქართველოში 1931 წელს ჩამოვიდა, იგი აქ რუსთაველის პოემის თარგმნამ გაიტაცა, გაიტაცა პანტელეიმონი ქართულმა პოეზიამაც და განსაკუთრებით გალაკტიონმა და მისმა პოეზიამ. პეტრენკო წერდა: „მსურს ხელი წავკრა ამ მატარებელს,

<sup>37</sup> ტ. XII. გვ. 175—176, 262—264.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 176.

<sup>39</sup> გ. ტაბიძე, ტ. IV, 1966, გვ. 55.

<sup>40</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 129, გვ. 9.

<sup>41</sup> იქვე, 021371—11119.

ჩქარა მივაგდოს გალაკტიონთან“. მოსკოვიდან თბილისში მომავალ პ. პეტრენკოს დაუწერია ეს პოეტური სტროქონები:

Опять перовшая страна  
В глаза мне бросится должна,  
Где в корали Галактии  
Уже давно определён<sup>42</sup>.

გალაკტიონს სწამდა, რომ მისი ლექსების თარგმნა რუსულ ენაზე შეეძლოთ ბორის პასტერნაკსა და პანტელეიმონ პეტრენკოს, მაგრამ, საუბედუროდ, 1936 წლის 6 ივნისს ნიკიერი ახალგაზრდა პოეტი და მთარგმნელი ბრმა შემთხვევისა თუ საკუთარი დაუდევრობის მსხვერპლი გახდა, რას შესანებ მოგვეთხრობს კიდევ გალაკტიონი: „— გაზარჯობა გალაკტიონ! გაიგე საწყალი პეტრენკოს ამბავი? სახეზე გულწრფელი მწუხარება აჩნდა (მ-ქელ პატარაძეს — ი. ლ.), ლაპარაკობდა ნამდვილი აღელვებით... ეს აღელვება უეცრად მეც გადამედო.

— არა, არაფერი ვიცი, რა მოხდა?

— დაიღუპა საწყალი, ცოცხალი აღარ არი.

— რას ამბობ? — ძლივსძლივობით ვთქვი, ისე გამაშეშა ამ ამბავმა, — მიამბე რა იყო, რა მოხდა...

— გუშინ დამით ჩელუსკინელების ხიდიდან გადავარდნილა მტკვარში, ყოფილა დამის ზუთი საათი. ის და მისი მეგობარი... უეცრად პეტრენკომ ხიდზე მოაჩირს გადააბიჯა.. მე ჩავევლე ხელი, მაგრამ ბოლოს ღონე გამომელია და იგი მტკვარში გადაეშვა ხარხარით. გული დაგვწყვიტა ამ ამბავმა... 9. VI „ზარიაში“ მოთავსებულია ნეკროლოგი“.<sup>43</sup>

გალაკტიონის არქივში მრავალი ჩანაწერია მის თანამედროვე ქართველ მწერლებზე, კრიტიკოსებზე, მხატვრებზე, მსახიობებზე, არის შემზარავი ჩანაწერებიც, არის გრძნობით გამთბარი და სიყვარულის გამომხატველიც. მაგალითად, „პოლიკარპე კაკაბაძე“, აქ ვკითხულობთ: „ჩვენი პოლიკარპე დინჯი, გონიერი ადამიანი, ერთის შეხედვით ბევრს ეგონება ის არაფერს არ აკეთებს და იმის გამოც, რომ სულ დაფიქრებულია, სადაც არ უნდა შეხვდეს, ერიდება ზედ-

<sup>42</sup> ი. მეგრელიძე. პ. პეტრენკო. „ლიტერატურული საქართველო“, 1969, № 15.

<sup>43</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 61, გვ. 4.

მეტ ლაპარაკს. იგი არა სიტყვის, არამედ მოქმედების ადამიანია, ქმედება, საქმის გაკეთება მის მიერ ნამდვილად საფუძვლიანია. აი მისი სტიქია. და ეს მოქმედება ხშირად იქცევა საბრძოლო მოქმედებად, რომელიც საფუძვლად ედება დიდ საქმეს... მისი ასეთი მდგომარეობა ხშირად აღძრავს, ამშვენებს დიდ და რთულ მექანიზმს... „ყვარყვარე თუთაბერი“ იგი ერთი ფუძემდებელთაგანია თანამედროვე ქართული დრამატურგიისა“.<sup>44</sup>

პოეტის ახლობელთა შორის შეუძლებელია არ მოეხსენიოთ ქართული საბჭოთა თეატრის მშენებელი უშანგი ჩხეიძე, რომლის ნიჭის თაყვანისცემელი იყო გალაკტიონი: „ლადო მესხიშვილის შემდეგ ქართულ სცენას არ ჰყოლია უშანგაზე ნიჭიერი მსახიობი... მე ვნახე უშანგი ფრანჩესკო ჩენჩის როლში. ეს ურთულესი როლია, მას ძალების დიდი დამაბევა უხდებოდა, გამძვინვარებული არწივი იყო... უშანგის დეკლამაციური ნიჭი შეუღარებელი იყო, მე მომწონდა მის მიერ ჩემი „მთაწმინდის მთვარის“ და „ლურჯა ცხენების“ ოსტატური კითხვა“.<sup>45</sup> არქივში უშანგიზე რამდენიმე ჩანაწერია. პოეტს უცდია პოეტურ სტრუქტურებში ჩამოქეცა სათაყვანო მსახიობის სახე.<sup>46</sup>

პოეტი ძმურად და მეგობრულად ესალმებოდა თანამოკალმეებს მათი წარმატებებისა თუ იუბილეს გამო. აი, ერთი მათგანი: «Клев. ул. Ворошилова №3. Союз писателей. Тычина Павлу Григорьевичу. 27.1.41. Многоуважаемый Павел Григорьевич! В день вашего пятидесятилетия примите мой сердечный привет. Очень сожалею, что не могу лично принять участие в этом торжестве. Живите прославленный поэт и продолжайте творить в честь своего народа и СССР. Дружески обнимаю и крепко жму руку. Г. Табидзе»<sup>47</sup>.

სიცოცხლის ბოლო ათეული წელი იგი თითქმის კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, ნაცნობ მეგობრებში იგი აღარ ტრიალებდა.

<sup>44</sup> ტ. XII, გვ. 148—149.

<sup>45</sup> ვაზ. „თბილისი“, 1964, № 8.

<sup>46</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 3, გვ. 1—3; გვ. 4792.

<sup>47</sup> იქვე, დღ. 84, გვ. 11.



„ვაზა, ამ ახალ საქართველოს, ვაზა, შენებას“

1925 წლის „მნათობის“ № 1-ში გალაკტიონმა გამოაქვეყნა ლექსი — „ეს არის გუგუნი მთელი ეპოქის“, რომელიც ვ. ი. ლენინის ხსოვნას მიეძღვნა (1935 წლიდან ამ ლექსის სათაურია — „ლენინი“<sup>1</sup>).

პოეტის ცხოვრებაში, ასევე ქართული პოეზიის ისტორიაში, უჩვეულო მოვლენა იყო მის მიერ იმავე წელს „მნათობის“ მეათე ნომერში ასი ლექსის გამოაქვეყნება. პოეტის ჩანაწერში ვკითხულობთ: — „ასი ლექსი?! — წარმოსთქვა. მოსემ (გოგიბერიძემ — ი. ლ.) ბრავო, ბრავო! რამ დაგაწერინა, შე კაცო, ასი ლექსი... ძვირფასი ამბავია, მაგრამ ამას ხომ ჟურნალის ასი გვერდი მოუნდება. აჰა!.. არა, შენ ამბობ, რომ მხოლოდ თორმეტი გვერდი იქნებაო... ძალიან კარგი... რანაირად მოახაზირე შენ მაი... ა?“

გაკვირვება გაკვირვებულ დარჩა, ფაქტი კი ფაქტად, ეს უჩვეულო ამბავი იყო, რომ პოეტს ერთ ჟურნალში, ერთდროულად დაესტამბა ასი ლექსი. ამ ციკლში მრავალი ლექსი შესრულებულია ორიგინალური მხატვრული მანერით, ბევრი მათგანი მარადიულ თემებს ეძღვნება, მათში ავტორი ჩვეული გულთამხილობით სწვდება სიყვარულის, ბუნებისა და ცხოვრების სხვა კანონზომიერებათა საიდუმლოებს. აქვეა რელიგიური ელფერით შეზავებული ლექსები, სადაც ბიბლიური სახეების საშუალებებით გადმოცემულია ლირიკული გმირის ესა თუ ის განწყობილება. „ას ლექსში“ პატრიოტული თემა დომინირებს. ეროვნული მეობის პრობლემა რევოლუციურ ეპოქაში ახლებურად წამოიჭრა და გ. ტაბიძეს, როგორც ამ ქარიშხლიანი წლების უშუალო მონაწილეს, საკითხის დაყენება, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული პოზიციებიდან აინტერესებდა. ამ ლექსებში მისი მეტყველება ახალი ფერებითა და ინტონაციებით გამდიდრდა. ქართულ პოეზიას შეემატა მრავალი მარგალიტი, რომელთა აზრის, ემოციის და ენობრივი მუსიკის სინთეზი ახალ მწვევრვალებს იპყრობდა.

1925 წელს პოეტმა გადაიტანა მძიმე ავადმყოფობა<sup>2</sup>. ოლია ყოველმხრივ ცდილობდა „მოუსვენარ მეუღლეს“ არ დაერღვია ექიმის

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. II, გვ. 149.

<sup>2</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1925, № 154.

მიერ რეკომენდირებული რეჟიმი და დიეტა, რაც იმავე ხანებში სი-  
ფუძვლად დაედო ერთ მის სახუმარო ლექსს:

ექიმმა გამომიწერა  
მართო ჩი და კისელს,  
კისელისათვის წაიღა  
ოლია დარბაისელი.  
ვზავარ და ვუცილი ამ კისელს,  
მაგრამ რას ელი, ვის ელი?

კისელს ვინ ჩივის, არა სჩანს,  
ქალი მტკიცე და ფხიზელი.  
ოლონდ შენ მოდი, ოლია,  
კისელს მოემტერეს კისერო...  
ეწერ ამ ლექსს გალაკტიონის  
თბილისელ-ქუთაისელი<sup>2</sup>.

1925 წელს, როგორც ეს პოეტის არქივის შესწავლით დადგინდა,  
გ. ტაბიძემ ქართულ ენაზე თარგმნა პოლ ვერლენის ლექსები. თარგმან-  
ი ზოგჯერ თავისუფალია, არ არის შენარჩუნებული ორიგინალის  
პოეტური სახეები, რაზედაც მეტყველებს ზოგიერთი ლექსის ბწყარე-  
დი ქართულ ენაზე, რომელიც ჩვენი თხოვნით შეასრულა პროფე-  
სორმა ელენე ვირსალაძემ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ გალაკტიონის  
თარგმანი შესრულებული უნდა იყოს რუსული ენიდან. ჩვენი დაკვირ-  
ვებით, ზოგიერთი თარგმანი სიტყვასიტყვით მიჰყვება თევდორე სო-  
ლოგუბის თარგმნილ ტექსტს. ვერლენის ლექსების თარგმანს ერთ-  
გვარი დალი დაუსვამს მთარგმნელისათვის.

1926 წელი პოეტმა მეტად დაძაბულ შრომაში წარმართა, იგი დი-  
დი მონდომებით ამზადებდა თავისი ლექსების დიდ კრებულს. იგი  
იზდენად იყო დატვირთული, რომ ვერ შესძლო მონაწილეობის მიღე-  
ბა ქართველ მწერალთა პირველი ყრილობის მუშაობაში.

„მნათობში“ (№ 1) მან გამოაქვეყნა „პოემა ვეფხვისა“, ხოლო  
№ 7-ში „კოსმიური ორკესტრი“. „პოემა ვეფხვისა“ ერთგვარი პოე-  
ტური სიმფონიაა, რომლის მთავარი მუსიკალური მხატვრული თემაა  
ვეფხვის ფილოსოფიურად გააზრებული სიმბოლური სახე, რომელიც  
ამ ნაწარმოების თავისებური კომპოზიციური საყრდენია და ლეიტმო-  
ტივის სახით გასდევს ამ ლექსს თავიდან ბოლომდე. „პოემა ვეფხვისა“  
რუსთაველის პოემის გმირთა სამყაროს ორგინალური პოეტური ხილ-  
ვაა. „კოსმიური ორკესტრის“ მთელი ფაქტურა კი მკაფიოდ გამოხა-  
ტავს თანამედროვე მსოფლიოს მოვლენებში აქტიური წვდომის  
სურვილს.

1927 წელს გამოიცა მისი ლექსების მოზრდილი ტომი, რომელ-  
მაც ქართველი საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა. სალი-

<sup>2</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 4939.



1927 წლის 2 აპრილს ქ. სოხუმში გაიმართა გალაკტიონისადმი მიძღვნილი დიდი საღამო ექვს ნაწილად. დაბეჭდილი იყო სპეციალურ პროგრამა მოსაწვევეი, რომელსაც წინ უძღვოდა წერილი პოეტის დეაწლის შეფასებით ახალი ქართული პოეზიის წინაშე. საღამომ არნახული წარმატებით ჩაიარა<sup>6</sup>.

ახალ ცხოვრებას, როგორც თვითონ გალაკტიონი აღნიშნავდა, — სჭირდებოდა ახალი ფორმები. ამ ახლის ათვისება შესაძლებელი იყო მხოლოდ „ახალი საქართველოს ხმის შეყვარებით“. ამიტომაც, ბუნებრივი იყო, რომ პოეტს უნდა დაეთმო ათეულ წლებით შესისხლბორცებული და პოეტური პრაქტიკით განმტკიცებული გზა და დაეწყო ახალი შემოქმედებითი ძიება, რომელშიც უნდა გამოემდგენებულყო ახალი ნიშნები და თვისებები. ეს ახალი დროდარო იჩენდა თავს გალაკტიონის პოეტიკაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებშიც, მაგრამ მუდმივი ხასიათი არა ჰქონია. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა იმ დროიდან, როდესაც პოეტმა გამოაქვეყნა ლექსების დიდი ციკლი „ეპოქის“ სახელწოდებით („მწათობი“, 1928 წ.). ეს სიახლე პირდაპირი შედეგია გ. ტაბიძის მსოფლმხედველობაში მომხდარი არსებითი ხასიათის ცვლილებებისა. დაიწყო პროცესი, გაიხლიჩა მისი ერთიანი სტილი (ყველაფერი ეს მისი პოეტური პოტენციის საზიანოდ მოხდა). ახალი პროცესის, მისი პოზიციის თავისებურმა გააზრებამ მას საშუალება მისცა გაეღრმავებინა კავშირი დროის სულთან, უფრო ფართო მასშტაბით დაენახა ეპოქის საზღვრები და თანდათანობით დაეძლია ძველი. ამ გაღრმავებასა და კავშირის დამყარებას ხელს უწყობდა მისი მეუღლე — ოლღა ოკუჯავაც, რომელიც თავის პირად წერილებში დიდი გზნებით წერდა: «Милый Галл! Пришла к тебе сказать про радость, что день весенний близок, что день победы ленинизма стучит в окно у порога... не забывай себя поэта, задачи поэта!»<sup>7</sup> მეორეგან იკითხება: «Да нужен «Мировой оркестр») გაეიხსენოთ ამ დროს დაწერილი გალაკტიონის «კოსმიური ორკესტრი — ი. ლ.), мировой гул, чтобы эта радость, красота стала доступна всем, выше ядовитое остриё, чтобы уничтожить когти капитализма... бездарный ядовитый паук, король духов. диктует французскому капиталу корнем вырвать компартию и вонзает остриё капитала в поборников за великую жизнь..., но взамен растут более ядови-

<sup>6</sup> გ. ტაბიძის არქივი, 24552—35.

<sup>7</sup> იქვე, 2451, გვ. 29.

тые борцы. Направь твой поэтический яд в ту сторону, если хочешь видеть соревнование гениев, если не хочешь чтобы гении незаметно погибли под ярмом этих королей. Слышишь угрозу Нанкинских генералов?.. Выше творчество, бросай вызов капитализму!<sup>8</sup>

„ლექსების“ კრებულის გამოცემის შემდეგ პოეტი „სავარდო და საშაისო“ ქუთაისს ეწვია. გაიმართა მისი საღამოები. მისი პოეზიით მოჯადოებულმა ქუთაისელებმა აუარება ვარდების თაიგულები მიართვეს გალაკტიონს. ამ შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფმა დასწერა ლექსი „ვარდები“ (ტ. II. 1966, 218—219), რომლის შესახებ დამსწრე იგონებს: „გალაკტიონმა სკაში გამოსწია, მაგიდას მიუჭდა და ვარდების თაიგულში ჩამალა სახე, ეროხანს ასე დარჩა. ია (იაკობ ცინცაძე — ი. ლ.), რომელიც მეტისმეტად ფიცხი იყო და უტაქტოც, შეიშმუშნა. გალაკტიონმა ვეფხვის სიშმაგით დაპკოცნა ვარდები და საყელო შეიხსნა... მაგიდაზე, საწერ-კალამთან იდო გალაკტიონის ახალი ლექსი „ვარდები“, ეს ლექსი უფრო ენციკლოპედიური ტერმინებით იყო დაწერილი. წაგვიკითხა. აქ იყო მოტანილი: პომეროსი, პესიოდე, ფლორა, ეროსი, ბოტიჩელი, რაფაელი, ვან-დეიკი. ლეონარდო და ვინჩი. იამ სამართლიანად უსაყვედურა გალაკტიონს, ლექსი ამ პიროვნებათა გარეშეც შესანიშნავი იქნებოდაო“<sup>9</sup>...

ქუთაისში სტუმრადმყოფმა მოისურვილა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ადგილის დათვალიერება. მასპინძელმა დია ჩიანელმა (დავით ჩხეიძემ) პოეტს მეგზურებად გააყოლა ვანიონ დარასელია და დავით თაქათაშვილი. ხონი, მათხოჯი, კინჩხი, გორდი, მარტვილი, მდინარე აბაშის წყალვარდნილი, ენგური, ცხენისწყალი, ნაქალაქევი, ტეხურა და მისი ულამაზესი ხეობა, ზუგდიდი, ობუჯი, ცაიში, ძველი სენაკი და სამტრედია-ქუთაისის შემოგარენი მორინახულა გალაკტიონმა. მგზავრობამ ოცი დღე გასტანა<sup>10</sup>.

„მნათობში“ (№ 5—6) გამოქვეყნდა მისი ლექსი „ქალაქი წყალქვეშ“, რომელშიც იგი სიამაყით გვამცნობდა: „ბოლოს ხომ შინც მე შემოვძახე გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა!“-ო.

დიდი გარდაქმნები, ცვლილებები ქვეყნის ცხოვრების ყველა სფერო-

<sup>8</sup> გ. ტაბიძის არქივი, 2451, № 5.

<sup>9</sup> დ. კასრაძე, ლიტერატურული პორტრეტები, 1962, გვ. 296—97.

<sup>10</sup> გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1969, №№ 236—243.

როში პოეტის ლექსებში სათანადო ასახვას პოულობდა, მისთვის ნათელი გახდა:

იმითმ ხდება რევოლუცია,  
და დაგრილებს მსოფლოს თავზე,  
ქვარეღინებზე მყოფი პოეტი  
ახალ სიცოცხლით შეიქნეს სახვე.

თავისი დროის ღვიძლ შვილ პოეტს კარგად ესმოდა ეპოქის ხმა: „მიპყე, გაუგონე ბორბლებს სიარული, არის საუკუნე ინდუსტრიალური“, ე. ი. მის პოეზიაში შეიქრა ბორბლების რიტმი“, მავრამ როგორც ხელოვანი იგი მართა ამ „რიტმის“ გადმოცემით არ იზღუდებოდა.

დაძაბული შრომა იმდენად ტვირთავდა მას, რომ ზოგჯერ დედა საყვედურებით სავსე წერილებით ავსებდა შვილს. იყო შემთხვევა, როდესაც გალაკტიონის ნაცვლად მაკრინეს წერილი ვანო იოსელიანმა მისწერა: „ქალბატონო მაკრინე! წავიკითხე თქვენი კარგი საყვედურებით სავსე წერილი გალაკტიონისადმი. არ დავფარავ, ვიჭექით სუფრაზე და ორივემ ვიგრძენით ის დიდი დანაშაული რაც დავიმსახურეთ. გალაკტიონმა, როგორც შვილმა განდევილმა და მე როგორც მისმა მეგობარმა და ძმამ... თქვენმა წერილმა მოგვაგონა, რომ არსებობს დედა...გალაკტიონს თქვენ დიდად უყვარხართ... ეს უნდა დაიჯეროთ, რა მისი ბრალია, რომ ვერ გაგიწიათ შესაფერი მეგობრობა და შვილობა. დაფიქრდით, მე ვიცი, რომ თქვენ მიხვდებით თუ რა ძნელია ამ უსვინდისო დროში იყო პოეტი. თქვენ დიდი მსხვერპლი გაწირეთ სიყვარულით... გალაკტიონს ქვეყნის დიდი ვალი აქვს და ასრულებს, ისე, როგორც თქვენ შეასრულეთ ვალი დედისა შვილის წინაშე. ძნელია დიდი პოეტის დედობა“<sup>11</sup>...

„მნათობში“ (№ 10, გვ. 7) პოეტმა გამოაქვეყნა ლექსი — „პოეტის შეხვედრა მოჩვენებასთან რევოლუციის მუზეუმის წინ 7 ნოემბერს 1927 წ.“ ამ ლექსის მხატვრული ფაქტურა კარგად ეხამება დროის შინაარსს, ავტორი ცდილობდა განეცადა თანადროულობის მებრძოლი ხასიათი, რაზედაც აშკარად მეტყველებს ლექსის ბოლო სტრიქონები: „ქარიშხლიანი ცხრაას ჩვიდმეტი ცხრაას ოცდაშვიდს ესაუბრება“.

1927 წელს ქართულ მწერლობაში გაფორმდა ახალი ლიტერატურ-

<sup>11</sup> გ. ტაბიძის არქივი, 24551—1,

რული გაერთიანება „არიფონი“, რომლის წევრიც გახდა გ. ტაბიძე. მას ეს გაერთიანება მიაჩნდა იმ დროს ლიტერატურულ დაჯგუფებათა შორის („აკადემიური, ცისფერყანწელები, ფუტურისტები, პროლეტარული მწერლობის ასოციაცია) ყველაზე „ინტელექტუალური წადმომადგენლებისაგან“ შემდგარ გაერთიანებად. მის ჩანაწერებში „ინტერესო ცნობებია ამ ჯგუფზე და მის წევრებზე“<sup>14</sup>. იგი პოეტური სტრიქონებით გვიზიარებდა თავის აზრს ამ გაერთიანების შესახებ: „ცოხ ბევრი მინახავს დროთა კარგთა მნახველი, არიფონისთანა ციხის არ ვარ მნახველი“<sup>15</sup>-ო.

1928 წელს თბილისს ესტუმრა მაქსიმ გორკი. მასპინძელთა რიგებში იყო გალაკტიონიცი. ჩანაწერში „მაქსიმ გორკი“ პოეტი გვიყვება: „...პირველად გორკი ენახე 1917 წლის ზამთარში, მის მიერ მოწვეულ თათბირზე ეხლანდელი შრომის სასახლის დიდ დარბაზში, მოსკოვში. ეს თათბირი გამოწვეული იყო აკადემიკოსების, პროფესორების და სხვა სამეცნიერო მუშაკების მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამოსაყეთებლად. დარბაზი გაქვდილი იყო... ეს თათბირი ნამდვილი დემონსტრაცია იყო იმისა თუ რა უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა მაქსიმ გორკი. როცა თერთმეტი წლის შემდეგ მაქსიმ გორკი თბილისში ჩამოვიდა, ჩვენ მას დიდი ბანკეტი გაუმართეთ „ინტურისტის“ საბანკეტო დარბაზში. გორკის თან ახლდა მისი ვაჟი... გორკიმ დაიწყო საუბარი მის მიერ განზრახული ჟურნალ „Наши достижения“-ს გამოცემის შესახებ... ბანკეტის დამთავრებისას ჩემთან მოვიდა მისი ვაჟი, მშვენიერი ახალგაზრდა კაცი“<sup>14</sup>... ამ შეხვედრის შემდეგ გალაკტიონმა ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ (1928, № 5, გვ. 5) გამოაქვეყნა ლექსი — „მოგონება გორკიზე“, რომელშიც შექმნილია მოგზაურის სახე, სიმბოლიზირებულია მაქსიმ გორკი<sup>14</sup>.

გორკის პირველი ნახვის გალაკტიონისეული თარიღი დაზუსტებას შოიოხოვს, ის აშკარად მცდარია. მაქსიმ გორკი მოსკოვში 1917 წელს ორჯერ იყო, პირველად სექტემბერში, მეორედ ოქტომბრის დამლევს. თათბირს, რომელსაც გალაკტიონი ასახელებს, ჩატარდა მოსკოვში 1918 წლის 25 ივნისს. ამ თათბირზე სიტყვით გამოვიდა მაქსიმ გორ-

<sup>14</sup> გ. ტაბიძის არქივი, 24555—1—7—45. ტ. XII, გვ. 75—81.

<sup>15</sup> იქვე, დღ. 328, გვ. 1.

<sup>14</sup> გ. ტაბიძე, თხ. ტ. XII, გვ. 361—362.

კი საზოგადოების — „კულტურა და თავისუფლების“ სხდომაზე. ამ საზოგადოების თავმჯდომარედ იგი ადრე იყო არჩეული (იხ. «Летопись жизни и творчества А. М. Горького», выпуск 3, Москва, 1959, с. 3—82). სწორედ 1918 წლის 25 ივნისს მიიღო გალაკტიონმა საჩუქისორო კურსების დამთავრების მოწმობა და ამავე დღეს იხილა პირველად მ. გორკი.

1928 წლის „მნათობის“ მაისისა და ივნისის ნომრებში გალაკტიონმა დაიწყო „ეპოქის“ ბეჭდვა, ის გრძელდებოდა ჟურნალის №№ 7—12-ში. 1930 წელს პოეტმა ეს ნაწარმოები ცალკე წიგნად გამოსცა.

იმავე წლის 17 ივლისიდან 1 სექტემბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა კომუნისტური ინტერნაციონალის VI კონგრესი. მის მუშაობაში მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. საქართველოდან, სხვებთან ერთად, კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო გალ. ტაბიძე, რომელიც 10 აგვისტოს გამგზავრებულა თბილისიდან და მოსკოვში ჩასვლისთანავე წერილი გამოუგზავნია ბორჯომში მყოფ მეუღლისათვის. საბასუხო წერილში ოლია სწერდა მეუღლეს: «Галл! Живи, живи, живи. Жизнь бьёт ключом, жизнь бурлит своей сознательной красочностью! Сотни кроважидных вампиров империалистов давят под тяжёлой пятой миллиарды жизней мира, они подвизаются на красоту — жизнь! Эта кучка точит и точит миллиарды острых ножей ядом, чтобы скосить в зародыше свободу, любовь, рвение к творчеству. Но стройные ряды миллиардов и триллионов творцов новой жизни и борцов за нее встают. Ты поэт из стаи борцов за великую, красивую жизнь без рабов, ты их друг, сложи им песни боевые! Зови к творчеству светлой жизни, зови, зови! Ау! Слышишь ты мой крик? Это крик мировых творцов новой жизни. Ау! Откликнись! Гимн мировой революции, гимн сложи! Гигантская белая завеса разодралась на небе и показала незабудки, ты видишь как они нас окружают? Галл, впитай в твой стих огонь моей любви и он завоюет мир. Дай каждой минуте гореть, чтобы поддержать вечный огонь... Галл у меня сатаническая сила и мне так хочется обнять тебя, но боюсь ты не выдержишь. Люблю тебя огненно, не туши... Мой огонь создает новые миры для твоего гения. Мне ужасно без тебя? Нет, безумно тоскливо!.. Мне принесли букет, в нем Калма желтая, я растоптала ее как цвет желтого импе-



რიალიზმა... Бодрость Галл! Бодрость! Ух, как хочу с тобой на баррикады... Навестить мавзолей Ленина — там лежит человек, гений, борец, который задвигал миры, разорвал все цепи... Навестить музей, театры, сады, места где мы бывали, скажи, что их вновь навешу. Посети места, где Октябрь гримел... Посети дом, где жила я без тебя»<sup>15</sup>. ძნელია ამ წერილის დაუფიქრებლად გადაკითხვა. ოლია ოკუჯავას ეს წერილი, იმის გარდა, რომ დიდი სიყვარულის გამოხატველია, მრავლისმეტყველია სხვა ასპექტითაც, მისი დამწერი პროლეტარული იდეოლოგიის თავდადებული გამტარებელია (შეიძლება პროლეტკულტელიც!), მისი იდეოლოგიური ზემოქმედების ძალა ძლიერია და გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ გალაკტიონის პოეზიაში ახალი იდეოლოგიის, პროლეტარული პათოსის ათვისებაში ერთ-ერთი თავისებური იმპულსის მიმცემი ოლია ოკუჯავას რევოლუციური გზებით გაუდენთილი „ჩემ“ ყოფილიყო (ჩვენ არ ვიცით მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში რა დონით მიმდინარეობდა ეს ზემოქმედება, ჩვენამდე მოღწეული წერილები კი მხოლოდ ამას ადასტურებენ).

ინტერნაციონალის VI კონგრესის დამთავრების შემდეგ დღე-გატებმა და სტუმრებმა იმოგზაურეს საბჭოეთის სამრეწველო ქალაქებში: „...დღე-გატები: ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის გენერალური მდივანი, (ანტონინ ზაპოტოკი — ი. ლ.), მეისტერი-დღე-გატის კომენდანტი, მარჯორ პოლიტი — ინგლისი, მანუილსკი, ჯონსონი და სხვები ვიწყებთ მოგზაურობას, — წერს გ. ტაბიძე, — დონბასში ვართ. სადგურზე 2000-მდე მუშა შეკრებილა... პირველი მიტინგი შახტაში, სიტყვებით გამოდიან დღე-გატები... შემახტეთა წარმომადგენლები. პირველი გამოდის ინგლისელი მარჯორ პოლიტი... ანტონინ ზაპოტოკი და მისი ცოლი ჩვენთან მოემგზავრებიან საქართველოში... აღტაცებულნი არიან... გავიარეთ მინვოდი, კისლოვოდსკი, პიატიგორსკი—დღე-გატები მარშრუტია. ზაპოტოკი და მისი მეუღლე ყველაფერზე მეკითხებიან, მე შეძლებისამებრ ვუხსნი. ვლადიკავკაზიდან სამხედრო გზით თბილისში ჩამოვედით“<sup>16</sup>. 11 სექტემბერს სტუმრები თბილისში იყვნენ, გალაკტიონი მათთან ერთად მოგზაურობდა საქართველოსა და სომხეთში<sup>17</sup>.

<sup>15</sup> გ. ტაბიძის არქივი, 24551—31.

<sup>16</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 213.

<sup>17</sup> გაზ. „Варя востока“, 1928, № 210.

1929 წელს ქართველი მწერლები სტუმრად იყვნენ მოძმე სომხეთში, ისინი გულლიად მიიღეს ერევანში, სტუმართა შორის იყო გალაკტიონიც!<sup>18</sup>.

1929 წელს, დაკემბერში, ოლა ოკუჯავა ადმინისტრაციული წესით შუა აზიაში, კერძოდ უზბეკისტანში, გასახლეს. გზიდან მოწერილ წერილში იგი აცნობებდა მეუღლეს: „გუშინ (28. 12. 29) ღამით გავიარეთ მკედარი უდაბნო, აქ წარწერა ფიცარზე იუწყება დიდ ტრაგედიაზე — 26 კომისრის დახვრეტაზე, შემზარავი იყო... შატარებელი ნელა მიღოდავს... ვუახლოვდებით აშხაბადს... რა რაოდენობის აქლემებია, სადაა კულტურა, სადაა ტექნიკა... რჩება შთაბეჭდილება თითქოს ამ მხარეში საბჭოთა ხელისუფლებას არ შემოუხედავს“... უზბეკისტანში მყოფი ოლა ცდილობს ჩაიყვანოს გალაკტიონი ამ მხარეში, რათა პოეტმა საკუთარი თვალთ იხილოს „აღმოსავლეთის ხალიჩა თავისი მრავალფეროვანებით“, რა გზებს არ ასწავლის იგი ქმარს, რათა მან გამოინახოს დრო და საშუალება გაიცნოს გაღვიძებული აღმოსავლეთი, მაგრამ ღაღადისი ღაღადისად დარჩა!<sup>19</sup>.

1929 წელი პოეტმა „ეპოქაზე“ და „რევოლუციურ საქართველოზე“ მუშაობას მონაწილეობდა.

1930 წელს მან „მნათობში“ (№ 1) გამოაქვეყნა ლექსების ციკლი „პაციფიზმი“, რომელიც იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა. „მნათობის“ № 8—9-ში მან დაიწყო „რევოლუციური საქართველოს“ გამოქვეყნება — ბეჭდვა გაგრძელდა №№ 10, 11—12). 1931 წელს ის ცალკე წიგნად გამოიცა.

20-იანი წლების დასასრულს გაშლილმა ახალმა აღმშენებლობამ სულ უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს მიადგინა. მან ასახვა პოეტიკურ ქართველი მწერლების ნაწარმოებებში. რასაკვირველია, ეს ასახვა ჯერ კიდევ არ იყო ფართო და ყოველმხრივი, რამდენადაც მაშინ სამწერლო ძალები დანაწევრებული იყვნენ სხვადასხვა დაჯგუფებებდა. არ არსებობდა ერთიანი ლიტერატურული პოზიცია, რის შესაბამისად მთელი მწერლობა მხარდამხარ გაპყლოდა ახალ ცხოვრებას. ასეთ ვითარებაში ყველაზე თვალსაჩინო როლი თანადროული აღმშენებლობის საკითხების და თემების პოეტურად გააზრების საქმეში ეკუთვნ

<sup>18</sup> ს. ჩიქოვანი, უბის წიგნაკიდან, ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1968, № 22.

<sup>19</sup> გ. ტაბიძის არქივი, ოლა ოკუჯავას წერილები.

ნის გალ. ტაბიძეს, რომლის „ეპოქა“ და „რევოლუციური საქართველო“ თითქოს ერთგვარი შემაჯერებელი მხატვრული ფურცელი იყო საბჭოთა საქართველოს პირველი ათეული წლის ცხოვრებისა. განახლებამ ქვეყნად დაამკვიდრა სიცოცხლე, ღიმილი და ლტოლვა მისალწვევისადმი:

ეს გაზაფხული სიახლის ძალით  
მედგარ შეტევით გაარღვევს საკანს,  
შემოქმედ შრომის თრთოლვა-კანკალით  
არბევს ახალი სიცოცხლის აკვანს...

„რევოლუციური საქართველო“ გაშლილი სოციალისტური გარდაქმნების პირველი პერიოდის კონკრეტულ სურათების ასახვას წარმოადგენს. ეს სურათები, რომლებიც მახვილი პოეტური თვალით არის დანახული და შემკული რომანტიკული ელფებით, ცხადად გვაგრძნობინებს დიდი ცვლილებების გზაზე შემდგარი საქართველოს ცხოვრებას. „თანდათან, თანდათან, თანდათნ ახალი ქვეყანა შენდება“ — წარმოსთქვამდა გარდაქმნის პროცესის უშუალო მონაწილე პოეტი და გაკვირვებული გაიძახოდა: „ვინ იფიქრებდა, რომ ამოდენა, გრანდიოზული საქმე გველოდა, ასეთი ტემპი, ასეთი დენა რევოლუციურ საქართველოთა“.

„ქართული პოეზია თავბრუდამხვევი გაქანებაა რევოლუციური საქართველოსი, — წერდა პოეტი ერთ გამოუქვეყნებელ წერილში, — ჩვენ გვინდა, რომ ენა შეეუერთოთ ჩვენს მშობლიურ გულისთქმას, ამნაირად ქართული ხელოვნება საინტერესო ხდება: ჩვენ გვინდა ვიყოთ ისეთივე მოძრავი, როგორც თვით ცხოვრებაა, ჩვენ ხელოვნებას არ ვყოფთ ცხოვრებისაგან, ჩვენ ვქმნიდით ახალ ფორმებს, სიტყვებს, სახეებს და ხმებს, რომელთაც გაგიჟებით ეწაფებოდა სიახლეს მოწყურებული ახალგაზრდობა. საცოდავობაა, ასეთ ჭანმრთელ ბუნებაში ისინი მახინჯებდნენ იქნენ. ამიტომაც ქართული ხელოვნება თუ არის, უსათუოდ უნდა იყოს რევოლუციური... მისი მიზანია ადამიანი მშვენიერი და ძლიერი. საქართველო და რევოლუცია მისცემენ მას ძალას, პოეზია — სიმშვენიერე“<sup>20</sup>. ამ განცდამ და გააზრებამ ამაოქუხებინა პოეტს:

<sup>20</sup> გ. ტაბიძის არქივი, 02:371—12; „ლიტერატურული საქართველო“, 1969, № 11.

ულმობელ ტრიალს ისტორის მედგარი ბორბლის, რევოლუციურ საქართველოს, ნახტომს უდიდეს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს, — რევოლუციურს, ჟერ არნახულს, ჟერ არგაგონილს, ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!

„პაციფიზმს“, როგორც პოლიტიკურად მახვილ მხატვრულ ნაწარმოებს, მიუხედავად ფრაგმენტულობისა, 20-იანი წლების დასასრულის ქართულ პოეზიაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. მისი ძირითადი მიზანია გააშიშვლოს ბურჟუაზიული პაციფიზმის სიყალბე.

„ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“ არ წარმოადგენს ერთ მთლიან ეპიკურ თხზულებას, რაზედაც სალიტერატურო კრიტიკამ პოეტს სამართლიანად მიუთითა<sup>21</sup>. კრიტიკული შენიშვნები ავტორმა გაიზიარა და შემდგომ გამოცემებში ეს ციკლები დამოუკიდებელ ლექსებად დაშალა, ზოლო სამი გრძელი ლექსი 1935 წელს, თხზულებათა მეორე ტომში, პოემების სახით დაბეჭდა: „ბარიადეგზე იბრძოდა ქალი“, „კლასობრივი ბრძოლა“ და „იგი ომია“<sup>22</sup>. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ომის თემაზე დაწერილ ლექსების გაერთიანებას ერთ ციკლში, მასში შევიდა: „ქარი მსოფლიო ომის მალწყებელი“, („მნათობი“, 1924, № 2), „მთელი საუკუნე მიდის“ (იქვე, 1925, № 10), „სანატორია“ (იქვე), „ტრანშეები“, „ცეცხლიან ფერფლით“ („ლექსები“, 1927, გვ. 423), „სამარე უცხო ჯარისკაცისა“ (გაზ. „დამხმარე ინვალიდი“, 1930) და სხვ.

პოეტი ღრმად იყო დარწმუნებული:

რომ ალბერ შნათი  
სავსმოკიდებულს, ნელს და ბორიოს  
ააყირავებს ეს წელი ათი  
ათი ათასი წლის ისტორიას.

ამიტომაც იყო, რომ თამამად წარმოსთქვამდა:

არც ერთ ეპოქას არ აქვს უფლება  
გავსაუბროს ჩემსას თამამად.

ასეთ ვითარებაში „ხელოვანთა არმია დიდი“ მოვალე იყო მდგარიყო „ეპოქის გვერდით“, ეარა ეპოქის მოთხოვნილებათა მხარდამხარ-

<sup>21</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1930, 22 აპრილი, იქვე, 1931, № 103; ეურ. „პროლეტარული მწერლობა“, 1930, № 2 და № 12; „დროშა“, 1930, № 11.

<sup>22</sup> გ. ტ ა ბ ი ძ ე, ტ. VIII, 1970, გვ. 122, 131 და 145.

სწორედ ამის გამო ამბობდა პოეტი „ახალ ეპოქის მე ვარ მხედარიო“, რომლისთვისაც: „უმძაფრესია ახალი ხანა და ისტორიის ახალი გვერდი“.

1930 წელს დაისტამბა ლექსები: „გართმევთ პოეტობას“ („დამკერელი გაზეთი“) და „სამარე უცხო ჯარისკაცისა“ (გაზ. „დამხმარე ინვალიდი“).

1931 წელს „სალიტერატურო გაზეთში“ (№ 2) პოეტმა გამოაქვეყნა ლექსების დიდი ციკლი სათაურით: „ორთქმავალი რკინისგზის შემკრებ, ჩამომსხმელ და სამკედლო ცეხიდან ესალმება მე-14 ოქტომბერს“<sup>23</sup>. „მნათობში“ (1932, № 3—4) დაბეჭდა ლექსი „ეროვნებათა მარში“ და გაზ. „წითელარმიელში“ ლექსი „იდეა“.

„რომ შექმნა, რომ მოიმოქმედო რაიმე დიდი, — წერდა პოეტი 1932 წლის 19 ნოემბერს, — საჭიროა მთელი ძალა სულისა ერთ წერტილისაკენ მიმართო... რომ შექმნა რაიმე დიადი, უნდა გახდეს შენის არსებით ნაწილი მეორე, შეუცდომელი ინტუიცია თუ შეგაძლებინებს დანახვასა და მტკიცედ შეგრძნობას იმ მეორე სიდიადისა — ეს იქნება პირველი შანსი, რომ შენ შეპქმნი რაიმე დიადს, რომელთაც უხვად იძლევა ჩვენი თანამედროვება. მიღწევები... გაანათებს ამ გზას... ამგვარად, პიროვნების იდეა გადასული კოლექტივის იდეაში არის მშვენიერზე მშვენიერი იდეა, რომლისთვისაც ღირს ცხოვრება და ბრძოლას“<sup>24</sup>. აი სწორედ ამ „დიადის“ შესაქმნელად დაძაბა მთელი თავისი ძალები პოეტმა და მოქალაქემ, რომელიც 1931 წლის 7 თებერვალს უშუალო გულწრფელობით წერდა: „ღრო აღნიშნე შენს მიერ ნაწერ ფურცლებზე. ნუ დატოვებთ მათ უთვისტომოდ ღროის, ეპოქის და სიერცის გარეშე... ყოველი შენი ნაწარმოების სტრიქონებში ღრმად ჩაქსოვილია ეპოქები, ეპოქა წამებისაც, ეპოქა ახალი ცხოვრების მოპოვებისაც, ძველის ნგრევის, გარდატეხის ეპოქა, ეპოქა მძიმე ინდუსტრიის შექმნისა სოციალისტურ ნიადაგზე, ეპოქა, რომელიც ეჭიდება მსოფლიო კაპიტალს, ეპოქა, რომელიც დედამიწის ერთ მუქეკსელზე აშენებს ახალ ცხოვრებას და მთელ მსოფლიო კაპიტალს... უცხადებს გადაამწყვეტ ომს შრომის განსათავისუფლებლად... მეშინია შეუმჩნეველი არ დარჩეს მას ის შენი ხელის, აზრის და

<sup>23</sup> აკადემიური გამოცემის III ტომის შემდგენელს მხედველობიდან გამორჩენია ეს ავტორისეული პუბლიკაცია.

<sup>24</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021370—35, გვ. 1.

გრძნობის ურიაშული“ (ტ. XII, გვ. 83—84). გალაკტიონმა გაბედულად გადალახა მისი ადრინდელი ლირიკისათვის დამახასიათებელი კამერულობა და ლექსს მისცა მაქსიმალური საზოგადოებრივი ელერადობა, რითაც მან ახალი რკალი მოხაზა ქართულ საბჭოთა პოეზიაში<sup>21</sup>: „ო, დღე არ გავა, არ შემეყვარდეს ახალ სიტყვაში მყოფი სამყარო“ — წარმოსთქვამდა პოეტი.

1932 წლის ოქტომბრის დასაწყისში, უზბეკისტანში სამი. წლის იძულებითი ცხოვრების შემდეგ, ოჯახს დაუბრუნდა დიასახლისი და მეუღლე, რასაც გარკვეული განცდა გამოუწვევია პოეტში:

არის ერთგვარი ბედი:  
რომ არ დაგვტოვებს ჩვენა,  
იმ ბედის სადღეგრძელო,  
იმ ბედის აღმაფრენა

არის ერთგვარი ბედი,  
ორ სულთან ერთად მყოფე,  
იმ ბედის სადღეგრძელო —  
ჩემო ძვირფასო ოლე!

1933 წლის ივლისში დიდი ზეიმით აღინიშნა გალაკტიონის სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად შეიქმნა საიუბილეო კომიტეტი ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით<sup>25</sup>. პრესამ ფართოდ აღნიშნა პოეტის დამსახურება ქართული პოეზიის წინაშე.

საქართველოს სსრ ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით გ. ვ. ტაბიძეს მიენიჭა „საქართველოს სახალხო პოეტის“ მაღალი წოდება<sup>26</sup>.

5 ივლისს თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა გალაკტიონის საიუბილეო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მალაქია ტროშელიძემ<sup>27</sup>. იუბილარს მიესალმნენ ს. აღამალიანი, ვ. იმედაძე, ბ. ჟღენტე და დ. დუმბაძე<sup>28</sup>. საიუბილეო საღამო დამთავრდა დიდი მხატვრული განყოფილებით<sup>28</sup>.

ქართველი ახალგაზრდობის სახელით იუბილარს გულთბილად მიესალმა გ.ზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქცია<sup>29</sup>. ამ გაზეთმა თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა ლექსი, რომლითაც ერთგვარი საყვედური გამოსთქვა პოეტის მიმართ (ლექსის ავტორად მითითებულია გ. ტაბიძე, რა თქმა უნდა, ის მეგობრული შარკია):

<sup>25</sup> „კომუნისტი“, 1933, № 153.

<sup>26</sup> „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 15.

<sup>27</sup> „კომუნისტი“, 1933, № 154.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1933, № 169.

ბევრი ლექსების „სისხლის სიმეზი“  
ამიწვევია, დამიწვევია,—  
მეპატიოს მე, რომ კომკავშირზე  
ჩერ არაფერი დამიწვრია<sup>30</sup>.

მეგობრულად გამოთქმული ეს საყვედური სახალხო პოეტმა გაიზიარა და თავის პოეზიაში სახელოვან ქართველ ახალგაზრდობას არა ერთი შესანიშნავი სტრიქონი უძღვნა.

იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა კრებული — „გალაქტიონ ტაბიძე 1908—XV—1933“, რომელშიც დაიბეჭდა: პოეტის ბიოგრაფია, ს. ხუნდაძის, შ. რადიანის, ლ. ასათიანისა და გ. ნატროშვილის წერილები.

პოეტის საიუბილეო საღამო-შეხვედრები მთელ საქართველოში მოეწყო.

„ზარია ვოსტოკამ“ და „ზაკვიზმა“ გამოსცეს გალაქტიონის რჩეული ლექსების კრებულები რუსულ ენაზე.

იუბილემ, მოგზაურობამ გაამზნევა პოეტი, მას აღარ აწვალებდა თვითშეკვლეობაზე ფიქრი<sup>31</sup>.

ამ წელს დაწერა და გამოაქვეყნა ლექსები: „ეს რა ნიაღვრებს ის-ვრის ვეზუვი“, „დღევანდელი დღე მიაგავდა ამ კინოსურათს“, „მეხსიერება“, „ალორდისმენტი“, „მკვლელების კაფე“, „მზეა ისე მგზნებარე“, „ჩვენი არმია გზას მიპყავს მზიანს“.

1934 წელი კვლავ საიუბილეო შეხვედრებით დაიწყო.

2 თებერვალს იგი ბათუმს ეწვია და იქ მარტის პირველ რიცხვებამდე დაპყო: „გაგჩერდი სასტუმრო „აქარისტანში“. ენაზე დ. ღუმბაძე, მან სთქვა, რომ იუბილე ბათუმში მოეწყობა 20—24 აპრილს... მივიღივარ აფხაზეთში. 4. III, 34“<sup>32</sup>. პოეტი გაეცნო აქარას, მას დიდად ახარებდა ის დიდი წარმატებანი, რასაც ამ კუთხემ დროის მოკლე მანძილზე მიაღწია. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა იქ მოგზაურობის პერიოდში დაწერილ ლექსებში, როგორცაა: „სიმღერის მინდა მე წამოწყება“, „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“, „დაუძლეველი“, „მიდიოდა თეთრი ქარი“. „შეებული“, „მე არმიელი ვარ“, „საღამოს მთების, დღისით ზღვაური“. ლექსების ამ ციკლში ისახება ის ახლებური განცდა ეროვნული მფობისა, მისი ბედისა, რაც ესოდენ და-

<sup>30</sup> „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1933, № 258.

<sup>31</sup> ტ. XII, გვ. 132.

<sup>32</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 294, გვ. 16.

მხასიათებელი იყო წარსული საუკუნის ქართული პატრიოტული ლირიკისათვის. ამ თვალსაზრისით მეტად სიპტომატიურია — „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“:

...რომ მომავალშიც ავიტან მრავალს  
უამინდობას, წყურვილს, სიცივეს,  
ოღონდ ვხედავდეთ ჩვენ წინ მიმავალს —  
ერთი იმედის შუქს მოციმციმეს.  
დაბრკოლებათა ათასგვარ საკანს,  
შეურაცყოფის სუსხსაც ავიტან,  
ოღონდ ვხედავდე სიცოცხლის საგანს  
ჩემი სამშობლოს სანახაიდან,  
მართობასაც ავიტან მწარეს,  
უმეგობრობას ავიტან მძიმეს,  
ჩემი სამშობლოს სანახაიდან  
ოღონდ ვხედავდე შუქს მოციმციმეს<sup>33</sup>.

4 მარტს თბომავალით „საქართველო“ გალაკტიონმა სოხუმისკენ გაისეირნა. 6 მარტს კი გემით „ლენინი“ დაბრუნდა ფოთში. „ღელვათა შორის მიდის პოეტის მოგზაურობა“ — ო წერდა იგი, — ასოციაციით ტალღათა ბრძოლას საკუთარ ცხოვრების გზას ადარებდა: „ტალღები გლეჯენ ერთიმეორეს ჩემი სიცოცხლე ბრძოლამ დალია“ — წარმოსთქვამდა იგი.

თბილისში დაბრუნებული გალაკტიონი, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, მხურვალედ ესალმება არქტიკის გმირებს — ჩელუსკინელებს<sup>34</sup>.

25 აპრილს ბათუმში, ხოლო 30 აპრილს სოხუმში ჩატარდა მისი საიუბილეო საღამოები<sup>35</sup>.

ქართველი მწერლები ემზადებოდნენ დიდი ფორუმისათვის — სსრკ მწერალთა პირველი ყრილობის შესახებდრად. ჩატარდა მწერალთა კრებები, რომლებზედაც არჩეულნი იყვნენ მომავალი ყრილობის დელეგატები. სამწუხაროდ, მათ შორის არ იყო საქართველოს სახალხო პოეტი<sup>36</sup>. ამ გარემოებამ დიდად ალაშქოთა პოეტი. აღმოჩნდნენ პირ-

<sup>33</sup> გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზ. ტ. IV, 1966, გვ. 26—27.

<sup>34</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1934, № 88.

<sup>35</sup> იქვე, № 87.

<sup>36</sup> სსრკ მწერალთა I ყრილობის დელეგატთა სია გამოქვეყნდა გაზ. „კომუნისტში“ (1934, 9 აგვისტო), ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1934, № 9.



ნა, რომლებმაც ითავეს განრისხებული პოეტის დაშოშმინება. კეთილსმსურველებმა გადასწყვიტეს ქ. ლენინგრადში, ყრილობის დღეებში. ჩაეტარებინათ მისი დიდი საღამო.

1934 წლის 8 ივნისს გალაკტიონი ლენინგრადში გაემგზავრა. 16 ივნისს ლენინგრადის ხელოვნების აკადემიის შენობაში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის საღამო. მოხსენება პოეტის შემოქმედებაზე წაიკითხა ასპირანტმა ელენე ვირსალაძემ.

საღამოს პოეზიის მრავალი ნევისპირელი ქალაქის მოყვარული დაესწრო, მათ შორის იმეამად ლენინგრადში მყოფი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერები: ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე, გიორგი წერეთელი, სერგო ჭიქია, ვარლამ და კარპეზ დონდუები, კიტა და იოსებ შეგრელიძეები, ელენე და გრიგოლ ჩხიკვაძეები, შალვა ხიდაშელი, მიხეილ ჩხაიძე, ალექსანდრე კობახიძე, თამარ ყიფიანი, შოთა ძიძიგური, შალვა სიხარულიძე, ალექსანდრე ლლონტი, გ. ბალაეძე, გ. ხარატაშვილი, ალექსანდრე (საშა) ლორთქიფანიძე, (აკად. ბუშის ასპირანტი, რომელსაც შეგობრებმა სიყვარულით სახუმაროდ „ბუშის ბუში“ შეარქვეს, შემდეგში ცნობილი ბოტანიკოსი) და სხვები<sup>37</sup>.

საპატიო სტუმარს მიაართვეს სამახსოვრო ადრესი.

ლენინგრადში მყოფი გალაკტიონი ქართველი მწერლების სახელით მიესალმა აკადემიკოს ნიკოლოზ იაკობის ძე მარს, მისი დაბადების 70 და სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლისთავთან დაკავშირებით: „ძვირფასო ნიკო! ჩემი საღამი და საღამი ყველა ჩვენი პოეტებისა და მწერლებისაგან, გისურვებთ, რომ კვლავ იდგეთ მეცნიერების სადარაჯოზე, რომელზედაც დგებართ 45 წლის განმავლობაში როგორც მუხბა<sup>38</sup>“.

კმაყოფილებით აღსაესე პოეტმა იქვე დასწერა მეტად საინტერესო ლექსი „ლენინგრადი“<sup>39</sup>.

მოსკოვში, მწერალთა ყრილობის დღეებში (10—16 აგვისტო), გაიმართა რამდენიმე დიდი ლიტერატურული საღამო. გაზეთი „ვეჩერნაია მოსკვა“-ს ერთი შორიგი საღამოს ქრონიკაში იკითხება: «Свои переводы грузинских поэтов читали Б. Л. Пастернак и Н. Тихонов. Б. Пастернак прочел блестящие переводы луч-

<sup>37</sup> იოსებ შეგრელიძე, გალაკტიონი ლენინგრადში, ეურნ. „მნათობი“ 1972, № 10.

<sup>38</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021372—19.

<sup>39</sup> იქვე, 1902, 2827; თხზ. ტ. IV. 1966, გვ. 23—24.

15. ა. ლორთქიფანიძე

შესაძლებელია გრუზინისკო პოეტის, ნე სუმეშველი პრეხატე ნა სსსრ —  
გალაქტიონ ტაბიძე<sup>40</sup>.

1934 წელს გალაქტიონი შეყვანილი იყო შოთა რუსთაველის  
პოემის დაწერიდან 750 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომი-  
ტეტის წევრად. ამ წელს დაწერილი ლექსებიდან, ჩვენი აზრით, ყვე-  
ლაზე ყურადსაღებია „სანამ არ დამსხვრეულან“, რომელშიც გა-  
მოსჭვივის საკუთარი პოეტური ძალის რწმენა:

...კოში ჩემი მაღალ  
ადის დროთა ქროლამდის,  
მას მრავალი ბურჯი აქვს  
ყველა მხოლოდ ფოლადის.

საქართველოს სსრ ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად (1933 წლის 4 ივლისი) პოეტი შეუდგა თავის თხზულებათა ტომეულების გამოსაცემად მომზადებას. 20 ნოემბერს მან „სახელგამს“ ჩააბარა თხზულებათა მეორე ტომი (ტომეულების გამოცემა II ტომით დაიწყო), რომელშიც შეიტანა ლექსების ციკლები: „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“ და „მაციფიზმი“, აგრეთვე 1932—1934 წლებში დაწერილი ლექსები. ბექდვის საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ დედის მძიმე ავადმყოფობამ ავტორი იძულებული გახდა ჩამოშორებოდა საქმეს და სოფელში გამგზავრებულობო: „დედის მძიმე ავადმყოფობის გამო დღეს შეიქცეა სოფელში... წიგნის ბექდვას ნუ შეაჩერებთ, თუ არის რაიმე გაუგებარი, ამოიღეთ სტრიქონი, ტაეპი, მთელი ლექსი, მხოლოდ წიგნის ბექდვას ნუ გააჩერებთ. ამოღებული ლექსის ნაცვლად გადმოიტანეთ სხვა ლექსი, უფრო შორი ფორმიდან, როდესაც ჩამოვალ, მე შევაყვებ.— ყოველი ეს სრულიად ადვილი საქმეა, უჩემოდ მოახერხებთ. ნუ შეაჩერებთ წიგნის ბექდვას. იღონეთ რამე. 1935. 20. II“<sup>41</sup>.

1935 წლის 25 თებერვალს გარდაიცვალა გალაქტიონის დედა, რომელსაც პოეტი მგრძნობიარე ლექსით გამოეთხოვა<sup>42</sup>. დედის სიკვდილმა პოეტი დიდად დაამწუხრა. იგი სოფელში აღარ ჩადიოდა, ძალიან კარჩაყვტილი გახდა.

გალაქტიონის ცხოვრებაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი, უაღრ-

<sup>40</sup> Газета «Вечерняя Москва», 1934, № 193.

<sup>41</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 354, გვ. 20.

<sup>42</sup> გ. ტაბიძე, თხზ. ტ. IV, 1966, გვ. 69.

სად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1935 წელს მისი მონაწილეობა კულტურის დაცვის მსოფლიო კონგრესში<sup>43</sup>, რომელიც პარიზში ჩატარდა 21—26 ივნისს. დიდი ფორუმის მოწვევა ნაკარნახევი იყო იმ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, რასაც ფაშისტური გერმანია უქადდა მსოფლიო კულტურის მონაპოვარს.

გალაქტიონი პარიზში კონგრესის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა. 16 ივნისს იგი აცნობებდა მეუღლეს: „ჩვენ პოლონეთის საზღვარზე ვართ. ბერლინზე გავლით პარიზში ვიქნებით 18-ში“<sup>44</sup>.

გერმანიის ქ. რეინსდორფში პოეტის ყურადღება მიუპყრია რეინსდორფის უზარმაზარი ქიმიური ქარხნის აფეთქების ფაქტს, რასაც რამდენიმე ათასი მუშის სიცოცხლე შეუწირავს. პოეტის ჩანაწერი გვამცნობს: „კუბოზე გადაფარებული იყო დროშები სეა'ტაკით. ჰერცერმა მდუმარედ დახარა თავი და კუბოები შეამკო წითელი ვარდების გვირგვინებით. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვენ პროტესტანტული სამღვდელოების წარმომადგენელმა ეპისკოპოსმა პეტერმა და კათოლიკურმა პატერმა ვინკელმანმა. ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავა“<sup>45</sup>.

პარიზში მყოფი პოეტი ცდილობდა გამოეყენებინა ყოველი თავისუფალი წამი ამ გრანდიოზული, მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქიმუზეუმის დასათვალიერებლად. იგი დიდი ინტერესით ათვალიერებდა და ეცნობოდა მის ღირსშესანიშნაობებს. მის წინ კალეიდოსკოპური სისწრაფით გაიღვეს უდიდესი მოვლენების მოწმე პარიზის ქუჩებმა, მოედნებმა, ბულვარებმა, ვანდომის სვეტმა და ტრიუმფალურმა თაღმა, ეიფელის კოშკმა და ინვალიდების სახლმა, ელისეის მინდვრებმა და ბულონის ტყემ, პარიზის პანთეონმა და პერლამეზის სასაფლაომ, ლუვრმა და ვერსალმა. შთაბეჭდილებებმა ააყეს უბის წიგნაკები. ერთ მათგანში ვკითხულობთ: „ლუვრში ვათვალიერებდი კოლოსალურ, მსოფლიო მნიშვნელობის კოლექციას, რომლის მსგავსი არ არის დედამიწაზე. მე გადმომცეს, რომ აქ ყოველდღე დადის ერ-

<sup>43</sup> გ. ტაბიქსთან ერთად სსრკ-ის დელეგაციაში შედიოდნენ: ვ. ალაზანი, ი. ბაბელი, ვს. ივანოვი, ა. კარაგაევა, ვ. კირშონი, ი. კოლასი, მ. კოლცოვი, ალ. კორნეიჩუკი, გ. ლახუტი, ი. ლუპოლი, ი. მიჰიტენკო, თ. პანფილოვი, პ. პანჩი, ბ. პატირნაიკი, ნ. ტიხონოვი, ალ. ტოლსტოი, პ. ტიჩინა, ა. შნერბაიკოვი (მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, შემდეგში საქ. კმ(ბ) ცკ მდივანი, დელეგაციის ხელმძღვანელი) და ი. ერენბურგი.

<sup>44</sup> ტ. XII, გვ. 536.

<sup>45</sup> ტ. XII, გვ. 91—91.

თი მოხუცი ფრანგი. დიდხანს დგას ვენერა მილოსელის ქანდაკების წინ და შემდეგ ამბობს, რომ ამ მოკლე ხანში ომის ნიშნები არ არისო. როდესაც შეეკითხებიან საიდან იცის ეს მან, იგი პასუხობს: „თუ ვენერა მილოსელი თავის ადგილას დგას, თუ იგი არ შეუხვევიათ და სარდაფში არ დაუშალა, ცხადია, საშიში ჯერჯერობით არა უნდა იყოს.“<sup>46</sup> დელეგაციის წევრი და სტუმარი ცნობისმოყვარეობით ეცნობოდა უცხო ქალაქის ცხოვრების წესს, იწერდა და შეფასებდა აქ-ღვედა უმნიშვნელო ფაქტებსაც კი და გათენებამდე დახეტიალობდა ე. წ. „პარიზის სტრამაქში“<sup>47</sup>.

პარიზში გალაკტიონის ყოფნის დროს საფრანგეთის აკადემიამ იღიღასაწაულა არსებობის 300 წლისთავი. იგი ლუერში დაესწრო კარიადიტების დარბაზში გამართულ საიუბილეო სხდომას. აქ მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ლექსი — „ჩემს იქ ყოფნაში“ (საფრანგეთის აკადემია). ასევე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პოეტზე ნოტრდამის ახლოს, ღია ცის ქვეშ, წარმოდგენილ მისტერიას „ვენება-ნი უფლისანი“, რაც დასდებია საფუძვლად ლექსს — „მისტერია წვიმაში“<sup>48</sup>.

კონგრესის მუშაობის დღეებში გალაკტიონზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია უცნობი ორატორის სიტყვას: „მოულოდნელად დარბაზში სინათლე შენელდა იმდენად, რომ უამრავ ფოტოგრაფებს საშუალება არა აქვთ იმუშაონ. სინათლე შენელდა და თანაც სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ტრიბუნაზე გამოჩნდა უცნობი შავი სათვალეებით, გრიმში, მისი ხმა ჯერ სუსტად ისმის დარბაზში, ვინაიდან მიკრაფონები გამორთულია. უცნობის ხმა ძლიერდება... ადამიანი შავი სათვალეებით სცენიდან გავიდა, მთელი დარბაზი... ფეხზე დგას, დარბაზი აღელვებულია, დარბაზი ტაშისცემით გრგვინავს. ეს იყო დიდი გენიით დაჭილდოვებული სიტყვა... ეს იყო მთელი პოემა“<sup>49</sup> ამ განცდილმა დააწერინა მას ლექსი — „მწერალი გრიმით — პარიზის კონგრესზე“<sup>50</sup>.

კონგრესის 23 ივნისის საღამოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა გალ.

<sup>46</sup> ტ. XII, გვ. 107—108. სისრულისათვის გვ. 90—131.

<sup>47</sup> პარიზის ცენტრალური ბაზარი, სადაც ვაჭრობა ნაშუალამევს იწყებოდა და განთიადზე მთავრდებოდა.

<sup>48</sup> ტ. IV, 1966, გვ. 52—53.

<sup>49</sup> ტ. XII, გვ. 182—184.

<sup>50</sup> ტ. IV, 1966, გვ. 65; „კომუნისტი“, 1936, № 45.

ტაბიძე. მან სიტყვა ქართულ ენაზე წარმოსთქვა, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული თავისუფალ ერთა კავშირში საქართველოს მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა წვლილი, ქართველთა ცხოვრებაზე სოციალისტურ სახელმწიფოში. ორატორმა კონგრესის მონაწილეებს მოკლედ დაუხასიათა ქართველი ხალხის ისტორია, კულტურა და ლიტერატურა<sup>51</sup>.

კონგრესის სხდომაზე მაიაკოვსკის ხსენებამ მისცა ბიჭვი პოეტს დაეწერა ლექსი „მაიაკოვსკი“, გახსენებოდა ბაღდადი, ხანიჭყალი<sup>52</sup>. აღფრედ მიუსეს საფლავეზე დარგულ ტირიფის ხეს აღუქრავს პოეტში გარკვეული ასოციაცია, რამაც დააწერინა ლექსი „ტირიფი“<sup>53</sup>. პარიზში მიღებული შთაბეჭდილებანი პოეტმა შესანიშნავად გადმოსცა დიდ ციკლში — „რას იბოვი იქ, საზღვარგარეთ“, („შორი გზები მოვიარე“), რომელიც პირველად მის მიერ შედგენილ თხზულებათა III ტომში გამოაქვეყნა 1940 წელს.

თავის მემუარებში — „Люди, годы, жизнь“ ილია ერენბურგი, იგონებს რა პარიზის ამბებს, წერს: „გალ. ტაბიძემ იყიდა ბოლღერისა და რემბოს იშვიათი გამოცემები, ფრანგულად იგი არ კითხულობდა, მაგრამ სიყვარულით ეალერსებოდა ფურცლებს“<sup>54</sup>. მემუარისტის მონაყოლში ერთი უნებლიე შეცდომაა დაშვებული „ფრანგული კითხვა არ იცოდაო“ საქვეყნოდ აცხადებს იგი. ეს არ არის მართალი. ფრანგული ენის შესწავლა პოეტმა ჯერ კიდევ სემინარიაში დაიწყო, სადაც ის სავალდებულო საგანი იყო, ხოლო 1914—15 წლებში გალაკტიონი კერძო გაკვეთილებს იღებდა ფრანგულ ენაში ქუთაისში კათოლიკე ვასო ხოჭევანიშვილთან, მერე ჯაჭუ ჯორჯიკიასთან. ასე რომ პოეტმა ფრანგული კითხვა იცოდა და ცოტა მეტიც. თუ „კითხვა არ იცოდა“, როგორ აირჩია ბოლღერისა და რემბოს „იშვიათი გამოცემები“, რომელთაც „სიამოვნებით ეალერსებოდა“?!

1936 წლის 20 ნოემბერს ქართველმა მკითხველმა მიიღო გალაკტიონის თხზულებათა II ტომი, რომელმაც სალიტერატურო კრიტიკის მოწონება დაიმსახურა<sup>55</sup>.

<sup>51</sup> ტ. XII, გვ. 182—184.

<sup>52</sup> ტ. IV, 1966, გვ. 55—56.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>54</sup> И. Эренбург. Люди, годы, жизнь, журн. «Новый мир», 1962, № 4, с. 48.

<sup>55</sup> ეურნ. „მნათობი“, 1936, № 4; „სალიტერატურო გაზეთი“, 1936, № 18, „საბჭოთა აჭარა“, 1936, № 21.

1936 წლის თებერვალში ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლის-თარიღი. ამ თარიღთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა და საბჭოთა მთავრობამ მოსკოვში, კრემლში, მიიღო საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყო გ. ტაბიძე. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა ღირსეულად შეაფასეს წარგზავნილთა დამსახურება საბჭოთალოს მაღალი ჯილდოებით, მათ შორის გ. ტაბიძისაც, რომელიც დაჯილდოებული იქნა უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით<sup>56</sup>.

მარტო დარჩენილ პოეტს ხანდახან ფილოსოფიური განსჯა იტაცებდა. დროთა ცვალებადობა: სიყმაწვილე, სიბერე, სიცოცხლე და სიკვდილი ხდებოდა მისი ფიქრთა მპყრობელი, განსჯის თემა.

არ მეგონა თუ სიბერე  
ორის სინამდვილე,  
მე მეგონა მარადისი  
არის სიყმაწვილე!..

1937 წლის დამდეგს პოეტს უბედურება დაატყდა თავს, დააპატიმრეს მისი მეუღლე ოლია ოკუჯავა, მას ჩაშაშორეს ადამიანი, რომელიც მისი სიტყვებით „ერთგული, ნამდვილი მეგობარი იყო, რომელიც ჩემთან ერთად იტანდა ჩემი დაულაგებელი ცხოვრების სიმძიმეს“<sup>56</sup>. იმ მძიმე დღეებში პოეტი წერდა:

გეშვიდობები სამარადისოდ,  
სამარადისოდ გეშვიდობები!  
ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი,  
ყოველჯამს ვკარგო თითო იმედო...

1937 წლის 5 დეკემბერს ქ. იაროსლავის საპატიმროდან ოლია წერდა მეუღლეს: «С днем сталинской конституции Галл, мое первое письмо должно быть только дошло. Жду ответа. Повторяю, что ежемесячно могу прислать тебе и получить от тебя по два письма. Милый Галл, как ты живёшь, как твое здоровье? Сообщи подробно всё, безумная боль, как я тебя забрызгала? Сколько у тебя работы, болезнь и я ничего не мо-

<sup>56</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1936, № 63.

ту тебе сделать.. Твоя книга вышла или нет из печати. какой тираж, сколько страниц, какая обложка? Опиши подробно. чье предисловие если оно есть и какая фотография, хорошая? Как мне хочется иметь ее мой милый.. Чтобы рукописи не трогали и в кабинет не заходили никого, прошу. Какая погода в Тбилиси? Галл, здесь каждый день идет пушистый снег. морозы.. Г. Ярославль, п/я 34, мпс»<sup>57</sup>. პოეტის არქივში დაცულია მრავალი წერილი გამოგზავნილი იაროსლავისა და ვლადიმირის საპატიმროებიდან. მათში ტანჯული ადამიანის ღალადისი ისმის. 1943 წლის მარტამდე იგი მოუთმენლად მოელოდა ყველაზე მახლობელი ადამიანის გაშვებულ წერილებს. მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ საწადელს ვერ ეღირსა. მას აბოროტებდა ყოველი თვის დასაწყისში ფულადი გზავნილის, 300 მანეთი, ღირება, რომელსც მისი მეუღლის ხელმოწერა ჰქონდა, სამას მანეთს მას საბი სიტყვა ერჩია, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ იყო რა იყო მიზეზი ასეთი მოქმედებისა: პოეტი გაფრთხილებული იყო არ ჰქონოდა მასთან მიმოწერა.

30-იანი წლების დასასრულს გალაკტიონის პოეზიაში თავი იჩინა შიდრეკილებამ ლირიკის ფილოსოფიური ასპექტით განსჯისა. შემთხვევითი როდია ჰეგელის ხშირი დამოწმება და ამ ფილოსოფოსის აზრების პერიფრაზი (განსაკუთრებით წერილში „ლირიკა“ და პოემაში „საუბარი ლირიკის შესახებ“), მის პოეზიაში ჩნდება შიდრეკილება „ინტეგრალური პოეზიისადმი“.

1938 წელს პოეტმა გამოაქვეყნა ლექსები: „საბჭოთა ხალხი გმირული“, „ჰქუხდა ხმოვანი“, „შრომა და მოსვენება“, „პოეზიის ინტეგრალები“, „სამშობლოს“, „მთვარის ნაამბობიდან“, „ამწყოს დიდება დიდი“, „ოქტომბრის გემი“, „ფერად ფერადი“, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „მთაგორების ზემო“, „წყალტუბოდან ქუთაისში“, „ნსა-აეი, ია, ნარგიზი“, „ახალი შეკვლე“, „გამზიარული ბუხარო“: „გერმანიის დილა“, „ახალგაზრდობა“. კითხულობ ამ ლექსებს და აშკარად გრძნობ, რომ 30-იან წლების დასასრულიდან მის პოეზიაში კვლავ ახალი, რაღაც თავისებური პერიოდი იწყება. ორატორული პათოსის მქონე ოსტატის, პოეტი-ტრიბუნის ლირიკა ივსება კლასიკური პოეზიის რეალისტური ელემენტებით, ლექსების სიტყვიერი ფაქტურა კლასიკურად გამკვირვალე გახდა, ნათლადაა გამოკვეთილი დამოკიდებულება ქართულ კლასიკურ პოეზიასთან. „სამშობლოს ჩე-

<sup>57</sup> გ. ტაბიძის არქივი, ო. ოქუჯავას წერილები.

მის ხმაურობით საესე ცხოვრება“ იმ პატრიოტული თემის გაგრძელებაა, რომელიც ასე ძლიერ განავითარა XIX საუკუნის ქართულმა პოეზიამ. თუ რა ახლებურად აღედგა ეს უკვდავი თემა გალაკტიონის იმდროინდელ ლექსებში, ამის საუკეთესო დადასტურებაა „სამშობლოს“<sup>58</sup>.

გალაკტიონს კარგად ესმოდა, რომ ხალხური შემოქმედება მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა. „ხალხური პოეზია გამოირჩევა სიმსუბუქით, უბრალოებით, მუსიკალურობით, — წერდა იგი, — ხალხური პოეზია შეგნებულად გაუბრის ყოველგვარ მძიმე გამოთქმებს, იგი ბუნებრივია, კრისტალურად წმინდაა“<sup>59</sup>. ამიტომაც იყო, რომ იგი ხალხურ მოტივებს მეტად სათუთად ეკიდებოდა მამართავდა მას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, შემოქმედდა ის უხმაუროდ, ამუშავებდა საკუთარ პოეტურ ქურაში, დატვირთვდა გადამწყვეტი აზრობრივი ფუნქციით. პოეტის მიმართვა ფართო პლანით ხალხურ პოეზიისადმი 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება (ეს ტენდენცია 20-იანი წლების ციკლშიც შეინიშნება). ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა: „გამხიარული ბუხარო“, (1938), „მთვარის ნამშობიდან“ (1938), „მიჯაჭვული ამირანი“ (1941) და სხვ.

1938 წლის შემოდგომაზე ფართოდ აღინიშნა გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლისთავი. ნოემბრის ბოლოს მწერალთა კავშირში ჩატარდა ამ თარიღისადმი შიძღვნილი საღამო. მოხსენება წაიკითხა აკაკი გაწერელიამ, მოხსენება გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ იმავე წლის დეკემბრის (№ 12) ნომერში.

1939 წელს პოეტი ერთდროულად მუშაობდა პოემებზე: „აკაკი წერეთელი“, „საუბარი ლირიკის შესახებ“ და „ოთხი დრო“. მან „სახელგამს“ ჩააბარა თავისი ნაწერების მესამე ტომი. გამოქვეყნდა ლექსები: „საახალწლო“, „სურომემოვლებული“, „ხშამალა“, „სალამი ახალგაზრდობას“ და „ოქტომბრის სიმფონია“.

იმავე წელს გამოიცა აბატი პრევოს რომანი „მანონ ლესკო“-ს ქართული თარგმანი (მთარგმნელი ქ. ირემაძე). მთარგმნელმა, ზოგიერთი ფრანგული და რუსული გამოცემის გათვალისწინებით, თხოვნით მიმართა გალაკტიონს დაეწერა ლექსი მანონ ლესკოს თემაზე. „მცირედი დაფიქრების შემდეგ, — იგონებს შ. რადიანი, — პოეტი დაეთანხმა ამ თხოვნას, ოღონდ ქეთევან ირემაძეს დააეღა, შეეგრძობინა მანონ

<sup>58</sup> გ. ტაბიძე, ტ. IV, 1956, გვ. 162.

<sup>59</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021371—30.



ლესკოსადმი მიძღვნილი ლექსები... რამდენიმე კვირის შემდეგ მან წაგვიკითხა ბრწყინვალე ლექსი — „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“<sup>60</sup>. ლექსს წარწერილი ჰქონდა: „ძღვანად ქეთევან ირემაძეს“<sup>61</sup>.

სექტემბრის დასაწყისში გალაკტიონმა დაამთავრა პოემის — „ოთხი ღრო“ წერა, რომელშიც მხატვრულადაა განზოგადებული ის საერთაშორისო ატმოსფერო, რაც ევროპაში შეიქმნა ფაშისტური გერმანიის მილიტარისტული ზრახვების შედეგად.

გალაკტიონს ხიზლავდა ბევრი ახალგაზრდა პოეტი, მოსწონდა მათი დაუზარებელი ძიებანი სიტყვის დასამორჩილებლად. მის ყურადღებას არ ეპარებოდა არაფერი ახალი, კარგად მიგნებული თუ ნათქვამი სახე თუ სიმბოლო. ერთი ასეთთაგანი იყო მირზა გელოვანი, რომლის შესახებ გალაკტიონს უთქვამს: „ნიჭიერი ახალგაზრდაა, მისგან ნამდვილი პოეტი დადგებაო“<sup>62</sup>. მირზა გელოვანის პოემის „შავნაბადას“ ერთ ადგილს მიუქცევია გალაკტიონის ყურადღება (ეს პოემა 1938 წელს გამოქვეყნდა):

ქართლის მიწაე, უტკბილესო  
საყვარელო ქართლის მიწაე,  
ჩვენ ცხრათვალა დიად მზეს და  
ჩვენ აღისფერ ღროშას კოფოფ...<sup>63</sup>

ამ სტრიქონებს წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია გალაკტიონს, სულ მალე მირზასეული მოტივი გახდა მისი ცნობილი ლექსის „მშობლიურო ჩემო მიწაე“ რეფრენის წყარო.

პოეზიის, როგორც მოვლენის, გარკვევას, ახსნას მიუძღვნა მან „საუბარი ლირიკის წესახებ“. ის ავტორს 1940 წლის 25—27 იანვარს დაუწერია, მაგრამ რამდენ ხანს მუშაობდა მასზე, არ ჩანს. პოემა გამოაქვეყნა ავტორმა ჟურნალ „მნათობში“ (1940, № 2). მის ქაღალდებში აღმოჩნდა ვრცელი წერილი „ლირიკა“, რომელშიც გალაკტიონს ჩამოუყალიბებია თავისი აზრი ლირიკაზე. მის დასაწერად პოეტს დიდძალი ლიტერატურა გამოუყენებია<sup>63</sup>.

1940 წელს დიდ საზეიმო ვითარებაში აღინიშნა აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავი. გ. ტაბიძე არჩეული იყო ა. წერეთლის

<sup>60</sup> შ. რადიანი, ჩვენი გალაკტიონი, ჟურნ. „ციცქარი“, 1968, № 1, გვ. 147.  
<sup>61</sup> გ. ტაბიძე, ტ. IV, გვ. 177—178, 392.  
<sup>62</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1968, № 1, გვ. 143.  
<sup>63</sup> გ. ტაბიძე, ტ. XII, გვ. 566—574.

საიუბილეო კომიტეტის წევრად, იგი საგულისგულოდ ემზადებოდა ამ ღირსასხოვარი ეროვნული თარიღის წარმატებით ჩატარებისათვის. მან უტრნალ „მნათობის“ ფურცლებზე (1940, № 5—6) დაიწყო პოემის „აკაკი წერეთელი“ გამოქვეყნება. პოემა იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა<sup>64</sup>.

ლენინგრადის მისადგომებთან თეთრფინელების პროვოკაციის შედეგად ატყდა საომარი მოქმედება ფინეთსა და სსრკ შორის, იღვრებოდა სისხლი. ევროპაში ავიაბომბები „თესდნენ განადგურებას“, პიტლერელები მიილტვოდნენ მსოფლიო ჰეგემონიისაკენ, საჭირო შეიქმნა სიფხიზლის გამახვილება, რათა დროულად აღკვეთილიყო მოსალოდნელი აგრესიული მოქმედება, არ დარღვეულიყო საბჭოეთის შშვიდობიანი ცხოვრება. ამ ფრიად აქტუალურმა პოლიტიკურმა მომენტებმა სათანადო ასახვა ჰპოვა გალაკტიონის პოემაში — „ათასცხრაას ორმოცი წელი“<sup>65</sup>.

1940 წელს ჩატარდა გალაკტიონის რამდენიმე საღამო<sup>66</sup>.

მოსკოვში „გოსლიტიზდატმა“ გამოსცა გალაკტიონის ლექსების კრებული, ხოლო „სახელგამმა“ — ლექსების კრებული „ლირიკის“ სახელწოდებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლის თავს მიუძღვნა გალაკტიონმა პატრიოტული ლირიკის შესანიშნავი ნიმუში — „მშობლიურა ჩემო მიწავ“, რომელიც პირველად 1941 წლის თებერვალში გამოქვეყნდა საიუბილეო კრებულში — „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“ (გვ. 1.). მოახლოებული დიდი ომის წინა თვეებში პოეტმა ამ ლექსში შესძლო ჩაექსოვა ის დიდი და უწმინდესი გრძნობა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სამშობლოს წმიდათა წმინდა მიწის დასაცავად ყოველი ჯურის მომხვედურისაგან.

30 დეკემბერს ვალ. ტაბიძე ლექსით — „ესტონეთი“ მიესალმა მოძმე ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სსრკ-ს შემადგენლობაში შესვლას.

1941 წლისათვის პოეტი დიდ გეგმებს ისახავდა მიზნად, მისი

<sup>64</sup> ტ. IX, 1971, გვ. 7—131. პოეტის არქივში ინახებოდა ამ პოემის პროზაულ ვარიანტი (ტ. XII, გვ. 575—607).

<sup>65</sup> ტ. VIII, 1970, გვ. 194—211.

<sup>66</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1940, № 47, არქივი, დღ. 284, გვ. 9.

სურვილი იყო განეხორციელებინა მოგზაურობა მოძმე რესპუბლიკებში, დაეწერა ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებათა წიგნი, განზრახული ჰქონდა შეედგინა პოეტური კრებული „Art Poetigue“, რომელშიც უნდა შესულიყო „ყველა ის ლექსი, რაც კი დამიწერია პოეზიის ხელოვნების შესახებ“<sup>67</sup>.

ამავე ხანებში გალაკტიონი მუშაობდა პოემაზე „კომპიენის ტყე“, რომელშიც ავტორს უცდია მხატვრულად განეზოგადებინა საფრანგეთის უსიტყვო კაპიტულაცია. ნაწილი ამ ნაწარმოებისა ავტორმა გამოაქვეყნა კრებულში „ჩვენ გაეიმარჯვებთ“ (1941, გვ. 3—5). მთლიანად პოემა არ გამოუქვეყნებია, ის გალაკტიონმა საფუძვლად დაუდო კავკასიის ბრძოლების ამსახველ პოემას — „ძაუგიდან ბერლინამდე“, რომელიც მას გამოუქვეყნებელი დარჩა.<sup>68</sup>

1941 წლის აპრილში მუშაობა დაუწყია პოემაზე — „კაფე კორსოს ქუჩაზე“, რომელსაც შემდეგ სხვა სათაური მისცა — „აფეთქება“<sup>69</sup>. ეს პოემა, ისე როგორც სხვები, მეტყველებს პოეტის დიდ ინტერესსზე საერთაშორისო ვითარებისადმი. მის პოეტურ წარმოსახვაში იგრძნობოდა ის მძიმე, ქუფრი ღრუბლები, რომლებიც ეფინებოდა მსოფლიოს მშვიდობიან ცას.

გამოაქვეყნა ლექსები: „ტყვარჩელთან“, „პარიზის კომუნა“, „მასთან არიან“, „საქართველოს ვარსკვლავი“, „დიადი მონათება“, „კოლოანოფელისი“, „ჩვენ“, „მთებს გახედე“, „სალამი მაისს“, „სამშობლოსათვის“, „კლარა ცეტკინ“, „შრომა მეცნიერებასთან“, რომლებშიც ჩვეული ოსტატობით იყო გადმოცემული მათი ავტორის განცდები და გრძნობები, გამოწვეული ამა თუ იმ მოვლენით.

## თ ა ვ ი მ ე ც ა მ ე ბ ა

### „ომმა შესცვალა ღარის ღარება“

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხათავს საბჭოთა კავშირს. დაიწყო დიდი სამამულო ომი. საბჭოთა ხალხები აღდგნენ თავიანთი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად.

<sup>67</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021370—159, გვ. 15.

<sup>68</sup> გ. ტაბიძე, ტ. I, 1973, გვ. 88—112, 371/378.

<sup>69</sup> იქვე, გვ. 167—211, 400/409.

სიციხლეო, მამულო მძაფრი, არაფარული,  
შვილთა შენთა ხმაშალა სთქვან შენი სიყვარული;  
სიციხლეო, სამშობლოე! მტერა დაუნდობელი  
რამ თვალს არ გაცილებდა — ვიყავ წინათმგრძნობელი, —

წარპოსთქვამდა ომის დაწყების მეორე დღეს შემფოთებული ჰოეტი, როდესაც „ომმა შესცვალა დარის დარება“.

საბჭოთა სამშობლოს დამცველთა რიგებში შვიდასიათასზე მეტი საქართველოს წარგზავნილი ჩადგა, რომლის ნახევარზე მეტს ბედმა სამშობლოში დაბრუნება არ არგუნა. „თბილისი ქალებს დარჩათ! დედებს, ცოლებს, დებს, ქალიშვილებს. მამები, შვილები, ქმრები და ძმები ფრონტზე გააწვიეს. ამ გარემოებამ საგრძნობლად შესცვალა სახე თბილისისა, — ჩაუნიშნავს პოეტს, — ლამაზობით იშვილათი წესრ-გი დაჰყარდა, შებინდებიდან გათენებამდე მორიგეობენ დიასახლისებო, „ქალების დიქტატურა“ იგრძნობა ყველგან“.<sup>1</sup>

ოპის პირველსავე დღეებიდანვე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. მოწინააღმდეგე ყველგან დიდ უპირატესობას აღწევდა, რამაც უმძიმესი დალი დაასვა ცხოვრებას. „ყველაფერი ფრონტისათვის“, „ყველაფერი გამარჯვებისათვის“, „დედასამშობლო განსაცდელშია!“ — ამის პირველმნიშვნელოვანი ლოზუნგებო, რომლებმაც წარმართა ჩვენი ხალხის ცხოვრება. ომმა შეცვალა მწერლობის თემაც. სამშობლოს დაცვის, მისი დამცველების თავდადებისა და გმირობის თემა გახდა საბჭოთა მწერლობის წამყვანი და მთავარი თემა. საქართველოს სახალხო პოეტმაც თავისი მუზა ამ საერთო დინებას დაუქვემდებარა. დაიბეჭდა მისი „ლენინგრადს“, „თავდადებული მილიონები“, რომელშიც კარგადაა გააზრებული, რომ „სამშობლოსათვის თავდადების დრონი მეფობენ“, რომ „იგი გვეძახის — ბევრის მოწმე, ბევრის მგონები“.

1941 წლის 6 სექტემბრის პოეტისეულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „სპეტსამკურნალოს მესამე სართულის ფანჯარასთან ვდგევარ... ფანჯარა გასცქერის მარის (დღეს ილ. ჭავჭავაძის პროსპექტი — ი. ლ.) ქუ-

<sup>1</sup> გ. ტაბიძის არქივი. დღ. 593, გვ. 4.

ჩას, დაეინახე კატაფალკა, რომელზედაც კუბო ასვენია. პარველად შეგონა, რომ კუბოს არაფერს მიჰყვებოდა.

— ალბათ პატარა ბავშვს ასაფლავებენ! — გაეფიქრე მე...

გამოჩნდა ეცირერიცხოვანი პროცესია... დაეინახე გ. ქუჩიშვილი, არნო ონელი, შალვა კაშმაძე; ასაფლავებდნენ არა პატარა ბავშვს, არამედ მხცოვან მწერალ ქალს დარია ახვლედიანს!.. ოი, ომი, ომი!\*

ომი სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა, მტერი კავკასიონის ქედს შოადგა, იქმნებოდა რეალური საფრთხე მისი საქართველოში შემოჭრისა, განსაცდელი წინ იყო.

გალაქტიონის პოეზიაში ომის თემამ დომინირებული ადგილი დაიკავა. „მნათობში“ გამოაქვეყნა პოეტმა ლექსები: „ეს წელიწადი“, „ჩანგო ვით წინად, ეხლაც მოველი“ (№ 2), „ელგუჯას დაბრუნება“ (№ 7—8), „როგორც მგრანი“, „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“ (№ 9), „მაგრამ უკვდავება არის სამშობლო“, „სევასტოპოლის დამცველს“, „დრო მიგვითითებს“, „გზა გამარჯვების“ და „ჰე, მაძულე“ (№ 11—12). ლექსში — „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“ ავტორი ოცნების თვალთ შეჰყურებს საქართველოს უღამაზეს ბუნების სურათებს და უსაზღვრო სიყვარულით იმსჯელება მათ შორის. თითქოს არსებითი მნიშვნელობის აქ არაფერია, მაგრამ ქართულ პოეზიაში ამ თემაზე დაწერილი ლექსებიდან ეს ლექსი იმით უანსხვავდება, რომ მასში არ ვხვდებით აღწერითი პოეზიის ელემენტებს:

ვით არ მიყვარდეს სამშობლო ლამაზ  
და სურნელოვან ველებით სავსე!  
ნანგრევი, რაიც სცდება აკლამას  
დაუცხრომელი მდინარის ხმაზე!

.....  
ვით არ მიყვარდეს, ვით არ მათრობდეს.  
მობიზინეთა ამ არეთ ბედი...  
ეს არის ლეიათ, ეს არის ვარდთა,  
ეს არის შვერთა უსაზღვრო ტბეთი...

გალაქტიონს ეს სურათები საკუთარი სულიდან გამოაქვს, მხოლოდ მისებურად აღქმული. ლექსი სამამულო ომის მძვინვარე დღეებში გამოქვეყნდა 1942 წელს. ამ საშინელი მძიმე განცდის უამს აღმოჩნდა

\* არქივი, დღ. 593.

მას სინანულის ეს სიტყვები: „როგორ დავეტოვო ყოველი-  
ვე ეს“...

1942 წელს გალაქტონმა გამოსცა ლექსების კრებული — „მშობ-  
ლიურო ჩემო მიწავ“, რომელშიც პირველად გამოაქვეყნა ლექსები:  
„კავშირი გულთა შორის“, „ირაკლი მომგები ასი ომის“, „მფრინა-  
ვი“, „რასაც სარაციანი წინაღ“, „გაშლიდა გაზეთს“ და „ძმებო“.

მეომარა სამშობლო, გმირი მებრძოლები, ზურგში გამარჯვების  
მკედველები — აი ვისკენა მიმართული პოეტის გულისყური. მისი  
პოეტური დევიზი — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ მძიმე განსაც-  
დელის უამს ახალი ელერადობის, აზრისა და შინაარსის მატარებელი  
გახდა: „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“, „მამულს გული უპირვე-  
ლეს ყოვლისა!“, „გამარჯვება უპირველეს ყოვლისა“:

ჰე, მამულო გრძნობა შენი მოვლისა  
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.  
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,  
სიჟვა: „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“..

იწერება და ქვეყნდება პოეტის ლექსები: „ვისი არის ეს გუგუნო?“,  
„სტალინგრადთან“, „კავკასიონის კლდეებზე“. თითქოს და წინასწარ-  
მეტყველური იყო მის მიერ გრძნობით განცდილი სიტყვები: „ჩვენს  
სამშობლოში წყდება ბედი კაცობრიობის“, მართლაც, XX საუკუნის  
მსოფლიოს ბედი ამ დიდ სამკედრო-სასიციოცხოლო ბრძოლაში წყდე-  
ბოდა.

1942 წლის ნოემბრის წამოწყებულმა დიდმა საბრძოლო ოპერა-  
ციებმა, გაბედულმა კონტრშეტევებმა, სტალინგრადის საქვეყნო ოპე-  
რაციამ, კავკასიის ფრონტზე მიღწეულმა წარმატებებმა ცხადყვეს,  
რომ გერმანიის სამხედრო ძლიერების მზე მალე ჩაეხვეწებოდა. ქუფ-  
რი ღრუბლები დაიძრა დასავლეთისაკენ, საფრთხე კავკასიისა და  
ამიერკავკასიის დაპყრობისა დაძლეულ იქნა. ამ დიდმა წარმატებებ-  
მა აღაფრთოვანა პოეტი, იგი თავისი ვაჟკაცური, ომანხანი ლექსებით  
ერკინებოდა მომხედურს და ყოველნაირად ცდილობდა თავისი პოე-  
ტური სიტყვით შეეტანა წველილი დიდ საერთო, სახალხო საქმეში:

ჰე კავკასიის ქედები მთხოვენ,  
მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,  
აგუგუნება კაიშაურის.  
ელსმინო ყაზბეგს — ხევის ბეთხოვენს  
მე მშობლიური არაგვი მირჩქვის,

წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად  
ქართველის გულს თუ რისთვის ირჩევს  
ომში სიცოცხლე ჩასთვალოს არად.  
-მ დღეებს ძეგლი უნდა აეუგო,  
უნდა აღემართო წყებათა წყება,  
ვით აღიმართა შენთან, ძაუგო.  
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება!

„გამარჯვებათა ჩვენთა დაწყებას“ პოეტმა მრავალი ლექსი მიუძღვნა, ისინი გამოქვეყნდა „კომუნისტში“, „კომუნისტის სააგიტაციო ფურცელში“, „ხეშით და კალმით“ და სხვა გამოცემებში.

1943 წელს დაბეჭდილ ლექსებს შორის ყურადღებას იპყრობს დიდი ოსტატობით დაწერილი ლექსი — „თასი“ („მნათობი“, № 7), სადაც დიდი პოეტური გზნებით არის გადმოცემული სამშობლოსადმი ერთგულების ფიცი. ფიცმა, არნახული სიმტკიცის ურყევობამ აიძულა მომხდღური დაეთმო დაპყრობილი, იგი უკან იხედა. გამარჯვების მოლოდინში მყოფი პოეტი გულმხურვალედ ეხმაურება საბჭოთა არმიის ყოველ ახალ გამარჯვებას, მის საბელოვან მებრძოლებს, მეთაურებსა და მხედართმთავრებს. ამ წელს დაისტამბა მისი ლექსების კრებული — „მამულო, სიცოცხლეო“, რომელშიც ომის თემაზე დაწერილი 28 ლექსი შეიტანა.

მძვინვარე 43-ში შესრულდა ვალ. ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 35 წლისთავი. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ქართველმა საზოგადოებამ, მიუხედავად ომის საშინელები-სა, სათანადოდ აღნიშნა პოეტის იუბილე. 29 ნოემბერს ოპერის თეატრში გაიმართა პოეტისადმი მიძღვნილი დიდი საღამო.<sup>3</sup>

1944 წლის საახალწლო ანექტაში პოეტი წერდა: „ამ დღეებში სახელმწიფო გამოქვეყნდება ჩავაბარებ დიდ კრებულს... ხელშეკრულების თანახმად წიგნი უნდა გამოვიდეს უახლოეს დროში. ვმუშაობ პოემაზე კავკასიონის შესახებ. ეს მშობლიური მოტივებია. მგონია გავიმარჯვებ. „კომპიენის ტყე“, „კახე კორსოს ქუჩაზე“, „ვეროპა“ (ამ ნაწარმოებებს შემდეგ სხვა სათაურები მიეცა — ი. ლ.) — ეს სამი ვრცელი პოემა დაწერილი მაქვს იმ დღეურობის სახით, რომელთაც ვაწარმოებდი ვეროპაში ომის დაწყების პირველივე დღეები-

<sup>3</sup> გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1943, № 6.

დანვე. ყოველდღიურად „კომუნისტის“ რედაქციაში ვეცნობოდი დიდ-  
ძალ მასალას, გამოგზავნილ ფრონტიდან. ამპლულელებელი მასალაა“<sup>4</sup>.

1944 წელს გალაქტიონ ტაბიძე ერთხმად იქნა არჩეული საქართვე-  
ლოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.<sup>5</sup>

იმავე წელს აქარის „სახელგამმა“ გამოსცა პოეტის ლექსების  
კრებული — „ოქრო აქარის ლაქვარდში“, რომელშიც ძველი ლექ-  
სების გარდა დაიბეჭდა ახალი ლექსები და პოემები „ამირანი“ და  
„ძღუელი სენი“.

ომის წლებში გალაქტიონი გატაცებით მუშაობდა ეპიკური ტილოს  
შექმნაზე (მიუხედავად მისი რწმენისა, რომ ამ უანარში იგი წარმატე-  
ბას ვერ მოიპოვებდა). ერთი ჩანაწერი გვაუწყებს: „მინდა დაწვირო  
ჰოემა „პირველი მისი“, პოემის გმირი მესხია. იგი საქართველოს  
შვილია, დაბადებული სოფლად, ნამუშევარი ქალაქში მკვდლად. ბე-  
რი პირველი მისი ახსოვს მას. იგი მუშაა, რევოლუციონერი, არ-  
წიელი, მშობელი. გეგმა: 1. მესხი სოფლად. 2. შეხვედრა ეკასთან.  
3. მოგონება პრომეთეზე. 4. მესხი ქალაქში. 5. მესხი რევოლუციაში.  
6. მესხი საკოლმეურნეო მშენებლობაში 7. მესხი ფინეთის ომში. 8.  
მესხი დიდ ომში. 9. მესხი დაპირლი დროებით თბილისში 10. მესხი  
ისევ მესხეთში“<sup>6</sup>. ეს იყო საწინდარი დიდი პოემისა. არქივის შესწავლამ  
ნათელყო, რომ ასეთი ნაწარმოების შექმნაზე პოეტი დიდი ხნის განმა-  
ლობაში მუშაობდა. განზრახული „პოემის“ შედგენა ციკლი „ევასა და  
რატინე“, რომელიც ავტორმა თავის თხზულებათა ტომეულებში (V,  
VI, VII, 1949—1952) დამოუკიდებელ ნაწარმოებებად დაბეჭდა: „გა-  
შოგონება“ (V, 1952, გვ. 177—196), „ამირანი“ („ოქრო აქარის ლა-  
ქვარდში“, 1944 და ტ. VII, 1950), „ჟუგა და ასილა“ („ზღვა ახმაურ-  
და“, 1948 და ტ. VI, 1949. ევა და რატი შესცვალა — ჟუგამ და ასი-  
ლამ, რითაც ნაწარმოებს „აფხაზური კოლორიტი“ მიეცა), „პური“  
(ტ. X, 1973), „ბამბურა მურა“ (ტ. VI, 1949), „გაერთიანება მშენებ-  
ლობისათვის“ (ტ. VII, 1950) და „ამბავი ერთი ღამისა“ (ტ. V, 1952).  
სალიტერატურო კრიტიკამ, ტომეულების რედაქტორებმა, უაღრესად  
ეღეგანტურად, არაერთხელ მიუთითეს პოეტს, რომ ასეთი ნაწარ-  
მოებების გამოქვეყნება ლაზავდა მის პოეტურ ღირსებას. პოეტი-ავ-

<sup>4</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1944, № 1.

<sup>5</sup> იქვე;

<sup>6</sup> არქივი, დღ. 276, გვ. 7. აგრეთვე გვ. 2608—2627.



ტორი ასეთ რჩევებს მიიჩნევდა მისადმი „მტრულ გამოხდომად“, მიუხედავად საკუთარი მრწამსისა, რომლითაც იგი ზელმძღვანელობდა, რომლის მიხედვითაც: „ყოველგვარი ლექსი, პოემა, უბრალო სტრიქონიც კი გაზომე ასჯერ და ერთხელ გადასკერ, არ შეიძლება ბეჭდვა ყოველგვარი აბდაუბდასი“.<sup>7</sup>

1944 წლის სექტემბრის თვეში თბილისში ჩატარდა მხატვრული კითხვის დიდი საღამო. ამ საღამოზე გალაკტიონის ლექსები წაიკითხა სსრკ სახალხო არტისტმა, მოსკოვის სამხატვრო თეატრის სიამაყემ კაჩალოვმა. ამ შემთხვევისა გამო გალაკტიონს გაუკეთებია საგულდაგულო ჩანაწერი — „როგორ კითხულობდა კაჩალოვი ჩემს ლექსებს“.<sup>8</sup>

სამამულო ომი ზენიტს აღწევდა. მომხვედრი უკუქცეულ იქნა, საბჭოთა არმიამ სსრკ სახელმწიფო საზღვრებს მიაღწია, საომარმა მოქმედებამ ევროპის აღმოსავლეთ ქვეყნების ტერიტორიაზე გადაინაცვლა, განმათავისუფლებელმა ზარმა ევროპაშიც დარეკა. უკვე შორეული ფრონტიდან მოდიოდა წერილები, რომელთა ავტორები, რიგითი თუ მეთაურთა შემადგენლობისა, გამოსთქვამდნენ სურვილს შეეტყოთ საყვარელი პოეტის საქმიანობა, რით გაახარებდა მათ პოეტი, მყარდებოდა წერილობითი კავშირი მათ შორის. აი, ერთი იმ მრავალ წერილთაგანი, რომელიც შემოუნახავს პოეტის არქივს: „28. V. 44... მაღე სამი წელი გახდება, რაც ფრონტზე ვიმყოფებით. მოშორებული მშობლიურ მხარეს, ქართულ ლიტერატურასა და პოეზიას. უსაზღვრო სურვილი გვაქვს თქვენი საყვარელი ლექსებისა და ქართული ნაწარმოებების კითხვისა. დიდი მორიდებით გთხოვთ ფოსტით გამომიგზავნოთ თქვენი უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული ლექსების კრებული. თქვენ კარგად იცით, თუ რად ღირს ჩვენთვის, ქართველი მებრძოლებისათვის, ფრონტზე ქართული სიტყვა... ჩვენს ქვედანაყოფში ექვსი ქართველი ვართ და წარმოიდგინეთ ის სიხარული და სიამოვნება, როდესაც ბრძოლით დაღლილებს, შესვენებისას, საშუალება გვექნება წავიკითხოთ ქართული ლექსი. იმედია, გაგვაზარებთ. მებრძოლი ვახტანგ კორძაია. მოქმედი არმია“...<sup>9</sup>

.1944 წლის 19 მაისიდან 30 მაისამდე, მაშინ, როდესაც ის იყო

<sup>7</sup> არქივი, დღ. 463, გვ. 1—2 (დაყოფა ჩენია — ი. ლ.).

<sup>8</sup> ტ. XII, გვ. 222—223.

<sup>9</sup> არქივი, 24555, გვ. 42.

საბჭოთა ტერიტორია დაშპყრობთაგან თავისუფლდებოდა, მოსკოვში ჩატარდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის საღამოები, შეხვედრები უაღრესად გულთბილ, მეგობრულ ხასიათს ატარებდა. მოსკოვის პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული პოეზიის საღამოებს, აქვეყნებდა ქართველი პოეტების ლექსების თარგმანებს. 201 მაისს „მოსკოვის ბოლშევიკის“ მთელი ნომერი ამ ღონისძიებას მიეძღვნა (დაიბეჭდა ბ. ჟღენტის წერილი, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის და სხვა პოეტების ლექსების თარგმანები). ამ საღამოებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა გალ. ტაბიძე. „ოში ამოწმებს მეგობრობას“ — ასეთი იყო ამ საღამოების ღვეიზი<sup>10</sup>.

ოშის წლებში, აკაკი წერეთლის პროსპექტის დასაწყისში, „ღინა-მოს“ სტადიონის პირდაპირ მდებარე პარკში პოეტს არა ერთი და ორი საათი გაუტარებია სუფთა ჰაერზე, ეს არ იყო მისი შემთხვევითი ადგილი „დასვენებისათვის“, იგი აქ ერთი აკვიატებული ჩანაფქრის გამო დადიოდა, იცოდა, რომ ეს ადგილი სოველთვის ხალხმრავალი იყო, განსაკუთრებით ფეხბურთის მატჩების დროს, მას წარმოუდგენია, რომ ამ სკვერში ოდესღაც „დაიდგმება პოეტის ძეგლი, ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით“... ოცნება სურვილად დარჩა. ქ. თბილისში მისი ძეგლის დაპროექტებისას არავის მოუკითხავს მისი სურვილი, ძეგლის აგებისას მის ნება-სურვილი არავის გაუთვალისწინებია.

1945 წლის მაისს პოეტი „გამარჯვების სიმღერებით“ შეეგება. სწორედ გამარჯვების დიდ თარიღს დაემთხვა მისი ლექსების დიდი „რჩეულის“ გამოცემა.<sup>11</sup>

დიდი სამამულო ოშის ძღვეამოსილად დამთავრების შემდეგ მაისიდან დეკემბრამდე გაიმართა გალაკტიონის რამდენიმე საღამო.

გამარჯვებამ სამამულო ოშში სახალხო პოეტის წინაშე ახალი პერსპექტივები დასახა. სახალხო მეურნეობის აღდგენა წარმოდგენდა უპირველეს ამოცანას, საჭირო იყო მთელი ძალების მობილიზირება მძიმე შედეგების აღმოსაფხვრელად. ამ დიდებულ პეროიკული აღმშენებლობის საღიდებლად წარმართა მან თავისი პოეტური ჩანგი. მას კარგად ესმოდა, რომ ყოველივე წარმატებისათვის „ბედნიერება არის სიმშვიდე“.

<sup>10</sup> „კომუნისტი“, 1944, №№ 103, 104, 109, 111.

<sup>11</sup> 1944 წ. გამოცემის მცდარმა დათარიღებამ (ის 1945 წელს გამოიცა) პოეტს სიურპრიზი მოუშადა... კონორარი ძღიეს მიიღო.

„ლაშვარდნის ვერხვარ მაცა“

ომის შექმნაში პირველი მშვედობიანი, მაგრამ „მქუხარე წელი“ პოეტის შემოქმედებით ცხოვრებაში მრავალი ღირსსახსოვარი დღით აღინიშნა.<sup>1</sup>

ეურნ. „მნათობში“ (№ 9—10, 11) გალაქტიონმა გამოაქვეყნა ლექსების ახალი ციკლი — „ზღვა ახმაურდა“.

დიდი მონდომებით ამზადებდა იგი თავისი თხზულებების IV ტომს, რომელშიც ძირითადად სამაჟულო ომის წლებში დაწერილი ლექსები შეიტანა. ოქტომბერში მან ტომი „სახელგამს“ გადასცა. „ოცი დღეა ჩაებარე წიგნი... ოცი დღის განმავლობაში რედაქტორმა, — წერდა გალაქტიონი, — ნუთუ ვერ მოახერხა მისი გადათვლიერება?.. გავიდა კიდევ ერთი კვირა... არავითარი პასუხი არაა. ცოტა შეეფიქრიანდი, ხომ ვიცი რა კაციც არის ჩემი რედაქტორი... ჩემი შიში საფუძველს მოკლებული არ აღმოჩნდა... გამომცემლობის ლიტერატურული განყოფილების გამგემ მითხრა, რომ რედაქტორი გულდაშმით სინჯავს წიგნს, რომ იგი დიდი მცოდნეა ლიტერატურის... შენს პირს შექარი — ვიფიქრე მე — თუ მართლა ასეთი რედაქტორი ხედა ჩემს წიგნს, ჩემს ბედს ძალი არ დაჰყუფს მეთქი, ეგ არაფერი, რომ ოცი დღე გადათვლიერებას უნდება, ალბათ სერიოზულ რჩევას მივიღებ... გადის კვირა, პასუხი არაა. როგორც იქნა ჩემი წიგნი რედაქტორმა (გ. ნატროშვილი — ი. ლ.) გადმოსცა „სახელგამს“. როდესაც წიგნი მიჩვენეს, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: 11 ათასი სტრიქონის მაგიერ სულ ორი ათასი სტრიქონი დაეტოვებია. დანარჩენი გადაეხაზა ფანქრით (აფერუმ, შენ, „რედაქტორო“). ავიღე და კარგად შემქიდროებული ლექსები გავშალე, ორი ათასი სტრიქონიდან გვაკეთე 5200 სტრიქონი<sup>2</sup>“. პოეტი დიდდ კმაყოფილი დარჩა სილოვან კაკაბაძისა, რომელმაც გამოაქანდაკა მისი ბიუსტი.

1946 წელს გ. ტაბიძემ მეორედ იქორწინა, ცოლად შეირთო ნინო სვიმონის ასული კვირიკაძე.

<sup>1</sup> „ლიტერატურული გაზეთი“, 1946, № 14; „ზარია ვოსტოკა“, 1946, № 103; არქივი, დღ. 191.

<sup>2</sup> არქივი, დღ. 135, გვ. 1—15.

იმავე წელს გულთბილად მიესალმა თავის ერთგულ მეგობარს გიორგი ქუჩიშვილს დაბადების სამოცი წლისთავზე და მიუძღვნა ლექსი „პოეტი ტრიბუნი“.

გამოიცა მისი თხზულებათა IV ტომი.

1947 წლის ლექსებიდან ყურადღება მიიქცია ლექსმა „პიონი ქართულ ანბანს“, პოეტი სიამაყით უძღვნიდა ქებათა ქებას თვითმყოფად ქართულ ანბანს: „შენ სიძველის გამოსავს ნელი ხავსი, ქვაზე კრილა ხარ ჩუქურთმის მსგავსი“...

ზატხული პოეტმა რაჭაში (შოვეში) გაატარა, რაჭამ მოხიბლა დამსვენებელი. მოხუცმა ნიკორწმინდელმა ღურგალმა ნიკოლოზ ვაჩნაძემ, სიყვარულით, სპეციალური მაგიდა დაუდგა გალაკტიონს ტყეში, მუხის ქვეშ. ნ. ვაჩნაძემ აღუძრა სურვილი გალაკტიონს მოენახულეზიხა ქართული მატერიალური კუთურის შესანიშნავი ძეგლი ნიკორწმინდა. კურორტ შოვის ადმინისტრაციამ ყველაფერი იღონა გალაკტიონის სურვილის დასაკმაყოფილებლად (აღბათ ეს გახდა მიზეზი, რომ პოეტმა მადლობის გამომხატველი ლექსები უძღვნა კურორტის ზეღმძღვანელობას).<sup>3</sup>

ნიკორწმინდა ბაგრატ მესამის მეფობაში აშენდა 1014 წელს. პოეტი მოაჯადოვა ტაძარმა, მისმა მალამხატვრულმა ღირსებებმა.

ნიკორწმინდის ეკლესიის გალავანს (სამხრეთის მხრიდან) ეკვრის ეზო, რომელშიაც კაკლის ხით ნაშენები მშვენიერი ოდა-სახლი დგას. ამ სახლში 1912 წელს, რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს, ცხოვრობდა აკაკი წერეთელი. ამ თანმთხვევამ უსათუოდ ზემოქმედება იქონია გალაკტიონზე, რომ მას დაეწერა ლექსი, რომელსაც იმთავითვე ეწერა ბედად გამხდარიყო მშვენება და შედეგური ქართული ღირიული პოეზიისა, მისი თვალმარგალიტი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. ნიკორწმინდას პოეტმა გრძნება უწოდა. ქვისაგან აგებული ტაძარი მან ნიჭიერების, სიწმინდის, სილამაზის და აღგზნების გამოხატულებად წარმოგვიდგინა. ამ ლექსმა საქართველოს მთის სოფლის ერთ ტაძარს იმდენი დეტალი შესძინა, ისეთი სვეტები და ჩუქურთმები შემატა, ისეთ ნათელში ჩააყენა, რომ თითქოს ამით ყველა სხვა ძეგლი დაჩრდილავს. ლექსის თვისებაც სწორედ ის არის, რომ მან სილამაზეს უნდა სილამაზე შეჰმატოს. „ნეტა ვინ აზიდა, რა ხელმა აზიდა მალლა ნიკორწმინდა! რა განძი გვექონია, რამ ხნე, რა მდიდარი,

<sup>3</sup> გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზ. ტ. VI, გვ. 44.

ქლერს ქვის ჰარომნია — დარობს რამდი დარი“... საგალობელივით, ამჟამად ბრძანებდა პოეტი.

„ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია გალაკტიონის ლირიკაში და ცხადი დადასტურებაა იმისა, რომ მგოსანს მთელი სიცოცხლის მანძილზე შთამაგონებელი მუზა არ განშორებია მისი დაუშრეტელი პოეტური არსენალიდან მარგალიტების „მოძიება“ არ შეწყვეტილა. დიადის შესაქმნელად მარტო ნიჭი საკმარისი არ არის. დიდი ხელოვანი დიდ გრძნობათა მქონეც უნდა იყოს. ნიჭთან ერთად მას უნდა ჰქონდეს გამომგონებლის უნარიც, უნდა ჰყავდეს თავისი „დაიმონა“ — მადლის მომნიჭებელი ძალა. შემოქმედება მოითხოვს დახვეწილ გემოვნებას, ორიგინალობას, მუსიკალურობასა და არტისტიზმს. ყოველივე ამას ხელოვანი პოეტი, გალაკტიონის თქმით, იძენს „მხოლოდ შეურყეველი, შეუდრეკელი, გულდადებული მუშაობის შედეგად. „მისი აზრით, „ზეშთაგონება — ეს არის არაჩვეულებრივი აღტყინება შემოქმედებითი ძალებისა“<sup>4</sup>. თუ ხელოვანს არ გააჩნია შინაგანი წვა, ტემპერამენტი, მისი შემოქმედების ნაყოფი უაულოა, დუნეა. მისი ნამოღვაწარი აღარ გვატყვევებს, აღარ გვიტაცებს. გალაკტიონის დაკვირვებით, „ტემპერამენტის დაკარგვასთან ერთად უნდა გაჰქრეს ზეგარდმო ნიჭი და უმაღლესი უნარიც. სამუდამოდ მოისპობა აღმაფრენა, აღტაცება და აღტყინება“<sup>5</sup>. სწორედ ამ ზეგარდმო ნიჭის აღმაფრენამ, აღტაცებამ და აღტყინებამ შთააგონეს გალაკტიონს „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

1947 წელს გამოაქვეყნა პოეტმა პოემები: „გაერთიანება მშენებლობისათვის“ და „სინათლის ყვავილი“.

1948 წლის თებერვალში გალაკტიონმა გამოსცა ლექსების კრებული „ზღვა ახმაურდა“ (აფხაზეთის „სახელგამის“ გამოცემა). ლექსების გარდა კრებულში შეტანილია პოემა „უუგა და აილია“.

1948 წლის მაისის დასაწყისში პოეტი დაბა მაიაკოვსკის ესტუმრა, დაათვალიერა საირმე (საირმესაკენ მაშინ მარტო საცალფეხო გზა მიდიოდა). გალაკტიონს ნახევარი გზა ფეხით უვლია, შემდეგ ცხენზე ამხედრებულა და ასე მიულწევია საირმისათვის. კურორტის მდებარეობასა და შინერალურ წყალს აღტაცებაში მოუყვანია დამ-

<sup>4</sup> ტ. XII, გვ. 566.

<sup>5</sup> გ. ტაბიძის არქივი, 021 371—37.

თვალერებელი. საირმიდან დაბრუნებულს შეხვედრა მოუწყეს მაია-კოესკის კულტურის სახლში.<sup>7</sup>

20 მაისიდან 15 ივნისამდე პოეტი მოსკოვში იყო „გოსლიტიზდატის“ მიერ მისი ლექსების კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით. „მოსკოვი ყოველდღე იცელის სახეს“ ჩაუწერია პოეტს უბის წიგნა,ში.<sup>6</sup>

6 აგვისტოს მან მონაწილეობა მიიღო ქ. გორში გამართულ ქართულ პოეზიის დიდ საღამოში.<sup>7</sup>

სექტემბერში პოეტმა ცხაკაიას რაიონში იმოგზაურა. აქ მას გულ-თბილად შეხვედრები ჰქონდა რაიონის მშრომელებთან და მოსწავლეებთან. ცხაკაიას თეატრში გაიმართა მისი საპატივცემულო საღამო, რომელზედაც გალაკტიონმა წაიკითხა მასპინძლებისადმი მიძღვნილი ლექსი — „მადლობა, დიდი მადლობა“. ეს ლექსი გამოაქვეყნა რაიონულმა გაზეთმა.<sup>8</sup>

პოეტის ამადლებულ, ხალისიან განწყობილებას არცთუ ისე იშვიათად თან სდევდა ძლიერი დეპრესიის წუთები. 1947 წლის 24 სექტემბრის ჩანაწერში იკითხება: „მთელი ღამე არ მეძინა, ვიწეკი საწოლში, ვტრიალებდი გვერდიდან გვერდზე, ვეწეოდი თუთუნს, გული ბოლმით მქონდა სავსე იმის გამო, რომ ასე საცოდავად, ასე უნუგეშოდ, ასე თავის ანაბარა ვარ მიტოვებული ბედის მიერ... აი ებღაც თვალწინ მიდგას საზიზღარი. იგი ხარობს ჩემი ტანჯვით, იგი დამცინის, იგი აფორიაქებს ყველაფერს, რაც ასე ძვირფასია ჩემთვის: რწმენას ადამიანისადმი, კულტურისადმი, ხელოვნებისადმი, ყველაფრისადმი... აი ჩემი ნაწერები... დარჩა კი ვინმე, რომელიც მთელის სულით და გულით ესწრაფება ჩემს ლექსებს? უძლური ვარ ბედის წინაშე. ბედი? რა არის ბედი? ო, რა საშინელი ღამე იყო წუხანდელი ღამე... ასე გათენდა... ჩამოვიდა ტატიანა... აბესალომი საავადმყოფოშია გადასაყვანი... აბესალომი ინახულა კორნელიმ (აკად. კ. კეკელიძე — ი. ლ.) თავისი ცოლით. საღამოთი, როდესაც ოთახში შევედდი და ოთახი გაეაჩირაღდნე, ფანჯარა გავალე, სახლის პირდაპირ დადგა ორი ახალგაზრდა და იძახოდნენ: გალაკტიონ! გალაკტიონ! გალაკ-

<sup>6</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 489.

<sup>7</sup> გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948, № 32.

<sup>8</sup> გაზ. „აენგარდი“ (ცხაკაია), 1948, 23 სექტემბერი.

ტიონ! ეს იყო კოშმარი. მე დამცინოდნენ... ალბათ ღირსი ვარ! ალ-  
ბათ აღარა ვარ კაცი, აღარა მაქვს ნებისყოფა... კმარა, კმარა! ჩემს  
გაჰირევებას დღეს ყველა ხედავს და არსაიდან არ არის შველა“...<sup>9</sup>  
ეს მოჩვენება — კოშმარები მძიმე ავადმყოფობის ნიშნები იყო, რომ-  
ლებსაც, ჩანს, თანდათან მეტი ძალით იჩინა თავი და პოეტს ტრაგი-  
კულად დაასრულებინა სიცოცხლე.

1948 წელს შესრულდა გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 40  
წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით გაიმართა მისი საღამოები  
და შეხვედრები პოეზიის მოყვარულებთან. ამ შეხვედრებში, ჩვეულ-  
ბ-საპეზრ, დიდი წარმატებებით ჩაიარეს. ამავე წელს მან გამოაქვეყ-  
ნა პოემები: „მოხვევის ქალი“, „ბამბურა მურა“ და „ხრამქისი“.

გალაკტიონი დიდად აფასებდა აკადემიკოსების კ. კეკელიძისა და  
ა. შანიძის ღვაწლსა და დამსახურებას ქართული ლიტერატურის ის-  
ტორიისა და ქართული ენის საფუძვლიანი შენსწავლის საქმეში. თა-  
ნამედროვეთაგან ამ ორს მიეჩნევდა „ორ დიდ შექტურა ვარსკვლავად  
ქართული შეცნიერების ცაზე“, პოეტი ყველგან და ყოველთვის მო-  
წიწებით მოიხსენებდა მათ სახელებს. მის 1949 წლის 25 იანვრის  
ჩანაწერში ვკითხულობთ: „დღეს „სახელგამში“ შევხვდი ა. შანიძეს,  
გავსაუბრეთ, მე მას ხუმრობით ვუთხარი:

— აი, ლიტერატურის სახელმძღვანელო VIII კლასისათვის, შიგ  
პოეტების ათ-ათი ლექსია, ჩემი კი მხოლოდ ერთი.

— ეგ სრულებით არაფერია, — მითხრა ა. შანიძემ, — ერთხელ  
ერეკლე გლახის ოჯახში იყო. ამ გლახს ათი ვაჟი ჰყავდა. ერეკლემ  
უთხრა მასპინძელს:

— რა ბედნიერი ხარ, რომ ათი შვილი გყავს. მასპინძელმა ამოხ-  
ვრით უპასუხა:

— ეჰ, დიდო ბატონო, ნეტავი ერთი შვილი მყავდეს და თქვენის-  
თანაო. ასეთი შენი ამბავიც, ჩემო გალაკტიონ. მე ვერაფერი ვთქვი,  
ყველაფერი თავისთავად იწმინდება, რჩება მარტო ხალასი... ნეტა  
მეც ერთი შვილი მყავდეს და შენისთანაო!“<sup>10</sup>

1948 წლის 2 ოქტომბერს გარდაიცვალა პოეტის ძმა აბესალომი.  
ამოვარდა საშინელი ძლიერი ქარი. სახურავებს ლეწდა, ზეებს გლეჯ-  
და და ამტვრევდა ქარი. არ მახსოვს, რომ ასეთი ამინდი ყოფილიყოს,

<sup>9</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 15, გვ. 1—3.

<sup>10</sup> ტ. XII, გვ. 409.

რაც 1948 წლის 2 ოქტომბერს ღამით, პირველის ორ წუთზე, როდესაც გარდაიცვალა აბესალომი“ — ჩაუწერია პოეტს უბის წიგნაკში.<sup>11</sup> ძმის ხსოვნას მან ლექსი უძღვნა.<sup>12</sup>

1949 წლის 25—27 მაისს გალაკტიონი ესტუმრა ქალაქ ჭიათურას. მარგანეცის ქალაქის მკვიდრებმა უალრესად გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საყვარელ პოეტს. მგოსანმა მოინახულა აკაკის სახლ-მუზეუმი სხვიტორში, იყო პერევისაში, სადაც შეხვედრა ჰქონდა მალაროელებთან. 26 მაისს ჭიათურის თეატრში გაიმართა დიდი საღამო, ხოლო 27 მაისს შეხვედრა ჩატარდა მემლაროელთა კლუბში. აქ მან წაიკითხა ახალი ლექსი — „შავი ოქროს ქალაქი“.

1949 წელს მგოსანმა გამოსცა თხზულებათა VII ტომი, რომელშიც ლექსების გარდა დააბეჭდა ოთხი პოემა.

ახალი გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხემ კაცობრიობას უდიდესი საშიშროება შეუქმნა. მშვიდობის საყოველთაო დაცვის იდეამ მსოფლიო ხალხების ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა. მშვიდობის დამცველთა რიგებში, მის ავანგარდში გალაკტიონიც ჩადგა. მან თავისი პოეტური ხმა მშვიდობის საქმეს დაუმორჩილა. მრავალი ლექსი მიუძღვნა პოეტმა მშვიდობის თემას: „იდიდე, მშვიდობავ, იდიდე“, „წინ, წინ სამშობლო მხარევ“, „იდიდე სამშობლოვ, იდიდე“, „დროშები მალა“, „ჩვენ მშვიდობა გვინდა“, „მშვიდობის მაისი“, „მშვიდობისათვის“, „მაისი და მშვიდობა“, „ოქტომბრის დროშით“, „მშვიდობიანობა“, „ჰიმნი მშვიდობას“, „მშვიდობის წიგნი“ და სხვ.

1952 წელს გამოიცა მისი თხზულებების V ტომი. იმავე წელს გამოაქვეყნა მან „ჰიმნი მშვიდობას“, რომელიც თავისებური გასაუბრებაა ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისასთან“.

1954 წელს სახელგამმა გამოსცა გალაკტიონის „რჩეული“ ლექსები შედგენილი ბ. ჩიქობავას მიერ, რომლის თვითნებობამ პოეტისეული ტექსტის მიმართ დადებითი შეფასება არ დაიმსახურა.<sup>13</sup>

პოეტი მტკივნეულად განიცდიდა, ღიზიანდებოდა, როდესაც წიგნსა თუ წერილში ამოიკითხავდა სახელს „გალაკტიონ“ (ქართული მართლწერისათვის სავსებით მართებულს). არქივში არაერთი

<sup>11</sup> ტ. XII, გვ. 402.

<sup>12</sup> გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზ. ტ. VI, 1968, გვ. 117.

<sup>13</sup> ა. ხინთიბიძე, გაზ. „თბილისი“, 1960, № 4.



ჩანაწერია ამის თაობაზე („სახელგამის“ წიგნს აწერია „გალაქტიონ“, „მნათობში“ დაბეჭდილია „გალაქტიონ“, ყველგან უნდა იყოს „გალაქტიონ“).<sup>14</sup> ესეც თავისებური აკვირება შეიძლება იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ალბათ, უკვე ანგარიშგასაწევი, მას სურდა მისი სახელი განსხვავებით დაწერილიყო, როგორც ერთადერთი გამონაკლისი, გათვალისწინებული უნდა იყოს მისი სურვილი და მხოლოდ მისი სახელი დაიწეროს ქართული მართლწერისათვის დადგენილი ნორმის საწინააღმდეგოდ.

1955 წლის 8 ივლისს, თითქმის ოცა წლის შემდეგ (იგი დღის გარდაცვალების შემდეგ მშობლიურ სოფელში არ ჩასულა) გალაქტიონი ესტუმრა ვანის რაიონს, სოფელს, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა. ვანელებმა, ტობანიერელებმა, ჰყვიშელებმა უგულითადესი შეხვედრები გაუმართეს სახელოვან თანამემამულეს.<sup>15</sup>

მშობლიურ კუთხიდან დაბრუნებული გალაქტიონი მალე მესხეთ-ჯავახეთში გაემგზავრა. პოეტს ყველგან სიყვარულითა და სიამტკბილობით ზღვდებოდნენ (ბორჯომი, ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი). მან მოახსულა ჯავახეთის საძოვრები, ეწვია მწყემსებს, ინახულა ტბა-წყურისა და თავფარავნების ტბები, დიდი ინტერესით დაათვალიერა ძველი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები: ვარძია, კუმურდო, თმოგვი. შთაბეჭდილებანი პოეტმა ნაწილობრივ გამოხატა ლექსებში: „ბორჯომის მუხა“, „მესხეთ-ჯავახეთი“, რომლებიც ამ რაიონების გაზეთებში გამოქვეყნდა პირველად<sup>16</sup>. პოეტს მოგზაურობაში ახლდნენ პროფ. გ. კილურაძე და ვ. გურგენიძე.

1955 წელს „სოვეტსკი პისატელმა“ მოსკოვში გამოსცა გალაქტიონის ლექსების კრებული (აქ უნდა შეენიშნოთ. რომ მის ლექსებს რუსულ ენაზე თარგმნდნენ: ნ. ტ-ხოხოვი, ნ. ბობირევი, პ. ანტოკოლსკი, რ. იენევი, ვ. გაფრინდაშვილი, მ. ტროცკი, კ. ბოგდანოვსკი, ვ. როჟდენსტვენსკი, ბ. სერებრიაკოვი, ა. ყანჩელი, პ. პეტრენკო, ბ. პასტერნაკი, ბ. ლიფშიცი, ლ. პენკოვსკი, ა. პატარაია, დ. პეროვსკი, ნ. აკერმანი, ე. შერვაშიძე და სხვები. სამწუხაროდ, ნაშდვილი გა-

<sup>14</sup> გ. ტაბიძის არქივი, დღ. 102, გვ. 84; დღ. 379, გვ. 7.

<sup>15</sup> გაზ. „სახალხო ვანათლება“, 1955, 7 ივლისი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1955, № 85, ფ. ნ ი შ ნ ი ა ნ ი ძ ე, გალაქტიონის ცხოვრებიდან, 1964, გვ. 147; ლ. კლანდაძე, ლიტერატურული წერილები, 1972, გვ. 49.

<sup>16</sup> ვ. მ ე ს ხ ი (გურგენიძე) და დ. ბ ე რ ი ძ ე, გ. ტაბიძე მესხეთ-ჯავახეთში, „ასპინძა“ 1969, №№ 105, 106, 108, 110, 112.

ლაქტონისეული ლექსი რუსულ ენაზე ჯერაც არ აქლერებულა, მ-სი თარგმანები არასოდეს გამხდარა დედნის ადექვატური მიახლოებით მაინც. აქ მაინც საგანგებოდ ბ. პასტერნაკი უნდა გამოიყოს. ბელა ახაძედლინა თავის ლექსებს წერს გალაქტიონის მოტივებზე).

1956 წელს ტყიბულმა გულთბილად მიიღო საპატიო სტუმარი, შეხვედრები მადაროლებთან, მოსწავლეებთან. პატრივისცემის გამომხატველი სიტყვები, მილოცვები, ლექსები. 22 სექტემბერს სახალხო პოეტი მუშახტის სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი შეხვდა ვ. ი. ლენინის სახელობისა და დასაქლეთ მადაროს მუშა-მოსამსახუროებს.<sup>17</sup>

40-50-იან წლებში დაწერილ ლექსებში კვლავ გასაოცარი ძალთ გამოვლინდა გალაქტიონის პოეზიის ცხოველყოფელი ძალა. პოეტმა შექქნა სულიერი თრთოლვით აქლერებული ლექსები, გამსჭვალული დიდი აზრითა და გრძნობით. არც ერთ ქართველ პოეტს, გალაქტიონის თანამედროვეს, არ ჰქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში პოეტის „მოგვერა“ მისია, როგორც ეს პირველ სახალხო პოეტს ჰქონდა შესისხლბორცებული. შინაგანმა აუცილებლობამ უქარნახა მას ეთქვა ეს სიტყვები: „რა სასწაულით, რა სასწაულით პოეტი უნდა შეიქნას მოგვი“... რვა შეგნებულად ამბობდა: „თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოგვედები — როგორც პოეტს შეჰფერის“. ჰეშმარიტებაა. პოეტს ამ წლების პოეზია გულდასმითი შესწავლის ღირსია. დიდი მოვლენები, ძვრები, ჰიდილი აზრსა და გრძნობას შორის სათანადო ასახვას პოულობდა მის პოეზიაში.

გალ. ტაბიძის ბოლო წლების პოეზიაზე შეიქმნა აზრი, თითქო იგი, როგორც პოეტი, წარსულში დარჩა, რასაც აპირობებდა ის, რომ ამ წლების ლექსები „ადარავის განაცდევინებდა“ ლექსის კულტურის იმ ტრადიციას, რომელიც თვითონ დაამკვიდრა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში და რომელზედაც აღიზარდა და ჩამოყალიბდა თანამედროვე საზოგადოების პოეტური გემოვნება. ამ გემოვნებისა და კულტურის ტრადიციებისადმი სმენაშეჩვეულთათვის უჩვეულო და მოულოდნელი იყო გალაქტიონის ბოლო წლების ლექსების სტრუქტურული და შინაგანი ტენდენციები. პოეტის ბოლო წლების პოეზია არც ძველს ულონო განმეორება იყო, როგორც ეს შემოქმედებითი კრიზისის დროს ემართებათ ზოგიერთებს და არც ენერგიის დაშ-

<sup>17</sup> გაზ. „ტყობული“, 1966, № 139.

რეტის გამოხატულება. პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში სრულად მოულოდნელად რაღაც ახალი პერიოდი დაიწყო, რომელიც ქართული პოეტური სიტყვის განვითარების გზაზე (შეიძლება ითქვას თვისებრივ) სიახლეს მოასწავებდა. ეს სიახლე არ წარმოადგენდა მსოფლმხედველობრივ გადახალისებას მის შეგნებაში (თუმცა ეზოპური პოეზიის ნიშნებმა ნამდვილად იჩინეს თავი, მაგალითად, „მგელი ბატანს შეხვდა“). მან, როგორც პოეტმა, ხელი მოჰკიდა ქართული ლექსის ხელმეორედ განახლების საქმეს. მისი ძიებები ეფექტური შთაბეჭდილებების მოსახდენად არ ყოფილა გამიზნული. რით გამოიხატა ეს სიახლე?

სიახლე წარმოიშვა ძველი სტილისა და ცხოვრების ახალი შინაარსის შესაბამისობათა კომპლექსში. ახალი სოციალური შინაარსის შესატყვისი პოეტური ფორმა ომისა და ომის შემდეგ წლებში დაწერილ ლექსებში ერთიანი ტენდენციითაა აღბეჭდილი და ხასიათდება დასრულებული სტილით. ამ წლებში ჩაისახა ის წანამწერები, რომლებიც ფართოდ გაიშალა ლექსებში: „ადამიანი“ (1945), „ზღვა ახმაურდა“ (1946), „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ (1947), „ასპინძა“ (1948), „ცაცხვი ზღვის პირად“ (1949), „ჩემი პოეზიის ინტეგრაციები“ (1948), „აზრი გენიალური პარმონიისა“ (1948), „1950“ (1949), „ოქროს თასი ორნამენტებით“ (1949), „სავსე ვართ ქვეყნის მზიურ დღეებით“ (1950) და სხვა ლექსები. ამ წლების ლექსებში ყველაზე თვალშისაცემია პოეტური მეტყველების, პოეტური სინტაქსის გასაოცარი გამართივებისაკენ მიდრეკილება, რაც ახალ აზრობრივ, ინტონაციურ და სტილურ სპეციფიკას ქმნის. ეს ლექსები, რომლებმაც საუბრის მშვიდი ტონალობა შეიძინეს, განიტვირთა და დაიწმინდა ისტორიული ფორმის ატრიბუტებისაგან. საუბრის ხასიათმა, თემამ, ინტონაციამ შეიძინა უფრო მატერიალური, უფრო საგნობრივი, უფრო ხელშესახები ელფერი, ვიდრე ეს იყო 20-იანი და 30-ანი წლების დასაწყისში.

გალაკტიონი კეშმარიტად ეპოქალური მხატვარი გახდა.

სიკვდილთან საოცარი სიმშვიდით შეხვედრის უდიდესი ადამიანური დოკუმენტია მისი ბოლოდროინდელი ლექსი-შედევი: „... ეს იყო წინათ“:

...მიღიხარ... ტყბილი  
გქონდეს მგზავრობა,  
სხვა ბინა  
მარად იყო ზღაპარი  
ვინა სთქვა შენი  
მიუსაფრობა?  
არა, შენ ჰპოვე  
თავშესაფარი.

მიღიხარ... შენს ბედს  
ბევრი ინატრებს,  
მშვენიერს, ბედი  
სხვა არსად არი.  
შენ სივრცეებში  
დაგაბინდარეს —  
შენ უკვდავების  
ხარ ბინადარი.<sup>18</sup>

1956 წელს საქართველოს მწერალთა კავშირში გ. ტაბიძე ხელმძღვანელობდა პოეზიის სექციას. მან ითავა ერთი ლექსის საღამოს მოწყობა. ასეთ საღამოზე პოეტებს უნდა წაეკითხათ აუცილებლად ახალი, მხოლოდ ერთი ლექსი.<sup>19</sup>

1956 წლის 7 თებერვლის ჩანაწერში გალაკტიონი გვამცნობს: „დავამთავრე პოემა „მშვიდობის წიგნის“ გადაწერა. გადაწერაზე ვმუშაობდი მთელი თვის განმავლობაში... „მშვიდობის წიგნი“ გადასაბეჭდად გადავეცი მემანქანეებს... მაშასადამე „მშვიდობის წიგნი“ ფრთხილად, მორიდებულად გავიდა ჩემი კაბინეტიდან“<sup>20</sup>... შეორეგან იგი წერდა: „მშვიდობის წიგნზე“ ვმუშაობდი არა ნაკლებ თორმეტი წლისა, ეჩხნევა თუ არა ეს ნაწარმოებს? სჩანს თუ არა ავტორის გულმოდგინე შრომა ნაწარმოებზე? ნაწარმოებში მოცემულია მშვიდობის იდეა, სჩანს თუ არა ეს? პოემა შესრულების მხრივ სიახლეა“...<sup>21</sup> ამჟამად ჩვენ არ მივცემთ ჩვენს თავს უფლებას გამოვეპასუხოთ პოეტის მიერ დასმულ კითხვებს, ვიტყვი შემდეგს: რა შეიძლება ითქვას გალაკტიონ ტაბიძის ღვაწლსა და ამაგზე ეპიკურ ჟანრში? მან პოემის ჟანრულ კომპოზიციაში მრავალი ექსპერიმენტი განახორციელა, შეეცადა აღედგინა ლირიკული პოემის ტრადიციები. ლირიკული პოემა მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც სიუჟეტური ლექსი, რომელიც, როგორც თვითონ წერს, „არ ეხერხება ბევრ ჩვენს პოეტს. ამ მხრივ თითქმის ერთსა და იმავე სურათს იძლევა როგორც ლეონიძის, ისე ტაბიძის (გალაკტიონის — ი. ლ.), გრიშაშვილის, ალ. აბაშელის, ირ. აბაშიძის და ს. ჩიქოვანის პოეზია“.<sup>22</sup> გალაკტიონის ცდა შეექმნა, შეეთხზა

<sup>18</sup> ტ. VI, 1968, გვ. 256.

<sup>19</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1963, № 33 (16 აგვისტო)

<sup>20</sup> გ. ტაბიძის არქივი, 024549—598.

<sup>21</sup> იქვე, დღ. 527.

<sup>22</sup> ტ. XI, გვ. 349.

ახალი პოემა, წარუმატებელი აღმოჩნდა, რამდენადაც მის პოემებში მწერლისა და გმირის სუბიექტური განწყობილება არ სჩანს, არ იგრძნობა გმირის სულიერი განცდები, ლირიკული განწყობილება, თხრობის დაძაბული ტონი. ყოველი აღნიშნულის გამო მისი ე. წ. „ეპიკური უანრის ნაწერები“ პოეზიის მიღმა დარჩა. გალაკტიონი ქართულა პოეზიის ისტორიაში განუმეორებელ ლირიკოსად დარჩება.

1957 წელს მგოსანმა გამოსცა თავის თხზულებათა VIII ტომი, რომელშიც პირველად გამოქვეყნდა ადგილები ლეგენდა-პოემიდან „მშვიდობის წიგნი“.

1958 წელს მოსკოვში ჩატარდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის რიგით მეორე დეკადა, მასში მონაწილეობდა გალაკტიონიც. დეკადის დამთავრების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ მისი მონაწილენი მიღწეული წარმატებებისათვის დააჯილდოვა ორდენებითა და მედლებით. გ. ტაბიძე დაჯილდოვდა „შრომის წითელი დროშის ორდენით“.

1958 წელს, დეკემბერში, აღინიშნა გალაკტიონის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლისთავი. ეს თარიღი დიდი ზეიმით აღინიშნა 29 დეკემბერს ოპერის თეატრში (მომხსენებელი ბ. ულენტი), მრავალი გულთბილი სიტყვა, მილოცვა ითქვა საყვარელი პოეტის მისამართით.<sup>23</sup>

1959 წლის დსაწყისში მან მონაწილეობა მიიღო საქართველოს მწერალთა კავშირის IV ყრილობის მუშაობაში. სადაც იგი, საქართველოს სახალხო პოეტი, კვლავ არ იქნა არჩეული სსრკ მწერალთა მორიგ ყრილობის დელეგატად.

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი საშინელ მართობას განიცდიდა:

ისევ მართო ვარ და ისევ გელი  
რისთვის, ნუგეშო, არ ვიცი, არა,  
ერთა ჩემთვის სუყველაფერი,  
ტკივილმა თვალი დამისამარა...<sup>24</sup>

ასეთი ჩივილი ზშირია მის ბოლოდროინდელ პატარა ლექსებში.

1959 წლის 17 მარტს თბილისი, მასთან ერთად წთელი საქართველო, შესძრა მოულოდნელმა ცნობამ: სამკურნალო კომბინატის პირველი კორპუსის მეოთხე სართულიდან გადმოხტაო გალაკტიონი... იკაროსივით დაენარცხა მშობლიურ მიწას ქართული პოეზიის გო-

<sup>23</sup> „ლიტერატურული გაზეთი“, 1958, № 52.

<sup>24</sup> გ. ტაბიძის არქივი, გვ. 6179.

ლიათი... შეწყდა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ბერძენის-  
ცხოვრება, ცხოვრება ადამიანისა, რომელიც ასე მიმართავდა თავის-  
თავს:

გულო, ჩემო მღელვარე,  
სულო, ჩემო მყივარო,  
ერთი დღეც არ გქონიათ  
მშვიდო, უსაჩივარო.<sup>25</sup>

გალაქტიონი მარადცოცხალი ისტორიის კუთვნილება გახდა.

ვალძობდილი წავიდა ჩვენგან ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის.  
დიდება, მან საუკუნეებს დაუტოვა თავისი ჭადოსნური სიმღერა.

„სამშობლო ჩემის ხმაურობით სავსე ცხოვრების“ დიდებულმა  
პანგმა ათქმევინა მძაფრი განცდისა და შთაგონების პოეტს:

ჩემო ლექაებო, მარად...  
გქონდეთ მსუბუქი ფრთები...  
აყვავებული მღელო,  
აყვავებული მთები!  
რუსთაველი და მშვიდი?  
დამშვიდება და ეჟა?  
აწმყოს დიდება დიდო  
და დღეს მომავალს ვაშა

. . . . .  
გალაქტიონი ხედავს  
რა სასწაულებს ახდენს  
ის გამარჯვება, რითაც  
სუნთქავს, მშობელი ერი,  
იმ უბოლოო მდგარ  
და საიმედო საყრდენს  
წინსვლას, რომელსაც ვერ სძლეეს  
ვერავითარი მტერი!

მშობელი ერის სუნთქვა, მისი მდგარი და საიმედო საყრდენი,  
მისი წინსვლა ნათელი მომავლისაკენ იყო გალაქტიონის გონებისა და  
გრძნობის უკანასკნელი საზრუნავი იმ ტრაგიკულ წუთებშიც, როდეს-  
საც ლომივით მბრდღვინავი ეთხოვებოდა ამქვეყნიურობას.

აკაკი გაწერელიამ ზუსტი და მახვილი თვალით შენიშნა გალაქ-  
ტიონის მიმართ: „იჭირვეულა, იუცხოვა, იხმაურა, სძულდა, უყვარდა,  
ფათურობდა, მთერალობდა. ფხიზლობდა. ყელამდე აივსო მოწყენით.

<sup>25</sup> გ. ტაბიძის არქივი, ღკ. 128, გვ. 18.

ყელამდე აივსო სიხარულით. ფართოდ გაეღო თავისი სული შთაბეჭედილებებს. იცოდა დუმილი. სცოდავდა. არ სცოდავდა. უცნაურო იყო. ჰკუის კოლოფი იყო. სიმღერად იცლებოდა. ხანდახან კი სულ ყრუდ. ყრუდ უღერდა ერთადერთი სიმი შინი სულის სიღრმეში... მაგიდაზე დაასვენებდა ხოლმე თავის მშვენიერ, ნამდვილად მშვენიერ ხელებს... არაფრ-ს ეშინოდა. ზოგჯერ თითქო ყველაფერი აფრთხობდა. არაჩვეულებრივი იყო. და აღარაა".<sup>26</sup>

21 მარტს მთაწმინდის მ-წამ მიიბარა პოეტის ნეშტი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თბილისს არ ახსოვს ასეთი სამგლოვიარო პროცესია, ასე ხალხმრავლად დატირებული შვილი საქართველოსა. ეს იყო ჰემსპარიტად ეროვნული გლოვის მძიმე დღეები. როგორ ჰყვარებია მშობელ ერს თავისი სასიქადულო შვილი!!!

თაობებს ბიბლავდა და ატყვევებდა გალაკტიონის ნატიფი ღირსის სურნელება „სავსე ქართული პატიოსნებით“. ესტაფეტა მომავალს გადაეცა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა მ-სი სახელი ერს საუკეთესო შვილების რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ქავჭავაძის, წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას გვერდ-თ დააყენა. ისტორია გაამართლებს გალაკტიონის სისხლხორცულ რწმენას, რომ საუკუნეებს წაპყვება მისი დიდებული ქნარი, რომელიც მოურიდებლად მომხიანობდა — „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია!“

ასეთია XX საუკუნის ქართული პოეზიის უპირველესი ოსტატის გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედებითი ბიოგრაფიის ზოგადი მიმოხილვის ჩვენეული ცდა. იმედი გვაქვს, ქართველი მკითხველი ოდესმე სრული სახით მიიღებს ჩვენი მრავალი წლის ნაშრომს ამ საკითხზე.

<sup>26</sup> აკაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1962, გვ. 632.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი . . . . .	3	ეპოქალურ მოვლენათა რკალში . . . . .	131
თავი პირველი		თავი მეცხრე	
წინარეები და ბავშვობა	7	CRANE AUX FLEURS	
თავი მეორე		ARTISTIQUES . . . . .	144
ქუთაისის სასულე . . . . .		თავი მეთექვსმეტი	
სასწავლებელში	23	ახალი საქართველოს პირველი	
თავი მესამე		მესიტყვე . . . . .	172
თბილისის სასულიერო სემინარიის	49	თავი მეოთხმეტე	
თავი მეოთხე		წინამორბედნი და ახლობელნი . . . . .	193
სოფლის მასწავლებელი	64	თავი მეორმეტე	
თავი მეხუთე		„ვა“ა, ამ ახალ საქართველოს,	
პრეზიის დიდ გზაზე . . . . .	83	ვაშა შენებას“ . . . . .	209
თავი მეექვსე		თავი მეცამეტე	
პირველი წიგნი . . . . .	95	„ომმა შესცვალა დარის დარება“	235
თავი მეშვიდე		თავი მეათმეტე	
„ლურჯა ცხენების“ სამყაროში . . . . .	110	„ლავეარდის“ გერმანული მეცა“ . . . . .	243
თავი მერვე			

რედაქტორი ქ. კვინტრაძე  
 მხატვარი ვ. გიორგობიანი  
 მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი  
 ტექნიკური რედაქტორი ლ. კელიძე  
 კორექტორი ნ. მკედლიშვილი  
 გამომშვები ნ. თათარაშვილი

სბ 5785

გადაეცა წარმოებას 31.03.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.03.88 წ. უე 01946. საბეჭდო ქაღალდი № 1. 60X84<sup>1</sup>/<sub>16</sub>, გარნიტური ვენა. მაღალი ბეჭდვა. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,88 + ჩაყვრა 0,47 პირ. სალ.-გატ. 15,58 საალრ.-საგამომც. თაბახი 13,25 ტირაჟი 5000 შეკვ. № 4043.

ფასი 2 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
 თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება ქ. ქუთაისი, ი. ჰავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по делам издательства, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР.  
 г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.